PRIME Time

N12 (262) ორშაბათი, 31 მარტი, 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

„X Factor“-ის ექსკლუზიური კულუარები

დავით უსუფაშვილი კონსტიტუციას არღვევს?

რა პოზიციებს აფიქსირებს პარლამენტის თავმჯდომარე

EXCLUSIVE

რა ხდება კიევში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ?

მამუკა არეშიძე: „როდესაც ხალხში იარაღი გროვდება, ჩნდებიან ადამიანები, რომლებისთვისაც ქვეყნის მომავლისთვის ბრძოლა მეორადი საკითხი ხდება, უპირველესი კი – პირადი კეთილდღეობის შექმნა“

EXCLUSIVE

ვალერი გელბახიანი: „მე მქონდა ინფორმაცია, რომ ჟვანია აპირებდა პრემიერ-მინისტრის პოსტის დატოვებას და ოპოზიციაში გადასვლას გეგმავდა“

EXCLUSIVE

ვინ არის ირაკლი ალასანიას ფავორიტი ქალი

თავდაცვის მინისტრის ხმაურიანი საქმეები

SCANDAL

„მარგველაშვილის დისკრედიტაციის საშუალება, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გახდებოდა მისი პირადი ურთიერთობები“



წულუკიანის შავი სია

„რა მოხდა ამ ქალბატონში? რა მეტამორფოზა განიცადა ასეთი? თუ ის, როგორც მინისტრი, ვერ უძღვება ამ უზარმაზარ სისტემას, მიიღოს გადაწყვეტილება და დატოვოს პოსტი“ EXCLUSIVE

რატომ უშვებენ სახლში ჰვალიფიციურ ჰადრებს?

SCANDAL

ჟვანია-სააკაშვილის „მეგობრობის“ ანატომია

„ჟვანიამ სააკაშვილზე მითხრა, რომ ვუყურებდი, შემეშინდა. დავინახე ადამიანი, რომელიც ყველაფერზეა წამსვლელიო...“

„ქალბატონ რემას, რომელსაც აშკარად სჯერა, რომ ზურაბი მოკლულია, არასდროს უთქვამს, რომ სააკაშვილი უშუალოდ არის ამაში ჩარეული. ერთადერთი, რაც მან თქვა, ეს არის: „მიშას ზურაბის მკვლელობის საქმეში ხელ-ფეხი აქვს შეკრული იმის გამო, რომ ამ საქმეში მისთვის ძვირფასი ადამიანია გარეულიო“. მაქვს საფუძველი, ვივარაუდო, რომ იგულისხმა თემურ ალასანია...“

EXCLUSIVE

როდის მიხვდა გოგლა ჟვანია, რომ მისი ძმა მოკლეს

პირველად „პრაიმტაიმში“ - პოლკოვნიკი გორგიაშვილი დუმილს არღვევს

„სააკაშვილი მეუბნებოდა, როგორ ბედავთ ბუნტის მოწყობასო... საერთოდ არ მისმენდა, თავისთვის ლაპარაკობდა და აზრი არ ჰქონდა მასთან საუბარს“

გეგუთის მორიგი მსხვერპლი

„ნაწამები იყო... ციხიდან დამირეკეს და მითხრეს, გვამი წაიღეთ, თორემ აქოთდებაო“

მკვლელის ბოკისმოგვრელი აღიარება

„ჩემთვის სულ ერთი იყო, ოჯახის რომელ წევრს მოვკლავდი. მანანა მოვკალი იმის გამო, რომ ის დარჩა ხსენებულ დროს სახლში მარტო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა დაემართა პოლკოვნიკს, რომელმა

EXCLUSIVE

„ახალაიამ მითხრა, პრეზიდენტის ბრძანება იყო, რომ ერთ საათში ჩავბარებულიყავით. გაკვირვებული ვიყავი და ვუთხარი კიდეც, რა გვჭირს ჩასაბარებელი, როცა თავადაც ხედავ, არაფერი ხდება-მეთქი“

სატელეფონო საუბარი და პრეზიდენტის განხორციელებული მუქარა

მარიამ ნადირაძე

ვინ იყო პოლკოვნიკი, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი დაემუქრა და როგორ წავიდა მისი ცხოვრება მთავარსარდლისგან თავსდატეხილი რისხვის შემდეგ? – ეს კითხვა მაშინვე გაჩნდა, როგორც კი ყოფილმა პრეზიდენტმა გასულ კვირას სატელევიზიო ინტერვიუში დაწვრილებით გვიამბო მუხროვანის ე.წ. ამბოხების მისეული ვერსიის შესახებ:

„დილას ადრე დაიწყო მუხროვანი. თბილისში არის აქციები და სატანკო ბატალიონი აჯანყდა. მე კინაღამ მოვკალი ჩემი დაცვის უფროსი. არ გამაღვიძა. გამიფრთხილდა. ბოლოს, რომ გავიღვიძე, მითხრა, ასე მოხდა 3-4 საათის წინ. გავვარდი ადგილზე. მეოთხე ბრიგადაში. მაშინ კალანდაძე იყო გიგი მეთაური. ტელეფონით ვურეკავ. იღებს ყურმილს პოლკოვნიკი ესა და ეს. ვეკითხები, რა ხდება-თქო. „ჩვენა, ისა, გაფიცულები ვართ, არ ვემორჩილებით ბრძანებებსა, აი, ველოდებით საპატრიარქოდან უნდა მოვიდეს ხალხი და მარტო იმათ ვეტყვით, რა გვინდაო“. ხო, კიდევ რაზე იყვნენ შეთანხმებულები: ქუთაისიდან უნდა გამოფრენილიყვნენ ვერტმფრენები „მი-24“-ები, რომლებიც სიმწრით ჩამოვიყვანეთ უკრაინიდან, ამათ დასახმარებლად, საქართველოს მთავრობის დასაბომბად და „სუ-25“-ები უნდა აეწიათ კიდევ, ამაზეც იყვნენ შეთანხმებულები. ძალიან უხეშად ველაპარაკე და ძალიან მუქარებით. ბრძანებები გავეცი ყველა მიმართულებებით, რომ როგორც კი გატოკდებოდნენ და როგორც კი პირველი ტანკი გამოვიდოდა, რა თქმა უნდა, უნდა დაეცხოთ. ჩვენი ჯარები ამისთვის მზად იყვნენ, რადგან აბსოლუტური უმრავლესობა იყო საქართველოს ერთგული. შევედით ნაწილში. ჩვენი გამნაღმველები არ მიშვებდნენ, ჯერ უნდა ვნახოთო. მაგრამ ვის ეცალა მაგისთვის. მეოთხე ბრიგადა იყო დალაგებული, მოწესრიგებული. გიგი კალანდაძეს ედო, კითხულობდა კლაუზევიცის წიგნს, იქ დაგვხვდა „ალია“, „ასავალ-დასავალი“, ბევრი სიგარეტის ნამწვი, დონე, განსხვავება ორ სამხედრო ნაწილს შორის. ძველი კადრები იყო ეს. მერე როგორც გაირკვა, ეს ოთახი იყო დანაღმული. ტელეფონის ზარი უნდოდა და ყველას აგვწევდა ჰაერში“...

როგორც „პრაიმტაიმმა“ გაარკვია, ის პოლკოვნიკი, რომლის შესახებაც სააკაშვილი გვიამბობდა, შოთა გორგიაშვილი იყო, რომელსაც თითქმის 4 წელი მოუხდა შემდეგ ციხეში ყოფნა. ამჯერად ჩვენს მკითხველს მის პოზიციას გავანდობთ იმის შესახებ, რა მოხდა 2009 წლის 5 მაისს და რა სატელეფონო საუბარი შედგა მასა და სააკაშვილს შორის:

– სააკაშვილს ჩემთან არ დაურეკავს. ეს ყველაფერი ასე მოხდა: მაშინ, როდესაც ჩვენს ნაწილს ალყა შემოარტყეს, გარეთ გამოვედი და ველაპარაკებოდი ბაჩანა ახალაიას. მაშინ ის თავდაცვის მინისტრის მოადგილე იყო. ვთხოვდი, რომ პროვოკაცია არ მომხდარიყო და მათგან არავის გაესროლა. შიგნითაც ნაწილი იყო, გარეთაც – შეიარაღებული სამხედროები. დაძაბული სიტუაცია იყო ისედაც და ვინმეს შემთხვევითაც რომ გაესროლა, უბედურება მოხდებოდა. ისიც ვუთხარი, რომ მე მზად ვიყავი, მათ გავყოლოდი, სადაც უნდოდათ...

– თუ თქვენ ბუნტს არ აწყობდით, დაძაბულობა რატომ იყო ნაწილის შიგნით?

– ბუნებრივია, დაძაბულობა შეიქმნებოდა, როდესაც ამხელა ტექნიკა და ამდენი ხალხი მოადგა ნაწილს გარედან... გაურკვევლობაში ვიყავით ყველა... მე ნაწილში ბრძანება მქონდა გაცემული, რაც არ უნდა მომხდარიყო, ტყვია არ გავარდნილიყო. ამ საუბარში ვიყავით მე და ახალაია, როცა მას დაურეკა პრეზიდენტმა. თვითონ ესაუბრებოდა ცოტა ხანს. მერე მითხრა, რომ პრეზიდენტი რეკავდა და ჩემთან უნდოდა საუბარი. მომაწოდა ტელეფონი. უარი ვუთხარი, რაზე უნდა დაველაპარაკო, მასთან არაფერი მაქვს სალაპარაკო-მეთქი. მაინც მომაწოდა ტელეფონი. მაინც მთავარსარდალი იყო და გამოვართვი. ვუთხარი, გისმენთ, ბატონო პრეზიდენტო, მოვახსენე, ვინც ვიყავი. სულ ეს იყო... მერე ის ლაპარაკობა მარტო, რას ბედავთო და ა.შ.

– გიყვიროდათ? მართლა გემუქრებოდათ?

– არა, საერთოდ არ ყოფილა ასეთი საუბარი. ახალაიას დავუბრუნე ტელეფონი. მან მითხრა კიდეც, მე რატომ მაძლევ, ელაპარაკეო. რა ვუთხრა, ისეთ რაღაცებს მელაპარაკება, რასაც თქვენ თვითონაც ხედავთ, რომ ასე არ არის – არავითარი ბუნტი და არავითარი შეთქმულება-მეთქი.

– სააკაშვილი კონკრეტულად რას გეუბნებოდათ ტელეფონში?

– სააკაშვილი მეუბნებოდა, როგორ ბედავთ ბუნტის მოწყობასო და ა.შ. შევეცადე, ამეხსნა, რომ მსგავსი არაფერი ხდებოდა. სააკაშვილი საერთოდ არ მისმენდა, თავისთვის ლაპარაკობდა და აზრი არ ჰქონდა მასთან საუბარს.

– ახალაიამ თავისი თვალით ნახა, რომ ბუნტი არ ყოფილა რეალურად?

– ის შიგნით არ შემოსულა. როცა მითხრეს, რომ მოსული იყო, მე გავედი გარეთ, ჩვეულებრივ, და ველაპარაკე. ვიცნობდი. ის თავდაცვის მინისტრის მოადგილე იყო, მე კი ერთ-ერთი ნაწილის მეთაური. ყველაფერი ავუხსენი. პირიქით მე ვეკითხებოდი, რატომ შემოგვარტყეს ალყა და რატომ ხდებოდა ეს ყველაფერი, რატომ ატყდა ასეთი აჟიოტაჟი... ჩვეულებრივი საუბარი გვქონდა. მერე ახალაიამ მითხრა, პრეზიდენტის ბრძანება იყო, რომ ერთ საათში ჩავბარებულიყავით. გაკვირვებული ვიყავი და ვუთხარი კიდეც, რა გვჭირს ჩასაბარებელი, როცა თავადაც ხედავ, არაფერი ხდება-მეთქი. მერე შევედი ნაწილში...

– და ამის შემდეგ მოვიდა სააკაშვილი?

– მე ეს არ მინახავს, რადგან მანამდე ჩამსვეს „პიკაპში“ და წამიყვანეს მოდულში.

– როდესაც სააკაშვილი სატელევიზიო ინტერვიუში ამ ამბავს იხსენებდა, როგორ ესაუბრა პოლკოვნიკს, რომელიც ბატალიონს ხელმძღვანელობდა, თუმცა თქვენი ვინაობა არ დაუსახელებია. მაშინვე დარჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ამ პოლკოვნიკს მოგვიანებით უსათუოდ დაიჭერდნენ და სერიოზულ წნეხში გაატარებდნენ...

– ჰოდა, დამიჭირეს კიდეც... მოდულის შენობაში მიმიყვანეს. იქ შესასვლელში კობა კობალაძე ვნახე, ხელებზე ბორკილები ედო. გვერდზე გამატარეს და შიგნით შემიყვანეს... მერე იყო ციხე და სასამართლოები...

– მოდულში როგორ მოგექცნენ? რამე ზეწოლა გქონდათ?

– ამაზე კითხვებიც ზედმეტია. არ მინდა ამის გახსენება, რა... ვცდილობ, რომ არ გავიხსენო.

– ფიზიკურად გეხებოდნენ?

– არ მინდა ამაზე საუბარი. რა მნიშვნელობა აქვს, ფიზიკურად იქნებოდა ეს თუ ფსიქოლოგიურად. ზოგჯერ ფსიქოლოგიური ზემოქმედება ბევრად რთულია, ვიდრე ფიზიკური. გააჩნია, ვინ როგორ იტანს ამ ყველაფერს.

– რამდენი მოგისაჯეს?

– 19 წელი მომისაჯეს, ამირიძეს – 29, ოთანაძეს – 30.

„სააკაშვილი მეუბნებოდა, როგორ ბედავთ ბუნტის მოწყობასო და ა.შ. შევეცადე, ამეხსნა, რომ მსგავსი არაფერი ხდებოდა. სააკაშვილი საერთოდ არ მისმენდა, თავისთვის ლაპარაკობდა და აზრი არ ჰქონდა მასთან საუბარს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ც სააკაშვილის რისხვა დაიმსახურა?

„ბუნტი რომ ყოფილიყო და ამბოხი, ასე მარტივად არ იქნებოდა ყველაფერი. ნაწილში 60 ერთეული მარტო ჯავშანტექნიკა იყო, მაგრამ არავინ მისულა ამ ტექნიკასთან და არავის უცდია მისი გამოყვანა“

– ამნისტია შეგეხოთ, არა?

– დიახ, პოლიტიკური ამნისტიით გამოვედი.

– მოგისაჯეს, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც თქვენ ამბობთ, იმ დღეს ნაწილში არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა?

– ყველაფერი ისე იყო, როგორც სხვა დღეებში. ბაჩანა ახალაია არ შემოსულა, მაგრამ სხვები იყვნენ შემოსულები. მათ ხომ დააფიქსირეს, რომ იქ არაფერი განსაკუთრებული არ ხდებოდა?

– ვინ ნახა ეს?

– თუნდაც სახმელეთო ჯარების მაშინდელმა სარდალმა, შმაგი თელიამ... ის იყო შემოსული ნაწილის ტერიტორიაზე და პირადადაც ველაპარაკე. მანაც ნახა, რომ ვინც მეცადინეობაზე უნდა წასულიყო, მეცადინეობაზე მიდიოდა, დანარჩენები კი ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ასე იყო, სანამ ალყას შემოგვარტყამდნენ. შემდეგ, რა თქმა უნდა, ხალხმა დაიწყო ნერვიულობა. მეკითხებოდნენ, რა ხდებაო. ბუნტი რომ ყოფილიყო და ამბოხი, ასე მარტივად არ იქნებოდა ყველაფერი. ნაწილში 60 ერთეული მარტო ჯავშანტექნიკა იყო, მაგრამ არავინ მისულა ამ ტექნიკასთან და არავის უცდია მისი გამოყვანა

– მოგვიანებით, სასამართლოში თქვენ ბრალის ნაწილი, დაუმორჩილებლობა აღიარეთ. დაუმორჩილებლობაზე ბრძანება გაცემული გქონდათ?

– არავითარი ასეთი ბრძანება არ ყოფილა. უბრალოდ, ჩვენს ნაწილში ლევან ამირიძე რომ ამოვიდა, დავილაპარაკეთ. შევიტყვეთ, რომ წინა ღამეს მისი შტაბის უფროსი და კიდევ რამდენიმე პიროვნება დაუკავებიათ. ჩვენ გვქონდა ჩვენი დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ ომის შემდეგ. ამას ხმამაღლაც ვსაუბრობდით არავისთან არაფერი გვქონდა დასამალი. როცა ალყა შემოგვარტყეს, მხოლოდ მაშინ გავეცი ბრძანება, რომ თავდაცვის გეგმაზე გადავსულიყავით. მანამდე ჩვეულებრივი ცხოვრებით მიდიოდა ყველაფერი.

ამ დროისთვის ერთი წელიც არ იყო გასული, რაც ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი აგვისტოს ომის შემდეგ გორიდან მუხროვანში გადაიყვანეს. ის ძირითადად გორელებისგან იყო დაკომპლექტებული. ომის დროს ბატალიონმა ბოლომდე იბრძოლა და თითქმის უდანაკარგოდ გამოვიდა ბრძოლის ველიდან. მუხროვანის ე.წ. საქმის შემდეგ ამ ბატალიონის წარმომადგენლებს ომის მონაწილეების სატატუსსაც კი არ აძლევდა თავდაცვის სამინისტრო...

„მაგთიკომმა ვიდეოკონკურსის გამარჯვებულები გამოავლინა

„მე ვერ გეტყვი, რომ მიყვარხარ“- ამ სიტყვებით დასათაურებული ვიდეოკონკურსი, რომელიც „მაგთიკომმა“ ცოტა ხნის წინ გამოაცხადა, უკვე დასრულდა. შეგახსენებთ, რომ გაზაფხულისა და სიყვარულის დღეების აღსანიშნავად, „მაგთიკომმა“ MagTifun-ის Facebook- ვიდეოკონკურსი გამოაცხადა, რომლის თემა, ჰიტადქცეული „მაგთის“ სიმღერა „მე ვერ გეტყვი, რომ მიყვარხარ“ იყო. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, კონკურსანტებს სახალისო, კრეატიული და ორიგინალური მუსიკალური ვიდეორგოლები უნდა გადაეღოთ, რომელიც სპეციალურად კონკურსისთვის შექმნის აპლიკაციაში უნდა აეტვირთათ. კონკურსი მიმდინარე წლის 14 მარტს დასრულდა. „მაგთიკომის“ წარმომადგენლებმა ორი გამარჯვებული გამოავლინეს. დაჯილდოების ცერემონიალი 27 მარტს, რუსთაველის გამზირზე მდებარე „მაგთიკომის“ ოფისში გაიმართა. გამარჯვებულებს პრიზები საზეიმო ვითარებაში გადაეცათ. როგორც „მაგთიკომის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა თათული ღვინიაშვილმა განაცხადა, კონკურსის ფარგლებში, ბევრი საინტერესო ვიდეორგოლი აიტვირთა Facebook- აპლიკაციაზე.

თათული ღვინიაშვილი: „MagTifun-ის Facebook-ის გვერდზე, გამოცხადდა კონკურსი. შეიქმნა სპეციალური აპლიკაცია, სადაც მომხმარებლებს შეეძლოთ აეტვირთათ მუსიკალური ვიდეოები სიმღერაზე „მე ვერ გეტყვი, რომ მიყვარხარ“. შემოვიდა ძალიან ბევრი, საინტერესო, ლამაზი და ორიგინალური კლიპი. რა თქმა უნდა, მათ შორის არჩევანის გაკეთება ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ აუცილებელი იყო გამოგვევლინა ორი გამარჯვებული. პირველ ადგილზე გასულ კონკურსანტს გადაეცა თურქეთის ორკაციანი საგზური სრული პაკეტით. მეორე ადგილზე გასულს კი Samsung Galaxy S 3 მობილური ტელეფონი. რაც შეეხება ჟიურის, დაკომპლექტებული იყო „მაგთიკომის“ თანამშრომლებისგან, რომლებმაც საკმაოდ ბევრი ვიდეორგოლიდან პირველ და მეორე ადგილზე გასული საუკეთესო კონკურსანტები გამოავლინეს“.

პირველი პრიზი, ორკაციანი საგზური თურქეთში, ჟიურის ფავორიტს, მიშკა გურგენიძეს გადაეცა, ყველაზე ლამაზი და სანახაობრივი ვიდეორგოლისთვის.

მიშკა გურგენიძე, გამარჯვებული: „მე და ჩემმა მეგობრებმა ამ ვიდეოზე ბევრი ვიმუშავეთ. გამიხარდა, რომ ჟიურიმ ჩემს ნამუშევარზე შეაჩერა არჩევანი. დიდი მადლობა „მაგთიკომს“ ასეთი კარგი პრიზისთვის. გადაღებები დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში, რამდენიმე ადგილას მიმდინარეობდა. წვალებად ნამდვილად ღირდა“.

გოგა გოგელაშვილს, როგორც ყველაზე ორიგინალურ და კრეატიული ვიდეორგოლის ავტორს, Samsung Galaxy S 3 გადაეცა საჩუქრად.

გოგა გოგელაშვილი, გამარჯვებული: „კონკურსის შესახებ მეგობარმა მითხრა. უცებ მოვიფიქრეთ როგორ უნდა გადაგვეღო. ერთი დღე დაგვჭირდა გადასაღებად. აქამდე მსგავს პროექტში არასდროს მიმიღია მონაწილეობა და გახარებული ვარ, რომ ჩემი ვიდეო დაასახელეს, როგორც ყველაზე ორიგინალური და კრეატიული. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო „მაგთიკომს“ კარგი პრიზისთვის. ალბათ, მომავალში თუ კიდევ გამოაცხადებენ რაიმე კონკურსს, აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას“.

როგორც „მაგთიკომში“ აცხადებენ, მომხმარებელს მომავალში არაერთი სიურპრიზი ელოდება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ზურაბ ჟვანიასა და მიხეილ სააკა

„ჟვანიას კარგად ესმოდა, რომ შევარდნაძის გადადგომის შემთხვევაში მოეწყობოდა პრეზიდენტის არჩევნები და საკაშვილი უალტერნატივო იყო“

• გაცნობა...
• აღფრთოვანება...
• კონკურენცია...
• დაპირისპირება...
• იგნორი...
• სიკვდილი!

მარიამ ნადირაძე

მეგობრები იყვნენ თუ მტრები? – ეს კითხვა მიხეილ სააკაშვილისა და ზურაბ ჟვანიას 13-წლიანმა ურთიერთობამ და ამ ურთიერთობის ფინალმა წარმოშვა. მიუხედავად იმისა, რომ პერიოდულად ხშირად გვესმოდა ერთი გუნდის ორ ლიდერს შორის განხეთქილებებისა და დაპირისპირების შესახებ, 2005 წლის 3 თებერვლის შემდეგაც სააკაშვილი ჯიუტად გვიმტკიცებს, რომ ზურას სახელი მისთვის წმიდათაწმიდაა.

გვაქვს თუ არა საფუძველი, ეჭვი შევიტანოთ სააკაშვილის სიტყვების გულწრფელობაში? იმისთვის, რომ ამ კითხვას გავცეთ პასუხი, ბუნებრივია, ერთად უნდა გავიაროთ ის 13 წელი, როდესაც ჟვანია და სააკაშვილი ამ ქვეყნის რეფორმატორ ლიდერებად მოგვევლინნენ და კარგად ჩავიხედოთ იმ სამზარეულოში, სადაც ყოველთვის როდი იდგა ჯანსაღი და დამაიმედებელი სურნელი.

მაშ ასე, 1992 წლის ზაფხული. კიევიდან ჩამოვიდა ენერგიული და საერთაშორისო სამართლის კარგად მცოდნე ახალგაზრდა კაცი...

„პრაიმტაიმს“ პეტრე მამრაძე უამბობს:

– ამის შესახებ მარიკა დარჩიამ შემატყობინა. მაშინ კავსაძის კომიტეტში ვმუშაობდი (სანდრო კავსაძე მაშინ ადამიანის უფლებათა და ეროვნებათა შორის ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ. – მ.ნ.). მართლაც, დავუკავშირდი მას და შევთავაზე, ჩვენთან მოსულიყო. მერე გურამ მამულია შეეხმიანა, რომელიც დედამისს იცნობდა კარგად. მოვიდა ჩვენთან ბატონი მიხეილი. სანდრომ მაშინ ის მაღალ თანამდებობაზე დანიშნა. ჩვენთან იმ დროს მუშაობდა გია ბარამიძე. სწორედ გია ბარამიძემ გააცნო სააკაშვილი ზურაბ ჟვანიას. მე მაშინ ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა მიშასთან, მაგრამ ვხედავდი მისი ფსიქიკის თავისებურებებს.

– რას გულისხმობთ?

– რომ არ არის გაწონასწორებული ადამიანი და ამასთან დაკავშირებით ზურაბიც გავაფრთხილე.

– რისთვის დაგჭირდათ მისი გაფრთხილება? გაცნობისთანავე დაიწყო მათი მეგობრობა?

– უბრალოდ, თავი მოვალედ ჩავთვალე, ვინაიდან ზურას სჩვეოდა ადამიანით აღფრთოვანება, რასაც ხშირად მოჰყვებოდა ხოლმე მისი განბილება. მახსოვს, 1995 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სანდრო კავსაძე ომბუდსმენად იყო წარდგენილი და სააკაშვილმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მისი კანდიდატურა ჩაეგდო. ჟვანიამ სააკაშვილზე მითხრა, ახლა მახსენდება შენი გაფრთხილება. რომ ვუყურებდი, შემეშინდა. დავინახე ადამიანი, რომელიც ყველაფერზეა წამსვლელიო... თუმცა, ჟვანიასთან მაშინ ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა სააკაშვილს. ხშირად დადიოდა მათ ოფისში, მუშტაეთში. მახსოვს, მითხრა მიშამ, რომელიც მაშინ სულ რაღაც 24 წლისა იყო, რომ იცნობს მაშინდელი პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლებს და მიაჩნია, რომ ნამდვილი მუშაობა მხოლოდ „მწვანეებში“ მიმდინარეობდა...

– სააკაშვილი აცხადებს, რომ მათი აზრები თავიდანვე დაემთხვა, რადგან მათ არ მოსწონდათ შევარდნაძის ხელისუფლება...

– ეს არის მტკნარი ტყუილი. ზურაბ ჟვანია იმ წლებში უპირობო პატივისცემით ეპყრობოდა შევარდნაძეს, სრულიად ერთგული იყო იმ ხაზის, რომელსაც შევარდნაძე ატარებდა, მის ზურგს უკან არასდროს უთქვამს მასზე რამე ნეგატიური. შევარდნაძესაც ზურაბისადმი დიდი ნდობა ჰქონდა და სწორედ მან გაუწია რეკომენდაცია უმრავლესობაში, 1995 წლის არჩევნების შემდეგ, რომ ზურაბი გამხდარიყო პარლამენტის თავმჯდომარე.

– სააკაშვილი მაშინ სად იყო?

– 1993 წელს წავიდა შტატებში, მოუწია ასევე ბრიუსელში წასვლა. 1995 წელს საპარლამენტო არჩევნების წინ შეერთებულ შტატებში ჩასულმა ზურაბ ჟვანიამ კატეგორიულად სთხოვა სააკაშვილს, როგორც მეგობარმა მეგობარს, უსათუოდ ჩამოსულიყო საქართველოში და ჩაბმულიყო პოლიტიკურ საქმიანობაში. ჩვეული იუმორით უთხრა კიდეც, იცოდე, არ წავალ შტატებიდან, სანამ სიტყვას არ მომცემ, რომ ჩამოხვალ და ჩვენთან ერთად ამ ბრძოლას არ შეუერთდები.

– გამოდის, სააკაშვილი მართალს ამბობს, როცა აცხადებს, ზურამ აღმომაჩინაო...

– ნამდვილად მართალია... ზურაბი მაშინ სათითაოდ აგროვებდა გუნდს, ეძებდა ადამიანებს. ჩამოვიდა მიშა. გახდა კიდეც პარლამენტის წევრი, აირჩიეს იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარედ, მერე ფრაქციის თავმჯდომარეც გახდა. ამის მერე ზურაბ ჟვანიასა და მიხეილ სააკაშვილის ურთიერთობა თანდათან რთულდებოდა.

– 90-იანებში?

– 90-იანების ბოლოს. მიაქციეთ ყურადღება: 1999 წლის შემოდგომაზე მორიგი საპარლამენტო არჩევნების წინ სააკაშვილი გამოდის ცნობილი მოხსენებით ფილარმონიაში, „სმკ“-ს ყრილობაზე. ის აცხადებს, რომ შევარდნაძის ხელმძღვანელობით, შევარდნაძის გუნდმა, „სმკ“-მ ურთულეს პირობებში შეძლო რეფორმების ჩატარება და ქვეყნის აშენება ყველა დარგში... დასცინის მათ, ვისაც არ სჯერა ამ რეფორმების და მიღწევების. ამბობს, რომ ბედნიერი და ამაყი ადამიანია, ვინაიდან შევარდნაძის გვერდში დგას. ამბობს, რომ სხვების სახელები, პატიაშვილისა და სხვების დავიწყებას მიეცემა, ან უარესი, მათ გაიხსენებენ, როგორც მოღალატეებს, სამაგიეროდ, შევარდნაძის სახელი სამარადჟამოდ შევა საქართველოს ისტორიაში... ეს მგზნებარე სიტყვები მას ნათქვამი აქვს „ვარდების რევოლუციამდე“ 4 წლით ადრე, შემდეგ კი ამბობდა, რომ მას თავიდანვე სძულდა შევარდნაძის რეჟიმი, თურმე ნულიდან მოუწია ყველაფრის დაწყება და მანამდე იყო უკუნი და ბნელეთი... სხვათა შორის, მაშინ დასავლეთის პრესაც წერდა, მაგალითად, ნობელის პრემიის ლაურეატი, ჰარი ბეკერი, რომ საქართველო თავისუფალი ბაზრის ჩემპიონია, მედლოკმაც დაწერა მაშინ ცნობილი წერილი, „წარმატების ისტორია“ შევარდნაძეზე და მაშინდელ საქართველოზე... შეგახსენებთ, რომ მაშინ მაკკეინმა, რომელიც კენჭს იყრიდა პრეზიდენტად, განაცხადა, რომ ორად ორი კერპი ჰყავს პოლიტიკაში და მისთვის ეს კერპები არიან მარგარეტ ტეტჩერი და ედუარდ შევარდნაძე. სააკაშვილი საარჩევნო კამპანიის დროს ხშირად იყენებდა ამას და აცხადებდა, რომ ჩვენ გვყავს პრეზიდენტობის კანდიდატი, მსოფლიოში სახელგანთქმული პოლიტიკოსი, რომელსაც ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატი თავის იდეალად და კერპად ასახელებს.

– ამბობდით, 90-იანების ბოლოს სააკაშვილსა და ჟვანიას შორის ურთიერთობა გართულდაო. რაში გამოიხატებოდა ეს?

– ორივე ხედავდა, რომ საქართველოში დაიწყო მასობრივი კორუფცია, მაგრამ სააკაშვილმა გაცილებით აქტიური გამოსვლები დაიწყო და ირიბად მაინც უტევდა მაშინდელ ხელისუფლებას. პარლამენტში ისეთი გამოსვლები ჰქონდა, რომელიც დაძაბულობას ქმნიდა გუნდში, რადგან ამ გუნდში ასეთი განწყობა არ იყო. მე შეგახსენებთ, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ეკა ხოფერიას გადაცემაში, როცა ჟვანიას ჟურნალისტმა დაუსვა კითხვა, რა იყო თქვენი მთავარი შეცდომაო, ჟვანიამ უპასუხა, ჩემი შეცდომა ის იყო, რომ იმ წლებში, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, რეგულარულად ვხვდებოდი პრეზიდენტ შევარდნაძეს, ერთიერთზე, მას გულწრფელად ვეუბნებოდი ყველაფერს, რასაც ვფიქრობდი შექმნილ ვითარებაზე, მაგრამ გარეთ რომ გავდიოდი, ამას საჯა-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ფილის „მეგობრობის“ ანატომია

როდ არ ვამბობდიო. ნაცვლად იმისა, რომ გამხდარიყო ღია, საჯარო პოლიტიკოსი, ზურაბი ჩაიკეტა და ამ დროს მიშამ მთლიანად გადაფარა ის. მისი პოპულარობა იზრდებოდა. მახსოვს, ზურაბმა სთხოვა შევარდნაძეს სააკაშვილი დაენიშნა მინისტრად, რადგან შიგნით პარლამენტში პრობლემებს ქმნიდა. ღია დაპირისპირებამდე მიდიოდა საქმე. შევარდნაძემ სწორედ მისი თხოვნით დანიშნა სააკაშვილი იუსტიციის მინისტრად.

– ამ ეტაპზე მათ შორის ღია დაპირისპირება მაინც არ ყოფილა...

– თუმცა გამუდმებული კამათი იყო რიგ თემებზე. მახსოვს, ჟვანიამ შევარდნაძეს ჩემი თანდასწრებით უთხრა, რეფორმები კორუფციის აღმოსაფხვრელად აუცილებელია. თუ ჩვენ ამას გავაკეთებთ, მაშინ სააკაშვილი ქართულ პოლიტიკაში კლოუნად, დემაგოგად და პოპულისტად დარჩება. მაგრამ თუ ჩვენ ამას არ გავაკეთებთ, ხალხი იმდენად გაწბილდება, რომ ეს კლოუნი გმირად გადაიქცევა.

– ჟვანია სააკაშვილის დისკრედიტაციას ცდილობდა?

– მან უკვე კარგად იცოდა სააკაშვილის ხასიათი და მიდრეკილებები, რომ მას პირადი გეგმების განხორციელებაში ვერაფერი შეაჩერებს...

– პირად გეგმებში რა იგულისხმება?

– სააკაშვილი მაშინ ვიწრო წრეში უკვე აცხადებდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ის პრეზიდენტი უნდა გამხდარიყო. 2001 წელს, როცა ჟვანია პარლამენტის თავმჯდომარეობიდან გადადგა, სააკაშვილი გამწვავებაზე არ წავიდა. მაშინ ის ჟვანიაზე გაცილებით პოპულარული იყო უკვე, მაგრამ ასაკი არ ჰქონდა ჯერ იმისთვის, რომ პრეზიდენტობაზე კენჭი ეყარა. მაშინ, როდესაც პარლამენტის თავმჯდომარემ განცხადება გააკეთა, გადადგეს შინაგან საქმეთა მინისტრი და გადავდგები მეცო, ამ დროისთვის პარლამენტში მისი გადაყენებისთვის ხმები შეგროვდა. აკლდა მხოლოდ 2-3 ხმა. მაშინ სააკაშვილი იყო საქართველოს ფარგლებს გარეთ. ჩამოვიდა სააკაშვილი და პირდაპირ პარლამენტის შენობისკენ წამოვიდა, სადაც მიტინგი იყო. გამოვიდა ხალხის წინაშე. როცა ზურაბი გამოვიდა, ხალხმა სტვენა დაიწყო. ეს სცენა ზურაბისთვის ძალიან მძიმე იყო – სააკაშვილმა მოუნდა ხალხს, არ დაუსტვინოთ, ის ჩემთან არის, ჩვენი კაციაო. სააკაშვილის ხათრით იყო, რომ ეს რეაქცია აღარ გაგრძელდა. მახსოვს, როცა ზურაბი მეუბნებოდა, შენ ყოველთვის გამოდიხარ, როგორც მეცნიერი და არა პოლიტიკოსიო, ვაფრთხილებდი, შენნაირი დემაგოგი და პოპულისტი არასდროს ვიქნები (მისი ზოგიერთი გამოსვლა მართლაც ასეთი იყო), მაგრამ შენი ტრაგედია ის არის, რომ შენს უკან მოდიან ისეთი პოპულისტები და დემაგოგები, რომ შენ მათთვის სანდლების შეკვრის ღირსი არ ხარ-მეთქი. მაშინ ყველა რეიტინგი, ყველა გამოკითხვა აჩვენებდა, რომ შალვა ნათელაშვილი იყო ყველაზე პოპულარული, შემდეგ მოდიოდა სააკაშვილი და ჟვანია საერთოდაც არ იყო მათ რიგებში. ის ამას განიცდიდა, მეუბნებოდა, რას იზამ, ამ ხალხს, შალიკოსა და მიშას გარდა, არავის გაგონება არ უნდაო. ბუნებრივია, ის არასდროს მალავდა თავის ამბიციას. მას უნდოდა, გამხდარიყო ქვეყნის პრეზიდენტი. უცხოელებთან შეხვედრაზე ამბობდა, დიახაც, მე მინდა მივაღწიო პოლიტიკაში მაქსიმუმს, რასაც კი შევძლებ, მაგრამ მინდა ეს დავიმსახურო ჩემი რეალური შედეგებითო.

– სააკაშვილსაც იგივე სურვილი არ ჰქონდა?

– 2003 წლის ზაფხულში „ნაციონალური მოძრაობის“ შეკრებაზე სააკაშვილმა მოულოდნელად დაიწყო ყვირილი, – მე უნდა გავხდე პრეზიდენტი, ნურავინ დამიდგება გზაზე, გიული რომ გადამელობოს, იმასაც გავანადგურებ, მაგრამ, თუ გვერდში დამიდგებით, ყველას დაგიფასებთო.

– როდესაც სააკაშვილმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ჩამოაყალიბა, ჟვანიამ კი „ბურჯანაძე-დემოკრატები“, ამას საფუძვლად რამე კონფლიქტი დაედო?

– სააკაშვილის ლოზუნგი მაშინ იყო „ყველანი ერთის წინააღმდეგ“. მის გუნდში შედიოდა, ნებისმიერი ასაკისა და ნებისმიერი მიმდინარეობის ადამიანი. იქ პატიაშვილთან შედგა ალიანსი, აქეთ – ზვიადისტებთან, რესპუბლიკელებთან... ცალკე პარტიის ჩამოყალიბება სააკაშვილმა მარტო იმიტომ გადაწყვიტა, რომ ერთპიროვნული ლიდერი გამხდარიყო. ის უარს არ ეტყოდა ჟვანიას, მის გუნდში ყოფილიყო, მაგრამ მაშინ ის უნდა ყოფილიყო არა პირველი, არამედ ერთ-ერთი ნევრი. ჟვანია, ბუნებრივია, ამას ვერ შეეგუებოდა.

– მაშინ ჯერ კიდევ მეგობრები იყვნენ?

– ეს მეგობრობა უკვე აღარ იყო. პოლიტიკურმა კონკურენციამ, რა თქმა უნდა, გამოდევნა ყველა სხვა ურთიერთობა. სააკაშვილი ჟვანიას უკვე ჯაბნიდა პოპულარობით. 2003 წლის 23 ნოემბრამდე ეს ორი გუნდი ერთმანეთის მიმართ აგრესიულ განცხადებებს აკეთებდა. ეს იყო განუწყვეტელი ურთიერთლანძღვა და ურთიერთმხილება. მხოლოდ საზოგადოებრივი დაკვეთისა და ზეწოლის შედეგად ეს ადამიანები ხედავენ, რომ მათთვის სჯობს, დროებით მაინც, ეს ყველაფერი დავიწყონ, რადგან ასეთი ღია ბრძოლა ორივეს ვნებს პოლიტიკურად. გადაწყვიტეს, ხალხისთვის მოეჩვენებინათ, რომ ერთი ფრონტი აქვთ კორუმპირებული ხელისუფლების წინააღმდეგ.

– ამ დაპირისპირების მიზეზი არჩევნებში ნაციონალების მეტი ხმა ხომ არ გახდა?

– რა თქმა უნდა... ზურაბ ჟვანიას უბედურება ის იყო, რომ ხმების ის 9 პროცენტი, რომელსაც ჟვანია აპროტესტებდა, გაყალბების შედეგად იყო მიღებული. სინამდვილეში ჟვანიას გუნდმა ნაკლები ხმა მიიღო, ნაციონალებმა კი მიიღეს სწორედ ის რაოდენობა, რაც ეკუთვნოდათ. სააკაშვილმა ჩაატარა ბრწყინვალე საარჩევნო კამპანია. საქართველოს პირობებში ბოლო ორი კვირა ყოველთვის გადამწყვეტი იყო და ეს ბოლო ორი-სამი კვირა ნაციონალების კამპანიაში იყო უზადო. ყოველდღე იყო რაღაც მნიშვნელოვანი ამბავი – ზუგდიდში შეტაკება, როცა ნიღბიანები გამოჩნდნენ, სააკაშვილი და მისი გუნდი მათ შეუპოვრად ეკვეთა... შედიოდნენ აჭარაში და დავით ბერძენიშვილს ფეხებით სცემდნენ ადგილობრივი ხელისუფლების ძალოვნები. სააკაშვილი კი ამ ფონზე წინ მიდის და ვერაფერი აჩერებს. ამას თან ახლდა ლოზუნგები – გაუქმდებოდა გადასახადები მცირე ბიზნესისთვის, სოფლის მეურნეობაში, გაიზრდებოდა პენსიები და ა.შ. ეს ლოზუნგები ყველგან იყო გამოკრული და ყველგან ამაზე ლაპარაკობდნენ. ჟვანია-ბურჯანაძის გუნდმა კი, რომელსაც პირველ დღეებში მეტი რეიტინგი ჰქონდა, ბოლო 2-3 კვირა მთლიანად ჩააფლავა. სპორტის სასახლეში მათი ბოლო შეკრება არჩევნებამდე 2 დღით ადრე პანაშვიდს უფრო ჰგავდა. ჟვანიას ერთადერთი გზავნილი იყო, რომ ჰქონდათ პრობლემები დავით სალარიძესთან დაკავშირებით, რომელიც მათი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო სიაში და მასთან დაკავშირებით ატყდა პუბლიკაციები, რომ ის კორუფციასთან იყო დაკავშირებული. ამიტომ, ამ გუნდმა მთელი საარჩევნო კამპანია თავის მართლებაში გაატარა.

– ამბობენ, რომ რევოლუციის შემდეგ პრეზიდენტობის კანდიდატად სააკაშვილის დასახელების გამოც ჟვანია უკმაყოფილო იყო...

– ჟვანიას კარგად ესმოდა, რომ შევარდნაძის გადადგომის შემთხვევაში მოწყობოდა პრეზიდენტის არჩევნები და სააკაშვილი უალტერნატივო იყო.

– და სააკაშვილის სურვილზე იყო დამოკიდებული ჟვანია პრემიერ-მინისტრი გახდებოდა თუ არა?

– სწორედ ასე იყო. მაგრამ სააკაშვილსაც ესმოდა, რომ ჟვანიას პრემიერ-მინისტრობას რომ არ დასთანხმებოდა, მოხდებოდა ღია განხეთქილება და ჟვანია ოპოზიციაში წავიდოდა.

– ამას თქვენ ვარაუდობთ, თუ კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით აცხადებთ?

– კონკრეტული ფაქტებიც ვიცი და მაშინდელი განწყობებიც მეტყველებდა ამაზე. ჟვანია რომ მაშინ ოპოზიციაში წასულიყო, შეიძლება მაღალი რეიტინგი არც ჰქონოდა, მაგრამ სააკაშვილს ესმოდა, რომ ეს მას მაშინვე შეუქმნიდა პრობლემებს დასავლეთთან ურთიერთობაში.

– ჟვანიას მეტი გავლენა ჰქონდა?

– არ ვიტყვი, რომ მეტი, მაგრამ დიდი. დასავლეთში ბევრს ესმოდა, რომ სააკაშვილი იყო „hot head“, ანუ ცხელთავიანი პოლიტიკოსი, ჟვანია კი – სტაბილური, რომელიც აუცილებელი იყო სააკაშვილის დასაბალანსებლად. ამას გარდა, მიშა გუნდის შიგნითაც არ მალავდა, რომ ჟვანიას უფრო გამოცდილი და კარგად მომზადებული კადრები ჰყავდა. თუ გახსოვთ, ჟვანიამ „ვარდების რევოლუციიდან“ მალევე მიიღო გადაწყვეტილება, რომ მისი გუნდი მთლიანად შეუერთდებოდა „ნაციონალურ მოძრაობას“. ეს რომ არ გაეკეთებინა, ბზარი უფრო გაიზრდებოდა და ჟვანია იმ ეტაპზე მხოლოდ დამარცხდებოდა. ჟვანიას გუნდის იმ წევრებმა, ვინც მაშინ მაღალი თანამდებობები მიიღეს, გაღიზიანება გამოიწვია ნაციონალებში, რადგან მიაჩნდათ, რომ მათ გაიმარჯვეს და თანამდებობები ჟვანიას ხალხმა მიიღო. ეს პრეტენზიები არსებობდა.

– ამის გარდა, იყო პრინციპულ საკითხებზე დაპირისპირება?

– ძალიან ბევრ საკითხზე არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა, თუნდაც კონფლიქტების მოგვარებაზე, რუსეთთან ურთიერთობაზე, პრივატიზაციაზე და ა.შ. მაგალითად, ჟვანია მომხრე იყო ეკონომიკაში ამნისტიის კანონის, როცა მთავრობამ პროექტი შეიტანა პარლამენტში, ბოკერიასა და სხვების დამსახურებით ის ისე გადააკეთეს, რომ სრულიად გამოშიგნული სახით მიიღეს. მახსოვს, ჟვანიამ მთავრობის სხდომაზე ღიად თქვა, ეს არ არის ამნისტიის კანონი, ეს არის აბსურდი, ვინაიდან ასეთი ამნისტია ნეტარ ავგუსტინეს თუ შეეხება მხოლოდ, გამოდის, რომ ამ პატარა საქართველოში ნებისმიერი ბიზნესის მიმართ მმართველ გუნდს შეუძლია ჰქონდეს პრეტენზია და მარი. ყოველთვის შეიძლება ითქვას, რომ ესა თუ ის ბიზნესი არის ყოფილი პროკურორის ბიძაშვილის, ან ყოფილი გამგებლის, ან მისი მოადგილის ძმის. ეს იმას ნიშნავს, რომ დაიწყება კერძო საკუთრების გამუდმებული ხელყოფა ხელისუფლებაში მოსული ახალი ადამიანების ინტერესების გამოო... დაპირისპირება შეიმჩნეოდა მართვის სტილშიც. ღამით სააკაშვილთან გროვდებოდა „ტროიკა“ – ადეიშვილი, ოქრუაშვილი, მერაბიშვილი. ამას ღამის მთავრობასაც ეძახდნენ. მაშინ ამ შეხვედრებზე წყდებოდა ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხი, რომლის აღსრულებაც იმავე დღეს დილით ადრე იწყებოდა. ჟვანია კი ამას სამსახურში მოსვლის შემდეგ აპარატისგან და ჟურნალისტებისგან იგებდა. ის კი ჟურნალისტებს ისე აჩვენებდა თავს, რომ თითქოს ყველაფერი იცოდა. სააკაშვილის გუნდის მინისტრები თითქმის არასდროს ესწრებოდნენ მთავრობის სხდომას. მაგალითად, ზურაბ ადეიშვილი, რომელიც ადრე პარლამენტში ჟვანიას აპარატში მუშაობდა და ჟვანია თავის „მიკი მაუსს“ ეძახდა, ამბობდა, მყავს მიკი მაუსი, რომელსაც საღამოს კანონის დაწერას დავავალებ და დილით გამზადებული მოაქვსო, ეს მიკი მაუსი რომ დაინიშნა უშიშროების მინისტრად, არ მოდიოდა მთავრობის სხდომაზე, ასე თვლიდა, იქ მაინც არაფერი ხდება საინტერესო და მნიშვნელოვანი, დრო რატომ უნდა დავკარგოო.

– სააკაშვილი ერთგვარად ბოდიშს უხდის ჟვანიას დედას, რადგან ვეღარ ნახა და ამასაც თავისებურად ხსნის... ის ამბობს, რომ ქალბატონი რემა მისი დედაც იყო. რა იცით მათი ურთიერთობის შესახებ?

– ქალბატონ რემას, რომელსაც აშკარად სჯერა, რომ ზურაბი მოკლულია, არასდროს უთქვამს, რომ სააკაშვილი უშუალოდ არის ამაში ჩარეული. ერთადერთი, რაც მან თქვა, ეს არის: „მიშას ზურაბის მკვლელობის საქმეში ხელ-ფეხი აქვს შეკრული იმის გამო, რომ ამ საქმეში მისთვის ძვირფასი ადამიანია გარეულიო“. მაქვს საფუძველი, ვივარაუდო, რომ იგულისხმა თემურ ალასანია... მათ ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. შეგახსენებთ, რომ სააკაშვილის გამოსვლებზე პარლამენტში, ქალბატონი რემა ზურას გარდაცვალების შემდეგ მიდიოდა ხოლმე და დასწრებია, როგორც ზურაბის დედა.

„მაგრამ სააკაშვილსაც ესმოდა, რომ ჟვანიას პრემიერ-მინისტრობას რომ არ დასთანხმებოდა, მოხდებოდა ღია განხეთქილება და ჟვანია ოპოზიციაში წავიდოდა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გიორგი მარგველაშვილ

თეა ხომერიკი

ქრისტინე გარუჩავა

ეს ყველაფერი პოლიტიკის თანამდევი რეალობაა. ბუნებრივია, ყველა ქვეყნის ლიდერის პირადი ცხოვრება საინტერესოა. მით უფრო ტაბლოიდების საუკუნეში. თუმცა ევროპაც და ამერიკაც ამ ყველაფერს ყოველგვარი ტრაგედიის გარეშე იღებს. ცდის ჩატარებაც კი არ ღირს, „youtube"-ზე ატვირთულ პირადი შინაარსის ნებისმიერ ვიდეოს გაცილებით მეტი მნახველი ჰყავს, ვიდრე თუნდაც ყველაზე სკანდალურ პოლიტიკურ „სფიჩებს". ეს ცხოვრებაა. თუმცა, დასავლეთისგან განსხვავებით, ბევრად მტკივნეულად აღიქვამენ ტაბლოიდურ სტატიებს ჩვენსკენ. არ აქვს მნიშვნელობა ეს საქართველო იქნება თუ რომელიმე მეზობელი სახელმწიფო.

„მარგველაშვილის დისკრედიტაციის საშუალება, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გახდებოდა მისი პირადი ურთიერთობები"



საქართველოში პრეზიდენტის შეცვლის შემდეგ გიორგი მარგველაშვილის მიმართ ბუნებრივად გაჩნდა ინტერესი. მარგველაშვილმა ქართული ტრადიცია ერთადერთხელ დაარღვია და „პრაიმტაიმს" ექსკლუზიურად პირადი ინტერვიუ მისცა. ბუნებრივია, წინასაარჩევნოდ მეგობარ გოგონაზე საუბარი მომგებიანი სვლა იყო. მით უფრო მაშინ, როდესაც ძალიან ბევრი, მათ შორის თვით ბიძინა ივანიშვილიც კი, კონკრეტულ თარიღს ელოდა, როდესაც მარგველაშვილი მის რჩეულ მაკა ჩიჩუაზე დაქორწინდებოდა. თუმცა თარიღის გამჟღავნების სანაცვლოდ, როგორც ირკვევა, მარგველაშვილს აბსოლუტურად განსხვავებული გეგმები ამოძრავებს. როგორც ამბობენ, გიორგი მარგველაშვილის ახალი გატაცება პრეზიდენტის ადმინისტრაციის პიარ-სამსახურის თანამშრომელი, ქრისტინე გარუჩავაა. ალბათ, ინტერნეტსაიტი არ არის დარჩენილი სადაც აღნიშნული ინფორმაცია არ მოიპოვება. ფორუმი, „primerinfo", „ალია.გე", „ამბები.გე", „რეპორტიორი" - თითოეული მათგანი პრეზიდენტის ახალ გატაცებაზე წერს. ყველგან ერთნაირი შინაარსის ინფორმაციაა. როგორც ირკვევა, მარგველაშვილი ქრისტინე გარუჩავას ჯერ კიდევ „ჯიპადან" იცნობს. ქრისტინე „ჯიპაში" რიგით თანამშრომლად მუშაობდა, თუმცა, როგორც ამბობენ, თავს არ ზოგავდა საკუთარი კარიერის შესაქმნელად. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ქრისტინე სწორედ გიორგი მარგველაშვილის რეკომენდაციით მოხვდა „მე-9 არხზე". ხოლო მას შემდეგ, რაც გიორგი მარგველაშვილი პრეზიდენტად აირჩიეს, გოგონა პიარში გადაიყვანა. სხვადასხვა ქართული საიტები წერენ, რომ პრეზიდენტი შეყვარებულია და შესაძლოა, მაკა ჩიჩუას იმედი, რომ ოფიციალურად გახდეს პირველი ლედი, იმედად დარჩეს... თუმცა თავად ჩაჩუა უკვე თვლის, რომ პირველი ლედია. მან ეს განცხადება გაზეთ „ალიასთან" საუბარში, ჟურნალისტ მარი გულორდავას კითხვაზე გააკეთა.

მაკა ჩიჩუა:

- მე ვიცნობ ქრისტინეს, ერთად ვმუშაობდით, ძალიან კარგი გოგოა და კარგი ურთიერთობა გვაქვს. არ ვიცი, თქვენ რაზე მელაპარაკებით, ამაზე როგორ შეიძლება კომენტარი გავაკეთო.

- პრეზიდენტის და ქრისტინეს ურთიერთობაზე დაიწერა, არ გინახავთ?

- კი, რაღაცას შევავლე თვალი, მაგრამ ეს ჭორია.

- როგორ ფიქრობთ, საიდან გაჩნდა ეს ჭორი?

- არ ვიცი, ვინ რას იტყვის, ამას მე ნამდვილად ვერ გავაკონტროლებ.

- ამ საკითხზე პრეზიდენტთან არ გისაუბრიათ?

- არა, რაზე უნდა მესაუბრა. ასეთ საკითხებზე არ ვსაუბრობთ.

- ქალბატონო მაკა, მაინც არ გქონიათ რაღაცნაირი შეგრძნება, თუნდაც ეჭვიანობის?

- არა, რას ამბობთ! როგორ შეიძლება ჭორზე ვიეჭვიანო.

- თქვენი და ბატონი გიორგის ურთიერთობის დაკანონებას არ აპირებთ?

- ეს მხოლოდ ჩვენი გადასაწყვეტია, ყოველ შემთხვევაში ჯერ არ ვჩქარობთ.

- მესმის, მაგრამ ბატონი გიორგი ქვეყნის პრეზიდენტია და საზოგადოებას აინტერესებს, გვეყოლება თუ არა პირველი ლედი.

- ჩათვალეთ, რომ პირველი ლედი უკვე გყავთ.

- და ვინ არის ეს?

- მე!

გიორგი მარგველაშვილი მაკა ჩიჩუამდე...

მაკა ჩიჩუამდე მარგველაშვილი ორ ოფიციალურ ქორწინებაში იმყოფებოდა. მისი ერთადერთი ქალიშვილი ანი მარგველაშვილი ტასო ვირსალაძისგან ჰყავს. არსებული ინფორმაციით მარგველაშვილი მამა 23 წლის ასაკში გახდა, ხოლო არასრულწლოვანი ტასო ვირსალაძე - 15 წლის ასაკში უკვე დედა იყო. ბუნებრივია, ეს ურთიერთობა თავიდანვე განწირული იყო, რადგან ამ აკასში, როგორც წესი, ბავშვებმა არ იციან რა უნდათ ცხოვრებაში. როგორც ჩანს, მარგველაშვილს ზრდასრულ ასაკში არასრულწლოვნები იზიდავდა, რადგან ადვილი წარმოსადგენია თუ ტასო ვირსალაძემ 15 წლის ასაკში შვილი გააჩინა, რა ასაკიდან დაიწყო მათი სასიყვარულო ურთიერთობა. ტასომ, როგორც ამბობენ, ცხოვრების მეგზურად მალევე იპოვა გიორგის შემცვლელი. ეს გიორგის უახლოესი მეგობარი იყო... დამოუკიდებელი ცხოვრება განაგრძო 23 წლის გიორგიმაც. მცირე პაუზის შემდეგ მარგველაშვილმა მეორე ცოლი შეირთო - ხათუნა აბაშიძე. ეს ისტორიაც საკმაოდ სკანდალურია. აბაშიძის მეუღლე ცნობილი ფეხბურთელი, დათო ყიფიანი იყო. სწორედ ყიფიანის გარდაცვალების შემდეგ დაქორწინდა წყვილი, თანაც ძალიან მოკლე დროში.

მაკა ჩიჩუა გიორგი მარგველაშვილამდე...

ჩიჩუას წარსული არანაკლებ სკანდალურია. სხვათა შორის, წინასაარჩევნოდ დაქირავებული პიარშიკების რჩევა იყო, რომ რაც შეიძლება იშვიათად გამოჩენილიყო მარგველაშვილი რჩეულთან ერთად. მით უფრო არ ურჩევდნენ მარგველაშვილს ურთიერთობების გაოფიციალურებას, რადგან ეს კიდევ დამატებით კითხვებს გააჩენდა და მომავალი პრეზიდენტი ვალდებული გახდებოდა პასუხებზე შეეწუხებინა თავი.

მაკა ჩიჩუას პირად ცხოვრებაში ერთადერთი ოფიციალური ქორწინება ფიქსირდება. მისი პირველი მეუღლე დიმიტრი დადიანი იყო. სწორედ მისი შვილია მარი, თუმცა ის რატომღაც დედის გვარს ატარებს. მიზეზი უცნობია.

სხვათა შორის, ცალკე ისტორიაა მაკა ჩიჩუას სიძის, მინდია გოგოჭურის პიროვნება. ის მარგველაშვილის გაპრეზიდენტებისთანავე დაადანაშაულეს მკვლელობაში. ინფორმაცია presa.ge-მ გამოაქვეყნა სახელწოდებით - „მარგველაშვილის კრიმინალური კლანი და სკანდალური ინფორმაცია, რომელსაც მალავენ". 23 წლის ზურაბ ტარყაშვილის მშობლები სწორედ პრეზიდენტის სიძეს ადანაშაულებენ შვილის მკვლელობაში.

ასევე სკანდალში გაეხვა მაკა ჩაჩუას ნახევარძმა, მიშა მგალობლიშვილი. presa.ge-მ არაერთი ისტორია გამოაქვეყნა ჩიჩუას ნახევარძმაზე. გავრცელებული ინფორმაციით, მაკა ჩიჩუას ძმა, საკმაოდ მძიმე დანაშაულისთვის იყო გასამართლებული. იგივე presa.ge მგალობლიშვილის დანაშაულის შესახებ დეტალურად ყვება სტატია-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

როგორ იმუშავებს მაკა ჩიჩუას წარსული პრეზიდენტის პოლიტიკურ იმიჯზე

ში სათაურით - „მაკა ჩიჩუას ძმამ და მისმა მეგობარმა, ახალგაზრდა დანებით დაჩეხეს“ - presa.ge-მ პრეზიდენტ მარგველაშვილის მეგობარი ქალის, მაკა ჩიჩუას ნახევარძმის, მიხეილ გრიგოლის ძე მგალობლიშვილის კრიმინალური წარსულის დამადასტურებელი უტყუარი დოკუმენტები - სასამართლოს განაჩენები მოიპოვა.

მაკა ჩიჩუას ძმა სამჯერაა გასამართლებული. მათ შორის დამამძიმებელ გარემოებაში ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის. ბოლო განაჩენის მიხედვით, მან და მისმა მეგობარმა, 2010 წლის 31 აგვისტოს, ახალგაზრდა მამაკაცი, მკვლელობის მიზნით, დანებით დაჩეხეს.

მანამდე კი, თბილისიის საქალაქო სასამართლოდან ოფიციალურად გამოთხოვილი 2010 წლის 27 თებერვლით გამოტანილი განაჩენის მიხედვით ირკვევა, რომ მიხეილ მგალობლიშვილი, დაბადებული 1979 წელს, ქალაქ თბილისში, ნარკოტიკების მოხმარებისა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით გასამართლებული იყო ჯერ კიდევ 2008 წლის 25 მარტს (სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე და სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით).

სასამართლოს ოფიციალური განაჩენიდან ვიგებთ, რომ აღნიშნულ დანაშაულზე 2008 წელს მგალობლიშვილს სასჯელის სახედ და ზომად 4 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა განსაზღვრული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენში ვკითხულობთ, რომ სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე დაკისრებული სასჯელიდან, მიხეილ მგალობლიშვილს 2 წლით პატიმრობა და 2 წლით პირობითი მსჯავრი მიუსაჯეს.

გარდა ამისა, ბრალდებულს დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმაც - 3 ათასი ლარის ოდენობით.

დოკუმენტიდან ირკვევა, რომ 2008 წლის 21 ნოემბერს, მიხეილ მგალობლიშვილს ამნისტია შეეხო და ბრალდებულს საბოლოოდ, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოსახდელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ცხრა თვით.

აღსანიშნავია, რომ მგალობლიშვილი სასჯელს ქსნის N 7-ე საერთო, მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში იხდიდა. მსჯავრდებულმა დაწესებულება 2009 წლის 29 ოქტომბერს დატოვა.

განაჩენის მიხედვით, ციხიდან გამოსულმა მგალობლიშვილმა, რომელიც იმყოფებოდა პირობითი მსჯავრის ქვეშ, მალევე ჩაიდინა ანალოგიური დანაშაული.

კერძოდ: 2009 წლის 12 დეკემბერს, პრეზიდენტ მარგველაშვილის მეგობარი ქალის ძმა დიღმის მასივში დააკავეს. ნარკოლოგიური შემოწმებისას მიხეილ მგალობლიშვილს დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალებების (ოპიუმის ჯგუფის, მეტანფეტამინის და ამფეტამინის) მოხმარების ფაქტი“. - წერს presa.ge.

სხვათა შორის, მაკა ჩიჩუას ირგვლივ ნარკოტიკების თემა არაერთხელ გაჟღერებულა. მათ შორის, როცა საუბარია ჩიჩუას ძმაზე, იქვე იძებნება ასეთი კომენტარებიც - „დაწერეთ რამე მაკა ჩიჩუას ძმაზე, არ იცით. მე ვიცი, რო მორფინისტობდა. ახლა წარმოდგენა არ მაქვს რას აკეთებს. ხო, ციხეშიც მოხვდა...“ (presa.ge). თბილისის ფორუმზე არც თავად მაკა ჩიჩუა დაინდეს და დაწერეს: „რა ყვითელკბილება პირველი ლედი გვეყოლება... მარიხუანამ გაუყვითლა ეტყობა...“

როგორ იმუშავებს პრეზიდენტის პოლიტიკურ იმიჯზე მაკა ჩიჩუას და მისი ოჯახის წევრების კრიმინალურ-სკანდალური ბიოგრაფიები, ამის შესახებ „პრაიმტაიმი“ არჩილ გამზარდიას დაუკავშირდა.

არჩილ გამზარდია:

- კამპანია, რომელიც ვიღაცის მიმართ არის დაგეგმილი, მაშინ არის შედეგიანი, თუ ის კარგად დაგეგმილი და მართულია. ზოგადად, როდესაც ისტორიებში მონაწილეობენ, ვთქვათ პრეზიდენტის ბიძაშვილი, ან დეიდაშვილი, ან რომელიმე ნათესავი და ისინი მხილებულნი არიან რაიმე უარყოფითში, ფოკუსი მაინც იმ ერთადერთ, კონკრეტულ ადამიანზე კეთდება. თუმცა ბუნებრივია, რომ ამ ყველა ნათესავზე ერთი ადამიანი ვერ იქნება პასუხისმგებელი და არც უნდა იყოს. ეს, სამწუხაროდ, მთელს მსოფლიოში ახერხებს ნეგატიური შედეგების უზრუნველყოფას. სწორედ ამიტომაც არის, რომ „მართვადი“, დისკრედიტაციული კამპანიები „ეფექტურად“ მოქმედებენ. ჩვენ აქ არ განვიხილავთ პირადად პრეზიდენტის, ან რომელიმე პოლიტიკოსის შეცდომა რა არის, აქ საუბარია იმაზე, რომ ნეგატივის ფოკუსირება მასზე ხდება მაშინაც კი, თუნდაც ეს მის მეზობელს ეხებოდეს. სხვათა შორის, მე ადრევე ვთქვი, რომ რადგან მარგველაშვილის პირადი სივრცე არ იყო მასობრივი მახასიათებელი, ანუ მას არ ჰყავდა მეუღლე, ორი შვილი, როგორც ხდება ხოლმე, მისი დისკრედიტაციის საშუალება ადრე თუ გვიან აუცილებლად გახდებოდა მისი პირადი ურთიერთობები. თუ გიორგი მარგველაშვილი რაიმენაირად შეცვლის საკუთარ პირად ცხოვრებას, არა მგონია, რომ ეს მის იმიჯზე დადებითად იმოქმედებს. მეფეებს, თავის დროზე, არ ჰქონდათ პირადი ცხოვრების უფლება. იმიტომ რომ, ისინი მეფეები იყვნენ და მათი ოჯახი, ზოგადად, პოლიტიკურ პროდუქტად ითვლებოდა. სახელმწიფო აღიარებს სახელმწიფოს მიერ დაკანონებულ ურთიერთობებს, ამიტომ მარგველაშვილის ინაუგურაციის დროს მისი მეუღლე სახელმწიფოს, კანონის მიერ ცნობილი არ იყო და ამიტომაც პროტოკოლიც კი დაირღვა, ეს რთული თემაა. მარგველაშვილმა ახლა რომ ოჯახი შექმნას, ეს არა მგონია, რომ გონივრული იყოს, თუ, რა თქმა უნდა, ეს არ იქნება პოლიტიკური აქტი. როდესაც ფაქტი მომხდარია და ფოკუსი კონკრეტულ სუბიექტზეა. ანუ ორივე მათგანი არის მართალი ამბავი, ბუნებრივია, გამოდის როგორც რეალისტური ინფორმაციის ფარგლებში და შესაბამისად, ასეთ პირებზე ძალიან ნეგატიურად მოქმედებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

წულუკიანის

my View
მირიან ბოქოლიშვილი

თეა წულუკიანს დროდადრო სკანდალები არ აკლდება, თუმცა ამ შემთხვევაში არც მისი დიპლომია სკანდალის მიზეზი და არც პირადი ცხოვრება. ხმაური იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებებიდან მინისტრისთვის არასასურველი, თუმცა კვალიფიციური კადრების მასობრივმა განთავისუფლებამ გამოიწვია. ერთ-ერთი ბოლო, ვინც იძულებული გახდა, სამსახური დაეტოვებინა, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ნოდარ ყანჩაველია. მან თანამდებობა გასულ კვირას დატოვა. ყანჩაველი წულუკიანის უწყებიდან ხმაურის გარეშე არ წასულა. მან მინისტრი არაკვალიფიციურობაში დაადანაშაულა და აღნიშნა, რომ წულუკიანის მენეჯმენტის პირობებში სამინისტროს დიდი პრობლემები ექმნება.

„თეა წულუკიანი არის ძალიან არაკვალიფიციური თანამდებობის პირი. ვთვლი, რომ მისი მენეჯმენტით სამინისტროს ექმნება ძალიან დიდი პრობლემები. სამინისტროს მენეჯმენტში არის განსაკუთრებული პრობლემები იმ კუთხით, რომ მინისტრს არ აქვს არანაირი კოორდინაცია სხვა ძალიან მნიშვნელოვან თანამდებობის პირებთან. ფაქტობრივად, ის შემოიფარგლება ძალიან ვიწრო წრით და არ აინტერესებს, ზოგადად, რა ხდება სამინისტროს სხვა სტრუქტურულ ერთეულებში“, – აღნიშნა ნოდარ ყანჩაველმა.

მის ამ გადაწყვეტილებას გამოეხმაურა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უფროსი იოსებ ბაღათურია, რომლის თქმითაც, სამოქალაქო რეესტრი ნოდარ ყანჩაველის პრიორიტეტი არ იყო.

„ყანჩაველი ადეიშვილის დავალებით მუშაობდა კახეთის აღორძინებაზე და სამოქალაქო რეესტრი მაინცდამაინც არ აინტერესებდა, ეს არ იყო მისი პრიორიტეტი. ვფიქრობ, სამოქალაქო რეესტრის სამართავად უფრო კომპეტენტური კადრია საჭირო. როგორც ჩანს, მან ეს იგრძნო ჩემგან, გაღიზიანდა და გააკეთა ეს განცხადება. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში და იუსტიციის მინისტრთან მუშაობა რომ სასურველია, ამიტომაც მე ორი დღის წინ წამოვედი სასამართლოდან და დავუდექი მინისტრს გვერდით“, – აღნიშნა იოსებ ბაღათურიამ.

ყანჩაველი ნამდვილად არ გახლავთ იშვიათი გამონაკლისი... თეა წულუკიანთან დაპირისპირების გამო უწყება არაერთმა გამოცდილმა ადამიანმა დატოვა. „პრაიმტაიმს“ სამინისტროს ყოფილმა თანამშრომელმა მიაწოდა წულუკიანის შავი სია, რომელიც საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება, თუმცა აქვე შევნიშნავთ, რომ ეს სიაც არასრულია და განთავისუფლებულთა რაოდენობა გაცილებით მეტია. ირკვევა, რომ მხოლოდ 2013 წლის სექტემბერ-ოქტომბერში საჯარო რეესტრის იურიდიული სამსახურიდან 10-მდე კვალიფიციური კადრი გაუშვეს. ამბობენ, რომ მასიურმა განთავისუფლებამ პრობლემები შეუქმნა სააგენტოს გამართულ ფუნქციონირებას, რის შემდეგაც რამდენიმე თანამშრომელს სამსახურში დაბრუნება შესთავაზეს, თუმცა უარი მიიღეს. მოკლედ, ვნახოთ, როგორ გამოიყურება წულუკიანის შავი სია:

ეკა კერესელიძე – 2012 წლის ნოემბრიდან 2013 წლის ნოემბრამდე ხელმძღვანელობდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. ის ითვლებოდა

„ბევრ ადამიანს საკუთარი ღირსების აღდგენა უფრო უნდა, ვიდრე ფულადი კომპენსაცია, ან ის მიწები, რომლებიც წინა წლებში იქნა ჩამორთმეული და ამჟამად სახელმწიფო ბალანსზეა“

მინისტრის ყოფილი მოადგილის, დავით ჯანდიერის კადრად. ჯერ კიდევ მუშაობის პერიოდში საუბრობდნენ მასა და იუსტიციის მინისტრს შორის არსებულ დაპირისპირებაზე. დავით ჯანდიერის თანამდებობიდან განთავისუფლებისთანავე ეკა კერესელიძის პოსტიდან ჩამოშორებაც, პირადი განცხადების საფუძველზე.

ნათია კუკულაძე – სერვისების განვითარების სააგენტოს მარკეტინგული კომუნიკაციების, გაყიდვებისა და უკუკავშირების დეპარტამენტის დირექტორი. თანამდებობა დატოვა 2014 წლის თებერვალში. სამინისტროში, ასევე, აქტიურად საუბრობდნენ მასა და მინისტრს შორის არსებულ დაპირისპირებაზე. კუკულაძე დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა ალტერნატიული სამსახურის შოვნას. მან მთავრობის კანცელარიიდან მიღებული შემოთავაზებისთანავე დატოვა თანამდებობა.

ჟანა ქოიავა – სამოქალაქო რეესტრის იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი. ის დიდი ხნის განმავლობაში უმაობდა მოვალეობის შემსრულებლად. 2014 წლის იანვარში სამსახურიდან მისი წასვლის მიზეზი გახდა მინისტრის მიერ ჟანა ქოიავას ერთ-ერთ წერილზე გამოხატული უკმაყოფილება. წერილის შინაარსის დაზუნების გამო მინისტრმა მოითხოვა მისი სამსახურიდან განთავისუფლება. ბოლო პერიოდში ქოიავაც აქტიურად ეძებდა სხვა სამსახურს, რადგან ხშირად ავალებდნენ სამუშაოს, რომელიც მის კომპეტენციას სცილდებოდა.

თამარ შოთაძე – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსი. საჯარო რეესტრში იურისტად მუშაობდა 2007 წლიდან. ხასიათდებოდა როგორც კვალიფიციური და გამოცდილი კადრი. ბოლო პერიოდში თამარ შოთაძეს ეკავა იურიდიული სამსახურის უფროსის თანამდებობა (2014 წლის იანვრამდე). ამ პერიოდში ის არ ერიდებოდა პაპუნა უგრეხელიძეზე საუბარს, რომელიც თეა წულუკიანის კადრი გახლავთ (საუბარია შევარდნაძის დროს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მინდია უგრეხელიძის ვაჟზე). კერძო საუბრებში შოთაძე ამბობდა, რომ უგრეხელიძე იყო ნარკოტიკების მომხმარებელი და ნასამართლევი პირი. ამბობენ, რომ სწორედ ამის გამო ხდებოდა შოთაძის დისკრედიტაცია და საბოლოოდ ეს დაპირისპირება გახდა მისი სამსახურიდან განთავისუფლების ძირითადი მიზეზი. შემდგომში საჯარო რეესტრის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, თამარ შოთაძის სამსახურიდან განთავისუფლებას საფუძვლად დაედო მისი არაკომპეტენტურობა და საკვალიფიკაციო ტესტების ჩაუბარებლობა.

ემზარ ჯანჯალაშვილი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა კონტროლის სამსახურის უფროსი 2013 წლის ივნისამდე. 2013 წელს მოხდა მისი რიგით თანამდებობაზე დაქვეითება, საფუძვლად ამ შემთხვევაშიც არაკომპეტენტურობა დასახელდა, თუმცა ეჭვს იწვევს ის გარემოება, რომ ჯანჯალაშვილი დაქვეითებამდე პირად საუბრებში არ მალავდა უკმაყოფილებას სამინისტროს ხელმძღვანელობის მიმართ.

რა ხდება იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებებში და რატომ უშვებენ სახლში კვალიფიციურ კადრებს?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რატომ უშვებენ საბლში კვალიფიციურ კადრებს?

„რა მოხდა ამ ქალბატონში? რა მეტამორფოზა განიცადა ასეთი? თუ ის, როგორც მინისტრი, ვერ უძღვება ამ უზარმაზარ სისტემას, მიიღოს გადაწყვეტილება და დატოვოს პოსტი“

სოსო სონიშვილი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული სამსახურის იურისტი 2009 წლამდე. ხასიათდება, როგორც გამოცდილი და კვალიფიციური კადრი. 2013 წლის ოქტომბერში მოხდა მისი სამსახურიდან განთავისუფლება პირადი განცხადების საფუძველზე, რეალურად კი განთავისუფლების მიზეზი გახდა შიდა დაპირისპირება, რომელსაც სონიშვილთან ერთად საჯარო რეესტრის სხვა გამოცდილი კადრებიც შეეწირნენ,

მანუჩარ ჭუმბურიძე – საჯარო რეესტრის იურიდიული სამსახურის იურისტი 2007 წლიდან. ის გახლდათ საჯარო რეესტრში ერთ-ერთი ყველაზე კვალიფიციური კადრი, რომელიც დაკავებული იყო დებულებების, კანონპროექტებისა და სხვა სამართლებრივი დოკუმენტების შედგენით. მონაწილეობდა უწყებათაშორისი კომისიის მუშაობაშიც, როგორც საჯარო რეესტრის წარმომადგენელი. 2013 წლის ოქტომბერში მისი სამსახურიდან განთავისუფლების მიზეზი გახდა კანონპროექტი სასოფლო სამეურნეო მიწებთან დაკავშირებით. შვებულებაში ყოფნის დროს, მის მიერ დაწერილი კანონპროექტი დაიწუნა მინისტრმა და მოითხოვა მისი შესწორება. ამასთანავე, იყო მოთხოვნა, რომ მომხდარიყო მისი დაქვეითება. შვებულებიდან დაბრუნებულ მანუჩარ ჭუმბურიძეს აცნობეს, რომ უნდა მომხდარიყო მისი დაქვეითება დაბალანაზღაურებად პოზიციაზე, რაზეც ჭუმბურიძემ უარი განაცხადა და მიიღო გადაწყვეტილება სამსახურიდან წასვლის შესახებ.

„უამრავი ადამიანი გაუშვეს, ბევრი პროფესიონალი, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე. რატომ და რა მიზეზით, ამას არ ხსნიან“

ლევან სამადაშვილი – სერვისების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი. მან თანამდებობა 2014 წლის მარტში დატოვა. თანამდებობაზე დანიშვნის დროს კარგი ურთიერთობა ჰქონდა თეა წულუკიანთან, თუმცა ამბობენ, რომ წასვლის მიზეზი გახდა მასა და მინისტრს შორის ბოლო დროს არსებული დაპირისპირება. კერძო საუბრებში ის ამბობდა, რომ უჭირდა მინისტრთან მუშაობა, მისი რთული ხასიათის გამო. როგორც ცნობილია, სამადაშვილს მალე შესთავაზეს სამუშაო ერთ-ერთ საერთაშორისო პროექტში და შეთავაზებას უყოყმანოდ დასთანხმდა.

ნინო ჩიჩუა – იუსტიციის სახლის დირექტორი 2012 წლიდან 2014 წლის თებერვლამდე. ნინო ჩიჩუასა და თეა წულუკიანს შორის დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა დაპირისპირება. არსებობს ვერსია, რომ იუსტიციის სახლის სტაჟიორთაგან ერთ-ერთი იყო მინისტრის ახლობელი, რომლის დანიშვნაც არ მოხდა ვაკანტურ თანამდებობაზე. გაბრაზებულმა წულუკიანმა იუსტიციის სახლში გენერალური ინსპექცია შეუშვა და ჩიჩუა იძულებული გახდა, სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადება დაეწერა.

დავით მაისურაძე – დანაშაული პრევენციისა და ინოვაციური პროგრამების ცენტრის ხელმძღვანელი, 2012 წლის სექტემბრიდან 2013 წლის ნოემბრამდე. სამსახურიდან მისი წასვლის მიზეზი გახდა ერთ-ერთი საგრანტო პროექტი, რომელიც თითქოს მაისურაძემ დროულად არ გადააგზავნა მინისტრთან ხელმოსაწერად. საუბარია პატიმართა რესოციალიზაციის პროექტზე, რომელიც რეალურად დავით მაისურაძეს სამინისტროში გადაგზავნილი ჰქონდა და რეზოლუციის დადების შესახებ 2-3 თვის განმავლობაში ახსენებდა მინისტრს. სამინისტრომ, შემდგომში, დავით მაისურაძის განთავისუფლების მიზეზად რეორგანიზაცია დაასახელა.

ჯუმბერ წულაძე – იუსტიციის სახლის ფინანსური დირექტორი. ამ თანამდებობაზე მუშაობდა 2012 წლის დეკემბრიდან და ითვლებოდა დავით ჯანდიერის კადრად. ჯანდიერის განთავისუფლების შემდეგ პოსტი დაატოვებინეს წულაძესაც, მიზეზად კი იუსტიციის სახლის სახურავის შეკეთებასთან დაკავშირებით მოხსენების გაჭიანურება დასახელდა.

ყოფილი და მოქმედი თანამშრომლების გარდა, თეა წულუკიანის მიმართ პრეტენზიებს გამოთქვამს სამოქალაქო სექტორიც. რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ ამასთან დაკავშირებით პრესკონფერენციაც კი გამართა. ერთ-ერთი გახლავთ, ორგანიზაცია „ყველა თაობა საქართველოსთვის“ თავმჯდომარე გია სალუქვაძე, რომელმაც „პრაიმტაიმს“ იუსტიციის მინისტრის მიმართ საკუთარი პრეტენზიები გააცნო.

გია სალუქვაძე:

– რამდენიმე პასაჟს მინდა გავუსვა ხაზი თეა წულუკიანის საქმიანობიდან. საზოგადოების ყველაზე დიდი გულისწყრომა ხარვეზების დამდგენი კომისიის ხარჯთაღრიცხვამ გამოიწვია. მისი დაპირება იყო და ამაზე მინისტრად დანიშვნის პირველ დღეებშიც აქტიურად საუბრობდა, რომ უნდა შექმნილიყო ეს კომისია, რომელსაც უამრავი ადამიანი მოუთმენლად ელოდა. მივიღეთ სრულიად საპირისპირო. ქალბატონმა თეამ განაცხადა, რომ მან მთავრობის სხდომაზე გაიტანა ეს საკითხი, მაგრამ იმის გამო, რომ საკმარისი თანხები არ აღმოჩნდა, რათა დაზარალებულებზე გაიცეს კომპენსაცია. მან ეს საკითხი უკან გაიტანა. როდესაც მთავრობის სხდომაზე მინისტრს გააქვს რაღაც პროექტი, მას აუცილებლად უნდა ახლდეს ფინანსური დასაბუთება. მე მაინტერესებს, ვინ დათვალა, რომ 7 მილიარდია ამ ყველაფრისთვის საჭირო. თუ მან ეს თანხა წარუდგინა მთავრობას, ცხადია, არ დაამტკიცებდნენ, რადგან რეალურად ამის საშუალება მართლაც არ არის. ბევრ ადამიანს საკუთარი ღირსების აღდგენა უფრო უნდა, ვიდრე ფულადი კომპენსაცია, ან ის მინები, რომლებიც წინა წლებში იქნა ჩამორთმეული და ამჟამად სახელმწიფო ბალანსზეა, რა უდგას წინ იმას, რომ მოხდეს ამის დაბრუნება. ამას სჭირდებოდა მთავრობისთვის სწორი ახსნა და განმარტება. არანაირი 7 მილიარდი ამას არ სჭირდება. დაგვისაბუთოს თეა წულუკიანმა, რომელმა ორგანიზაციამ დაითვალა და გააკეთა ეს ხარჯთაღრიცხვა.

– ანუ თქვენი პრეტენზიები ძირითადად ხარვეზების დამდგენი კომისიის არშექმნას უკავშირდება?

– არამარტო. წულუკიანის პასუხისმგებლობაა ის, რომ ქართულმა მხარემ ვერ მოახერხა დავით კეზერაშვილის ინტერპოლზე გადაცემა და საქართველოში ჩამოყვანა. პროკურატურის გამოსვლა შეიძლება იყო სუსტი, მაგრამ ექსტრადირების დოკუმენტაცია ხომ იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა. რატომ ვერ დაასაბუთა ამ უწყებამ, რომ კეზერაშვილი საქართველოსთვის უნდა გადმოეცათ? ჩნდება ლოგიკური კითხვები. არის საუბარი, რომ ამ საკითხზე წულუკიანს პრივატული საუბარი ჰქონდა ერთ-ერთ უცხოელ დიპლომატთან, სადაც მოხდა გარკვეული გარიგება. გამოვიდეს ქალბატონი მინისტრი და ახსნას, იყო თუ არა ასეთი საუბარი. მისი დუმილი აჩენს აშკარა ეჭვებს.

– იუსტიციის სამინისტროდან თანამშრომელთა განთავისუფლებაზე თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?

– მე ვიცი, რომ უამრავი ადამიანი გაუშვეს, ბევრი პროფესიონალი, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე. რატომ და რა მიზეზით, ამას არ ხსნიან. საერთოდ მაინტერესებს, რა მოხდა ამ ქალბატონში? რა მეტამორფოზა განიცადა ასეთი? თუ ის, როგორც მინისტრი, ვერ უძღვება ამ უზარმაზარ სისტემას, მიიღოს გადაწყვეტილება და დატოვოს პოსტი. თუ არადა, გამოვიდეს და გააკეთოს განმარტებები, მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით. მინისტრი, რომელიც ვერ ახერხებს ისეთ სენსიტიურ თემაზე პროექტის გატანას, როგორიცაა მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნა, ის არ უნდა ინარჩუნებდეს პოსტს. თუნდაც იმიტომ, რომ თანამდებობაზე დანიშვნამდე ეს იყო მისი მკაფიო პოზიცია. გარდა ამისა, კარგად გვახსოვს წულუკიანის გამოსვლა, როდესაც ბრძანა, მე ახლა მივდივარ სტრასბურგში და ყველა ის საქმე, რომელიც საქართველოდან არის გაგზავნილი, უნდა წამოვიღო და აქ მოხდება მისი განხილვაო. საბოლოოდ რა მოხდა? ადამიანებმა დაიჯერეს წულუკიანის განცხადება და ვინც სარჩელის გაგზავნას აპირებდა, იმათაც აღარ გაგზავნეს, ვისაც უკან გამოატანინეს იმ პირობით, რომ ხარვეზების კომისია განიხილავდა, უბრალოდ, მოატყუა და ახლა ეუბნება, რომ უკაცრავად, ფული არ აღმოგვაჩნდა საკმარისიო.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

7 გაცხადებუ მიხეილ საა ტელევიზიო

მარიამ ნადირაძე

პროკურატურაში დაკითხვაზე არ გამოცხადდა... მისმა გუნდმა საზოგადოება შეამზადა, მიხეილ სააკაშვილი პროკურატურის არა, მაგრამ ხალხის ყველა კითხვას გასცემს პასუხსო და პასუხებმაც არ დააყოვნა... რამდენიმე დღის წინ მისი საათნახევრიანი „აღსარების“ მოწმენი გახლდით.

რამდენჯერ იცრუა ყოფილმა პრეზიდენტმა და რა ინტერპრეტაციით გვიამბო ყველასთვის ცნობილი ფაქტები? სწორედ ამას გავივლით ამჯერად მკითხველთან ერთად.

რატომ არ ჩამოდის სააკაშვილი?

„...როცა ვლაპარაკობთ, რატომ არის ეს პოლიტიკური, მთავარი არის ძალიან მარტივი: ივანიშვილმა გაბედა და სახეში მითხრა: თუ არ ჩავიკმენდდი ხმას და გავაგრძელებდი მენტალური ძალადობის განხორციელებას ქართველ ხალხზე, ჩემ წინააღმდეგ აღძრავდნენ სისხლის სამართლის საქმეს... ბოლო თვეებში და კვირებში ივანიშვილზე არა, მაგრამ ბევრს ვლაპარაკობდი პუტინზე. თქვენ იყავით ამის მოწმე. მთელი მსოფლიო იყო ამის მოწმე. მე ვიყავი მთავარი, ალბათ, ეგრე გამოვიდა ჩვენი გამოცდილების გათვალისწინებით. ყველა ტელევიზიით, ყველა საერთაშორისო ფორუმზე ვლაპარაკობდი რუსეთის აგრესიაზე. როგორც წესი, უკრაინასთან ერთად ყოველთვის ვლაპარაკობდი საქართველოზე, იმიტომ რომ ჩემთვის ეს არის პირველადი და მთავარი. ახლა აღმოჩნდა, რომ ხმა უნდა ჩავიკმინდო არამარტო ივანიშვილის წინააღმდეგ, პუტინზეც არაფერი უნდა ვთქვა...“ - ასე ხსნის სააკაშვილი საქართველოში ჩამოსვლაზე საკუთარ უარს.

ამ შემთხვევაში ფაქტების და მოვლენების ანალიზი სულაც არ არის საჭირო... ყოფილი პრეზიდენტი ციტატის დასაწყისში ნათქვამ საკუთარ ფრაზას ციტატის ბოლოს თავად ეწინააღმდეგება. თუ ივანიშვილი მას ქართველ ხალხზე მენტალური ძალადობის გამო დაემუქრა, სისხლის სამართლის საქმის აღძვრით, მაშინ რატომ უნდა აღიძრას საქმე ახლა, როცა ის პუტინზე საუბრობს. იქნებ ის ამას ქართველ ხალხზე მენტალურ ძალადობად აღიქვამს? და საერთოდ, ის პროკურატურაში მოწმის სახით დაიბარეს და არა ბრალის წარსადგენად. თუ მისთვის სხვა ინფორმაციაა ცნობილი, ვეჭვობთ ამის შესახებ მიკიბ-მოკიბვით დაიწყო საუბარი...

შეიძლება თემას დროებით ავცდეთ, მაგრამ მკითხველი, ალბათ, დაგვეთანხმება, თუ შემდეგი კითხვა გაგვიჩნდება: სააკაშვილი პროკურატურას ასოციაციის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდე, ანუ ივნისამდე სამი თვით ადრე კი არა, ვთქვათ აგვისტოში რომ დაებარებინა, ივანიშვილი და პუტინის თემა ისევ ისე იმუშავებდა თუ არა? რა თქმა უნდა კი, რადგან მაშინ ათვლის წერტილი გახდებოდა გზა ევროკავშირის წევრობამდე... ასეთი ათვლის წერტილი ნებისმიერ მომენტში გამოიძებნება, ვინაიდან პოლიტიკა ცოცხალი ორგანიზმია და განსაკუთრებული მგრძნობელობით მზარდი დემოკრატიის ქვეყნები გამოირჩევიან.

ვინ ურჩია მიშას საქართველოს დატოვება?

„შარშან ნოემბერში, ბრიუსელში... ბაროზომ მითხრა, როდესაც შენი მთავრობა შენ დაგაპატიმრებს, ვერავინ დამარწმუნებს, რომ ეს არის პუტინის კონტროლირებადი მთავრობა. მე ვიქნები პირველი, ვინც დააყენებს საკითხს, რომ საქართველოს შემდგომი პროგრესი გაჩერდეს... ამიტომ, შენ უნდა გესმოდეს შენი როლი. თუ მზად ხარ, რომ შეაჩერო საქართველოს სვლა ევროპისკენ, შენ შეგიძლია დარჩე საქართველოში, აღმოჩნდები ციხეში და ჩვენც დავიბანთ ხელებს და გადავაბარებთ პუტინს. თუ არადა იქნებ გამოერიდო, რათა არ მისცე მათ ცდუნება, რომ ეს გეგმა განახორციელონ... ასევე, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის რამდენიმე ხელმძღვანელმა, მათ შორის ეს საკითხი ჯონ კერიმ ჩემთან საუბრისას ახსენა, როცა ოფიციალური ვიზიტით ვიყავი ვაშინგტონში. ჩვენი ინფორმაციით ისინი ამას აპირებენ და თქვენ გადაწყვიტეთ... ეს ნიშნავს, რომ ნატოში ავტომატურად მიიკეტება კარი და ყველა პროგრესი შეჩერდება“- გვარწმუნებს ყოფილი პრეზიდენტი, თანაც მაშინ, როდესაც იგივე პერიოდში კონკრეტულად ბაროზოს განცხადებას ვისმენთ: „ძალიან მოხარული ვარ, რომ ევროკომისიაში შევთანხმდით: ასოცირების შესახებ შეთანხმებას საქართველოსა და მოლდოვასთან არაუგვიანეს ივნისში მოვაწერთ ხელს“.

უფრო მეტიც, სააკაშვილი პროკურატურამ დაკითხვაზე ღარიბაშვილის ნიდერლანდების სამეფოში გამგზავრებამდე დაიბარა. ვიზიტის შემდეგ კი პრემიერ-მინისტრმა გვაუწყა, საქართველოს ახლო მომავალში მსოფლიოს რამდენიმე ლიდერი ესტუმრებაო. ჩამოთვლილთა შორის არის ევროკომისიის პრეზიდენტი, ჟოზე მანუელ ბაროზოც...

რამ გამოიწვია 2007 წლის 7 ნოემბერი?

„... მაშინ რუსი ოლიგარქის, პატარკაციშვილის მიერ დაგეგმილი აქცია დაიწყო



ნატოს გენერალური მდივნის განცხადებიდან ორ დღეში. როცა საბოლოოდ გაგვიფორმდა მაპის აპლიკაცია. თუ არ ვცდები 30 ოქტომბერს იყო სილნაღში კონფერენცია, მწყობრი ნაბიჯით მივდიოდით ნატოში, მოხდა ნოემბრის მოვლენები და ბუქარესტში მოხდა ის, რაც მოხდა. 2008 წლის ომი პუტინმა იომა იმის გამო, რომ გამოცხადდა მაინც - ჩვენ გავხდებით ნატოს წევრი და დეკემბერში აპირებდნენ მაპის მონიჭებას, აგვისტოში ხდება ომი. ახლა, ივნისში უნდა მოხდეს ასოცირების ხელშეკრულება და როგორც კი ეს გამოცხადდა, მეორე დღეს ცხადდება, რომ ჩემზე აღძრავენ სისხლის სამართლის საქმეს. თქვენ ეს დამთხვევები შემთხვევითი გგონიათ?...

დსთ-ს ერთ-ერთი ქვეყნის ლიდერი, მომიყვა მის დედაქალაქში პუტინთან მისი საუბრის შემდეგ ჩავიდა ბადრი პატარკაციშვილი და „ფეესბეს“ რამდენიმე გენერალი. ეს მოხდა 2007 წლის სექტემბერს. პატარკაციშვილი წავიდა იმ სოუსით, რომ ვითომ იყო ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე, მაგრამ საერთოდ არ მოუკითხავს სპორტი და ოლიმპიური ამბები, ჩაიკეტა რამდენიმე ხანი იმ გენერლებთან და დაგეგმეს ოპერაცია საქართველოში. შემდეგ ნოემბერში დსთ-ს შეხვედრაზე პუტინმა თქვა, საქართველოს მომავალი პრეზიდენტი არის პატარკაციშვილიო. მანამდე ფედერალურმა გამოძიების ბიურომ გამოგვიგზავნა წერილი, რომ კანონიერი ქურდები, უსოიანი, კალაშოვი, მესამე იყო კიდევ, ჩამოსულები იყვნენ სომხეთში „ფეესბეს“ ოფიცრებთან ერთად და გეგმავდნენ ნოემბერში საქართველოში არეულობას... ჩვენი რეაქცია იყო კომპლექსური...

მიგვაჩნდა, რომ ეს იყო სახელმწიფოს გადატრიალების მცდელობა და სხვათა შორის, წარმატებული მცდელობაც იყო, რადგან ამის შემდეგ მე გადავდექი...“

დავიწყოთ მაპის შესაძლო მინიჭებით: თუ რონალდ ასმუსს დავუჯერებთ, რომელიც იმ წიგნის ავტორი იყო, რითაც აღფრთოვანებული იყო სააკაშვილის ეპოქის საქართველო, „პატარა ომი, რომელმაც შეძრა მსოფლიო“ (სხვათა შორის, მისი თარგმანის რედაქტორი დავით დარჩიაშვილია - მ.ნ.) ვითარება ამგვარად იყო: როდესაც 2008 წლის აპრილში ნატოს გენერალურ მდივანს, იაპ დე ჰოოფ სხეფერ სადილი ჰქონდა კონდოლიზა რაისთან და თავდაცვის მინისტრთან, იქ მას უთხრეს, შეგიძლიათ არ ინერვიულოთ, ჩვენ მკაფიოდ გვაქვს გადაწყვეტილი, რომ მაპის მიცემა საქართველოსთვის, მხოლოდ დააზიანებს ვითარებას და ჩვენ ამიტომ ამას მხარს არ დავუჭერთო. დამშვიდებული სხეფერი მეორე დილით ხვდება პრეზიდენტ ბუშს, რომელიც ეუბნება, პირადად მე მთელი ღამე ვფიქრობდი და გადავწყვიტე, რომ ვიბრძოლებ ბუქარესტში იმისთვის, რომ საქართველოს მაპი მისცენ. სხეფერი ძალიან შეწუხდა...

რაც შეეხება ნოემბრის ამბებს, კაცრიელიც არსებობს, რომ 2007 წლის 6 ნოემბერს, პარლამენტის წინ ხალხი, ფაქტობრივად, აღარ იყო. ერთ-ერთი მონაწილე თავის დროზე ხუმრობდა კიდეც: „8 კაცი დავრჩით, შევძვერით იმ ტომრებში იმ განწყობით, რომ პოლიტიკურადაც დავლპებოდით და ფიზიკურადაც, იმიტომ, რომ კაციშვილი აღარ გვეკარებოდა“.

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ 2009-ში სააკაშვილმა მოითმინა რუსთავ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლი ფულიდ კაშვილის აღსარებიდან

ესწრებოდი. შენ გგონია, ვინმე რამეს მალავს, რამე სხვანაირად არის? არაო, არა მგონიაო. შენთან რა პრეტენზია შეიძლება მქონდესო. მაგრამ არასდროს დამავიწყდება, რაც მოთხრა: ხომ იცი, ზურას, როგორც ყველა პოლიტიკოსს, ჰქონდა ბევრი ფულიო. მე ვუთხარი, მე ვარ პოლიტიკოსი და ნამდვილად არ მაქვს ფული და არ მგონია, რომ ზურაბს ჰქონოდა ფული. საიდან მოიტანე? ერთ-ერთმა მითხრაო, რომ 2 დღით ადრე მისცა იმას ძალიან დიდი თანხა და აი იმ თანხის ნაწილი მინდა ამოვიღო, იმიტომ რომ, ალბათ, იმ დაცვის თანამშრომლებმა, სანამ ჩვენ მივიდოდითო, ხომ არ ნაიღეს ეს თანხა შემთხვევითო. მე ვუთხარი, ახლა გამოდის, რომ აქ ფულზე ვლაპარაკობთ, ხომ ჩვენ? მე ვუთხარი, ჩვენ ვერ შევთანხმდებით ახლა...“

სააკაშვილის ამ რეპლიკას ჟვანიას ოჯახმა მთელი პრესკონფერენცია მიუძღვნა, ამიტომ ამას ხელახლა აღარ განვიხილავთ, თუმცა მკითხველს იმ დეტალებს შევახსენებთ, რომლის გახსენებაც ახლა სწორედაც რომ დროულია:

არავინ უარყოფდა ერთ ფაქტს, რომ როცა პრემიერ-მინისტრის აპარტამენტებში ლიფტი გასაღებით იმართებოდა, კობა ხარშილაძემ ისარგებლა ლიფტით, გააღო ჟვანიას სეიფი და იქიდან რაღაც წაიღო. მაშინ ნინო ქადაგიძემ ოფიციალური საჩივარი შეიტანა კობა ხარშილაძის წინააღმდეგ. ამის მიუხედავად, ხარშილაძე არათუ დაისაჯა, ჯერ გამგებლის მოადგილედ დაინიშნა, შემდეგ კი „გრინ სერვისი“ დააფუძნებინეს. ხარშილაძეს ჟვანიას სეიფი საკუთარი ინიციატივით რომ გაეტანა, ალბათ, ადვილი წარმოსადგენია, რა დაემართებოდა...

საყვარელი ბებია

„...მე შევქმენი სისტემა, სადაც ნათესავს და ახლობელს არა თუ არ უნდა მიანიჭო პრიორიტეტი, არამედ ყველაფერი უნდა გააკეთო იმისთვის, რომ არაფერს ხელი არ გამოდოს. თუ ჩემს ოჯახის წევრებს ვეხმარებოდი, ეს ფული სად წაიღეს? პრეზიდენტობის დროს აღმოვაჩინე, რომ ბებიაჩემს, მზია წერეთელს ბაბუაჩემმა გივიმ დაუტოვა ერთ-ერთი თბილისური რესტორნის წილი. 15 პროცენტი, თუ რაღაცა. გავგიჟდი. მოვიყვანე ბებიაჩემი, რომელიც ძალიან აქტიური ქალია, ძალიან მიყვარს, ძალიან დიდი ამაგი აქვს ჩემზე და არ დაგიმალავთ, ხმას ავუწიე. და ვუთხარი, როგორ შეიძლება პრეზიდენტის ბებიას ჰქონდეს რესტორნის წილი და საერთოდ, როგორ მოგივიდათ ეს თავში-მეთქი. ის თავს იმართლებდა და აქეთ მეჩხუბა, ერთხელ მაინც იკითხე, რითი ვცხოვრობ მთელი ეს წლებიო? ამ რესტორნიდან ყოველთვიურად მაქვს შემოსავალი 2000 ლარი და ამით ვცხოვრობო. ერთხელ მაინც მოგიცია რამეში ფულიო? მართალი იყო. არ მიმიცია. ქალს, რომელმაც მართლა ყველაფერი ჩადო ჩემში. და საზეიმოდ ეს წილი გადაუფორმებია სხვა მოწილეებზე... და დავტოვე ამ შემოსავლის გარეშე. ასე ვექცეოდი მე ჩემს ნათესავებს...“

ამას წინათ, ჩემი კოლეგების მშვენიერი ნამუშევარი ვიხილე ამ თემაზე და ამიტომ ჩვენს მკითხველს მათ არგუმენტებს შევთავაზებთ:

„ნიუსპრესი“ დაინტერესდა როდის და რა ვითარებაში გასხვისდა ექსპრეზიდენტის ბებიის წილი. როგორც აღმოჩნდა, სააკაშვილის მიერ მოყვანილი არც ერთი გარემოება სინამდვილეს არ შეესაბამება.

1. „ბებიაჩემს - მზია წერეთელს ბაბუაჩემმა გივიმ დაუტოვა ერთ-ერთი რესტორნის 15 % წილი“- ბრძანებს ექსპრეზიდენტი.

საჯარო რეესტრში განთავსებული დოკუმენტაციის მიხედვით, გივი ბაბუა, სინამდვილეში რესტორან „წისქვილის“ 78, 75% -იანი წილის მფლობელი ჯუმბერ მაღლაკელიძეა, რომელმაც 2009 წლის 3 აგვისტოს საკუთარი წილიდან 10%, პრეზიდენტის ბებიას 44 843 ლარად მიჰყიდა. პრეზიდენტის ბაბუა გივი ალასანია კი ბევრად უფრო ადრე, 2007 წლის ივლისში გარდაიცვალა. საინტერესო ფაქტია, რომ მაღლაკელიძისგან იმავე დღეს 10% იყიდა ვინმე ელისო ნარსიამასაც.

2. „ საბოლოოდ ეს წილი უსასყიდლოდ სხვისთვის გადავაფორმებინე და დავტოვე ამ შემოსავლის გარეშე“ - აცხადებს სააკაშვილი.

პრეზიდენტის ბებია რესტორნის წილს 2009 წლიდან ფლობდა, შემდეგ, 2013 წლის 4 ივლისს კი, მისი გაყიდვა გადაწყვიტა. იმავე დღეს გასხვისდა ელისო ნარსიას 10%-ც. მყიდველმა ლაშა ჩხაიძემ 20%-ში 113 888 ლარი გადაიხადა.

3. „და დავტოვე ამ შემოსავლის გარეშე. ასე ვექცეოდი მე ჩემს ნათესავებს“- ბრძანებს ექსპრეზიდენტი.

შემოსავლის გარეშე დარჩენილმა მზია წერეთელმა 2013 წლის 24 ოქტომბერს, ვაკეში, ჭავჭავაძის N 37-ში მშენებარე ბინაში 197 კვ.მ ფართობი შეიძინა.



სინანული მერაბიშვილისადმი

ამ ინტერვიუში, რომლის გარშემოც ახლა ვმსჯელობთ, სააკაშვილი არაერთხელ ახსენებს ვანო მერაბიშვილს, მიუხედავად იმისა, რომ მისმა აშკარა გამიჯვნამ ყოფილი თანამებრძოლის მიმართ, უკანასკნელ პერიოდში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია პოლიტიკურ, თუ საექსპერტო ისტებლიშმენტში... თუმცა, რამდენად გულწრფელი იყო მისი განცხადება, როგორც თავად აცხადებს, საკანში გამომწყვდეული მეგობრის მიმართ, ამას მოგვიანებით თავადვე ხსნის, რა თქმა უნდა, უნებლიედ...

საქმე ე.წ. ფოტოგრაფების საქმეს შეეხება. ამის შესახებ ამ ინტერვიუში სააკაშვილი აცხადებს: „ფოტოგრაფების საქმით დავინტერესდი, იმიტომ, რომ იქ იყო ჩემი პირადი ფოტოგრაფი, დღემდე ეჭვები მაქვს, რომ იქ არ იყო ყველაფერი სუფთად გაკეთებული. ისიც ეჭვის დონეზე დავინტერესდი“...

თუ სააკაშვილი დღემდე ატარებს ეჭვს, მაშინ მას კარგად უნდა ახსოვდეს, რომ ეს საქმე მერაბიშვილის თაოსნობით წარიმართა და სწორედ ის არწმუნებდა სააკაშვილს, რომ მის გარშემო ყველა შპიონი და გამყიდველი იყო. გამოდის, რომ ეჭვი მას მერაბიშვილის მიმართ აქვს? მაშინ სად ქრება სინანული, რომელსაც ასე გვახვევს თავს ყოფილი პრეზიდენტი?

„ქართუ ბანკის“ საქმე

„ბიძინა ივანიშვილი არ იყო მაშინ ბიძინა ივანიშვილი. ბიძინა ივანიშვილი იყო პუტინი თავისი 2 მილიარდით... 2011-ში, ივნისში, მე და ლევან ვაშალომიძე ვხვდებოდით რუსეთში მოღვაწე ერთ-ერთ ქართველ ბიზნესმენს, რომელიც დაახლოებული იყო რუსულ წრეებთან, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი ინვესტორია ბათუმში. ინვესტორი მაშინ ჩვენთვის ღმერთი იყო... ეს კაცი წავიყვანეთ რესტორანში, ცოტა შეზარხოშდა და თქვა, ბიჭებო, ჩვენ მალევე მოვაგვარებთ ყველაფერს. ახლა ველაპარაკე კუდრინს, კუდრინი იყო პუტინთან, ყველაფერი მალე მოგვარდება, ერთი პრობლემაა, რომ თქვენ უნდა წახვიდეთ ჩრდილშიო. ყველაფერი გადაწყვეტილია, ვლადიმერ ვლადიმეროვიჩმა უკვე ყველაფერი გადაწყვიტა. რუსულად ლაპარაკობს, აფხაზეთიდან არის ლტოლვილი. უკვე შევარჩიეთ ძალიან მაგარი ცნობილი ბიზნესმენიო, ყველა ვალდებულება აიღოო, ყველა ინსტრუქცია აქვს, როგორ იმოქმედოსო, ჯერ არ გამოჩენილა, მაგრამ ახლა გამოვა არენაზეო. და ოქტომბრის დასაწყისში, ზუსტად მაშინ, როდესაც სარკოზი ჩამოდის საქართველოში, ორი დღით ადრე, ივანიშვილმა გამოაცხადა, რომ შემოდის პოლიტიკაში. დამთხვევაა? ძალიან ბევრი დამთხვევა ხომ არ არის? ამიტომ ჩვენ გაგვაჩნდა საფრთხის განცდა და ჩვენ მიგვაჩნდა, რომ რუსული ფულისთვის უნდა დაგვეყენებინა ბარიერები... კი, გამოყენებული იქნა მაქსიმალური მეთოდები, რომ შეგვეჩერებინა ეს ყველაფერი. ბანკის გაკოტრება რომ გვდომოდა, ერთ დღეში გავაკოტრებდით. ბანკის გაკოტრება არ მოვინდომეთ, რადგან მას ჰყავდა ჩვეულებრივი მეანაბრეებიც... მთავრობისთვის ბანკის გაკოტრება არის ერთი განცხადების საკითხი. რომ ვთქვათ, რომ ამ ბანკში აღარ ჩავდოთ ფული, რადგან ბანკს არ აქვს მომავალი, საბანკო სისტემა ძალიან მგრძნობიარეა პოლიტიკური ზეწოლის მიმართ. არავის არასდროს ეს არ უთქვამს...“

2012 წლის ზაფხულში მაკკეინმა, რომელიც თბილისში იყო ჩამოსული, განაცხადა: „ჩვენ შევამოწმეთ დავრწმუნდით, ბიძინა ივანიშვილის უკან არავითარი რუსული ფული არ დგას. ძნელი საფიქრებელია, რომ ეს განცხადება მან მხოლოდ მოჭარბებული გულწრფელობით გააკეთა, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს არის ადამიანი, რომელიც სააკაშვილის ერთ-ერთი გულითადი მეგობარია და ამასთან მკვეთრად გამორჩეული ანტიპუტინისტი.

ელის კარვებით გადაკეტვა, მაშინაც კი, როდესაც საქართველოს იმ წლის 20 ივლისს ბაიდენი ესტუმრა, აღლუმზეც კი უარი თქვა, აბსოლუტურ არაადეკვატურობად მოგვეჩვენება მისი 2007 წლის 7 ნოემბრის დილის ისტერიკა - ესენი თბილისს ისევ კარვების ქალაქად აქცევენო. ზოგიერთი ექსპერტი მის ბრძანებას, გასწორებოდნენ რუსთაველზე მყოფ რამდენიმე მოშიმშილეს, ესკალაციად აფასებს... ყველაფერი კი -„იმედის“ დახურვით დაიწყო...

მაშინდელი კულუარებიდან შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ როდესაც სპეცნაზი ტელევიზიაში შევარდა, ამ ფაქტმა თვითონ სააკაშვილის გუნდის წევრებიც კი გააოგნა. ფაქტი კი ერთია, რომ არა იმედზე განხორციელებული შტურმი, სააკაშვილს გადადგომა ნამდვილად არ მოუწევდა... ამდენად, ობიექტურად გაჩნდა მოსაზრება, რომ მიუხედავად არცთუ უსაფუძვლო ეჭვისა, პატარკაციშვილის „ფეესბესთან“ შესაძლო ურთიერთობაზე, დანარჩენი ყველაფერი მიშამ თავად გააკეთა...

ნინო ქადაგიძისგან მოთხოვნილი ფული (?!)

„როცა ზურაბი გარდაიცვალა, რამდენიმე ხანში უცნაური რაღაცების ლაპარაკი დაიწყეს, მისმა ძმამ, მეუღლემ... და მეუღლეს ვთხოვე ჩემთან მოსულიყო. მოვიდა. ვუთხარი, შენ ხომ იყავი ადგილზე, ნახე ყველაფერი, ყველაფერს

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„დაპირისპირება მუდმივად იყო სააკაშვილსა და ზურას შორის, ეს არავისთვის დამალული არ ყოფილა“

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

ზურაბ ჟვანიას ოჯახის წევრებმა გამონაკლისი ყოფილი პრეზიდენტის გამო დაუშვეს, დუმილი დაარღვიეს, სააკაშვილს პასუხი გასცეს და ხელახალი მორატორიუმი საქმის გამოძიების დასრულებამდე გამოცხადდა. ჟვანიას მეუღლე, ნინო ქადაგიძე კატეგორიულად უარყოფს სააკაშვილის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ის ფულს სთხოვდა მაშინდელ პრეზიდენტს. გარდაცვლილი პრემიერის ქვრივი ფულის გამო მკვლელობის ვერსიას განიხილავდა და ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, სადაც მან ფულზე ისაუბრა სააკაშვილთან. სამაგიეროდ ქადაგიძე იხსენებს სააკაშვილთან საუბრის დეტალებს, სადაც მაშინდელი პრეზიდენტი გამოძიების დეტალებით არდაინტერესების სანაცვლოდ ყველაფერზე თანახმა იყო. სწორედ ამ „გაფრთხილების“ შემდეგ გაუჩნდათ საქმის დეტალების გარკვევის სურვილი ოჯახის წევრებს და ირწმუნებიან, რომ ძიება მრავალწლიანი მსვლელობის შემდეგ მაქსიმუმ რამდენიმე თვეში დასრულდება.

გოგლა ჟვანია:
„მათ სურდათ, რომ ჩვენ არ გვქონოდა სურვილი ამ საქმის ქექვის, დაიწყებთ ქექვას და ცუდ რაღაცას ამოქექავთო“

გოგლა ჟვანია, ზურაბ ჟვანიას ძმა:

– შემიძლია გითხრათ, რომ ეს ამბავი დიდხანს არ გაგრძელდება. კონკრეტული თარიღის თქმა არ შემიძლია, მაგრამ რამდენიმე თვეში გამოძიება დასრულდება და ყველაფერს შესაბამისი პასუხები გაეცემა. მიუღებელია, ზოგადად, სააკაშვილის უზნეობა და უტიფრობა, რომ შეუძლია ასე ყველაფრის ლაპარაკი ამ ვითარებაში. ყველა ადამიანისთვის არსებობს რაღაც ზნეობრივი ადამიანური ზღვარი, რომელსაც არ უნდა გადახვიდე ყველაზე დაპირისპირებულ ადამიანთანაც კი, სააკაშვილისთვის ასეთი ზღვარი არ არსებობს. ეს ადამიანი ყველაფერს კადრულობს. დაპირისპირება მუდმივად იყო სააკაშვილსა და ზურას შორის, ეს არავისთვის დამალული არ ყოფილა, ამის ბევრი ფაქტიც არსებობს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ზურამ მოიყვანა სააკაშვილი პოლიტიკაში. ამის მიუხედავად, სააკაშვილმა შემდეგ შექმნა ნაციონალური მოძრაობა, გამოეყო ზურას პარტიას და აქტიურად იბრძოდა მის წინააღმდეგ. 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ პროცესი მიმდინარეობდა ძალიან დაპირისპირებულ ფონზე ამ ორ გუნდს შორის. უმეტესწილად ეს დაპირისპირება და აგრესია მოდიოდა სააკაშვილის გუნდიდან, რომელიც გაგრძელდა მაშინ, როდესაც ზურა უკვე პრემიერ-მინისტრი იყო. შორს არ წავალ, ერთ კონკრეტულ ფაქტს გაგახსენებთ, როდესაც ოქრუაშვილი ბარამიძის დაჭერას აპირებდა. მაშინ ოქრუაშვილი ძალისმიერ ქმედებებში სააკაშვილის ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი მინისტრი იყო, ბარამიძე მაშინ ზურას გუნდის წევრი იყო. ეს იყო ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი, რა ურთიერთობა იყო შიგნით სააკაშვილისა და ზურას გუნდებს შორის, თუმცა იყო კიდევ უფრო მძიმე ფაქტი, რომელიც ღიად არ ჩანდა.

– ამბობდნენ კიდეც, რომ ბატონი ზურა ოპოზიციაში გადასვლას აპირებდა მაშინ...

– ნამდვილად არ ვიცი, ზურა აპირებდა თუ არა ოპოზიციაში გადასვლას, ამაზე საუბარი მაშინ ზურასთან არ მქონია. შეიძლება ნინოსთან ჰქონდა კიდეც მსგავსი რამ ნათქვამი.

– იყო ასევე ინფორმაცია, რომ მაშინ სააკაშვილის წინააღმდეგ სახელმწიფო გადატრიალება ფინანსდებოდა და ამას პატარკაციშვილთან აკავშირებდნენ.

– პატარკაციშვილთან მე ვიყავი შტაბში არჩევნების დროს და დაფარული არაფერი ყოფილა. ჩემი მოღვაწეობის პერიოდში არც ერთხელ არ ამიღია თანხა მისგან. რაც შეეხება გადატრიალებას, თუ რამე ფინანსდებოდა, მაშინ მათ ხელში იყო ყველაფერი, საქმეც აღძრული ჰქონდათ და გაეკონტროლებინათ. სხვათა შორის, მაშინ მოვითხოვე კიდეც დაკითხვა, განვაცხადე პატარკაციშვილთან ვმუშაობ, დამიბარეთ, დამკითხეთ გადატრიალებასთან დაკავშირებით, იქნებ რამე ვიცი და გეტყვით-მეთქი.

– ბარამიძეზე განაცხადეთ, მისი გუნდის წევრი იყოო, თუმცა მოგვიანებით სწორედ მის მიმართ გაჩნდა ყველაზე მეტი კითხვა...

– თავიდან მეც ბევრი კითხვა მქონდა. ბარამიძესთანაც, ხარშილაძესთანაც ვისაუბრე, ძაძამია საერთოდ ჩაწერილი მყავს, თუმცა დიდი ხანია მათთან არანაირი ურთიერთობა აღარ მაქვს. თავიდან სააკაშვილსაც შევხვდი ორჯერ. ვთხოვე, რომ ჩამოეყვანა უცხოელი ექსპერტები, მაგრამ არაფერი არ გააკეთეს, პირიქით, რასაც ჩვენ ვეტყოდით, რაზეც ჩვენ ეჭვი გვიჩნდებოდა სწორედ იმის გადაკეთებას იწყებდნენ. სწორედ ამიტომ შევწყვიტეთ მათთან ურთიერთობა. რაც შეეხება ბარამიძეს, თავიდან ის ზურას გუნდის წევრი იყო, შემდეგ გახდა სააკაშვილის გუნდის წევრი, რა ეტაპზე მოხდა ეს, არ ვიცი. ამის მიზეზებზე შეიძლება თავად ბარამიძემ ისაუბროს ოდესმე, ან გამოძიებიდან გავიგოთ დეტალები.

„საფრთხეზე ძირითადად დედაჩემი ლაპარაკობდა და მე და ზურა გამუდმებით ვამშვიდებდით“

– ხათუნა გოგორიშვილმა განაცხადა, რომ სწორედ ზურას მეუღლე იყო საქმის დასრულებისა და გასაჯაროების წინააღმდეგი, მართლაც იყო ოჯახის მხრიდან მსგავსი მოთხოვნა?

– არა, ეს არის ტყუილი. თუნდაც გაიცნობიერეთ სააკაშვილის განცხადება, როცა განაცხადა, ზურას დედასთან იმიტომ არ მივდიოდი, არ შემეძლო, ნინოს სიტყვების შემდეგ ეს ბარიერი გადამელახაო. ამის შემდეგ თქვენ გჯერათ, რომ ნინოსთან გასაჯაროებაზე საუბარი შედგა და მის სიტყვებს დაუჯერა? გასაჯაროებაზე ეს ადამიანები გამუდმებით აკეთებდნენ მინიშნებებს და დღესაც იგივეს აგრძელებენ, სინამდვილეში არაფერი არ არის და ვერც იქნებოდა. ეს არის მათი ბინძური პიარის ნაწილი, რომელიც ძალიან მალე დასრულდება. სააკაშვილის მიზანია, ზურას საქმე სამართლებრივი ჩარჩოებიდან გამოვიდეს და შეიძინოს პოლიტიკური ელფერი, შეიქმნას ისეთი გარემო, თითქოს მათ მიმართ პოლიტიკური ანგარიშსწორება ხდება. მეორე მხრივ, ის ყველა მეთოდით ცდილობს ზურას ოჯახის დისკრედიტაციას და არამარტო ოჯახის. ის ცდილობს, ყველას დისკრედიტაცია მოახდინოს, ვინც მისთვის არასასურველ პოზიციაზე იმყოფება. მათ სურდათ, რომ ჩვენ არ გვქონოდა სურვილი ამ საქმის ქექვის, დაიწყებთ ქექვას და ცუდ რაღაცას ამოქექავთო. თავიდან, ბუნებრივია, არ ვიცოდით ყველა დეტალი, ხმები ნელ-ნელა, თანდათან მოვიდა ჩემამდე და როდესაც დეტალები გავიგე, სწორედ ეს გახდა ჩემთვის მთავარი არგუმენტი, რატომაც დავიწყე ინტენსიური ქექვა ამ საქმის.

– საფრთხეზე საუბრობდა ხოლმე სახლში ბატონი ზურა?

– საფრთხეზე ძირითადად დედაჩემი ლაპარაკობდა და მე და ზურა გამუდმებით ვამშვიდებდით, თუმცა ამ საფრთხის განცდა მუდმივად გვქონდა.

– განაცხადეთ, რომ ექსპერტები გამოჩნდნენ უცხოეთიდან, შესაძლებელია, რომ ექსჰუმაცია საჭირო გახდეს?

– თუ გამოძიების მსვლელობისას საჭირო გახდება, ექსჰუმაცია ჩატარდება. წინა გამოძიების დროს ორგანოებთან და ნივთმტკიცებებთან დაკავშირებით სრულყოფილი ექსპერტიზა არ ჩატარებულა. ახლა ჩატარდება. უკვე მიმდინარეობს უცხოელ ექსპერტებთან მოლაპარაკება, ისინი მალე ჩამოვლენ, წინასწარ ვერაფერს ვიტყვი. ბუნებრივია, გამოძიებას სააკაშვილისგან სურს ინფორმაციის მიღება, ეჭვი მეპარება, რომ სააკაშვილი ამას გააკეთებს.

– პარალელები გაივლო საჯაიას, სანაიასა და ჟვანიას გარდაცვალების ფაქტებს შორის, თქვენ ხედავთ საერთოს ამ სამ შემთხვევას შორის?

– შეიძლება ფონი იყოს საერთო, დანარჩენი არ ვიცი. მე პირადად ზურას საქმის დეტალები ვიცი და დანარჩენის – არა. თუმცა ზოგადად იმ შემთხვევებშიც ვრცელდებოდა ეგრეთწოდებული დელიკატური ხმები და ჟვანიას შემთხვევაშიც. დელიკატური თემები არსებობდა თავიდან, ზოგადად, ასე ხდება ხოლმე, საბჭოთა უშიშროების საყვარელი მეთოდი იყო და შემდეგ უკვე ჩვენი სპეცსამსახურების, რომ ადამიანებს ნაკლებად ექექათ დეტალები. ჩემთვის ეს დეტალი, პირიქით, სტიმული გახდა. მე და ჩემს ძმას ერთ ოთახში გვეძინა 25 წლის განმავლობაში, სანამ მე ცოლს მოვიყვანდი, ამიტომ როდესაც ასეთი ხმები დაირხა, ჩემთვის ეს კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტი გახდა, რომ სულ სხვა რაღაცას ჰქონდა ადგილი რეალურად.



„დელიკატური თემები არსებობდა თავიდან, ზოგადად, ასე ხდება ხოლმე, საბჭოთა უშიშროების საყვარელი მეთოდი იყო და შემდეგ უკვე ჩვენი სპეცსამსახურების, რომ ადამიანებს ნაკლები ექექათ დეტალები. ჩემთვის ეს დეტალი, პირიქით, სტიმული გახდა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ არის ირაკლი ალასანიას ფავორიტი ქალი

თავდაცვის მინისტრის ხმაურიანი საქმეები

ქეთი ხატიაშვილი

ეს უკვე მეტისმეტია. ამდენი მოწამვლა ჯარში, ალბათ, უკვე სერიოზულ შეშფოთებას უნდა იწვევდეს, თუმცა, მედიის გარდა, ამ ინფორმაციებზე რეაგირებას, თითქოს არავინ აკეთებს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს სანამ ირაკლი შორს დგას პოლიტიკისგან, მანამდე ამის გახსენება არც არავის დასჭირდება. თუმცა, ვის უნდა დასჭირდეს? თითქმის ყველა დარღვევას უწყებაში ისევ თავად ირაკლი ალასანიას დაქვემდებარებაში მყოფი უწყება იძიებს. მაინც ასეა.

ირაკლი ალასანიას ფანები ირწმუნებიან, რომ ბაჩო ახალაიას დროს ჯარში გაცილებით უარესი ვითარება იყო, თავად ირაკლი ალასანია კი ხშირად ამაყად ჩამოყვება ხოლმე, რა წარმატებული რეფორმები გაატარა სამინისტროში. ალასანიამ იმდენად წარმატებულად გამოაცხადა თავი, რომ არც იმას მოერიდა, ეთქვა, როგორ აპირებს საკუთარ წარმატებულ რეფორმებზე ელაპარაკოს სხვა ქვეყნებს, ვისაც ეს სჭირდება:



– სწორედ გამჭვირვალობისა და სისტემის გახსნის კუთხით ჩაითვალა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უკვე აქვს შესაძლებლობა, ექსპორტზე გაიტანოს რეფორმები. ჩვენ მივიღეთ სპეციალური წერილი NATO-ს გენერალური მდივნის მოადგილის მხრიდან და ვაპირებთ, უახლოეს მომავალში უკვე დავიწყოთ სემინარების ჩატარება იმ პარტნიორი ქვეყნებისთვის, რომელთაც სჭირდებათ ასეთი დახმარება. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის რეფორმები, რომელიც ერთი წლის განმავლობაში თავდაცვის სამინისტრომ განახორციელა, მზად არის, გავუზიაროთ მას, ვისაც აკლია ეს გამოცდილება.

ასეთი თავმდაბალი მინისტრი, ფაქტობრივად, არ გვახსოვს. თავდაჯერებულობა თავდაცვის მინისტრს არასოდეს აკლდა, არც მაშინ, როცა პირველად შედგა ფეხი სამინისტროში. მაშინვე განაცხადა, თვისობრივ რეფორმებს ვიწყებო.

და მას შემდეგ ჯარში ან ვიღაც იღუპება, ან მასობრივად იწამლებიან. ჯარისკაცების საკვებით მოწამვლის ფაქტს თავდაცვის სამინისტრო ყოველთვის მალავს ხოლმე. მხოლოდ ხმაურისა და სკანდალის ატეხის შემდეგ ადასტურებს, ისიც საკმაოდ მცირე მასშტაბით და უმნიშვნელო „დოზით“.

ერთ-ერთი ასეთი გაუხმაურებელი ფაქტი 24 მარტს მოხდა უფლისციხეში, ლოჯისტიკის სამხედრო ნაწილში. არსებული ინფორმაციით, 20-მდე სამხედრო პირს აღენიშნებოდა დიარეა. მოწამვლის მიზეზად „ვინეგრედის“ სალათი დასახელდა. სამხედროები მაიონეზით მოიწამლნენ.

მანამდე, მე-4 ბრიგადის შემთხვევა იყო. იქ150-მდე ჯარისკაცი მოიწამლა. როგორც Prime Time News-ს აცნობეს, მოწამლულია, ასევე, ალგეთის პოლიგონის 23-ე ბატალიონში 100-მდე ჯარისკაცი.

მოწამვლის მიზეზები არ ხმაურდებოდა. თავდაცვის სამინისტრო თავად ამ ფაქტსაც ასაიდუმლოებდა.

ალასანია „წარმატებულ“ რეფორმებს იმჩნევს, ჯარის პრობლემებზე – „აქ არ არის“.

თუ ეს შავი პიარია, როგორც თავად ალასანია ამბობს, მაშინ რატომ არ არის ის დაინტერესებული გამოძიებით? ის მაინც თქვას, ასეთ ხმებს მე და ჯარისკაცებს კი არა, ქვეყანას გვიყრიან, ნატო-ში რომ არ გავწევრიანდეთო. რაიმე რეაქცია ხომ უნდა ჰქონდეს თავდაცვის მინისტრს?

ისე ჩანს, თითქოს თავდაცვის მინისტრს ფუნქცია დაკარგული აქვს ალასანია ძირითადად საკუთარ რეფორმატორულ უნარებს აქებს და უცხოეთში დადის. რამდენიმე ხნის წინ მინისტრს სკანდალიც აუგორეს. ინტერნეტში ვიდეოც გავრცელდა, სადაც მინისტრი პარიზში ერთ-ერთ მანდილოსანთან ერთად იმყოფებოდა. სოცქსელებში მაშინვე დაიწყო თემის განხილვა. ზოგი ამბობდა, რომ ყველას აქვს პირადი ცხოვრება, ბევრმაც ყოფილი პრემიერი გაიხსენა, რომელიც ალასანიასა და სხვა მინისტრებსაც ერთგულებას ურჩევდა. მოკლედ, თითქმის ყველამ გამოთქვა საკუთარი მოსაზრება. კადრში თამარ ვალიშვილი ჩანს.

როგორც ჩანს, ის თავდაცვის მინისტრის ფავორიტია, რადგანაც სწორედ მისმა შპს-მ მოიგო რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდერი სამინისტროში. „არქიტექტორული ბიურო“ თავდაცვის ბალანსზე არსებულ არასაცხოვრებელ კორპუსებს რეკონსტრუქციებს ჩაუტარებს და კაპიტალურადაც გაარემონტებს. თავდაცვის სამინისტროსთვის ვალიშვილის შპს საპროექტო დოკუმენტებსაც ამზადებს. თამარი სწორედ ამ ტენდერში გამარჯვებული ფირმის დირექტორი და დამფუძნებელია. შესაძლოა, პარიზშიც ახალი ტენდერის დეტალებს განიხილავდნენ. ვისთვის როგორ.

თუმცა, ალასანიას თავი ისე უჭირავს, თითქოს ეს სკანდალები ჯარსა და ვიზიტებში, ტენდერებსა თუ კარიერაში, მას არ ეხება. მისი პოლიტიკური მსვლელობა ჯერ მხოლოდ მარცხია. მუშაობა მან ვერც სააკაშვილთან შეძლო და ვერც ივანიშვილთან. შეიძლება ითქვას, შევარდნაძის კორუმპირებული ვერტიკალი ერთადერთი იყო, სადაც ის თავს კომფორტულად გრძნობდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რომელ დეპუტატებს უმზადებს ხაფანგს საპარლამენტო უმრავლესობა?

ვინ გაიზიარებს როლანდ ახალაიას ბედს?

მარიამ ნადირაძე

შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლებამ პირველად გვაჩვენა, როგორია გუნდური თამაში. ეს მაშინ მოხდა, როდესაც საქმე დეპუტატის იმუნიტეტს შეეხო. როგორც კი იმუნიტეტი ბარიერი აღმოჩნდა სამართალდამცველებისთვის, რომლებიც ბოლოხანს აქტიურად ცდილობენ, უნიათოს იმიჯიდან ქმედითისა და ეფექტურის იმიჯისკენ გადანაცვლებას, პარლამენტმაც შემხვედრი ნაბიჯი გადადგა და კანონმდებლობაში არსებითი ცვლილების შეტანისკენ დაირაზმა.

მკითხველს თავს არ შევაწყენთ სამართლებრივი კოლიზიების კიდევ ერთხელ განმარტებებით, ვინაიდან ეს ჩემმა კოლეგამ „პრაიმტაიმის“ გასულ ნომერში უკვე შემოგვთავაზა. ამჯერად ერთად გავაანალიზებთ, რომელ დეპუტატს შეიძლება დაემუქროს პროკურატურის მხრიდან ბრალდებულად ცნობა ამა თუ იმ საქმეზე. ასეთი საქმეები კი, როგორც გვარწმუნებენ, საკმარისზე მეტი დაგროვდა.

სანამ მათ განხილვას შევუდგებოდეთ, ინფორმაციის დონეზე მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ, ვახტანგ ხმალაძემ შესაძლო ცვლილებებთან დაკავშირებით ასეთი განმარტება გააკეთა: „ცვლილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ორ მუხლში შედის, საიდანაც ამოღებული იქნება სიტყვა „საქართველოს პარლამენტის წევრი“, რომელიც პარტიზანული წესით იქნა შეტანილი 2010 წელს..

აქვე წარმოგიდგენთ ამ მუხლების შესაბამის პუნქტებსაც და მკითხველი თავად მიხვდება, რა დატვირთვა აქვს ამ ხსენებული სამი სიტყვის ამოღებას:

1. სისხლის სამართლებრივი დევნა ან/და სასამართლო განხილვა არ უნდა დაიწყოს, ან უნდა შეწერდეს, თუ საქართველოს პარლამენტმა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ თანხმობა არ მისცეს, შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის, მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე იმ ვადით, რა ვადაშიც პირს იცავს იმუნიტეტი;

2. საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის ბრალდებისთვის აუცილებელია საქართველოს პარლამენტის თანხმობა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ბრალდებისთვის აუცილებელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის თანხმობა. საქართველოს სხვა საერთო სასამართლოს მოსამართლის ბრალდებისთვის აუცილებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობა.

თუ ამ ორი ნორმიდან მითითებულ სამ სიტყვას ამოვიღებთ, სრულიად ადვილად მივხვდებით, რაზე თვლის ახალი ხელისუფლება - ეს იმას ნიშნავს, რომ პროკურატურას აღარ ექმნება რაიმე ბარიერი იმისთვის, რომ დეპუტატს ბრალი წაუყენოს. შესაბამისად, საფრთხეს ყველაზე მეტად ნაციონალი დეპუტატები გრძნობენ და შეიძლება ითქვას, არცთუ უსაფუძვლოდ.

ახლა კი შეგვიძლია ერთად გადავავლოთ თვალი იმ დეპუტატთა მოკლე ისტორიას, რის გამოც ისინი პროკურატურის ყურადღების ქვეშ მოექცნენ. დავიწყოთ როლანდ ახალაიათი, რომელიც პირველი მერცხალი აღმოჩნდა თავის კოლეგებში, ვის მიმართაც სამართალდამცველებმა ბრალის წაყენება გადაწყვიტეს: პროკურატურის განცხადებით, საქმე სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორად მუშაობის პერიოდში მის მიერ ჩადენილი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებს ეხება - საპროცესო გარიგების სანაცვლოდ, ახალაიამ ბრალდებულთა ახლობლებს ანაკლიის განვითარების ფონდის ანგარიშზე 150 000 ლარი ჩაარიცხინა თითქოსდა ქველმოქმედების მიზნით. თავის მხრივ ახალაია აცხადებს, რომ ეს საპროცესო შეთანხმება სამეგრელოში პატრიარქის რეზიდენციის ასაშენებლად გაფორმდა და თანხები იძულებით არავის გადმოურიცხავს. დეპუტატის განცხადებას საპატრიარქომ უპასუხა. საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ახალაიამ ზუგდიდში საეპისკოპოსო რეზიდენციის, ანაკლიაში კი სახლის აშენების შესახებ მზადყოფნა გამოთქვა, თუმცა აღნიშნული არ განხორციელებულა... სანამ ახალაიას მიმართ ბრალის წაყენებას გადაწყვეტდნენ, ის გასული წლის 25 დეკემბერს მოწმის სახით დასაკითხად დაიბარეს. ის არ გამოცხადდა...

გამოძიებას ღვინიაშვილთან კითხვები იმიტომ ჰქონდა, რომ დანაშაულის ჩადენის დროს ის ქალაქის პროკურორი გახლდათ...

საეჭვოდ დაემთხვა დეპუტატებისთვის იმუნიტეტის შემოძარცვა ჟვანიას საქმის გააქტიურებასაც. თუ გია ბარამიძე, მიხეილ მაჭავარიანი, ან ხათუნა გოგორიშვილი პროკურატურას აქამდე არ დაუკითხავს ამ საქმის ფარგლებში, სულაც არ არის გამორიცხული, რომ მათზე გაცილებით მეტი გათვლაა, ვიდრე ეს მოწმის სახით დაკითხვაა... ამდენად, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ახალაიას შემდეგ შემდეგი სწორედ ეს დეპუტატები იქნებიან, ან რომელიმე მათგანი მაინც...

თუ თვალს გადავავლებთ სამართალდამცველების მხრიდან ინტერესის გამოხატვის ინტენსივობას, თვალში ნამდვილად მოსახვედრი ხდება ინტერესი დეპუტატ გიორგი ღვინიაშვილის მიმართ: ის პროკურატურაში თავიდან გასული წლის თებერვალში დაიბარეს ბუტა რობაქიძის მკვლელობისა და მისი მეგობრების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საქმის გარემოებებთან დაკავშირებით მოწმის სახით ჩვენების მისაცემად, თუმცა არ გამოცხადდა. გამოძიებას მასთან კითხვები იმიტომ ჰქონდა, რომ დანაშაულის ჩადენის დროს ის ქალაქის პროკურორი გახლდათ. პროკურორი იყო ის მაშინაც, როცა სანდრო გირგვლიანი მოკლეს. ამ თემაზეც დაიბარეს ღვინიაშვილი გასული წლის ბოლოს, მაგრამ არც მაშინ გამოცხადდა. ამავე საქმეზე იმავე დროს კიდევ ერთი ნაციონალი დეპუტატის, კახა ბუცხრიკიძის მიმართ გაჩნდა კითხვები. ის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე იყო მაშინ, როდესაც ერთერთ დანესებულებაში სასჯელს გირგვლიანის მკვლელობისთვის გასამართლებულები იხდიდნენ და მათ კანონით აკრძალულ შეღავათებს აძლევდნენ. მეტიც, სასჯელაღსარულების დანესებულებასაც ატოვებინებდნენ.

ჩავლილი ამბავია, მაგრამ ტენდენციისთვის ამის გახსენებაც არ იქნებოდა ურიგო, როგორ დაიბარეს მოწმედ დასაკითხად, გიგი უგულავასთან ერთად, 2013 წლის 10 თებერვალს ლევან ბეჟაშვილი, გიორგი კანდელაკი და კობა ხაბაზი. მათ ჩვენება 8 თებერვალს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით უნდა მიეცათ, თუმცა დეპუტატებმა ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადეს.

უარი თქვა დაკითხვაზე ტარიელ ლონდარიძემაც, რომელსაც სამართალდამცველების კითხვებზე პასუხის გასაცემად გასული წლის 23 იანვარს ელოდნენ. დეპუტატი ფიქრობდა, რომ ეს, სავარაუდოდ, საქართველოს ყოფილი თავდაცვის ყოფილი მინისტრის საქმეს უნდა უკავშირდებოდეს: „ყოფილი სამხედრო მოსამსახურე ვარ, სხვა რაზე დამიბარებდა პროკურატურა?“ - განმარტავდა ლონდარიძე...

სამართალდამცველებისთვის საინტერესო უნდა ყოფილიყო დავით საყვარელიძის ჩვენებაც. მასთან კითხვები ფინანსურ პოლიციას გაუჩნდა. საქმე 2006 წელს რიყის პარკის გასხვისებას შეეხებოდა. იმ დროს საყვარელიძე მერიაში მუშაობდა. საპარლამენტო უმცირესობამ მაშინაც საგანგებო განცხადება გააკეთა და კვლავაც უარი შეუთვალა ივანიშვილის ხელისუფლებას, ვინაიდან სამართალდამცველების ინტერესი კვლავაც პოლიტიკურ დევნად შეაფასა. თუმცა ეს არ იყო ერთადერთი შემთხვევა... მას უწყება ერთი წლის წინათაც მიუვიდა სამცხე-ჯავახეთის პროკურატურიდან, მაგრამ ამჯერადაც წარუმატებლად.

სულაც არ არის გამორიცხული, საქმე გაცოცხლდეს, რომელიც დევნილებისთვის განკუთვნილ და საწყობებში გაფუჭებულ დიდი ოდენობის პროდუქტს შეეხებოდა. მაშინ სამართალდამცველების ობიექტივში კობა სუბელიანი მოექცა. არც ის დაჰყვა მათ ნებას...

ერთი სიტყვით, თუ მთვარეზე არ გავფრინდებით და შექმნილ რეალობას რეალურად შევაფასებთ, სურათი ყველასთვის ნათელი გახდება. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ პარლამენტში დაწყებულმა საკანონმდებლო ცვლილებამ ერთგვარად, ფსიქოლოგიური შედეგიც გამოიღოს და მოწმედ დაბარებულები უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ პროკურატურის მიწვევას მოწმის სახით, მით უმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ როლანდ ახალაიაც, მის მიმართ ბრალის წარდგენამდე უარს ამბობდა პროკურატურაში გამოცხადებაზე...

დაბოლოს, გუნდურმა თამაშმა, რომლის შესახებაც სტატიის დასაწყისში დავაანონსეთ, შესაძლოა კრახი იმ შემთხვევაში განიცადოს, თუ კანონში ცვლილებას ვეტოს პრეზიდენტი დაადებს, რაც უკვე გამოკვეთილი სახელისუფლებო დაპირისპირების ფონზე, სულაც არ არის გამორიცხული. ამ შემთხვევაში ქვეყანა სრულიად ახალ, გაცხადებულ რეალობაში გადავა. თუმცა, ეს უკვე, მოვლენათა განვითარების შესაბამისად, სულ სხვა სტატიის თემაა.

ეს იმას ნიშნავს, რომ პროკურატურას აღარ ექმნება რაიმე ბარიერი იმისთვის, რომ დეპუტატს ბრალი წაუყენოს

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დავით უსუფაშვილი კონსტიტუციას არღვევს?

EXCLUSIVE

რა პოზიციებს აფიქსირებს პარლამენტის თავმჯდომარე

ქეთი ხატიაშვილი

დავით უსუფაშვილი პარლამენტის სუსტი თავმჯდომარეა. ახლა ის პოლიტიკურ პროცესებზე ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს. ყოველ შემთხვევაში ახლა ასე ჩანს და სხვა ბევრი ფაქტორიც ამაზე მეტყველებს. მაგალითი ამ დონის პოლიტიკური ფიგურის „გასაფუჭებლად“ საკმარისია.

მაგალითად, მან ვერ მოახერხა მკაფიო პოზიციის ჩამოყალიბება მნიშვნელოვანი მოვლენების დროს. ირაკლი ფარცხალაძის დანიშვნისას, უსუფაშვილმა ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილება ასე შეაფასა: მე მას არც დავნიშნავდი და არც მოვხსნიდიო.

კიდევ უფრო გაუგებრად ჟღერდა მისი პოზიცია სააკაშვილის მოწმის სტატუსით გამოძახების შეფასებისას. პარლამენტის თავმჯდომარემ მაშინ თქვა: არც ვიწონებ და არც ვუწუნებ პროკურატურას სააკაშვილის დაბარებასო.

ეს განცხადება უსუფაშვილმა ბრიუსელში გააკეთა. არასაპარლამენტო ოპოზიციაში მიიჩნევენ, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ არც კი იცოდა პროკურატურის გეგმები სააკაშვილთან დაკავშირებით. ამიტომაც კომიკურად გამოჩნდა მისი თავდაჯერებული ტონი: დასავლეთში საქართველოს ხელისუფლებას დიდი მხარდაჭერა აქვს და ეს ჩვენ წარმატებებს მოგვიტანსო. ამის შემდეგ მას მოუწია გადაფარებოდა პროკურატურას და ეთქვა:

– მე პირადად არც ვიწონებ და არც ვუწუნებ პროკურატურას ამ გადაწყვეტილებას, ვინაიდან პროკურატურა იმისთვის არსებობს, რომ გახსნას დანაშაული, გამოიძიოს დანაშაული, ამასთანავე, ეს გააკეთოს ისე, რომ არ დაარღვიოს კანონი და არ შელახოს სხვისი უფლებები. ამ ჩარჩოში მოქმედ პროკურატურას ჩემგან, რა თქმა უნდა, აქვს მხარდაჭერა დანაშაულის გახსნაში. ძალიან მნიშვნელოვანია, არ დავივიწყოთ, შეცდომაში არ შევიდეთ, რომ ყოფილი პრეზიდენტის მიმართ დასმულია შეკითხვები, როგორც შესაძლო მოწმის მიმართ. ის არ არის ეჭვმიტანილი ან ბრალდებული კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში. ამასთანავე, ის საქმეები, რომელზეც პროკურატურა საუბრობს, მრავალი წელია, საზოგადოებისა და ყველა ჩვენგანის ინტერესის სფეროა, რომ დადგინდეს სიმართლე. ამიტომ, ეს ყოფილი პრეზიდენტი იქნება თუ მოქმედი, ყოფილი სპიკერი თუ მოქმედი თავმჯდომარე, თუ ვინმემ რამე ვიცით ამ საქმის თაობაზე და შეგვიძლია, ხელი შევუწყოთ ჭეშმარიტების დადგენას, მე მგონი, ეს უნდა გავაკეთოთ პოლიტიკური გართულებების გარეშე.

ეს ნიშნავს, რომ ის თითქმის აღარ არის პოლიტიკოსი და მისი როლი უკვე პოლიტიკური პროცესების შექმნა ან მართვა კი არა, არამედ სხვისი პოზიციების დაცვაა. ამ შემთხვევაში უსუფაშვილი მძევლის როლში უფროა, ვიდრე პოლიტიკოსის.

ამ ეტაპზე ასეა. უსუფაშვილის პოზიციები რბილი კი არ არის, არამედ გაუგებარი. რა კონდიციაა, როცა პოლიტიკოსი რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენის მიმართ ამბობს: არც ვიწონებ და არც ვიწუნებო.

მოკლედ, პარლამენტის თავმჯდომარე რთულ ვითარებაშია. ეს თავადაც კარგად ესმის. თუმცა, როგორც ვარაუდობენ, სხვაგვარად უსუფაშვილს არ შეუძლია.

თითქოს გიორგი მარგველაშვილი უფრო იყო აპოლიტიკური და გამოუცდელი, თუმცა, მანაც კი შეძლო პროტესტის გამოხატვა, თუნდაც მოწმის დაკითხვის წესზე, რასაც დავით უსუფაშვილმა ხელი უპრობლემოდ მოაწერა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ უსუფაშვილი უფრო მეტისთვისაა მზად, ოღონდ კი ბიძინა ივანიშვილთან ურთიერთობა შეინარჩუნოს. რაც მარგველაშვილმა საკუთარი პოზიციებისა და შეხედულებების გამო ვერ მოახერხა. მართალია, პრეზიდენტის პროტესტს არანაირი შედეგი არ მოჰყოლია და მოწმის დაკითხვის შესახებ კანონი გადაიდო – პრეზიდენტმა მას არც ვეტო დაადო, საბოლოო ჯამში, და ივანიშვილთან მეგობრულ ურთიერთობასაც დაემშვიდობა, თუმცა, დამოუკიდებელ ფიგურად დარჩა.

შესაძლოა, უსუფაშვილი მიიჩნევს, რომ მარგველაშვილს, როგორც არჩეულ პრეზიდენტს, პროტესტის გამოხატვის მეტი ფუფუნება აქვს.

პარლამენტის თავმჯდომარის წინააღმდეგ კამპანია პარლამენტში ნებისმიერ დროს შეიძლება დაიწყოს. თავის დროზე, მაგალითად, დიდი კამპანია იყო ჟვანიას გადასაყენებლად. მიზეზს ახლაც იპოვიან, პირველ რიგში კი, ნაციონალებთან კავშირის გამო. „ნაციონალური მოძრაობის“ არსებობა დღეს სწორედ რესპუბლიკელებს ჰბრალდებათ. სწორედ ისინი მოიაზრებიან ყოფილი ხელისუფლების პირველ მოკავშირეებად. თუმცა, ეს იარლიყი უფროა, მაგრამ, რადგანაც მიაკრეს, ესე იგი ნებისმიერ დროს შეუძლიათ „გაყიდონ“.

გეგმა ჯერ კიდევ გია ხუხაშვილმა გაახმოვანა, როცა „პრაიმტაიმთან“ საუბარში თქვა ნაცების არარსებობის შემთხვევაში, ოპოზიციას სწორედ „რესპუბლიკური პარტია“ დაიკავებსო. პარტია კი ძლივს მივიდა ხელისუფლებაში და ისევ ოპოზიციაში გადასვლა მათ გეგმებში სულაც არ შედის, ამიტომაც ახლა ისინი სანიმუშო მმართველი პარტიის როლს ასრულებენ.

ამიტომაც ახლა უსუფაშვილი მზად არის, ანტიკონსტიტუციური კანონი მეორედ მიიღოს და მეორედ შეზღუდოს კანონით პრეზიდენტის საკონსტიტუციო უფლები.

პირველი ასეთი შემზღუდველი კანონი, იურისტების განმარტებით, იყო საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ კანონში შესული ცვლილებები, ამჯერად კი პარლამენტმა განსახილველად მიიღო კანონპროექტი, რომელიც იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა და რის მიხედვითაც მარგველაშვილს მოქალაქეობის მინიჭების უფლებაც კი ეზღუდება. ეს პროექტი ჯერ მხოლოდ მარგველაშვილმა გააპროტესტა, დავით უსუფაშვილისთვის ამ ანტიკონსტიტუციურ პროექტზე რეაქცია არ ჰქონია. თუმცა, ალბათ, ის იტყვის: მე დავწერდი და არც დავწერდი ასეთ შემზღუდველ პროექტსო; ამით კონსტიტუცია ირღვევა და არც ირღვევა... მოკლედ, როცა არც იქით დგახარ და არც აქეთ, ვარიაცია თემაზე ბევრია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„დააპირეს ეროვნული გვარდიის შექმნა, თუმცა პროცესი ჯერჯეროობით დასრულებული არ არის“

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

მამუკა არეშიძე: „როდესაც ხალხში იარაღი გროვდება, ჩნდებიან ადამიანები, რომლებისთვისაც ქვეყნის მომავლისთვის ბრძოლა მეორადი საკითხი ხდება, უპირველესი კი – პირადი კეთილდღეობის შექმნა“

„სამწუხაროდ, მსგავსი ფაქტები ასეთი ტიპის რევოლუციის თანმხლები პროცესია“

ნებისმიერ რევოლუციას ნებისმიერ ქვეყანაში თან სდევს არასასურველი პროცესებიც. ეს გარდაუვალი შედეგი, როგორც წესი, გამონაკლისების გარეშე დგება ხოლმე. იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდა უკრაინაც. მართალია, იქ ყველასთვის საძულველი იანუკოვიჩი საკუთარი კორუფციული მთავრობით დაამარცხეს, მაგრამ რამდენიმეთვიანმა ბრძოლამ მაროდიორობის, დაყაჩაღების ფაქტებიც გამოიწვია. შედეგად კი ეროვნული გვარდიის სახელწოდებით სპეციალური მაკონტროლებელი ორგანოც იქმნება. პროცესი დაწყებულია, თუმცა ჯერ არ დასრულებულა. ექსპერტების განმარტებით, არასასურველ მოვლენებს უკრაინა მარტივად შეიძლება გადაახტეს იმ შემთხვევაში, თუ უკრაინის ახალი ხელისუფლება საქართველოს მძიმე წარსულს გაკვეთილად გამოიყენებს...

მამუკა არეშიძე, ექსპერტი:

– როდესაც უკრაინაზე ვლაპარაკობთ, უნდა გავიხსენოთ ჩვენი ქვეყნის ისტორიაც. ჩვენ ეს ყველაფერი უკვე გავიარეთ და ვაფრთხილებდით ჩვენს უკრაინელ კოლეგებს, რომ ადამიანებს, რომლებმაც უკრაინაში დღევანდელი სიტუაცია შექმნეს, რომლებმაც მაიდანის მთელი სიმძიმე საკუთარ თავზე გადაიტანეს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებოდათ. გარდა ამისა, უამრავი შეიარაღებული ადამიანი, რომელიც უკრაინაშია, საჭიროებდა გარკვეულ სტრუქტურაში მოქცევას. ამის გამო შეიქმნა სწორედ ეროვნული გვარდია. თავიდანვე ცნობილი იყო, რომ ამ ძალას უამრავი ისეთი ადამიანი მიეტმასნებოდა, რომელსაც მაიდანთან და უკრაინაში განვითარებულ მოვლენებთან არანაირი შეხება არ ჰქონია. სამწუხაროდ, ეს არ იქნა გათვალისწინებული. პრინციპში, უკრაინის დღევანდელმა ხელისუფლებამ აირჩია ხალხთან ბრძოლის გზა. მაგალითად, ერთ-ერთი აქტივისტის, საშა ბელის მკვლელობაც სწორედ ამ კონტექსტში მოხდა.

– ანუ მსგავსი ფაქტები უკრაინაში გახშირდება?

– სამწუხაროდ, მსგავსი ფაქტები ასეთი ტიპის რევოლუციის თანმხლები პროცესია. როდესაც ხალხში იარაღი გროვდება, ჩნდებიან ადამიანები, რომლებისთვისაც ქვეყნის მომავლისთვის ბრძოლა მეორადი საკითხი ხდება, უპირველესი კი – პირადი კეთილდღეობის შექმნა.

– ამის გაკონტროლება რამდენად რეალური და შესაძლებელია?

– ძალიან რთულია ამის გაკონტროლება, მაგრამ შესაძლებელია. თუმცა უნდა ითქვას, რომ უკრაინის დღევანდელი ხელისუფლების ქმედებები, დაცვის თვალსაზრისით, იმდენად გაუგებარია, რომ მე პირადად არ გამოვრიცხავ, პროცესის ლიკვიდაცია ვერ შეძლოს დღევანდელმა ხელისუფლებამ.

– მაშინ სადამდე შეიძლება ეს პროცესი მივიდეს?

– სადამდე შეიძლება გაგრძელდეს და იქამდე, სანამ არ გაჩნდება ძლიერი ხელი, რომელიც გააერთიანებს მთელ საზოგადოებას რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ და გარკვეულ კალაპოტში მოაქცევს მთელ ამ პროცესს.

– წელან აღნიშნეთ, ხალხის ხელში იარაღი არისო, შესაძლებელია ამ იარაღის რაოდენობის აღრიცხვა ან რაიმე ფორმით გაკონტროლება?

– იარაღის გაკონტროლება შეუძლებელია, რადგან იარაღის ნაწილი თავად დაარიგეს ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ნაწილი სამართალდამცავებს წაართვეს მომიტინგეებმა და ნაწილი, განსაკუთრებით დასავლეთ უკრაინაში არსებული არსენალებიდან წაიღეს. აქედან გამომდინარე, იარაღის გაკონტროლება შეუძლებელია. ჩვენ ეს ეტაპები გავლილი გვაქვს.

– „მხედრიონთანაც“ მოხდა ეროვნული გვარდიის შედარება...

– „მხედრიონი“ შავნაბადაზე დაახლოებით 48 კაცმა შექმნა. ესენი იყვნენ სამშობლოსთვის გულანთებული ადამიანები. პრინციპში, პირველ ეტაპზე ეს ადამიანები ყველაფერს აკეთებდნენ, რაც ქვეყანას სჭირდებოდა, შემდეგ მათი რიცხვი გაიზარდა და როდესაც „მხედრიონის“ ერთი ნაწილი საქართველოს მთლიანობისთვის იბრძოდა, მათთან მიტმასნილი ხალხი ყაჩაღობებით იყო დაკავებული. არამხოლოდ „მხედრიონი“, სხვა სამხედრო ფორმირებებიც იყვნენ მაშინ, მაგრამ ყველაზე მეტად „მხედრიონი ჩანდა“. „მხედრიონმა“ საქართველოსთვის ბრძოლაში 800-მდე ადამიანი დაკარგა. ზოგი ძმათამკვლელ ომში დაიღუპა, ზოგი – სამოქალაქო ომში, რაც საქართველოში ხდებოდა და ზოგი – რუსეთთან ბრძოლაში. მე „მხედრიონის“ აუგიც ვიცი და კარგიც

– თუმცა ფაქტია, რომ უარყოფითი იყო თავიდან ბოლომდე...

– უფრო მეტი უარყოფითი ისმოდა, თუმცა მათ ჩაატარეს რამდენიმე დაუვიწყარი შეტევა. ისიც უნდა ითქვას, რომ „მხედრიონი“ მთავრობის საბრძოლო ერთეული არ იყო, რადგან ის ნაკლებად ორგანიზებული იყო. დანაკარგიც ხშირ შემთხვევაში სწორედ არაორგანიზებულობის გამო ჰქონდა. თუმცა საბრძოლო თვალსაზრისით საკმაოდ მაღალი თვისებები ჰქონდათ. დღეს თუ უკრაინას რაიმე დასაყრდენი აქვს, სწორედ მარჯვენა სექტორია, რადგან მათი მორალური მდგომარეობა საკმაოდ მაღალია, ისინი მოტივირებულები არიან სამშობლოსთვის ბრძოლაში. მაგრამ ორგანიზებულობის თვალსაზრისით პრობლემურია და სწორედ ამიტომაც დააპირეს ეროვნული გვარდიის შექმნა, თუმცა პროცესი ჯერჯერობით დასრულებული არ არის.

– შეიძლება ითქვას, რომ უკრაინაში, ამ მხრივ, ჯერ კიდევ წინ არის მძიმე პერიოდი?

– რასაკვირველია, ეს პერიოდი გასავლელია, თუმცა ამ პერიოდის გავლა უკრაინას გაცილებით მოკლე დროში შეუძლია, თუ საქართველოს სამწუხარო გამოცდილებას გაითვალისწინებს, თუ სწრაფად შექმნის ეროვნულ გვარდიას და სწრაფად ჩააყენებს კალაპოტში პროცესს. ვინც არ დაემორჩილება ეროვნული გვარდიის შექმნის პროცესს, უნდა განიარაღდეს, ეს კი შესაძლებელია. ოღონდ ეს არ უნდა ხდებოდეს დაპირისპირების ხარჯზე, ეს უნდა ხდებოდეს მემარჯვენე სექტორის ხელმძღვანელობით. უკრაინის ხელისუფლებას საქართველოს მწარე გამოცდილებაზე აგებული პროპაგანდის წარმოების საშუალება აქვს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა სასჯელი ელის მიხეილ სააკაშვილს

„371-ე მუხლით ბრალის წაყენების შემდეგ უკვე შესაძლებელი იქნება, სააკაშვილზე ძებნა გამოაცხადონ“



ხათუნა მგალობლიშვილი

საქართველოს ექსპრეზიდენტმა გამოძიებასთან თანამშრომლობაზე უარის თქმით სისხლის სამართლის კოდექსის 371-ე მუხლი დაარღვია, რაც, ბუნებრივია, დასჯადია. უარის თქმის შემდეგ სააკაშვილმა საკუთარი შეცდომის გამოსწორება სცადა და იდეა გიგი უგულავას გააჟღერებინა: „როდესაც კონკრეტულ საკითხზე დაიწყება სასამართლო განხილვები, თუ მოსამართლე საჭიროდ ჩათვლის, რომ საჭიროა მიხეილ სააკაშვილის დაკითხვა, ამ შემთხვევაში საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მზად იქნება, „სკაიპის“ მეშვეობით მისცეს ჩვენება სასამართლოს, დარბაზში იქნება ხალხი და ჩართული კამერები, იქნება მოსამართლე და მხარეები“.

თუმცა სააკაშვილი ვერც ამ გადაწყვეტილებით თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, რადგან ცვლილება მოწმის დაკითხვის ახალი წესის შესახებ პარლამენტმა ცოტა ხნის წინ ორი წლით, 2015 წლის 31 დეკემბრამდე გადადო. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში სააკაშვილი საკუთარი გადაწყვეტილების ტყვეობაში მოექცა, რადგან ცვლილება პირველად სწორედ 2009 წელს მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განისაზღვრა, თუმცა მისი ამოქმედება რამდენჯერმე გადაიდო ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნის დროს.

ცვლილების ამოქმედების შემთხვევაში მოწმეს ეხსნებოდა ვალდებულება გამოძიების პროცესში მიეცა ჩვენება და შესაძლებელი ხდებოდა პირდაპირ სასამართლო პროცესზე დაკითხულიყო. შესაბამისად, დღეს ძალაშია ძველი წესი, რომლის თანახმადაც მოწმე ვალდებულია, ჩვენება გამოძიების ეტაპზე მისცეს, ნინაალმდეგ შემთხვევაში კი შესაძლოა უარს სამართალდამცველ ორგანოებში იძულებით მიყვანა მოჰყვეს, ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს.

ჩვენების მიცემაზე უარის თქმის გამო სააკაშვილს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. ეს სასჯელის მაქსიმუმია. სასამართლო პროცესის შედეგად, არ არის გამორიცხული, მას საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა დაეკისროს ან გამოსასწორებელი სამუშაოები. საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურის ყოფილი თავმჯდომარის, ირაკლი ბათიაშვილის განცხადებით, პროკურატურა, სავარაუდოდ, ამ მიმართულებით გააგრძელებს მუშაობას.

ექსპრეზიდენტის დასჯამდე კი ბათიაშვილი მიიჩნევს, რომ დაუყოვნებლივ უნდა შეიცვალოს საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელმაც ვერ უზრუნველყო საქართველოს სტრატეგიული პარტნიორების ინფორმირება სააკაშვილის დაბარებასთან დაკავშირებით. წარუმატებელ ნაბიჯზე ბათიაშვილი მთელ პასუხისმგებლობას სწორედ ფანჯიკიძეს აკისრებს და მიიჩნევს, რომ ხელისუფლება მის ჩასანაცვლებლად ბევრად კვალიფიციურ და პროფესიონალ კადრს შეარჩევს.

სხვათა შორის, „პრაიმტაიმი“ წინა ნომერში სწორედ საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით წერდა. ჩვენი ინფორმაციით, თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ სწორედ მაია ფანჯიკიძის ჩანაცვლება მოხდება ირაკლი ალასანიათი. აღნიშნულ ინფორმაციაზე ირაკლი ბათიაშვილი კომენტარის გაკეთებისგან თავს იკავებს. აცხადებს, რომ წინასწარ შეფასება, როგორი საგარეო საქმეთა მინისტრი იქნება თავდაცვის დღევანდელი მინისტრი, არასწორი იქნება.

ირაკლი ბათიაშვილი: „მაია ფანჯიკიძეს ქალამნები უნდა ჩაეცვა და ევლო ვაშინგტონშიც, ბრიუსელშიც და თუ საჭირო გახდებოდა, მოსკოვშიც“

ირაკლი ბათიაშვილი, „სახალხო კრებისა“ აღმასრულებელი საბჭოს წევრი:

– საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურის თავმჯდომარე ვიყავი და ჩახედული ვარ იურიდიულ საკითხებში, განსაკუთრებით სისხლის სამართლის საქმეებში. კანონი, რა თქმა უნდა, ყოველთვის გაძლევს ინტერპრეტაციის საშუალებას, მაგრამ ამ შემთხვევაში ერთმნიშვნელოვან საკითხთან გვაქვს საქმე. სააკაშვილი საჯაროდ აფიქსირებს, რომ უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე. პროკურატურა ვალდებულია, დაიწყოს გამოძიება ჩვენების არმიცემის საფუძველზე. ჩვენების მიცემაზე უარის თქმა სისხლის სამართლის კოდექსით, 371-ე მუხლის თანახმად, დასჯადია. კანონში პირდაპირ წერია, რომ მოწმის ან დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ვადით 120-დან 180 საათამდე, ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 4 წლამდე. ერთადერთ შემთხვევაში აქვს ადამიანს უფლება ჩვენებაზე უარის თქმის – როცა საქმე ეხება საკუთარ თავს, ოჯახის წევრს ან ნათესავს. დანარჩენ შემთხვევაში არანაირი გამონაკლისი არ არსებობს. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში ჩვენების მიცემისგან უარის თქმა სისხლის სამართლებრივი დანაშაულია. როდესაც სააკაშვილმა უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე, მიზეზად ის კი არ მოიყვანა, რომ ცუდად არის, ან საზღვარგარეთიდან არ უშვებენ, ან სხვა ობიექტური ფაქტორები. მან თავიდანვე თქვა, არ ჩამოვალ და ჩვენებას არ მივცემო. მოგვიანებით დისტანციურ ჩვენებაზეც უარი განაცხადა. პროკურატურას უკვე შეუძლია, დაიწყოს გამოძიება და 371-ე მუხლით ბრალი წაუყენოს. ამ ბრალის წაყენების შემდეგ უკვე შესაძლებელი იქნება, სააკაშვილზე ძებნა გამოაცხადონ. მე სუფთა იურიდიულ ენაზე გესაუბრებით. იურიდიულ პროცესს პოლიტიკა არ აინტერესებს. პოლიტიკური განხილვა აბსოლუტურად სხვა სფეროა. უკვე შემდეგ სასამართლოს გადასაწყვეტი იქნება, სააკაშვილს ბრალს წაუყენებენ, საზოგადოებისთვის სასარგებლო სამუშაოებს დააკისრებენ თუ გამოსასწორებელ სამუშაოებს.

– თქვენ განაცხადეთ, რომ შექმნილი სიტუაცია საგარეო საქმეთა სამინისტროს უწყების ცუდად მუშაობის ბრალია...

– ამერიკის შეერთებული შტატების განცხადება და რეაქცია საქართველოს ექსპრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის პროკურატურაში დაბარებასთან დაკავშირებით სიმართლეს თუ ვიტყვით, იყო საკმაოდ სერიოზული საყვედური საქართველოს მიმართ. შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება, თავის მხრივ, პირდაპირ მიგვანიშნებს, რა უსუსური და უხარისხოა ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაობა. არანაირი მოსამზადებელი სამუშაოები არ ჩაუტარებიათ, როდესაც პრეზიდენტს ასეთ უმძიმეს საქმეებთან დაკავშირებით იბარებ, რაღაც მოსამზადებელი სამუშაოები ხომ უნდა ჩაატარო? სამინისტროში უნდა ევარაუდათ, რომ ამ ნაბიჯს მოჰყვებოდა რეაქციები, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან, ასევე ქვეყნის გარედანაც. მაია ფანჯიკიძის უწყებას აუცილებლად უნდა მიეწოდებინათ ობიექტური, ადეკვატური ინფორმაცია იგივე სახელმწიფო დეპარტამენტისთვის. რატომ არ მიაწოდეს? შეიძლება დაეზარათ. შეიძლება საბოტაჟსაც აქვს ადგილი, არც ამას გამოვრიცხავ. არ მინდა დავიჯერო, რომ ადგილი აქვს შეგნებულ საბოტაჟს. ხელისუფლებაში, ალბათ, ფიქრობენ საკადრო ცვლილებებზე, მით უფრო საკვანძო თანამდებობებზე, იმედია, ისეთ კადრს დანიშნავენ, რომელიც საქმეს პროფესიონალურად და გონივრულად გაუძღვება. მაია ფანჯიკიძეს ქალამნები უნდა ჩაეცვა და ევლო ვაშინგტონშიც, ბრიუსელშიც და თუ საჭირო გახდებოდა, მოსკოვშიც. სწორედ ამ უწყების გამო, ჩვენი პროკურატურა საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. ჯერჯერობით ჩვენ ვხედავთ, რომ საგარეო ასპარეზზე მუშაობს მხოლოდ პრემიერი და პარლამენტის თავმჯდომარე და ამ ფონზე აბსოლუტურად გაურკვეველია, რას საქმიანობს საგარეო უწყება და მისი ხელმძღვანელი, მაია ფანჯიკიძე. საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან ჩვენ ვერ ვხედავთ ვერანაირ ქმედით ნაბიჯებსა და ზომებს მთელ რიგ გამოწვევებთან დაკავშირებით.

– თავად სააკაშვილმა განაცხადა, რომ მისი დაკავება ქვეყანას სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის...

– აბსოლუტურად მართებული და სწორი იყო პროკურატურის მიერ სააკაშვილის დაკითხვაზე დაბარება. ყველა ბრალდების დეტალი უმძიმესია: გირგვლიანის საქმე, კრიალაშვილისა და ოთანაძის საქმეები, „იმედის“ დარბევის საქმე... არ უნდა დაიკითხოს ამ ყველაფერზე? კიდევ უამრავი საქმეა, რაზეც, წესით, სააკაშვილი უნდა დაიკითხოს. თანაც მას ბრალს კი არ უყენებენ, არამედ საუბარია მოწმის სახით დაკითხვაზე. ეს ჩვეულებრივი რამ არის. ბევრჯერ მომიყვანია მაგალითები – ბერლუსკონიც დაუკითხავთ, ჟაკ შირაკიც და სარკოზიც და ქვეყანაზე არაფერს უმოქმედია. რაც შეეხება სააკაშვილის დაბარებას, ამან ქვეყანაზე უკვე იმოქმედა, ვინაიდან, სამწუხაროდ, საგარეო საქმეთა სამინისტრომ ვერ შეძლო ამერიკისა და ევროპის, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების ინფორმირება. ჰარიჰარალედ მიუდგნენ ასეთ სერიოზულ საკითხს და შესაბამისი შედეგიც მივიღეთ. ყველაფერი წინასწარ მომზადებული უნდა ყოფილიყო, წინასწარ უნდა მომხდარიყო პარტნიორების მომზადება, თუ რა საქმეები იყო, რატომ იყო აუცილებელი სააკაშვილის დაბარება, ჩვენმა საზოგადოებამ მშვენივრად იცის, რომ სააკაშვილის გარეშე არანაირი გადაწყვეტილების მიღება არ ხდებოდა ქვეყანაში, მით უფრო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების, როგორიც იყო თუნდაც „იმედის“ დარბევა, სხვა ბრალდებებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

„არ მინდა დავიჯერო, რომ ადგილი აქვს შეგნებულ საბოტაჟს“

– როგორ ფიქრობთ, როგორ წარიმართება პროცესი?

– ეჭვი მაქვს, რა ვითარებაც ახლა შეიქმნა, თვითონ პროკურატურაც გაურკვეველ მდგომარეობაში ჩაგდო საგარეო უწყებამ, ამიტომ ვფიქრობ, თავადაც არ იციან ჯერ, როგორ უნდა მოიქცნენ. დღეს პროკურატურას შეუძლია, ისეთივე ახალი ვარიანტი მოიფიქროს, როგორიც დისტანციური დაკითხვის შეთავაზება იყო.

– გამოდის, მთელი პასუხისმგებლობა საგარეო უწყებაზეა?

– ეს სამართლებრივი საკითხია და გადაწყვეტილება, წესით, პროკურატურამ უნდა მიიღოს. თუმცა ჩვენს ქვეყანაში არსებობს ძველი პრაქტიკა, რომელიც ჯერ კიდევ შევარდნაძის დროიდან მოდის. ასე გრძელდებოდა სააკაშვილის დროსაც – სამართლებრივი გადაწყვეტილებები განსაზღვრული იყო პოლიტიკური გადაწყვეტილებებით. წესით, ახლა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს არა ღარიბაშვილმა ან ბიძინა ივანიშვილმა, არამედ მთავარმა პროკურორმა. სამართლებრივად უნდა მიუდგნენ საკითხს და არა პოლიტიკურად.

– ამ მძიმე ფონზე, როგორ ფიქრობთ, რამდენად უარყოფითად იმოქმედებს სააკაშვილის ფაქტორი მისავე გუნდზე არჩევნებისას? ხომ არ შეძლებს ბურჯანაძის ახალი ერთობა, მესამე ადგილზე გადაწიოს „ნაციონალური მოძრაობა“?

– ჩემთვის საპრეზიდენტო არჩევნებზეც ნათელი იყო, რომ მიუხედავად შინაგანი ბიოლოგიური აუტანლობისა ერთმანეთის მიმართ, ნაციონალები და „ოცნება“ არჩევნების დროს მშვენივრად ძოვენ ერთად. ვფიქრობ, ახლაც იგივე სიტუაცია იქნება. ბუნებრივია, მათ შორის გარიგებას ექნება ადგილი, თუმცა, თუ ბურჯანაძის კოალიცია სერიოზულად იმუშავებს, ბევრ რამეს შეძლებს.

– მათ შორის მეორე ადგილზე გასვლასაც?

– რა თქმა უნდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რის სანაცვლოდ დუმდა ელენე თევდორაძე?

my View
მირიან ბოქოლიშვილი

მას პოლიტიკურ წრეებში ხუმრობით „ძველი დროის ნანა კაკაბაძესაც“ უწოდებენ... თუმცა კაკაბაძისგან განსხვავებით, მან ყოველთვის იცოდა, რა დროს სად და ვის გვერდით უნდა გამოჩენილიყო. ესაა, ალბათ, ერთადერთი თვისება, რაც ელენე თევდორაძეს ნანა კაკაბაძისგან განასხვავებს. თუ კაკაბაძე თავის ჯგუფთან ერთად ხმაურითა და ქაოსის შექმნით აპელირებს პატიმრების უფლებებით, ელენე თევდორაძე ამას წლების განმავლობაში თბილ კაბინეტში, სიგარეტით ხელში აკეთებდა და დიდი პრეტენზიულობითაც არ გამოირჩეოდა. ალბათ, გახსოვთ, კაკაბაძე პოლიტპატიმრების განთავისუფლების მოთხოვნით პირდაპირ პარლამენტში რომ ატირდა, – მეტი რა გავაკეთო, მეც მათთან ერთად ხომ ვერ „ჩავჯდებიო“? პარლამენტში აცრემლებულ კაკაბაძეს, ელენე თევდორაძე, ალბათ, ტელეეკრანიდან ადევნებდა თვალს, რადგან მან ეს გზა ერთხელ უკვე გამოიარა.. ეს იმ ავადსახსენებელ 90-იანებში იყო, როცა თევდორაძეც პარლამენტში აქვითინდა, რადგან პრეზიდენტი შევარდნაძე უარს ამბობდა თენგიზ კიტოვანის განთავისუფლებაზე.

ახლა რომ არ გამოუშვან, მოკვდებაო, – არწმუნებდა მაშინ საზოგადოებას თვალცრემლიანი თევდორაძე. მოგვიანებით კიტოვანი მართლაც გამოუშვეს და დღესაც თავს გადასარევად გრძნობს.

ჯერ შევარდნაძისა და შემდეგ სააკაშვილის მთავრობის დროს არსებული შეწყალების კომისიის უცვლელი თავმჯდომარე ბოლო დროს ზურაბ ჟვანიას საქმის ირგვლივ განვითარებულ პროცესებში აქტიურად ჩაერთო და მედიასთან იმ თემებზეც ალაპარაკდა, რომელზეც რატომღაც აქამდე პირში წყალი ჰქონია ჩაგუბებული. ლოგიკურია, რომ საზოგადოება ითხოვს, ექსპრემიერის გარდაცვალების რეალური მიზეზების დადგენას და ეს თემა დავას არ იწვევს, თუმცა იმავე საზოგადოებას, ალბათ, აინტერესებს პასუხი ერთ მარტივ კითხვაზეც – რატომ დუმდა აქამდე ელენე თევდორაძე? იძულებით? აშინებდნენ? იქნებ ფული?

ვერსია შეიძლება ბევრი იყოს, მაგრამ ფაქტი ერთია – ზურაბ ჟვანია 2005 წელს გარდაიცვალა, მას შემდეგ 6 წელი თევდორაძე სააკაშვილის ხელისუფლების მაღალჩინოსანი გახლდათ, მათ შორის ბოლო სამი წელი (2009-11) მინისტრის მოადგილე. ამ ხნის განმავლობაში ის უშურველად ირგებდა სააკაშვილის ხელისუფლებისგან ბოძებულ არცთუ ისე მცირე ხელფასს, საუბარია ათი ათასობით ლარზე. მისივე დეკლარაციიდან ირკვევა, რომ მხოლოდ 2011 წელს, რეინტეგრაციის მინისტრის მოადგილე ელენე თევდორაძეს ხელფასის სახით 65 ათას ლარზე მეტი აქვს აღებული, 2010 წელს – 55 ათასი, 2009-ში – 40 ათასი. პარალელურად, ბოლო დრომდე გახლდათ შეწყალების კომისიის უცვლელი თავმჯდომარე, ასევე მაღალი ანაზღაურებით.

საუბარია ათი ათასობით ლარზე... მხოლოდ 2011 წელს 65 ათასი ლარი აქვს მიღებული

დღეს აღარც სააკაშვილია ხელისუფლებაში და, შესაბამისად, აღარც თევდორაძე. ახალმა ხელისუფლებამ ის შეწყალების კომისიასაც ჩამოაშორა და მის ნაცვლად ამ ჯგუფს ჟურნალისტი ალეკო ელისაშვილი ჩაუყენა სათავეში. აღარც თბილი კაბინეტია და აღარც მაღალი ხელფასი. ახლა მხოლოდ ხმაურიანი განცხადებები და იმაზე წუწუნია, როგორ უნდოდა საქმის კეთება და საშუალებას არ აძლევდნენ; როგორ ცდილობდა გუნდის შიგნით გარღვევას და ვერ ახერხებდა; როგორ ავინროებდნენ და ა.შ და ა.შ. ამ სიმღერას, ვფიქრობ, საზოგადოება არათუ ელენე თევდორაძისგან, თვით ნინო ბურჯანაძისგანაც აღარ „ჭამს“. მოკლეს თუ არა ჟვანია, ამას გამოძიება დაადგენს. რჩება ერთადერთი ამოუხსნელი კითხვა – რატომ დუმდა ელენე თევდორაძე?

გულწრფელად შეიძლება გაუგო ოჯახის, მეგობრებისა და ახლობლების სურვილს, ერთხელ და სამუდამოდ ნათელი მოეფინოს, რას შეეწირა ექსპრემიერი, თუმცა გულწრფელობა რა მოსატანია მაშინ, როცა თბილ სავარძელში ზიხარ, იღებ მაღალ ხელფასს და მხოლოდ ამ ყველაფრის დაკარგვის შემდეგ გახსენდება, რომ შეიძლება ზურაბ ჟვანია ვიღაცას მოეკლა.

P. S. ელენე თევდორაძე ერთადერთი არაა, ვინც ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ წლების განმავლობაში მაღალ თანამდებობას ინარჩუნებდა და მეგობრის გარდაცვალების საეჭვო დეტალებზე ღიად მხოლოდ ახლა ალაპარაკდა. გასულ კვირას, ექსპრემიერის ოჯახის მიერ გამართულ პრესკონფერენციას, თევდორაძესთან ერთად, ესწრებოდა კულტურის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი დავით ოქიტაშვილი. ბოლო დეკლარაცია მან 2009 წელს შეავსო, ჟვანიას გარდაცვალებიდან 4 წლის შემდეგ, სადაც, როგორც ერთ-ერთი დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ასევე, სოლიდური ხელფასი ერიცხება. კარგი იქნება, ბატონ დავითსაც დაეზუსტებინა, გარდაცვალებიდან მერამდენე წელს გაუჩნდა კითხვები გამოძიების ოფიციალურ ვერსიასთან დაკავშირებით.

დაბოლოს, ზურაბ ჟვანიას ოჯახის მიერ გამართულ პრესკონფერენციას არაერთი ადამიანი გამოეხმაურა სოციალურ ქსელში, მათ შორის სალომე ზურაბიშვილიც, რომელიც წერს:

„დინჯი და ღირსეული განცხადება ნინო ქადაგიძისა და ზურაბ ჟვანიას დედის... მათ თხოვნას დავემორჩილები და სანამ გამოძიება არ დასრულდება და დასკვნა არ დაიდება, კომენტარებისგან თავს შევიკავებ... მაგრამ დასკვნის შემდეგ ხომ შესაძლებელი იქნება კითხვის დასმა იმ ორი „მეგობარი ქალბატონისთვის“, უკან მდგართათვის – ხათუნასა და ელენესთვის (იგულისხმება ხათუნა ხოფერია და ელენე თევდორაძე), ვინც ბოლომდე ემსახურებოდნენ სააკაშვილის რეჟიმს.... მეგობრის „საეჭვო პირობებში“ სიკვდილის შემდგომ???“



ინტერვიუ

my View
მირიან ბოქოლიშვილი

პროკურატურის მიერ გამოქვეყნებულმა იმ გახმაურებულმა საქმეებმა, რომლის ირგვლივაც მიხეილ სააკაშვილის დაკითხვა გახდა აუცილებელი, საზოგადოების ნაწილში გააჩინა მოსაზრება, რომ ხსენებული საქმეები გამოძიების ბოლო სტადიაზეა და მხოლოდ ექსპრეზიდენტის დაკითხვასღა საჭიროებს სრული სურათის შესაქმნელად. ეს ლოგიკურიცაა, თუმცა პროკურატურის ამ კლასიფიკაციას მოწინააღმდეგეები მათ რიგებშიც გამოუჩნდნენ, ვინც თავს დაზარალებულებად მიიჩნევენ. მათ შორისაა, 2004 წელს, წერეთლის გამზირზე სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი ბუტა რობაქიძის ოჯახიც. საზოგადოებასა და ჩვენს მკითხველსაც კარგად ახსოვს, რომ რობაქიძის საქმე იყო იმ ოთხ მთავარ საქმესთან ერთად, რომელიც ხელისუფლებაში მოსულმა „ქართულმა ოცნებამ“ იმთავითვე პრიორიტეტად გამოაცხადა, თუმცა სხვა საქმეებისგან განსხვავებით, ამ მიმართულებით ხელჩასაჭიდი სიახლე ჯერჯერობით არ ჩანს, საქმის სასამართლოში გაგზავნა კი კარგა ხანია, ჭიანურდება.

რა პრეტენზიები აქვს ბუტა რობაქიძის მამას გამოძიებასთან? ამ თემაზე „პრაიმტაიმი“ პირადად სოსო რობაქიძეს ესაუბრა. მას ჩვენ იმ გავრცელებულ ხმებზეც ვკითხეთ, რომლის თანახმადაც, მასა და რობაქიძის საქმეში ერთ-ერთ ბრალდებულ, შსს-ს ყოფილ მაღალჩინოსან ირაკლი ფირცხალავას შორის რობაქიძეების ოჯახში არცთუ დიდი ხნის წინ შედგა შეხვედრა. რა მიზნით და ვისი ინიციატივით სტუმრობდა ფირცხალავა რობაქიძეების ოჯახს? „პრაიმტაიმთან“ საუბრისას, თავად ფირცხალავა ამბობს, რომ შეხვედრა შუამავლის მეშვეობით თავად სოსო რობაქიძემ ითხოვა, „რის შემდეგაც დარჩა შთაბეჭდილება, რომ რობაქიძეს გაცნობიერებული ჰქონდა, რეალურად რა მოხდა იქ“. ამის მიუხედავად, მეორე დილით სოსო რობაქიძე პროკურატურას ტელეკამერების თანხლებით ესტუმრა და შვილის მკვლელობისთვის ფირცხალავას დაპატიმრება მოითხოვა... ესაა თავად ფირცხალავას ვერსია, თუმცა სხვა ვერსია აქვს სოსო რობაქიძეს.

ბუტა რობაქიძის მამასთან საუბარი, სააკაშვილის პროკურატურაში დაბარების თემით დავიწყეთ.

სოსო რობაქიძე:

– მე მგონი, საზოგადოებას ახსოვს, რომ რობაქიძისა და გირგვლიანის საქმე პრაქტიკულად იყო პირველი, რაზეც ხალხს პროტესტი გაუჩნდა. ბუტა მოკლეს 2004 წელს. პირველად სწორედ ამ საქმეებით დაინახა ხალხმა, რას წარმოადგენდა რეალურად სააკაშვილი და მისი რეჟიმი. ბუტა რას შეეწირა? სააკაშვილის მიერ გამოცხადებულ ნულოვან ტოლერანტობას. 10 საქმეზე კი არა, საქართველოში ამ წლებში რა უბედურებაც დატრიალდა, ყველაფერზე პასუხისმგებელი სააკაშვილია. კატეგორიულად არ ვეთანხმები კლასიფიკაციას – ამ საქმეზე უნდა დაიკითხოს და ამ საქმეებზე – არაო. სააკაშვილს უნდა მოეთხოვოს პასუხი რეჟიმის შექმნაზე და არა კონკრეტულ საქმეებზე. მას ნულოვანი ტოლერანტობა რომ არ გამოეცხადებინა, ჩემი შვილიც, ზურა ვაზაგაშვილიც და უამრავი ბიჭი დღეს ცოცხალი იქნებოდა. დიახ, თავიდან „ოცნება“ რომ მოვიდა ხელისუფლებაში, ოთხი საქმე გამოცხადდა პრიორიტეტად, მათ შორის ბუტას მკვლელობა. ახლა თუ ჰგონიათ, რომ ამ საქმეს თაროზე შემოდებენ, ძალიან ცდებიან. ამის უფლებას არ მივცემ არავის. თუ ვინმეს 18 წლის ბიჭის დახვრეტა ნაკლებ დანაშაულად მიაჩნია, ვიდრე პრემიერ-მინისტრის მკვლელობა, ძალიან ცდება. ჟვანია-სააკაშვილის დაპირისპირება სულ სხვა თემაა, პოლიტიკური სარჩული უდევს ამას და საბოლოოდ ერთ-ერთი შეეწირა. ბუტა კი სრულიად უდანაშაულო ახალგაზრდა პირდაპირ ქუჩაში დამიხვრიტეს და ეს არ არის პრიორიტეტი? ძალიან კარგად იცით, 2007 წელს რა მიზეზით დაიწყო საპროტესტო ტალღა, იქ ფიგურირებდა ბუტასა და სანდროს სახელები და არა ჟვანიისი. მე არ ვარ წინააღმდეგი ჟვანიას საქმის გამოძიების, მაგრამ მაშინ ჟვანიას სახელის ხსენებაც არ იყო.

– თქვენ ფიქრობთ, რომ ბუტას საქმე პრიორიტეტული აღარაა?

– ფაქტია, რომ 4 თვეა, ეს საქმე თაროზეა შემოდებული, არადა პირველივე ჯერზე ამას გამოვიძიებთო, იყო დაპირებები. კიდევ ვიტოვებ იმედს, რომ ხვალ ან ზეგ გადახედავს პროკურატურა ამ საქმეს, ჩვენი მოთმინების ვადა რომ ამოიწურება, უკვე სხვაგვარად ვიმოქმედებ. ძალიან ცუდია, საზოგადოებას რომ უყოფენ საქმეებს, ამაშია დამნაშავე და ამაში – არაო. ისევე როგორც სტალინი იყო პასუხისმგებელი და დამნაშავე იმდროინდელი რეჟიმის, სააკაშვილიც არის ასეთივე დამნაშავე, არა როგორც კონკრეტული საქმეების ფიგურანტი, არამედ მთლიანად რეჟიმის ავტორი.

– იქნებ საქმის გაჭიანურება იმის ბრალია, რომ ბრალდების არაერთმა მოწმემ ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებები მისცა, რაც საბოლოოდ მათი სისხლის სამართლებრივი დევნის საფუძველი გახდა...

– ჩვენებების შეცვლას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. იმ ცნობილ კადრებს ჩაუტარდა ექსპერტიზა, დასკვნაში პირდაპირ წერია, რომ კადრები არის სტუდიაში დამონტაჟებული. ირაკლი ფირცხალავა ამას უარყოფს, მაგრამ გადამოწმება ძალიან ადვილია. ნახეთ და წაიკითხეთ, რა წერია. ველოდებით მთავარ დასკვნას, რომელიც, დარწმუნებული ვარ, უარესი იქნება. აქ შემთხვევითი მკვლელობა გამორიცხულია. სხვათა შორის, ეს სტატისტიკა ჩახოცილ ბიჭებზე, პირადად ჩვენ, შვილმკვდარმა მშობლებმა მოვიძიეთ, ფეხით დავდიოდით და ვაგროვებდით ამ ინფორმაციას. დღეს

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბუტა რობაქიძის მამასთან



სოსო რობაქიძე:
„თუ საქმეების დახარისხება უნდათ, გადახედონ, საიდან დაიწყო ეს ყველაფერი, ჩემი შვილი რომ მოკლეს, ჟვანიაც ცოცხალი იყო, თუმცა არასოდეს არაფერი არ უთქვამს ამ თემაზე“

„მაგის გარდა, ჩემთან ერთად იყო ჩემი მეგობარიც, რომელთანაც ვიჯექი სუფრასთან და ისიც მოვიდა“

„ის, რაც აქამდე არ მიქნია, ახლა ვიზამ“

როდის და რატომ უმასპინძლა სოსო რობაქიძემ ბუტას საქმეში ბრალდებულ ირაკლი ფირცხალავას?

EXCLUSIVE

ბევრი რომ კეკლუცობს ჩახოცილი ბიჭების სახელით, თავის დროზე თითი თითზე არ დაუდია. კი ბატონო, იკეკლუცონ, მაგრამ მე საქმე დამანახონ. რატომ ხდებოდა ეს ყველაფერი? ქუჩა და ციხე უნდა დაეშინებინათ ამ ყველაფრით. გახსოვთ, ალბათ, იგივე ნავთლულის სპეცოპერაციის დროს რა დაატრიალეს. ამიტომ, უნამუსობაა, მხოლოდ 10 საქმე გამოყო სააკაშვილზე და მხოლოდ ამის გამო მოიწვიო პროკურატურაში, ისიც მხოლოდ მოწმის სტატუსით.

– სააკაშვილამდე მოწმის სტატუსით დაიკითხა მაშინდელი შს მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, თუმცა მის მიმართ გამოძიებას პრეტენზიები არ გამოუთქვამს...

– ოქრუაშვილი იყო ამ რეჟიმის პირველი პროკურორი, ის იყო შს მინისტრი ბუტას გარდაცვალების დროს. მის დროს დაიჭირეს და გაანადგურეს ძალიან ბევრი ადამიანი. უშუალოდ მისი ბრძანებით ჩაიდო მანქანაში იარაღი და გადამონტაჟდა ჩანაწერი. ვერ გაექცევა ეგ პასუხისმგებლობას. რაც შეეხება სააკაშვილს, ის არის ამ სისტემის ავტორი და უნდა დაისაჯოს არა კონკრეტულ საქმეებზე, არამედ ქართველი ხალხის გენოციდისთვის. თუ ის სამუდამოდ არ ჩასვეს ციხეში, უნდა მოხდეს მისი ლიკვიდირება. არ ვმალავ და პირდაპირ გეუბნებით ამას. რა თქმა უნდა, ოქრუაშვილმაც უნდა აგოს პასუხი და ეს არის ჩემი კატეგორიული მოთხოვნა. ოქრუაშვილმა გააყალბებინა ბრძანება დონაძეს, მისი ბრძანებით ჩადეს იარაღი. ოქრუაშვილ-ადეიშვილის წნეხის ქვეშ იყვნენ გამომძიებლები, რაც გამომძიებელმა მიქაბაძემ პირდაპირ აღიარა კიდეც. ახალ პროკურატურაზე ყოველთვის კარგს ვამბობდი, რადგან დრო მქონდა მიცემული, მაგრამ ეს დროც ნელ-ნელა იწურება. ვხედავ რომ საქმე გაჩერებულია. თუ საქმეების დახარისხება უნდათ, გადახედონ საიდან დაიწყო ეს ყველაფერი, ჩემი შვილი რომ მოკლეს, ჟვანიაც ცოცხალი იყო, თუმცა არც არასოდეს არაფერი უთქვამს ამ თემაზე. რა თქმა უნდა, სასტიკად უნდა დაისაჯოს ჟვანიას მკვლელი, მაგრამ პრიორიტეტი მიანიჭონ მის საქმეს და ჩემი შვილის საქმე თაროზე შემოდონ, ასე არ გამოვა. არავის ეგონოს, რომ პრემიერ-მინისტრის საქმეს გამოიძიებენ და 18 წლის ბიჭის საქმეს ვინმე მიაჩუმათებს. ამის უფლებას ჩვენ არავის მივცემთ. როგორ შეიძლება ასე დაყოფა. არ არის გამორიცხული, დიდ ფულზე იყოს ჟვანიას შემთხვევაში ლაპარაკი, მაგრამ ჩემი შვილი ხელებაწეული რომ დახვრიტეს ქუჩაში, ეს არაფერს ნიშნავს?

– გასაგებია... რაც შეეხება გავრცელებულ ხმებს ბუტას საქმის ირგვლივ... ირაკლი ფირცხალავა ამტკიცებს, რომ მასთან ერთად მანქანაში მყოფი ერთ-ერთი პირი პოლიციის ინფორმატორი იყო...

– მას რომ დავუჯერო, იური ვაზაგაშვილი ნარკობარიგაა. თუ ეს ყველაფერი იცოდა, 10 წლის შემდეგ უნდა თქვას? ეს არის თავის გადარჩენის მცდელობა. რეალობა არის ის, რომ მისი განყოფილებიდან მოიტანეს იარაღი. ის ცდილობს, თავი დაიძვრინოს და სხვას დაუკარგოს ავტორიტეტი. ის არის საქმის შემსრულებელი.

– თუმცა ამბობენ, რომ თქვენ მასთან სუფრაზე გქონდათ შეხვედრა ამ კადრების გავრცელების შემდეგ... რა მიზნით შეხვდით პირს, რომელიც თქვენი შვილის საქმეში ერთ-ერთი ბრალდებულია?

– ფირცხალავას უნდოდა თვითონ შეხვედრა, თავად იყო ინიციატორი. გამომიგზავნა ჩემი მეგობარი. მოვიდა და მეუბნებოდა, პატრულს მიანექი, მაგათი ბრალიაო. სახლში თუ მოვიდა, ერთი გრაფინი ღვინო სულ მაქვს ხოლმე, მაგრამ, როგორ გგონიათ, მოსაწვევს გავუგზავნიდი? თვითონ მოვიდა და დაჯდა აგერ. მაგის გარდა, ჩემთან ერთად იყო ჩემი მეგობარიც, რომელთანაც ვიჯექი სუფრასთან და მოვიდა ეგეც. ახლა ცდილობს, საზოგადოებაში ააგოროს ინფორმაცია, რომ თითქოს სოსო რობაქიძე დადის და მაგასთან ერთად ქეიფობს.

– ბატონო სოსო, ისიც ითქვა, რომ თქვენ ბუტას მეგობრებთან კონფლიქტი გქონდათ... თუ ეს მართალია, იქნებ გვითხრათ, რამ გამოიწვია თქვენი უკმაყოფილება?

– არანაირი კონფლიქტი, ჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს ამ ბიჭებთან. ერთადერთი გულმოსული ვარ გიორგი ქურდაძეზე. როცა პროკურატურამ უკან გამოითხოვა ეს საქმე და ბიჭები უდანაშაულოდ ცნეს, მან პროკურატურას უჩივლა, ტყუილად ვიჯექიო. ეს არის უსინდისობა. მესმის, რომ უდანაშაულოა და გაჭირვებული ოჯახია, მაგრამ ფული არ უნდა მოეთხოვა. მან მოითხოვა 5500 ლარი. ტელეფონით დავურეკე და ვუთხარი, – „მალადეც“, ასე რომ მოიქეცი-მეთქი. როდესაც მეგობარი გვერდში გიკვდება, იქ ფული არ უნდა მოითხოვო. ჩემი აზრით, ეს უზნეობაა.

– დაბოლოს, გკითხავთ... თუ გამოძიება მალე კონკრეტულ შედეგზე არ გავიდა, რას აპირებთ?

– თუ ასე გაგრძელდა, მოვითხოვ დამოუკიდებელ გამოძიებას. ის, რაც აქამდე არ მიქნია, ახლა ვიზამ. წავალ და ვიჩივლებ სტრასბურგში ამ ხელისუფლების წინააღმდეგ. პარლამენტში უზით დამნაშავეები და მაგათ ვერ უხსნიან იმუნიტეტს და ჩემი შვილის საქმეს გამოიძიებენ ესენი? კიდევ პირში წყალი მაქვს ჩაგუბებული, მაგრამ ჩემს მოთმინებასაც აქვს საზღვარი. ჩემი შვილის, სანდროსა და სხვა მოკლული ბიჭების ხარჯზე მოვიდნენ ხელისუფლებაში, დასხდნენ სკამებზე და ახლა რა ხდება? დაავიწყდათ ბუტა?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა წერილი დატოვა საკანში 25 წლის ავთანდილ მაისურაძემ გარდაცვალებამდე?

ავთანდილ მაისურაძე

მირიან ბოქოლიშვილი

რა ხდება გეგუთის კოლონიაში? – კითხვა გასულ კვირას კიდევ ერთხელ გახდა აქტუალური. ეს მას შემდეგ, რაც საზოგადოებისთვის მორიგი პატიმრის გარდაცვალების შესახებ გახდა ცნობილი. სასჯელაღსრულების დაწესებულება, რომელიც სოზარ სუბარის უწყების აქილევსის ქუსლად იქცა, საეჭვო ვითარებაში სიკვდილიანობამ მოიცვა. ამჯერად, გარდაცვლილია 25 წლის პატიმარი, ავთანდილ მაისურაძე. სასჯელაღსრულების სამინისტროს წინასწარი ვერსიით, ახალგაზრდა პატიმარმა თავი ჩამოიხრჩო, თუმცა სხვა ვერსია აქვს ოჯახს. სანამ ამ საქმეზე მოგიყვებით, შეგახსენებთ, რომ ზუსტად ანალოგიური ვითარება იყო 15 წლის გოგა ძველაიასთან დაკავშირებით, როდესაც გასული წლის 8 ოქტომბერს, 16 წლის პატიმრის გარდაცვალების დროს, სასჯელაღსრულების სამინისტრო ამტკიცებდა, რომ არასრულწლოვანმა პატიმარმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, ოჯახი კი განზრახ მკვლელობაზე მიუთითებდა.

ამ შემთხვევაშიც დაახლოებით მსგავსი სიტუაციაა. სუბარის უწყება ერთს ამბობს, ოჯახი კი საპირისპიროს ამტკიცებს. ავთანდილ მაისურაძე სამი წლის წინათ იარაღის უკანონო ტარებისთვის დააკავეს. პატიმარი ამტკიცებდა, რომ ის უკანონოდ იყო დაპატიმრებული და არცთუ უსაფუძვლოდ, რადგან იარაღი, რომელიც მას ამოუღეს, სხვადასხვა დროს, სხვა საქმეებშიც ფიგურირებდა, ხსენებული იარაღით სამართალდამცველებს მანამდეც არაერთი პირი ჰყავდათ დაკავებული. მოკლედ, მაისურაძემ საკუთარი სიმართლე ქვეყნის შიგნით რომ ვერ გაიტანა, უდანაშაულობის დამტკიცებას სტრასბურგის სასამართლოში შეეცადა, საიდანაც, როგორც ადვოკატები ამბობენ, გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, წერილი მიიღო. რა შეტყობინება მიიღო მან ევროსასამართლოდან, ჯერჯერობით გაურკვეველია, ისევე, როგორც იმ წერილის შინაარსი, რომელიც საკანში აღმოაჩინეს. ამბობენ, რომ მან გარდაცვალებამდე წერილი დატოვა, რასაც სასჯელაღსრულების სამინისტროშიც გვიდასტურებენ, თუმცა უწყებაში განმარტავენ, რომ ეს წერილი გამოძიებას აქვს ამოღებული და მისი გახმაურების უფლება არ აქვთ. რატომ უნდა მოეკლა თავი 25 წლის პატიმარს, მაშინ, როცა ის საპატიმროს სულ რაღაც ორ კვირაში ტოვებდა? ამ კითხვაზე პასუხი, შესაძლოა, სწორედ ხსენებულ წერილში იმალებოდეს, თუმცა, როგორც გარდაცვლილის ოჯახის წევრები ყვებიან, ეს სულაც არ ყოფილა თვითმკვლელობა. ავთანდილის და, **როზეტა მაისურაძე ამბობს,** რომ ცხედარს წამების კვალი აღენიშნებოდა.

„წელში იყო გადამტვრეული, თითები დამტვრეული, თავი ჩაჩეჩქვილი... როცა ადამიანი თავს იხრჩობს, გვამი უნდა იყოს ლურჯი. რომ გენახათ, ნახავდით, როგორი ნანამები იყო... ციხიდან დამირეკეს და მითხრეს, გვამი წაიღეთ, თორემ აქოთდებაო“, – ამბობს გარდაცვლილის და, რომელიც მომხდარის გამო ციხის ადმინისტრაციის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს.

ავთანდილ მაისურაძის გარდაცვალების საეჭვო გარემოებებზე საუბრობენ არასამთავრობო ორგანიზაციებიც, მათ შორის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, რომელიც პატიმრის ინტერესებს, ჯერ კიდევ მისი დაკავების დროს იცავდა.

გოგა ძველაია

გიგა ფარტენაძე

ლევან კორტავა

მარტში ეს ერთადერთი შემთხვევა არ არის, როდესაც გეგუთის კოლონიაში პატიმრის გარდაცვალების გამო, ადმინისტრაციის პასუხისმგებლობის დაყენებას ითხოვენ. 4 მარტს, ამავე დაწესებულებაში პატიმარი გიგა ფარტენაძე წამებით მოკლეს. ფარტენაძის მკვლელობა პროკურატურამ გასულ კვირას გახსნილად გამოაცხადა. აი, რა დასკვნამდე მივიდა საგამოძიებო ორგანო:

„ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ 2014 წლის 4 მარტს, დაახლოებით 02:20 საათზე, სად-ის #14 დაწესებულების მეექვსე სარეჟიმო კორპუსის #322 საკანში განთავსებულ მსჯავრდადებულებს – შოთა შანიძეს, ლევან მოისწრაფიშვილს, გიორგი სეხნიაშვილსა და გიგა ფარტენაძეს შორის არსებული სიტყვიერი შელაპარაკება ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. შოთა შანიძემ, გიორგი სეხნიაშვილმა და ლევან მოისწრაფიშვილმა გიგა ფარტენაძე იატაკზე წააქციეს, რა დროსაც მან გონება დაკარგა და წინააღმდეგობის გაწევა ვეღარ შეძლო. მიუხედავად ამისა, ისინი აგრძელებდნენ მის მიმართ სასტიკ ძალადობას, კერძოდ გულ-მკერდის, კისრისა და სახის არეში ხელებითა და ფეხებით სცემდნენ და ბეტონის იატაკზე არტყმევინებდნენ თავს. აღნიშნული ქმედება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ იქნა აღკვეთილი, რა დროსაც გიგა ფარტენაძე გადაყვანილ იქნა #14 დაწესებულების სამედიცინო ნაწილში, სადაც გაწეული დახმარების მიუხედავად, ის გონსმოუსვლელად გარდაიცვალა. სასამართლო ექსპერტიზის ერთობლივი ბიუროს დასკვნით დადგენილია, რომ გიგა ფარტენაძის გარდაცვლების მიზეზია ქალა-ტვინის ტრავმის შედეგად განვითარებული თავის ტვინის მკვეთრად გამოხატული შეშუპება, ღეროს დისლოკაციითა და ჩაჭედვით“, – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში, სადაც ასევე აღნიშნულია, რომ დანაშაულში მხილებულ პატიმრებს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით წარედგინათ, რაც სასჯელის სახით 10-დან 13 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„მაყურებლებისა“ და ციხის ადმინისტრაციის ურთიერთთანამშრომლობა დადასტურდა გეგუთის კოლონიაში მომხდარი კიდევ ერთი სასტიკი მკვლელობის გამოძიებისას. დადგინდა, რომ ახალგაზრდა პატიმარს, ლევან კორტავასა და უსაფრთხოების განყოფილების ინსპექტორ ილია შანშაშვილს შორის, ფსიქოტროპული პრეპარატების გაცემასთან დაკავშირებით მოხდა შელაპარაკება. ილია შანშაშვილმა ლევან კორტავასთან კონფლიქტური სიტუაციის გარკვევა დაავალა მსჯავრდადებულ შოთა სინაურიძეს, მეტსახელად, „ბულდოგას“. ლევან კორტავასა და შოთა სინაურიძეს შორის დაწყებული საუბარი კონფლიქტსა და ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა, რომლის მიმდინარეობისას ლევან კორტავამ, ძალადობის საპასუხოდ, ხელი დაარტყა შოთა სინაურიძეს. მომხდარის თაობაზე ცნობილი გახდა უსაფრთხოების ინსპექტორ ილია შანშაშვილისთვის, რომელმაც უგულებელყო მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობა – უზრუნველეყო მსჯავრდადებულთა უსაფრთხოება, გამოევლინა და აღეკვეთა დანაშაული.

შანშაშვილის მიერ წახალისებულმა სინაურიძემ და ამავე დაწესებულებაში მცხოვრებმა, ასევე, მსჯავრდადებულმა გიორგი შემაზაშვილმა (მეტსახელად „გორსკი“) ლევან კორტავა ძალის გამოყენებით წაიყვანეს მეექვსე კორპუსის მესამე სართულზე მდებარე 338-ე საკანში, სადაც სხვა მსჯავრდადებულებთან – სოლომონ დაშნიანთან, გელა უშხვანთან (მეტსახელად „გალსკი“) და თეიმურაზ გურეშიძესთან (მეტსახელად „რუბენჩრი“) ერთად, ლევან კორტავას მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. #338 საკანში ძალადობის შედეგად ლევან კორტავას ცხვირიდან სისხლი წამოუვიდა. ცემის დასრულების შემდეგ კი მას მიეცა საკნის დატოვების საშუალება.

რამდენიმე წუთში ნაცემ ლევან კორტავასთან, რომელიც სხვა პატიმრებთან ერთად მეექვსე კორპუსის მეოთხე სართულზე იმყოფებოდა, მივიდნენ ზემოხსენებული დაწესებულების პატიმრები, რომლებმაც სასაუბროდ გაიხმეს ლევან კორტავა, ამჯერად #336 საკანში, სადაც იგივე მიზეზით – მსჯავრდადებულ შოთა სინაურიძის ფიზიკური შეურაცხყოფის გამო, ხელებითა და ფეხებით, ასევე, ელექტროჩაიდნისა და ვენტილატორის მყარი დეტალის გამოყენებით, დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში, ჯგუფურად, გონების დაკარგვამდე, განსაკუთრებული სისასტიკით სცემეს უმწეო მდგომარეობაში მყოფი ლევან კორტავა.

განხორციელებული ძალადობის შედეგად კორტავამ მიიღო მძიმე ხარისხის სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანებები. პროკურატურამ ილია შანშაშვილსა და გეგუთის ციხის კიდევ სამ თანამშრომელს ბრალი სამსახურებრივ გულგრილობასა და მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის ბრალდებით წაუყენა. ბრალი დაუმძიმდა ყველა იმ პატიმარსაც, ვინც ლევან კორტავას წამებით მკვლელობაში მონაწილეობდა.

რა ხდება გეგუთის კოლონიაში და, ზოგადად, სასჯელაღსრულების სისტემაში? ამის გასარკვევად ექსპერტს პენიტენციურ საკითხებში, არასამთავრობო ორგანიზაცია „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფებისთვის“ თავმჯდომარეს, ტატო ქელბაქიანს დავუკავშირდით. ქელბაქიანი წინა ხელისუფლების დროს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დირექტორის თანაშემწე გახლდათ, ახ-

როზეტა მაისურაძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ:

„ᲜᲐᲬᲐᲛᲔᲑᲘ ᲘᲧᲝ... ᲪᲘᲮᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲛᲘᲠᲔᲙᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲗᲮᲠᲔᲡ, ᲒᲕᲐᲛᲘ ᲬᲐᲘᲚᲔᲗ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲐᲥᲝᲗᲓᲔᲑᲐᲝ“

„ძალიან ცუდი იყო, როდესაც ადმინისტრაცია გადამეტებულ ძალას იყენებდა და ამით ცდილობდა სისტემის შენარჩუნებას. მაგრამ დღეს არის რეალობა, რომ ზედმეტად შეიმოსა ეს სამყარო წამებულის მანტიით. ცდილობენ, ეს ძალიან ეფექტურად გამოიყენონ“

ექსპერტი: „კრიმინალური ავტორიტეტები და ქურდული სამყარო გავლენებს იმყარებენ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში“

„სამწუხაროდ, აქ არჩევანი დგას ცუდსა და უარესს შორის. იმის ძახილში, რომ არ ვთანამშრომლობთ „მაყურებლებთან“, იზრდება პატიმრებს შორის ძალადობა და რამდენიმე შემთხვევაში ეს ლეტალური შედეგითაც დასრულდა“

„თანამშრომლებს გაუჩნდათ დაუცველობის განცდა. ამით კარგად სარგებლობს ციხეში მყოფი დამნაშავეთა სამყარო და რაგინდ გასაკვირიც არ უნდა იყოს, დღეს უკვე არა პატიმრები, არამედ ციხის ადმინისტრაცია აღმოჩნდა მსხვერპლის როლში“

ალი ხელისუფლების დროს კი მას სასჯელაღსრულების არასრულწლოვანთა დაწესებულების დირექტორობა შესთავაზეს, თუმცა ეს თანამდებობა მალევე დატოვა. მიზეზებზე თავად ისაუბრებს.

ტატო ქელბაქიანი, ექსპერტი:

– სისტემიდან ჩემი წამოსვლის მიზეზი გახდა ძალიან ხშირი საკადრო ცვლილებები, ბოლო ერთი წლის განმავლობაში 3-ჯერ გამოიცვალა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე და ხელმძღვანელობა. არ ვფიქრობ, რომ ეს სისტემის განვითარებისთვის ნორმალურია. ასეთ პირობებში რთულია თანმიმდევრული რეფორმის გატარება. ზოგადად, საკადრო პოლიტიკა არის ყველაზე სუსტი წერტილი დღევანდელი სასჯელაღსრულების სისტემისთვის. ეს პრობლემა ყოველთვის არსებობდა, რადგან არასდროს ითვლებოდა პოპულარულ სამსახურად, თუმცა აუცილებელია, ვიყოთ თანმიმდევრული.

– რა არის მთავარი მიზეზი ასეთი ხშირი საკადრო ცვლილებების?

– ამით არის მცდელობა, რომ სისტემა გაუმჯობესდეს და უკეთესი კადრები მოიზიდონ, მაგრამ ამ პროცესში ავიწყდებათ, რომ საჭიროა კვალიფიციური კადრების შენარჩუნება, განსაკუთრებით შუა დონეზე. ძირითადი საყრდენი არის საშუალო დონე... ამ კუთხით ხშირი ცვლილებები იწვევს იმას, რომ მოდის არაკვალიფიციური კადრები, არ არის ადვილი, სხვა სისტემიდან მოხვიდე და უცებ აუღო ალღო, თუნდაც ეს იყოს პოლიციის სისტემიდან გადმოსვლა. სამწუხაროდ, გაიგივებულია ერთმანეთთან პოლიციისა და სასჯელაღსრულების სისტემა, რაც არასწორია. საერთაშორისო სტანდარტებით ეს არის სრულიად სხვადასხვა სისტემა. შესაბამისად, რეფორმების გატარება ძალიან ჭირს. ამ სფეროში გამოცდილება რომ დააგროვო, მინიმუმ ერთი წელი მაინც გჭირდება, შესაბამისად, ვერც ერთი ხელმძღვანელი, რომელიც აქამდე დაინიშნა, ამ გამოცდილებით ვერ აღიჭურვა, რათა შემდგომ განვითარებაზე ეფიქრა.

– ხშირად საუბრობენ, რომ პატიმრების არაადამიანურ მოპყრობას ციხეებში აღარ აქვს ადგილი ადმინისტრაციის მხრიდან, თუმცა გამოიკვეთა მეორე პრობლემა, თავად პატიმრებს შორის დაპირისპირებები, რაც რიგ შემთხვევაში მძიმე შედეგით დასრულდა...

– არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით ნამდვილად გადაიდგა სერიოზული ნაბიჯები და ფაქტობრივად, ეს სისტემური პრობლემა აღარ ფიქსირდება, თუმცა არსებობს მეორე უკიდურესობაც. ძალიან ცუდი იყო, როდესაც ადმინისტრაცია გადამეტებულ ძალას იყენებდა და ამით ცდილობდა სისტემის შენარჩუნებას. მაგრამ დღეს არის რეალობა, რომ ზედმეტად შეიმოსა ეს სამყარო წამებულის მანტიით. ცდილობენ, ეს ძალიან ეფექტურად გამოიყენონ. მაგალითად, ორგანიზებულად გამოაცხადეს პროტესტი და მიაღწიეს მათთვის არასასურველი პერსონის ციხის ხელმძღვანელობიდან ჩამოშორებას. ჩემი აზრით, რამდენიმე ადამიანი ნამდვილად უსამართლოდ ჩამოაშორეს თანამდებობას. ამან გამოიწვია ის, რომ თანამშრომლებს გაუჩნდათ დაუცველობის განცდა. ამით კარგად სარგებლობს ციხეში მყოფი დამნაშავეთა სამყარო და რაგინდ გასაკვირიც არ უნდა იყოს, დღეს უკვე არა პატიმრები, არამედ ციხის ადმინისტრაცია აღმოჩნდა მსხვერპლის როლში. ანუ ერთი უკიდურესობიდან გადმოვედით მეორე უკიდურესობაში. პირველ ეტაპზე, ციხის თანამშრომლები აღარ იყენებდნენ კანონით მინიჭებულ უფლებებს, ასეთმა მიდგომამ ციხეებში გამოიწვია კრიმინალური სუბკულტურის გაძლიერება, რა თქმა უნდა, ეს იმ დონზე არ ასულა, როგორიც იყო თუნდაც 2004 წლამდე, მაგრამ ბოლო პერიოდში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ კრიმინალური ავტორიტეტები და ქურდული სამყარო გავლენებს იმყარებენ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. განსაკუთრებით ეს ეხება ღია ტიპის დაწესებულებებს. გაკეთდა გარკვეული განცხადებები, რომ შეიქმნება სპეციალური დაწესებულებები, სადაც მსგავსი კატეგორიის პატიმრები განცალკევებით განთავსდებიან, კარგი იქნება, თუ ეს გადაწყვეტილება, რაც შეიძლება მალე განხორციელდება პრაქტიკაში. პატიმართა სეგრეგაციისა და ჯგუფებად გადანაწილების გარეშე დღეს არსებულ ვითარებაში პრაქტიკულად შეუძლებელია ორგანიზებული დანაშაულის მოსპობა დაწესებულებების შიგნით.

ᲢᲐᲢᲝ ᲥᲔᲚᲑᲐᲥᲘᲐᲜᲘ

– ამბობენ, რომ წინა ხელისუფლება და ციხის ადმინისტრაცია თანამშრომლობდა ე.წ. მაყურებლებთან და ამით ქმნიდა კონტროლის ილუზიას... სოზარ სუბარი ამბობს, რომ მათ „მაყურებლებთან“ თანამშრომლობის პრაქტიკაზე უარი თქვეს...

– ძალიან კარგი, რომ არ თანამშრომლობენ „მაყურებლებთან“, თუმცა მოდი, შევხედოთ მეორე მხრივ: „მაყურებლის“ ინსტიტუტი არსებობდა მაშინაც და არსებობს დღესაც, სხვადასხვა ფორმით. ლიდერები და ავტორიტეტები ყველა საზოგადოებრივ ჯგუფში არიან. გააჩნია, როგორ გამოიყენებ, რა ფუნქციას მიანიჭებ მათ და რა დოზით ითანამშრომლებ. მთავარია, რა ძალა აქვს და ხარ თუ არა გარიგებაში. კი ბატონო, ადმინისტრაცია არანაირად არ თანამშრომლობს, ამის პარალელურად ზოგიერთ დაწესებულებაში კრიმინალურ ავტორიტეტებს აქვთ აბსოლუტური ძალაუფლება მთლიანად პატიმრების კონტინგენტზე. მაგალითად, ავიღოთ იგივე გეგუთის მოვლენები, როდესაც დაახლოებით 1000-მა პატიმარმა ერთდროულად გამოაცხადა შიმშილობა. ეს ყველაფერი ძალიან ჰგავდა ავტორიტეტების მიერ ორგანიზებულ პროცესს. შეუძლებელია, კრიმინალური ავტორიტეტების მითითების გარეშე ათას კაცს ერთდროულად დაეწყო შიმშილობა. ამას ვამბობ სრული პასუხისმგებლობით, როგორც ამ დარგის სპეციალისტი. ანუ გამოდის, რომ ადმინისტრაცია იქ ვითარებას ვერ აკონტროლებს. რა თქმა უნდა, გარიგებაში არ უნდა შეხვიდე, მაგრამ გარკვეულწილად ამ მოცემულობაში საჭიროა სიტუაციის კონტროლი და მუშაობა თუნდაც ე.წ. მაყურებლებთან. ზოგადად, ამ სისტემისთვის დამახასიათებელია მასობრივი შიმშილობები და თვითდაზიანებების მიყენება, ამით ისინი თავიანთი მიზნების მიღწევას ცდილობენ. ამ შიდა უკონტროლობის მიზეზია, პატიმრებს შორის ძალადობა, რომლის კონტროლიც უკვე უფრო რთული ხდება, მით უმეტეს პერმანენტული საკადრო ცვლილებების ფონზე. უახლოეს მომავალში, სანამ არ მოხდება პატიმრების გადაჯგუფება, ძალადობის აღმოფხვრის გზებს პირადად მე ვერ ვხედავ. რა თქმა უნდა, არ უნდა არსებობდეს ისეთი გარიგებები, რაც ხდებოდა, მაგალითად, 2003 წლამდე, როდესაც ადმინისტრაცია და კრიმინალური სამყარო ციხეებში ერთად აგროვებდნენ „ობშიაკს“, მაგრამ გარკვეულწილად როდესაც შენ ვერ აკონტროლებ სიტუაციას, უნდა გქონდეს ბერკეტები, რომ ეს სიტუაცია როგორმე არეგულირო მაინც. სამწუხაროდ, აქ არჩევანი დგას ცუდსა და უარესს შორის. იმის ძახილში, რომ არ ვთანამშრომლობთ „მაყურებლებთან“, იზრდება პატიმრებს შორის ძალადობა და რამდენიმე შემთხვევაში ეს ლეტალური შედეგითაც დასრულდა. გეგუთის კოლონიაში არის დაახლოებით ათასი პატიმარი, ადმინისტრაციის თანამშრომელი კი – 50. როგორ წარმოგიდგენიათ, ღია ტიპის დაწესებულებაში, სადაც ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობენ, სიტუაცია აკონტროლოს 50-მა თანამშრომელმა?! ავიღოთ ევროპული პრაქტიკა, იქ ყველაზე ცუდ შემთხვევაში ორ პატიმარზე მოდის ერთი თანამშრომელი, არის უკეთესი ვარიანტებიც, როდესაც ერთ პატიმარზე ორი და სამი თანამშრომელიც მოდის, მაგალითად, ჰოლანდიაში. რა ხდება ჩვენთან? გეგუთის კოლონიაში 1000 პატიმარზე მოდის 50 თანამშრომელი.

– რაც შეეხება წინა ხელისუფლების დროს არსებულ ვითარებას... ჩვენ ვიხილეთ საკმაოდ მძიმე კადრები, როგორ უსწორდებოდა ადმინისტრაცია პატიმრებს... შენ იყავი მაშინ მაღალ თანამდებობაზე, იცოდი თუ არა ამ ყველაფრის შესახებ?

– რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ჩემთვისაც სრული მოულოდნელობა იყო. რაღაც ამბები გვესმოდა ჩვენც, იგივე სახალხო დამცველის რეკომენდაციებიდან, თუმცა ამ მასშტაბის პროცესებს ნამდვილად არ ველოდი პირადად მე. ინფორმაცია რაც მომდიოდა, ვაწვდიდი ზემდგომ ორგანოს, ვისაც ხელეწიფებოდა რეაგირება, თუმცა როგორც შემდგომში გაირკვა, ამ ფაქტებზე სათანადო რეაგირება არ ხდებოდა. ეს დადასტურდა კიდეც გამოაშკარავებული კადრებით და იმითაც, რომ არაერთი პირი მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში. როგორც ჩანს, არ არსებობდა პოლიტიკური ნება და პრობლემები იყო თავად ადგილებზეც. უშუალოდ მე არ მინახავს ფაქტი, რომ ვინმე პატიმარს არაადამიანურად ეპყრობოდა, მაგრამ ეს ინფორმაცია მქონდა სახალხო დამცველის ანგარიშებიდან, ჩემი მოვალეობა იყო, რომ ხელმძღვანელობა ჩამეყენებინა საქმის კურსში, მათ ეს ინფორმაცია ჰქონდათ, თუმცა ხშირ შემთხვევაში უარყოფდნენ ასეთ ფაქტებს. მე აღნიშნულ ფაქტებზე საკმაოდ ხშირი ურთიერთობა მქონდა ხელმძღვანელობასთან, საქმის კურსში ვაყენებდი დეპარტამენტის თავმჯდომარესაც და მინისტრსაც. ხშირად მითქვამს, რომ რაღაც საკითხებზე აუცილებელი იყო რეაგირება, თუმცა უშუალოდ რეაგირება ჩემს მოვალეობაში არ შედიოდა.

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

მკვლელის შოკისმო

my View
მირიან ბოქოლიშვილი

ამ შემზარავი ისტორიის დეტალები ჩვენთვის სასამართლო პროცესიდან გახდა ცნობილი, სადაც 51 წლის მამაკაცს მე-11 კლასელი გოგონას მკვლელობისთვის აღმკვეთი ღონისძიება, პატიმრობა შეუფარდეს. სასამართლოში მოვისმინეთ მკვლელობაში ბრალდებულის შოკისმომგვრელი აღიარება, რომელიც მან გამოძიებას მისცა. სანამ საქმის დეტალებზე გიამბობთ, გეტყვით, რომ სუსტი ნებისყოფის ადამიანებისა და არასრულწლოვნებისთვის ამ სტატიის წაკითხვა რეკომენდებული არ არის.

ტრაგედია მარნეულის რაიონის სოფელ თამარისში 19 მარტს დატრიალდა. იმ დღეს ნადიბაიძეების ოჯახი ტრადიციულად მინდორში, საგაზაფხულო სამუშაოების შესასრულებლად დილადანვე გავიდა – დედა, მამა, ვაჟი და ბაბუა. სახლში მხოლოდ 17 წლის მანანა ნადიბაიძე დარჩა. გოგონა იმ დღეს არც სკოლაში წასულა და მეგობრებსაც შეხვედრაზე უარი უთხრა. „საოჯახო საქმეები მაქვს გასაკეთებელიო“, – ყვებიან მანანას მეგობრები. მშობლები მინდვრიდან შუადღის 3 საათისკენ დაბრუნდნენ. სახლში მისულ დედას აბაზანაში სისხლის კვალი დახვდა, ზალაში კი წერილი – „დედა, მე ჩემს მეგობარ ბიჭს გავყევი ცოლად“. ეს ვერსია იმთავითვე ეჭვს ბადებდა, რადგან, როგორც დედა, მთვარისა ნადიბაიძე ყვება, მანანას მეგობარი ბიჭი არ ჰყოლია. მისი მეგობრების თქმით კი, გოგონას შეყვარებული ადრე ჰყავდა, რომელთანაც ბოლო ერთი წელი არანაირი ურთიერთობა არ ჰქონია. ეჭვებს ამძაფრებდა აბაზანაში აღმოჩენილი სისხლის კვალიც... მოკლედ, ოჯახმა მანანას ასავალ-დასავალს რომ ვერაფრით მიაგნო, საქმეში მეზობლების თხოვნით პოლიცია ჩაერთო. სამართალდამცველების მიერ გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შემდეგ მკვლელის ვინაობა მალევე დადგინდა და ის უკვე პატიმრობაში იმყოფება, თუმცა მოდით, მივყვეთ მოვლენებს.

სოფელში მანანას გაუჩინარების შესახებ ხმის გავრცელებისთანავე, ნადიბაიძეებთან მთელი სამეზობლო შეიკრიბა. მათ შორის, ერთ-ერთი იყო 51 წლის იაგო წიკლაური, რომელსაც თამარისში „მურადას“ სახელით იცნობდნენ. მამაკაცი, სხვებთან ერთად განიცდიდა გოგონას გაუჩინარებას და საკუთარ ვერსიებსაც სთავაზობდა ოჯახს. მისთვის საეჭვო არავის არაფერი შეუნიშნავს, თუ არ ჩავთვლით სახეზე მიყენებულ ნაკაწრებს, რომელზეც მანანას ბაბუამ ჰკითხა, თუ რა მოუვიდა? წიკლაურმა აუხსნა, რომ სახლის სახურავს აკეთებდა, ფეხი დაუცდა და მავთულზე დაიჩხაპნა სახე, თუმცა მოგვიანებით სამართალდამცველებმა გაარკვიეს, რომ დაზიანების სრულიად სხვა ვერსია მოუყვა მან მეზობლად მცხოვრებ ბერუაშვილების ოჯახს, სადაც მათ ჭრილობა იოდით დაუმუშავეს. ბერუაშვილებს წიკლაურმა უთხრა, რომ ხიდან ჩამოვარდა და ტოტებმა დაკაწრა. მოკლედ, როგორც ჩანს, გამოძიებას მისი ეს ურთიერთგამომრიცხავი საუბარი არ გამოჰპარვია და ეჭვმიტანილის ძიებაც, იქვე მეზობლებს შორის დაიწყო. ყველა კვალი იაგო წიკლაურისკენ მიდიოდა.

ვინ არის იაგო წიკლაური, იგივე „მურადა“?

51 წლის იაგო წიკლაური ნადიბაიძეების მოპირდაპირედ ცხოვრობს. მას მეზობლებთან განსაკუთრებული უთანხმოება არასდროს ჰქონია. მამაკაცი, მას შემდეგ მარტო ცხოვრობს, რაც მეორე მეუღლეს დაშორდა. მისმა პირველმა ქორწინებამ 6 წელი გასტანა და საბოლოოდ იმით დასრულდა, რომ ერთ-ერთი შელაპარაკების დროს მეუღლე მშობლის არეში დანით დაჭრა. მეზობლები ყვებიან, რომ წიკლაური ხშირად სვამდა და ოჯახს ამწარებდა. ფოტოზე, რომელიც ამ სტატიას ახლავს, იაგო წიკლაური, ასევე, ნასვამ მდგომარეობაში იმყოფება. ფოტო ერთ-ერთმა მეზობელმა მოგვაწოდა და გვითხრა, რომ „სიმთვრალეში მურადა თავს ხშირად ვერ აკონტროლებდა“. მისივე თქმით, მეორე მეუღლესთან თანაცხოვრებამ დაახლოებით 4-5 თვე გასტანა. ამის შემდეგ იაგო წიკლაური მარტო ცხოვრობდა სოფელ თამარისში. მეორე მეუღლეს ჰყავდა 25 წლის ქალიშვილიც, რომელიც მამინაცვალს ერთი თვით სტუმრობდა. სასამართლოში, წიკლაურის მიერ მიცემული ჩვენებით ირკვევა, რომ მან საკუთარ გერთან სქესობრივი კავშირი დაამყარა, რაც მეზობლებისთვისაც გახდა ცნობილი. ამბობს, რომ ამ თემაზე განსაკუთრებით ჭორაობდა მანანა ნადიბაიძის დედა, მთვარისა. სწორედ ამ მიზეზით, მან ნადიბაიძეებზე შურისძიება გადაწყვიტა.



„ჩემთვის სულ ერთი იყო, ოჯახის რომელ წევრს მოვკლავდი. მანანა მოვკალი იმის გამო, რომ ის დარჩა ხსენებულ დროს სახლში მარტო“

„ნადიბაიძეებთან ხალხი იყო შეკრებილი და მანანას ეძებდნენ... მეც მივედი მათთან, რადგან ჩემზე ეჭვი არ მოეტანათ და თან მაინტერესებდა, რას აპირებდნენ“

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მგვრელი აღიარება

ბრალდებულმა საკუთარ გერთან სქესობრივი კავშირი დაამყარა, რაც მეზობლებისთვისაც გახდა ცნობილი... სწორედ ამ მიზეზით მან ნადიბაიძეებზე შურისძიება გადაწყვიტა

მკვლელის აღიარება

როგორც უკვე გითხარით, სასამართლოსთვის მკვლელის სრულიად სკანდალური აღიარება გახდა ცნობილი. მან დაკითხვის დროს დეტალურად აღწერა მკვლელობის შემზარავი დეტალები. როგორც ირკვევა, მკვლელისთვის წინასწარ იყო ცნობილი, რომ 17 წლის მანანა ნადიბაიძე იმ დროს სახლში მარტო უნდა ყოფილიყო. გოგონას ჭიშკრის მოპირდაპირე მხარეს უთვალთვალებდა და როდესაც დარწმუნდა, რომ სახლში, მის გარდა, არავინ იმყოფებოდა, ნადიბაიძეების სახლს ესტუმრა. მანანას უთხრა, თქვენს აბაზანაში მინდა დავიბანოო (ნადიბაიძეების აბაზანით მანამდეც არაერთხელ უსარგებლია).

„მანანას ვუთხარი, აბანოს ჩართვა არ ვიცი და იქნებ დამეხმარო-მეთქი. ის აბანოში შევიდა, მე გარეთ კართან ველოდებოდი. დაახლოებით 2-3 წუთში გარეთ გამოვიდა, აბანოს კართან, მე უცებ აზროვნება დავკარგე, ავიღე იქვე ახლოს დადებული ჩაქუჩი და მანანა ნადიბაიძეს ჩავარტყი შუბლში, რის შემდეგ ის გაბარბაცდა, აბანოს კარებს მიუახლოვდა და წაიქცა. ამის შემდეგ მოვკიდე ხელი და რამდენიმე მეტრით აბანოს შიგნით შევახოხე. ვინაიდან გონება არ დაკარგა და თვალები გახელილი ჰქონდა, ჩაქუჩი ავიღე და თავში კიდევ ორჯერ ჩავარტყი. ჩემი ვარაუდით, ჩაქუჩი დაახლოებით 10 კილოგრამს იწონიდა. ვიფიქრე, რომ უკვე გარდაცვლილი იყო, თუმცა ვინაიდან ამაში ბოლომდე არ ვიყავი დარწმუნებული, დამატებით ყელის არეში გამოვუსვი სამშენებლო მასალების საჭრელი დანა, რომელიც თან მქონდა. ამ დროს მანანამ გაიქნია ხელი და ფეხი, ხოლო ყელის არეში ჩემ მიერ მიყენებული ჭრილობიდან წამოუვიდა სისხლი. როდესაც მივხვდი, რომ უკვე გარდაცვლილი იყო გამოვედი გარეთ, ვიცოდი, რომ ურიკა იდგა სახლის უკანა მხარეს მიწის ნაკვეთთან, ავიღე ურიკა, მივიტანე აბანოს კართან, გარდაცვლილი მანანა ნადიბაიძე ავიყვანე ხელში და ჩავდე ურიკაში, ზედ არაფერი გადამიფარებია. ჭიშკრის შიგნით გავაჩერე და გარეთ, გზაზე გავიხედე, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ არავინ მოძრაობდა. ვინაიდან ქუჩაში არავინ მოძრაობდა, გავიტანე ნადიბაიძის გვამი და შევიტანე ჩემი საცხოვრებელი სახლის უკანა მხარეს, ურიკა გადმოვაყირავე და გვამი მიწაზე დავაგდე. ამ ადგილიდან 10 მეტრში ჩალა მელაგა, ხელით მოვიტანე 2-3-ჯერ, დავაყარე სხეულზე, ჯიბიდან ასანთი ამოვიღე და ცეცხლი წავუკიდე, როდესაც ცეცხლი ჩაქრა, რამდენიმე მეტრში დაყრილი მიწა მოვიტანე და დავაყარე გვამს, დამალვის მიზნით. დანაშაულის ჩადენის დროს რა ტანსაცმელიც მეცვა სისხლიანი იყო, რის გამოც გამოვიცვალე და შევყარე სხვენში. ჩემი სახლიდან ავიღე საწერი კალამი და რვეულის ფურცელი, სადაც დავწერე შემდეგი ტექსტი: „დედა, მე ჩემს მეგობარ ბიჭს გავყევი ცოლად“. შემდეგ ავიღე ურიკა, რითაც გვამი გადმოვიტანე და ისევ იმ ადგილას დავაბრუნე. შევედი ნადიბაიძეების სახლში, ამ დროს იქ არავინ იმყოფებოდა და ჩემი დაწერილი წერილი დავტოვე ზალაში ტელევიზორთან“, – ყვება განზრახ მკვლელობაში ბრალდებული.

ანუ წერილი, რომელიც მინდვრიდან დაბრუნებულმა მთვარისა ნადიბაიძემ ნახა, რეალურად მკვლელის დაწერილი იყო, კვალის ასარევად. ეს მას შემდეგ, რაც გოგონას ჯერ 10-კილოგრამიანი ჩაქუჩი თავში რამდენჯერმე ჩაარტყა, ყელი გამოჭრა და ცხედარი დაწვა. ამ ყველაფრის შემდეგ კი იაგო წიკლაური აუღელვებლად მიდის ბაღში სამუშაოდ, სადაც დაახლოებით ნახევარი საათი იმუშავა.

„როდესაც ბაღიდან სახლში დავბრუნდი, ვნახე, რომ ნადიბაიძეებთან ხალხი იყო შეკრებილი და მანანას ეძებდნენ. მეც მივედი მათთან, რადგან ჩემზე ეჭვი არ მოეტანათ და თან მაინტერესებდა, რას აპირებდნენ“, – ამბობს წიკლაური.

სკანდალურ აღიარებაში ის სასტიკი მკვლელობის მიზეზებზეც საუბრობს.

„მე არაოფიციალური ქორწინებით შეუღლებული ვიყავი ლალი რაზმაძეზე, რომელსაც ჰყავდა 25 წლის ქალიშვილი. ლალის გავშორდი დაახლოებით წელიწად-ნახევრის წინ, რის მერეც ერთი თვით ჩემთან სტუმრად მყავდა მისი ქალიშვილი, რომელთანაც ერთხელ ორივეს სურვილით მქონდა სქესობრივი კავშირი. არ ვიცი, საიდან, მაგრამ ჩვენი ურთიერთობის შესახებ გაიგეს მეზობლებმა. კერძოდ, როგორც გავიგე, ჭორაობდა მანანა ნადიბაიძის დედა, მთვარისა ნადიბაიძე. ჩემთვის სულ ერთი იყო, ოჯახის რომელ წევრს მოვკლავდი. მანანა მოვკალი იმის გამო, რომ ის დარჩა ხსენებულ დროს სახლში მარტო“, – ამბობს იაგო წიკლაური.

გოგონა იმ დღეს არც სკოლაში ნასულა და მეგობრებსაც შეხვედრაზე უარი უთხრა. „საოჯახო საქმეები მაქვს გასაკეთებელიო“, – ყვებიან მანანას მეგობრები

თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაციით, გარდაცვლილ არასრულწლოვანს სექსუალური ძალადობის კვალიც აღენიშნებოდა, თუმცა ეს დეტალი საბოლოოდ მას შემდეგ გაირკვევა, რაც საქმეზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა გახდება ცნობილი. გოგონას დამწვარი ცხედარი უკვე მიაბარეს მიწას, 51 წლის მკვლელობაში ბრალდებულს კი, ალბათ, უამრავი წელიწადის გატარება საკანში მოუწევს. მას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით ედება (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში), რაც 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, თუმცა ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსი, ლევან კვიციანი „პრაიმტაიმთან“ საუბრისას არ გამორიცხავს, რომ იაგო წიკლაურის მიმართ მუხლი გადაკვალიფიცირდეს და გამოძიების პროცესში მას ბრალი კიდევ უფრო დაუმძიმდეს.

ლევან კვიციანი, შსს ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს უფროსი:

– მარნეულის რაიონის სოფელ თამარისში მომხდარ მკვლელობაზე იმავე დღეს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე 109-ე მუხლით, რაც დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობას გულისხმობს. საქმეზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად შსს-ს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დანაშაულში ბრალდებული პირი ცხელ კვალზე დააკავეს. მან ჩადენილი დანაშაული აღიარა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

უგულავა პარტიას ქმნის?

მას შემდეგ, რაც „ნაციონალური პარტია“ შეიქმნა, ამბობენ, რომ იშლება. გუნდი ჯერ ოქრუაშვილმა დატოვა, შემდეგ ბურჯანაძე... ახლა ამბობენ, რომ მალე პარტიას გიგი უგულავა დატოვებს. ძნელი დასაჯერებელია, თუმცა, ხმები ასეთი დადის. ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, როგორც ვარაუდობენ, პარტიაში ბევრი რამ შეიცვლება. როგორც ამბობენ, ეს დაშლა კი არა, ტაქტიკური ნაბიჯი იქნება იმისთვის, რომ გაიშალონ და ბრძოლა გააგრძელონ.

კუკავა უკვე მეორედ გადაადგეს

ჯერ ოთხნი იყვნენ, მერე – სამნი შემდეგ – ორნი და ახლა შესაძლოა, მარტო დარჩეს. ეს კახა კუკავას პოლიტიკური ისტორიაა. ჯერ „ქდმ“ გამოეცალა თითქმის შეკოწიწებული კოალიციიდან, თანაც ისე, რომ არაფერი იცოდა. ერთ დღესაც გაიღვიძა და წაიკითხა, რომ ნინო ბურჯანაძე და გიორგი ახვლედიანი დაძმობილდნენ.

ნუ, ეს კიდევ არაფერი, როცა ოთხეული ჯონდი ბაღათურიამ დატოვა, ეს უკვე მეტი-სმეტი იყო. ნამდვილ პოლიტიკურ ტვიქსებს ჰგავდნენ ბოლოს, უკვე იმდენი საერთო ჰქონდათ – კოალიცია, იდეები, ოფისი – პარტიების შერწყმაზეც კი საუბრობდნენ და ამ დროს ჯონდი ბაღათურიამაც ბურჯანაძისკენ ისკუპა.

არადა, პირველი „მოღალატე“ „ქდმ“ ირწმუნებოდა, ჩვენ კახა კუკავას ინტერესებს ვლობირებთ ნინოს კარზეო, თუმცა, ეს კარი მხოლოდ ჯონდი ბაღათურიასთვის გაიღო.

კახა კუკავა, „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი: „მე და ჯონდის შორის რაღაც სახის კონსულტაციები მიმდინარეობდა, მაგრამ ოფიციალურად კოალიცია არ გვქონია. ამ გადაწყვეტილების შესახებ დილით ტელევიზიიდან შევიტყვე. რაც შეეხება ჩემს მომავალს თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით, მომავალ კვირას არასაპარლამენტო პარტიებთან ერთად საარჩევნო ბლოკის შექმნას გამოვაცხადებთ“.

ჯონდი ბაღათურია, „ქართული დასი“: „ჩვენ დიალოგს ვაწარმოებდით და ვაწარმოებთ „თავისუფალ საქართველოსთან“ და „ბურჯანაძე-დემოკრატებთან“. ჩვენ და კუკავას პარტია „ბურჯანაძე-დემოკრატებთან“ერთობლივადაც ვაწარმოებდით მოლაპარაკებებს. ორივეს გვქონდა სურვილი, რომ ასეთი კოალიცია შემდგარიყო. ბურჯანაძის პარტიასთან მოლაპარაკებები პრაქტიკულად დავასრულეთ. ჩემი სურვილია, რომ ამ კოალიციის შემადგენლობაში „თავისუფალი საქართველოც“ იყოს. ჩვენ და ბურჯანაძის პარტია შევთანხმდით, რომ იქნება პარტიათა კოალიცია და არა შერწყმა. არსებობენ პარტიები, რომელსაც აქვთ სურვილი, რომ შეერწყან.

„ფონდ ნატახტარის“ საქველმოქმედო აქციის მესამე ტალღის შედეგად, მზრუნველობამოკლებული მოზარდებისთვის რეკორდული თანხა მოგროვდა

თეა ხომერიკი

24 მარტს კომპანია „ნატახტარმა“ ჟურნალისტთა კორპუსი „ტიფლის პალასში“ პრესკონფერენციაზე მიგვიწვია, სადაც „ფონდი ნატახტარის“ მიერ 2012-2013 წელს განხორციელებული პროექტებისა და სამომავლო გეგმების შესახებ ისაუბრეს.

ყველაფერი კი, 2011 წელს დაიწყო, როცა კომპანია „ნატახტარმა“ უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით „ფონდი ნატახტარი“ დააფუძნა. მიზანი საოცრად კეთილშობილური იყო – მზრუნველობამოკლებული მოზარდების საზოგადოებაში ინტეგრაცია, დასაქმება, განათლების მიცემა და სხვა.

თორნიკე ნიკოლაიშვილი

მანანა ომარაშვილი

25 ნოემბრიდან 25 თებერვლის ჩათვლით „ნატახტარის ლიმონათის“ თითოეული გაყიდული ბოთლიდან, შეფუთვების შესაბამისად 0.33 ლიტრი, 0,5 ლ, 1 ლ და 2ლ, ფონდში ირიცხებოდა 1, 3 და 5 თეთრი. საქველმოქმედო აქციის მესამე ტალღის შედეგად, მზრუნველობამოკლებული მოზარდებისთვის რეკორდული თანხა 183742 ლარი შეგროვდა. სამი წლის განმავლობაში კი ფონდში სულ 420 000 ლარზე მეტი ჩაირიცხა, რომელიც მზრუნველობამოკლებულ მოზარდთა საზოგადოებაში ინტეგრაციას მოხმარდა.

როგორც „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორმა თორნიკე ნიკოლაიშვილმა განაცხადა, თითოეული მოზარდი ცალკე აღებული „ქეისია“ და თითოეულ მათგანთან ურთიერთობაც ინდივიდუალურია. ეს გახლავთ ერთადერთი პროექტი, რომელიც არ წყვეტს მომსახურებას მოზარდების სრულწლოვანების შემდეგაც, პროექტში ჩართულ მოზარდს დახმარებას გაუწევენ, ვიდრე ის არ იქნება მზად დამოუკიდებლად ცხოვრებისათვის.

პროექტის მიზნის განსახორციელებლად მნიშვნელოვანია საზოგადოების კონსოლიდაცია და ცნობადობის ამაღლება ამ პრობლემასთან დაკავშირებით.

თანხების მოძიება ხდება არა მხოლოდ ზემოთ აღნიშნული გზით, არამედ სხვა საშუალებითაც. სოციალურ ქსელში ფონდის გვერდის საშუალებით მომხმარებლებმა შეაგროვეს გარკვეული თანხა. ასევე, ჩატარდა აუქციონი, რისთვისაც ქართველმა გამოჩენილმა მხატვრებმა შექმნეს ნამუშევრები. ამ ორი პროექტის განხორციელების შედეგად კი ფონდმა დამატებით 12 500 ლარი მიიღო.

შეხვედრაზე „ფონდი ნატახტარის“ ფსიქოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელმა მანანა ომარაშვილმა ამ წლების განმავლობაში ფონდის ფარგლებში გაწეული მუშაობის შედეგების პრეზენტაცია გამართა. 2012-13 წლებში მათ შეძლეს დახმარებოდნენ 162 ბენეფიციარს, ესენი არიან 15 წლის და მასზე უფრო დიდი ასაკის მოზარდები, რომლებიც ცხოვრობენ მცირე საოჯახო სახლებში, მათგან 66 მოზარდი, რომელთაც უკვე 18 წელი შეუსრულდა და დატოვა სახელმწიფო ზრუნვის სისტემა.

ამ ორი წლის განმავლობაში სულ დახურულია 45 შემთხვევა, რაც იმას ნიშნავს, რომ ფსიქოლოგთა გუნდმა ჩათვალა, რომ პროგრამის გაგრძელება იმ კონკრეტულ პირობებთან აღარ იყო საჭირო. ეს შეიძლება მომხდარიყო სხვადასხვა მიზეზით, მაგალითად, თუ უკვე დამოუკიდებლად შეუძლია მას ცხოვრება, მუშაობს, ხშირია გათხოვების შემთხვევები, როცა უკვე თვითონვე უარს ამბობენ მხარდაჭერაზე. ასევე, არსებობს მიმღებ ოჯახებში მოზარდების გაგზავნის შემთხვევაც, რომელსაც სოციალური მუშაკი ახორციელებს, ასეთ შემთხვევაში კი სახელმწიფო გარკვეულ ხელფასს უხდის იმ ოჯახს მოზარდზე ზრუნვისთვის.

დასასრულს, აქცენტი პროექტის წარმატებებზეც გაკეთდა. დღესდღეობით, მიმდინარე 117 ქეისიდან 13 მოზარდი მუშაობს, 5 სტუდენტია, 15 აბიტურიენტი, მაგრამ როგორც ქალბატონმა მანანამ განაცხადა, ფსიქოლოგთა გუნდს შეუმუშავებია წარმატების კრიტერიუმები, რაც შემდეგში მდგომარეობს, ისინი თვლიან, რომ წარმატება მიღწეულია მაშინ, როცა ფსიქოლოგის მუშაობის შედეგად მოზარდი უფრო მეტად ადაპტირებული და საზოგადოებაში ინტეგრირებული გახდება, წარმატების დამაგვირგვინებელი არის ის, რომ ბენეფიციარმა შეძლოს დამოუკიდებლად ცხოვრება, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია იმისთვის, რომ მისი ქეისი დაიხუროს.

გარდა იმისა, რომ „ნატახტარმა“ საფუძველი ჩაუყარა კეთილ საქმეს და უკვე ბევრ ადამიანს დაეხმარა; უმნიშვნელოვანესია ის ფაქტი, რომ პროექტი უწყვეტია და კვლავ განაგრძობს მოზარდების ცხოვრების სრულფასოვნებისაკენ სწრაფვას.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვალერი გელბახიანი: „თუ დემოკრატიისთვის ბრძოლა სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავს, მაშინ დავარქვათ სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლა, კი ბატონო“

„მართალია, მაშინ სამეული მართავდა ქვეყანას, მაგრამ ერთმანეთთან არ თანამშრომლობდნენ. მეტიც, იგეგმებოდა ყველას თავიდან ჩამოშორება სააკაშვილის მიერ. პირველი სიაში ჟვანია იყო, შემდეგ ბურჯანაძე და შემდეგ თავად გახდებოდა ერთპიროვნული ლიდერი“

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

პუტინს რომ სააკაშვილის მოშორების გეგმა ჰქონდა ამ ვერსიაში, პრინციპში, გასაკვირი არც არაფერია. ისევ ექსპრეზიდენტისგან ირკვევა, რომ იგივე გეგმა თავის დროზე ბადრი პატარკაციშვილსაც ჰქონია და მიზნის მისაღწევად მას ზურაბ ჟვანიას დახმარება სჭირდებოდა. ისტორიის გმირებიდან ცოცხალი მხოლოდ სააკაშვილია, შესაბამისად, ძალიან რთულია, დეტალების და რაც მთავარია, სიმართლის გარკვევა.

მიხეილ სააკაშვილი:

– როდესაც ზურაბი გარდაიცვალა, გავიგე, რომ უცნაური რაღაცები დაინყეს მისმა ძმამ და მეუღლემ. მე მეუღლეს ვთხოვე ჩემთან მოსვლა და ის მოვიდა. მას ვუთხარი, ნინო, რაზეა ლაპარაკი, შენ არ იყავი იქ და არ იცი ყველაფერი-თქო? მითხრა, რა პრეტენზიები უნდა მქონდეს, მაგრამ შენ ხომ იცი, როგორც ყველა პოლიტიკოსს, ზურასაც, ჰქონდა ბევრი ფულიო. მე არ მაქვს ფული და რას ლაპარაკობ-მეთქი ვუთხარი. ერთ-ერთმა მითხრა, რომ ორი დღით ადრე ზურას მისცა დიდი თანხა და ამ თანხის ნაწილი მინდა ამოვიღო, რადგანაც შესაძლოა დაცვას ჰქონდესო. პატარკაციშვილმა უთხრა ეს. პატარკაციშვილი ამუშავებდა ჟვანიას ძმას. ეს ჩემთვის მიუღებელი იყო.

ჟვანიას ოჯახის რეაქცია ექსპრეზიდენტის სიტყვებზე სრულიად საქართველომ იხილა. ნინო ქადაგიძემ და გოგლა ჟვანიამ სააკაშვილი ცილისწამებაში დაადანაშაულეს და განაცხადეს, რომ ფინანსები სააკაშვილთან საუბრისას მხოლოდ ერთი მიმართულებით გაჟღერდა – რამდენად შეიძლებოდა ზურაბ ჟვანიას გარდაცვალება ყოფილიყო ფულთან დაკავშირებული. რაც შეეხება პატარკაციშვილს, გოგლა ჟვანია ადასტურებს, რომ მისი ძმის ოჯახს ბიზნესმენი ბოლომდე ეხმარებოდა ფინანსურადაც და მორალურადაც.

გოგლა ჟვანია:

– პატარკაციშვილი ყოველ პირველ სექტემბერს მოდიოდა ოჯახში, ბავშვები მიჰყავდა სკოლაში და ფინანსურად მხარში ედგა ჩემი ძმის ოჯახს.

თუმცა თავად სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ თავის დროზე პატარკაციშვილი სწორედ სააკაშვილის ხელისუფლებიდან ჩამოშორებისთვის ხარჯავდა საკუთარ ფინანსებს და თანაც საკმაოდ კოლოსალურ თანხებს. ვალერი გელბახიანი, რომელიც ბადრი პატარკაციშვილის შტაბის უფროსი იყო თითქმის ყველა შეხვედრასა და მოლაპარაკებას პირადად ესწრებოდა. სწორედ ამიტომ მან დეტალებში იცის, რა ურთიერთობა იყო იმ პერიოდში, ერთი მხრივ, ჟვანია-სააკაშვილს შორის და მეორე მხრივ, ჟვანია-პატარკაციშვილს შორის. გელბახიანის განცხადებით, არანაირი სახელმწიფო გადატრიალება საჭირო არ იყო, რადგან სააკაშვილის დამარცხება არჩევნების და რაც მთავარია, მშვიდობიანი გზით მარტივად მისაღწევი გეგმა იყო.

ვალერი გელბახიანი, ბადრი პატარკაციშვილის შტაბის ყოფილი ხელმძღვანელი:

– გადატრიალება ვის რაში აწყობდა, როდესაც შეიძლებოდა არჩევნების გზით შეცვლილიყო პრეზიდენტი სააკაშვილი.

– თუმცა იმ პერიოდში სააკაშვილს საკმაოდ მაღალი რეიტინგი ჰქონდა...

– პატარკაციშვილი არჩევნებზე სრულფასოვნად რომ ყოფილიყო წარმოდგენილი, სააკაშვილი ვერც ერთ შემთხვევაში ვერ აიღებდა ხმების საჭირო რაოდენობას. სააკაშვილს მაშინ გაჩეჩილაძე შერჩა ერთ-ერთ მთავარ კონკურენტად და იქაც კი ვერ აიღო 50+1 ხმა და მთელი ღამე ინვალეს, რომ შედეგები გადაეკეთებინათ.

– როგორ ფიქრობთ, რაში დასჭირდა ექსპრეზიდენტს მსგავსი განცხადების გაკეთება?

– სააკაშვილს სჭირდებოდა თავის გასასამართლებლად თუ რატომ დაარბია 7 ნოემბერს მშვიდობიანი მომიტინგეები, რატომ დაარბია „იმედი“, რატომ დაიჭირა უდანაშაულო ადამიანები, რატომ დაგვიშალა ჩვენ საარჩევნო შტაბი, რატომ გვამყოფა ემიგრაციაში ამდენი წელი. ამიტომ ის თავის ვერსიებს ავრცელებს და რეალურად გამართლების საფუძველი არ გააჩნია. პატარკაციშვილი მართლა ხარჯავდა ფულს, მაგრამ არა გადატრიალებისთვის, არამედ იმისთვის, რომ კონსტიტუციურ ჩარჩოებში მოქცეულიყო მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები.

– გამოდის, რომ სააკაშვილის საწინააღმდეგოდ ხარჯავდა პატარკაციშვილი თანხას...

– სააკაშვილის საწინააღმდეგოდ კი არ ხარჯავდა, არამედ იმ რეჟიმის საწინააღმდეგოდ, რომელიც არადემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობით იყო დაკავებული. ამ შემთხვევაში სააკაშვილი იყო სახელმწიფოს პირველი პირი და რადგან ქვეყანაში სიტუაცია არ მიდიოდა კონსტიტუციის ჩარჩოებში, ამიტომ ითავა პატარკაციშვილმა საქართველოს მოსახლეობას დახმარება. მას სურდა, ხალხისთვის მიეცა დემოკრატიული პირობების შექმნის საშუალება. ჯერ კიდევ 2004 წლიდან ტელეკომპანია „იმედი“ იყო დემოკრატიის ერთ-ერთი ტრიბუნა, ხალხი სწორედ იქიდან იგებდა სიმართლეს. თუ დემოკრატიისთვის ბრძოლა სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავს, მაშინ დავარქვათ სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლა, კი ბატონო. თუმცა რეალურად ეს იყო არადემოკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა. ცხადია, რესურსები ამ ბრძოლას ხმარდებოდა, მათ შორის მედიის რესურსებიც.

– სააკაშვილმა განაცხადა, რომ თანხა ჟვანიას მისცა პატარკაციშვილმა...

– ეს ფაქტი იყო გარდაცვალების შემდეგ. პატარკაციშვილი ჟვანიას ოჯახს ნამდვილად დაეხმარა ბატონი ზურას გარდაცვალების შემდეგ და ეს იყო ნამდვილად ღირსეული საქციელი.

– არა, სააკაშვილმა განაცხადა, რომ პატარკაციშვილმა ჟვანიას სიცოცხლეშივე მისცა თანხა, საუბარი იყო საკმაოდ სოლიდურ თანხაზე...

– მე თითქმის ყველა პროცესში ვიყავი ჩართული, მაშინ სააკაშვილი ხელს უწყობდა, რომ ჟვანიას არ ჰქონოდა ჯანსაღი ურთიერთობა პარლამენტის იმდროინდელ თავმჯდომარესთან, ნინო ბურჯანაძესთან. ბევრი ასეთი ნიუანსი იყო. მართალია, მაშინ სამეული მართავდა ქვეყანას, მაგრამ ერთმანეთთან არ თანამშრომლობდნენ. მეტიც, სააკაშვილის მიერ იგეგმებოდა ყველას თავიდან ჩამოშორება. პირველი სიაში ჟვანია იყო, შემდეგ ბურჯანაძე და შემდეგ თავად გახდებოდა ერთპიროვნული ლიდერი. მზაობა იმისა, რომ პრემიერ-მინისტრი ჟვანია და პრეზიდენტი სააკაშვილი ვეღარ ითანამშრომლებდნენ, უკვე არსებობდა. მე მქონდა ინფორმაცია, რომ ჟვანია აპირებდა პრემიერ-მინისტრის პოსტის დატოვებას და ოპოზიციაში გადასვლას გეგმავდა, მაგრამ ამისთვის ემზადებოდა, რომ მარტო არ დარჩენილიყო და ეძებდა პოლიტიკურ პარტნიორებს პარლამენტში და პარლამენტს გარეთაც. მათ შორის ერთ-ერთ დასაყრდენ ძალად, ალბათ, სწორედ ბადრი პატარკაციშვილი განიხილებოდა. ისინი მეგობრობდნენ, ბადრის ძალიან მოსწონდა ზურას სახელმწიფო და ეროვნული იდეები, ის არ მალავდა ამას, ოღონდ იმის გათვალისწინებით, რომ ბადრის არ სურდა პირადად პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა. თავის დროზე პატარკაციშვილი სააკაშვილსაც დაეხმარა ფინანსურად, როგორ გამოიყენა სააკაშვილმა ეს ფინანსები, სხვა საკითხია.



„მე მქონდა ინფორმაცია, რომ ჟვანია აპირებდა პრემიერ-მინისტრის პოსტის დატოვებას და ოპოზიციაში გადასვლას გეგმავდა, მაგრამ ამისთვის ემზადებოდა, რომ მარტო არ დარჩენილიყო და ეძებდა პოლიტიკურ პარტნიორებს პარლამენტში და პარლამენტს გარეთაც. მათ შორის ერთ-ერთ დასაყრდენ ძალად, ალბათ, სწორედ ბადრი პატარკაციშვილი განიხილებოდა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



დაჯავშნეთ ბილეთები online
ჩვენს ვებ-გვერდზე
WWW.AIRZENA.COM

20 წელი თქვენს გვერდით

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კუკავა და ბურჯანაძე - „რუსეთის ელიტარული აგენტები“

სამომავლოდ კი, ვთვლით, რომ ნატოს საკითხი ახალი პლებისციტით გადაწყდეს

EXCLUSIVE

ქეთი ხატიაშვილი

არასაპარლამენტო ოპოზიცია ვერა და ვერ დალაგდა. სასაცილო ხდება უკვე მათი მუდმივი კონსულტაციები და ამ ფონზე ისეთი ამბიციური განცხადებები, როგორიცაა: ჩვენ გავიმარჯვებთ, თუკი არჩევნები „ნაცებმა“ და „ქოცებმა“ არ გააყალბეს. რეალურად კი მათ მოლაპარაკებებში გამარჯვების თავიც არა აქვთ. კახა კუკავამ, ამ მხრივ, ყველა რეკორდი მოხსნა. ის, როგორც ყველაზე აქტიური და პერსპექტიული ფიგურა, ჩამოყალიბებული ჯერაც არ არის. ან ძვირად „ყიდდა“ საკუთარ მონაცემებს ან, უბრალოდ, არ გაუმართლდა.

არ გაუმართლა იმიტომ, რომ პრორუსულ ორბიტაზე მთელი სივრცე ნინო ბურჯანაძემ დაიკავა და სერიოზული პოლიტიკური თუ ფინანსური წრეები მის დაფინანსებაზე უარს ამბობენ.

ახლა ის მარტო დარჩა და პარტნიორს ვერ პოულობს. ჯერ ჩუმად არის და საკუთარ სტრატეგიაზე არ საუბრობს. მოლაპარაკებებს ანარმოებს ახლებთან და სალომე ზურაბიშვილის პარტიასთან. სალომეც ჯერ დუმს. კონსულტაციები კი თითქოს გრძელდება. არ არის გამორიცხული, ზურაბიშვილი დროს წელავდეს.

ადგილობრივ არჩევნებზე მხოლოდ ერთი პრორუსული ძალა გამოვა და ეს ნინო ბურჯანაძე იქნება.

ერთხელ ბურჯანაძეს გზა უკვე გაუკვალეს და გზამკლევის როლი ზურაბ ნოღაიდელმა შეასრულა, როცა პირველმა ღიად და დაუფარავად შეაბიჯა კრემლში და ხელი პუტინს ასევე ღიად და დაუფარავად ჩამოართვა. და თუ მანამდე ბურჯანაძე „პოლიტიკური ქალწულის“ როლს თამაშობდა, ამის შემდეგ უკვე პუტინის გვერდით დადგომა არც თავად მორიდებია.

ახლა ნინოც ჩუმად არის და თვალს ადევნებს ქუჩაში რადიკალი პრორუსების მსვლელობებს. სანამ მათ „ჯირყვნიან“, ბურჯანაძე რუსულ დროშას, ალბათ, კაბინეტში ინახავს, ქუჩაში მისი გამოტანა ჯერ ადრეა. ამ ფონზე ბურჯანაძე მხოლოდ საკუთარი კაბინეტიდან გვმოძღვრავს და გვირჩევს, რუსებს დავუტკბეთ, არ გავაღიზიანოთ და არ ვეურჩოთ.

– თუ ილაპარაკებ, რუსეთი ოკუპანტია და მას არ დაველაპარაკები, სანამ ჩემი ქვეყნის ტერიტორიიდან არ გავაო, გარწმუნებთ, არ გავა. არათუ არ გავა, საზღვარს კიდევ გადმოგიწევთ და მოდით, მაშინ, ყველამ ერთმანეთს ხელი ჩავკიდოთ და ვიძახოთ ოკუპანტი, ვნახოთ, თუ გავა. არ გავა! უნდა მოველაპარაკოთ, თორემ წყალში ჩაგვეყრება ღვინოზე, ვაშლზე, „ბორჯომზე“ მოლაპარაკება, რადგან ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღონ, რომ „ბორჯომს“ თურმე ის გემო არ აქვს, 30 წლის წინათ რომ ჰქონდა.

და რა აღიზიანებს რუსეთს? – რა თქმა უნდა, საქართველოს ევროატლანტიკური არჩევანი, წარმატებული სახელმწიფო და ბურჯანაძე ოპოზიციაში.

ფაქტობრივად, კახა კუკავაც რუსულ ინტერესებს იცავს, როცა ამბობს, პროქართული ორიენტაცია უნდა გვქონდესო. მოსკოვიდან კი ისეთ სტუმრებს იწვევს, ვისთვისაც არც რუსეთია ოკუპანტი და არც საქართველოა სახელმწიფო.

ასე რომ, რუსეთის გაღიზიანებას კახა კუკავაც ერიდება. ის იყო, ალბათ, ერთადერთი, ვინც ღიად დააყენა ეჭვქვეშ იმ რეფერენდუმის შედეგები, სადაც საქართველოს მოქალაქეების 80% სწორედ ნატოში საქართველოს შესვლას უჭერს მხარს.

კახა კუკავა:

– ჩვენ იმ რეფერენდუმის შედეგებს ეჭვის ქვეშ ვაყენებთ, რომელიც ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად. ქართველ საზოგადოებაში მიღწეულია კონსენსუსი, რომ ეს არჩევნები გაყალბებულია. სამომავლოდ კი, ვთვლით, რომ ეს საკითხი შესაძლოა, ახალი პლებისციტით გადაწყდეს.

სანამ კახა კუკავა და ნინო ბურჯანაძე ამ საკითხზე პლებიცისტს ჩაატარებენ, მანამდე კახა კუკავაც, ბურჯანაძის მსგავსად, განმარტავს, რომ მისი რუსეთისადმი დამოკიდებულება პროქართულობისა და პატრიოტიზმის შედეგია და მხოლოდ:

– რაც შეეხება ჩვენს არგუმენტებს საგარეო კურსის შესახებ, მიგვაჩნია, რომ არ ვართ ე.წ. პროდასავლური თუ პრორუსული პარტია. ამგვარი რამ ცოტა შეურაცხმყოფელიცაა დამოუკიდებელი ქვეყნის პოლიტიკური პარტიისთვის. დამოუკიდებელი ქვეყნის პოლიტიკური პარტია უნდა იყოს იმ ქვეყნის „პრო“, რომელი ქვეყნის პარტიაც არის. ვთქვათ, საფრანგეთის პარტიები უნდა იყვნენ პროფრანგულები, გერმანელები – პროგერმანულები და ა.შ. არანორმალური იქნებოდა, თუ, ვთქვათ, საფრანგეთში რომელიმე პოლიტიკური პარტია პროგერმანული იქნებოდა, ანდა გერმანული პარტია, ვთქვათ, პროქართული.

ხშირად გვიწოდებენ პრორუსულ პარტიას. თუმცა, ამდაგვარად არ მიგვაჩნია საკუთარი თავი. ჩვენ საქართველოს ინტერესებიდან გამოვდივართ ყოველ კონკრეტულ საკითხზე. უნდა გადავწყვიტოთ მარტივი პოლიტიკური არითმეტიკით, რა უფრო მომგებიანი იქნება საქართველოსთვის. არსებობს პოლიტიკური პრაგმატიზმი. მაგალითად, თუ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოსთან რეინტეგრაციას ხელს შეუწყობს საქართველოს თანამშრომლობა რუსეთთან, უნდა ვითანამშრომლოთ რუსეთთან, თუ ნატოსთან თანამშრომლობა შეუწყობს ხელს , უნდა ვითანამშრომლოთ ნატო-სთან. ესაა ჩვენი ფასეულობა და პრინციპი.

რაც შეეხება „არა ნატო-ს“ ტაქტიკას. მე მგონია, და ბევრი საუბრობს ამაზე არაოფიციალურ საუბრებში, რომ საქართველო-ნატო-ს თანამშრომლობა ვერ იქნება აფხაზეთის რეინტეგრაციის პროცესში ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც საქართველო-რუსეთის თანამშრომლობა. პირიქით, ნატო-ს საკითხმა გამოიწვია პრობლემები ამ საკითხში და ჩვენ გვაქვს ვარაუდი, თუმცა ეს არაა აბსოლუტური ჭეშმარიტება, რომ რუსეთთან თანამშრომლობა ამ საკითხში შემოიტანს პოზიტიურ მომენტებს. ჩვენ რუსეთის გამო არ ვაკეთებთ იმას, რომ რუსეთ-საქართველოს თანამშრომლობას ვუჭერთ მხარს...“

რა თქმა უნდა, არც კუკავა და არც ბურჯანაძე საკუთარ პარტიას „ევრაზიას“ არ დაარქმევენ, ისინი თავისუფალ საქართველოსა და დემოკრატიულ საქართველოს იყენებენ სახელწოდებაში, თუმცა, ორივე მხარს უჭერს არა საქართველოს სახელმწიფოს – მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება საქართველო თავისუფალიც იყოს და დემოკრატიულიც – არამედ ევრაზიას. თუმცა, სანამ ევრაზიის გამო ქუჩაში სცემენ, ოფისებში არიან ჩაკეტილები და სიტყვა „ევრაზიას“ ვერ ამბობენ, შესაძლოა, ამის გამოც, სოციალურ ქსელებში მათ უკვე უწოდეს რუსეთის ელიტარული აგენტები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ORBELI ორბელი

ერისთავის ქ. N1

ტელ: 2 14 75 75 / 595 60 90 13

100 ლარიანი

ვაუჩერი ორბელისგან

წარმოადგინეთ ორბელის მაღაზიაში
და მიიღეთ 100 ლარის ფასდაკლება

მის: ერისთავის ქ. N1 ტელ: 595 60 90 13

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ზურაბ ქარუმიძე vs სოსო ჯაჭვლიანი

„პირდაპირ ასე დანერეთ – ქარუმიძე არის ფალოსი და ჩემი ეს შეფასება გადამოწმებას არ ექვემდებარება“

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

ქარუმიძე-ჯაჭვლიანის დაპირისპირებაში დეპუტატი დიდი სხვაობით დამარცხდა. გარდა იმისა, რომ ჯაჭვლიანმა საკუთარი თავი გაყიდა და დაამტკიცა, რომ, როგორც დეპუტატი საკუთარ საქმიანობაში ვერ ერკვევა, გუნდმაც მის საწინააღმდეგო მხარეს დაიკავა ადგილი.

მარგველაშვილის პრეზიდენტად არჩევიდან მთელი ხუთი თვეა გასული. სწორედ ამდენივე დროა, რაც პარლამენტი ელჩების დანიშვნა-არდანიშვნაში აღარ ერევა. როგორც ირკვევა, სოსო ჯაჭვლიანამდე ხუთი თვის წინანდელი ინფორმაცია ჯერ კიდევ არ მისულა. მეტიც, მას წარმოდგენაც კი არ აქვს, რა ცვლილებები განხორციელდა კონსტიტუციაში. კანონების მიღმა დარჩენილ დეპუტატს, აღმოჩნდა, რომ მაინცდამაინც წიგნებიც არ ჰყვარებია. ამაზე მინიშნება უმრავლესობაშივე გაკეთდა. მაგალითად, ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა, კოალიციის წევრები ქვეყნის საგარეო კურსზე შევთანხმდით, სწორედ ამაზე ვთანამშრომლობთ და არა წიგნების კითხვაზეო... დაპირისპირების ამოსავალი წერტილი ისევ და ისევ ჯაჭვლიანის არამდგრადი ხასიათი გახდა. უფრო კონკრეტულად კი მწერლის, ზურაბ ქარუმიძის მიერ დაწერილმა ნაწარმოებმა „მელია ტულეფია“-მ ჯაჭვლიანში შინაგანი პროტესტი გამოიწვია. ოღონდ ისე, რომ თავად ნაწარმოები არც კი წაუკითხავს. როგორც ამბობენ, ჯაჭვლიანს ნაწარმოებიდან ამონარიდი ამოუბეჭდეს, მიუტანეს, წააკითხეს და... შედეგად შეიქმნა „ნუ ბლატაობ, შე ჩმორო 2“. ზოგადად, ჯაჭვლიანი უკვე უმრავლესობასაც უქმნის პრობლემებს. „ოცნების“ დეპუტატებს უფრო და უფრო ხშირად უწევთ თავის მართლება, ახსნა-განმარტებების კეთება ჯაჭვლიანის გაფუჭებულის გამო. თავად „ბუნტისთავი“ ძველ აზრზე რჩება და საკუთარ კოლეგებსაც ემუქრება იმ შემთხვევაში, თუ ქარუმიძეს ვინმე მხარს დაუჭერს...

სოსო ჯაჭვლიანი:

– ქარუმიძეს ყოველ მეორე სიტყვაზე „ფალოსი“ აკერია პირზე, ეტყობა, თვითონაც გაფალოსდა და ფალოსს შეიძლება რამეზე ვეკამათო?! დიახ, პირდაპირ ასე დაწერეთ – ქარუმიძე არის ფალოსი და ჩემი ეს შეფასება გადამოწმებას არ ექვემდებარება. ყველა ადამიანს, ვინც მის კანდიდატურას დიდ ბრიტანეთში ელჩის დამტკიცებაზე მხარს დაუჭერს, ასევე, ფალოსს ვუწოდებ.

თავად მწერალი ზურაბ ქარუმიძე განრისხებულ დეპუტატზე საკუთარ „დასკვნას“ დებს. მისთვის სოსო ჯაჭვლიანი, უბრალოდ, უზრდელი პოლიტიკოსია, რომელიც იმაზე საუბრობს, რაც არ იცის.

ზურაბ ქარუმიძე:

– ჯაჭვლიანის განცხადებაზე ძალიან მარტივი კომენტარის გაკეთება შემიძლია – ფაქტია, რომ ეს ადამიანი არის უზრდელი და ამავე დროს, არ აქვს წაკითხული ის წიგნი, რაზეც კომენტარს აკეთებს. მას რომ წაკითხული ჰქონდეს „მელია ტულეფია“, ნახავდა, რომ ეს წიგნი გაჯერებულია სვანეთისა და სვანების სიყვარულით.

ზურაბ ქარუმიძე 2010 წლის ლიტერატურული პრემია „საბას“ გამარჯვებულია ნომინაციაში – საუკეთესო კრიტიკა, ესსეისტიკა და დოკუმენტური პროზა. მისი ორი მოთხრობა, რომელიც თავადვე თარგმნა ინგლისურ ენაზე, გამოქვეყნებულია ამერიკაში. წლების განმავლობაში რედაქტორობდა ინგლისურენოვან ჟურნალებს საქართველოში. ქარუმიძე არის ერთადერთი ქართველი მწერალი, რომელმაც უცხოურ ენაზე დაწერა რომანი. ჯაჭვლიანის მოწოდების მიუხედავად, ქარუმიძის კანდიდატურას საგარეო საქმეთა სამინისტროში ელჩის პოსტზე მაინც განიხილავენ.

ზურაბ ქარუმიძე: „ფაქტია, რომ ეს ადამიანი არის უზრდელი“

მაია ფანჯიკიძე, საგარეო საქმეთა მინისტრი:

– ჩვენ ბატონი ზურაბის კანდიდატურას, რომელსაც მე ძალიან დიდ პატივს ვცემ და ძალიან ვაფასებ, განვიხილავთ, მაგრამ ეს გადაწყვეტილება მიღებული არ არის და მისი არანაირი წარდგინება არსად გადაგზავნილი არ არის. სხვათა შორის, ელჩის კანდიდატურები პარლამენტს აღარ ეგზავნება. ელჩის კანდიდატურა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ ეგზავნება საქართველოს მთავრობას, გადის მთავრობაზე და მის დანიშვნას შემდეგ ხელს აწერს პრეზიდენტი. ეს კი ამ შემთხვევაში ჯერ არ მომხდარა. ასე რომ, ეს აჟიოტაჟი არავჯანსაღია.

თუმცა ფაქტია, იყო გაურკვევლობა, რადგან ჯაჭვლიანის მიერ მოწყობილი სკანდალის შემდეგ ითქვა, რომ ქარუმიძის კანდიდატურა არც განხილულა. მოგვიანებით, როდესაც პროტესტი თავად უმრავლესობაში გამოითქვა და აქაც „რესპუბლიკელები“ იყვნენ პირველები, საგარეო უწყებამ დაადასტურა ქარუმიძის კანდიდატობა და თავად ქარუმიძემაც აღიარა, რომ მსგავსი საკითხი განიხილება. ამის დამალვა ან უარყოფა შეუძლებელიც იყო, რადგან სოციალურ ქსელში ქარუმიძეს ახლობლები წინასწარვე ულოცავდნენ ელჩობას და წარმატებებს უსურვებდნენ დიპლომატიურ კარიერაში.

რაც შეეხება სოსო ჯაჭვლიანს, მის მიმართ საკუთარი გუნდის წევრები უკმაყოფილებას არც მალავენ.

ლევან ბერძენიშვილი, პარლამენტის წევრი:

– ჩვენი გადასაწყვეტი არ არის, პარლამენტი არ წყვეტს ელჩების საკითხს. საგარეო საქმეთა სამინისტრო განიხილავს ქარუმიძის კანდიდატურას და არაფერიც არ შეუჩერებია, შესაბამისად, არც გაუთვალისწინებია სხვების აზრი. კოალიცია იმისთვის არ შექმნილა, რომ თავი კომფორტულად ვიგრძნოთ. ჩვენ, კოალიციის წევრებს, ხელი გვაქვს მოწერილი იმაზე, რომ ქვეყანა მიდის ევროპაში. ამ საკითხებში ვთანამშრომლობთ და არა იმაზე, ვინ როგორ კითხულობს წიგნებს. იმ ადამიანებს, რომლებსაც პარლამენტში ჯდომის მიუხედავად, გამოეპარათ ამბავი, რომ ჩვენ აღარ ვამტკიცებთ ელჩებს, შევახსენებ, რომ ჩვენ აღარ ვამტკიცებთ მათ და ყველაზე მთავარი ვინც მხატვრულ ტექსტში მწერლისა და პერსონაჟის აზრებს ურევს და ვინც მხატვრულ თავისუფლებას ებრძვის, ის ებრძვის კონსტიტუციურ უფლებას. რადგან ყველანაირი თავისუფლება არის დაცული და ყველაზე მეტად დაცულია გამონაგონის უფლება. მე იმედი მაქვს რომ ქარუმიძე მაინც დაინიშნება ელჩად დიდ ბრიტანეთში და საქართველოსთვის ეს იქნება პატივი, იმიტომ რომ მას ეყოლება ძალიან მაღალი რანგის ელჩი. ქარუმიძეზე ვინ რა აზრის არის, მე არ ვიცი, ვინ როგორ იცის ლიტერატურის კითხვა, მე არ ვიცი, ძალიან დაეხმარება ბატონი ჯაჭვლიანის განცხადება ბატონი ზურაბის დანიშვნას.

დეპუტატების მეორე ნაწილი კი ცვლილებას აპროტესტებს და მიაჩნია, რომ ელჩის კანდიდატურის განხილვა-დამტკიცების უფლება კვლავ საკანონმდებლო ორგანოს უნდა დაუბრუნდეს.

ანი მიროტაძე, პარლამენტის წევრი:

– პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ პარლამენტს არ აქვს არანაირი უფლება, ჩაერიოს ელჩების დამტკიცების საკითხში. ეს უფლება მთლიანად დარჩა პრეზიდენტსა და მთავრობას. ეს ნიშნავს იმას, რომ კონკრეტულ ელჩებთან დაკავშირებით ჩვენთან სავალდებულო აღარ არის ინფორმაციის შემოტანა. შესაბამისად, ჩვენ ინფორმირებული არ ვართ, ვინ რომელ ქვეყანაში მოიაზრება. ჩვენ არც ბატონ ზურაბთან დაკავშირებით ვიყავით ინფორმირებულები. სოციალურ ქსელში რა ინფორმაცია ვრცელდება, ამაზე სერიოზულად საუბარი და განხილვა არ მიმაჩნია სწორად. აქედან გამომდინარე, ჩვენ პარლამენტში არც განვიხილავდით ქარუმიძის საკითხს და არც ინფორმაცია გვქონია. თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ ეს ცვლილება პირადად მე არ მომწონს. რადგან მიმაჩნია, რომ მეტი ლეგიტიმაციისთვის კარგი იქნება, ისეთმა წარმომადგენლობითმა ორგანომ, როგორიც პარლამენტია, მისცეს მანდატი ელჩს, რომელიც შემდეგ სხვა ქვეყანაში საქართველოს სახეს წარმოადგენს. რაც შეეხება ჯაჭვლიანს, მან საკუთარი აზრი დააფიქსირა, თუმცა, ალბათ, იცის, რომ ჩვენ აღარანაირი უფლება აღარ გვაქვს, მოვითხოვოთ კონკრეტული კანდიდატების გაშვება ან არგაშვება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

არაეფექტურად დახარჯული 2 მილიონი ლარი

EXCLUSIVE

„ეს არის იმ უსუსურობის „გაპრავება“, რაც განათლების სამინისტრომ ამ ხნის მანძილზე გამოიჩინა“

სალომე გოგოხია

მაშინ, როდესაც განათლების სამინისტრო ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად პროფესიულ განათლებას ასახელებს და ამ სფეროსთვის თანხებსაც არ იშურებს, სახელმწიფო აუდიტის სამსახური პროფესიულ განათლებაში არაეფექტურად დახარჯული 2 მილიონი ლარის შესახებ დასკვნას აქვეყნებს.

განათლების სამინისტროში აცხადებენ, რომ 2013 წელს პროფესიული განათლების კუთხით მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. განათლების ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი კი აცხადებს, რომ ამით სამინისტროს მიერ გამოჩენილი უსუსურობის „გაპრავება“ ხდება, ხოლო აუდიტის სამსახური სამინისტროს მიერ არარაციონალურ დაფინანსების სისტემაზე და თანხების არაეფექტურად ხარჯვაზე საუბრობს.

დასკვნაში ნათქვამია, რომ პროფესიული განათლების სფეროში გატარებული რეფორმებით არსებული პრობლემების აღმოფხვრა ვერ მოხერხდა.

„არარაციონალურია დაფინანსების სისტემა - სასწავლებლებზე თანხების გადანაწილება ხდებოდა არაოპტიმალურად, ვაუჩერის ფიქსირებული ხასიათის გამო სასწავლებლებზე გაცემული თანხები მათ რეალურ საჭიროებებს არ შეესაბამებოდა, ვაუჩერის გაცემის სისტემის ნაკლოვანებებმა მნიშვნელოვანი ოდენობის თანხების (თითქმის 2 მილიონი ლარი) არაეფექტიანად გახარჯვა გამოიწვია. სასწავლებელთა ინფრასტრუქტურული განვითარება მიმდინარეობს უსისტემოდ - რიგი სასწავლებლების რეაბილიტაცია არ განხორციელებულა მათი დაარსების დღიდან, რის გამოც სასწავლებლებს თანაბარი განვითარების შესაძლებლობა არ ეძლევათ“,- ნათქვამია ეფექტიანობის აუდიტის დასკვნაში.

ასევე, დასკვნაში ნათქვამია, რომ პროფსასწავლებლების კურსდამთავრებულთა მხოლოდ 23% ახერხებს დასაქმებას.

„თუ ჩვენი მოქალაქეების 70%, რომლებმაც პროფესიულ სასწავლებელში მიიღეს ცოდნა, ვერ ახერხებს დასაქმებას ე.ი. არსებობს პრობლემა, რომელიც საჭიროებს შესწავლას. ეს პრობლემები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უნდა იყოს შესწავლილი. უნდა მოხდეს ბაზრის კვლევა. მოხდეს პრობლემაზე ფოკუსირება და შემდეგ დასაქმებადი პროფესიების შეთავაზება სტუდენტებისთვის“,- განაცხადა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფროსმა ლაშა თორდიამ.

თვალსაჩინოებისთვის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მაგალითია მოყვანილი, სადაც ნათქვამია, რომ ზოოტექნიკოსის პროფესია, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებს, საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევების თანახმად, რეგიონში სპეციალისტზე მოთხოვნა არ არსებობს.

აუდიტი 2010-2012 წლებისა და 2013 წლის პირველი ნახევრის პერიოდზე ჩატარდა. ამ პერიოდში უწყებაში 4 მინისტრი შეიცვალა - დიმიტრი შაშკინი, ხატია დეკანოიძე, გიორგი მარგველაშვილი და თამარ სანიკიძე.

მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული განათლება ახალი და ძველი მთავრობისთვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს, აუდიტის დასკვნის თანახმად, „სამინისტრო ვერ უზრუნველყოფს მის მიერვე განსაზღვრული პრიორიტეტული სასწავლო პროგრამების შესაბამისობას შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან“.

აუდიტის სამსახურის დასკვნის საპასუხო პრეზენტაციის ჩატარებას გეგმავენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

მინისტრის თამარ სანიკიძის განცხადებით, პროფესიული განათლებისთვის 2013 წელს ბევრი რამ გაკეთდა.

„მოგვიანებით გავაკეთებთ პრეზენტაციას და ძალიან ნათლად განვმარტავთ რა მდგომარეობა იყო პროფესიული განათლების კუთხით, რა ცვლილებები განვახორციელეთ და რა შედეგები დაიდო“,- განაცხადა თამარ სანიკიძემ.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, პროფესიული განათლების მიმართ მიდგომაც შეიცვალა. თუ წინამორბედი მინისტრის დროს ვაუჩერული დაფინანსება იყო, ახალმა ხელმძღვანელობამ დაფინანსების წესი შეცვალა და სახელმწიფო გრანტის მისაღებად გამოცდები შემოიღო.

2012 წელს პროფესიული განათლებისთვის 7,5 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი. რაც შეეხება შაშკინისეულ 1 000 ლარიან ვაუჩერულ სისტემას, როგორც ამ სფეროს სპეციალისტებმა აღნიშნეს, ხშირად ეს თანხა სწავლის სრული კურსის დასრულებისთვის საკმარისი არ იყო. დაფინანსების შეცვლის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს იყო.

გასულ წელს პროფესიული განათლების ხელშეწყობისთვის სანიკიძის უწყებამ 11 მილიონ 196 ათასი ლარი გამოყო.

განათლების ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი დასკვნის შემდგენლებს პროფესიონალიზმს უწუნებს.

„დასკვნას გავეცანი. ძალიან დაბალ პროფესიულ დონეზეა შესრულებული. დასკვნაში წერია, რომ მესტიის პროფსასწავლებელში თანხა არასწორად დაიხარჯა. ზოოვეტს ამზადებდნენ, მაგრამ ამ პროფესიაზე მესტიაში მოთხოვნა არ იყოო. ეტყობა, ამ დასკვნის შემდგენი ხრუშჩოვის დროინდელია, რადგან იმ დროს გლეხს პასპორტს და სოფლის დატოვების უფლებას არ აძლევდნენ. დავუშვათ, მესტიაში ზოოვეტზე მოთხოვნა არ არის, მაგრამ ამ პროფესიის ადამიანს სხვაგან მუშაობა შეუძლია, მაგალითად, სენაკში. ეს აბსოლუტურად გაუგებარია. გავიდეთ სოფლად და ნებისმიერ გლეხს ვკითხოთ, სჭირდებათ თუ არა ზოოვეტი. გეტყვით, რომ კი, რადგან ამ პროფესიის დეფიციტია. ამ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, მაშინ უმაღლეს დამთავრებულებს გრანტები უნდა წაართვან, რადგან ვერ საქმდებიან. განათლების სისტემა ასე არ მუშაობს, ადამიანებს, რომლებიც ამ დასკვნას წერენ, განათლების სისტემასთან შეხება არ აქვთ“, - ამბობს შაშკინი.

მისივე თქმით, მისი მინისტრობის დროს პროფგანათლების პრიორიტეტების განსაზღვრაში მონაწილეობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები, ეკონომიკის სამინისტრო, დამსაქმებელთა ასოციაცია, სავაჭრო პალატის წარმომადგენლები.

„პრიორიტეტული იყო აგრობიზნესი, სამშენებლო, ტურიზმი, და აიტი. აუდიტის დასკვნაში წერია, რომ კურსდამთავრებულთა მხოლოდ 30% საქმდებოდა. ეს მართალი არ არის. ამერიკის განვითარების სააგენტოს ინფორმაციით, რომელიც სპეციალურ პროგრამებს აფინანსებდა პროფკოლეჯში „სპექტრი“, კურსადამთავრებულების 70-80% საქმდებოდა. აგვისტოს ომის შემდეგ, როცა ევროკავშირმა საქართველოს ტრანში გამოუყო, ბოლო ნაწილში მიბმული იყო პროფგანათლება და რეფორმები განათლებაში. სანამ პრიორიტეტები არ განვსაზღვრეთ, ბიუჯეტში თანხა არ ჩარიცხეს. განათლების სამინისტრომ ბოლო წელიწად-ნახევარში ყველა პროექტი შეაჩერა, გააუქმა ვაუჩერული დაფინასნება. არსებობს პროფესიები, რომელიც პრიორიტეტულია, მაგრამ ძვირია. მაგალითად, შემდუღებლის პროფესია. ერთი ადამიანის მომზადება 3 000 ლარამდე ჯდება. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემდუღებლის ხელფასი 2 500-დან 3 000 ლარამდე მერყეობს. სამაგიეროდ, მდივან-რეფერენტის მომზადება გაცილებით იაფია. ვაუჩერული დაფინანსების დროს, სამინისტრო პროფსასწავლებელს უსაზღვრავდა თუ რამდენი შემდუღებელი, ზოოვეტი და ა.შ. უნდა მოემზადებინა. ახლა ეს პროფესიები ფასიან სექტორზეა. ამიტომ, სულ რამდენიმე ათეულ შემდუღებელს ამზადებენ. პროფსასწავლებელს სახელმწიფოს ხარჯზე მომზადება არ უღირს და შედარებით იაფიანზე გადავიდა. ამზადებენ კონსულტანტ-გამყიდველებს, ბუღალტრებს, ოღონდ ამ პროფესიის ასეთი რაოდენობა რად უნდათ, არ ვიცი. ეს არის იმ უსუსურობის „გაპრავება“, რაც განათლების სამინისტომ ამ ხნის მანძილზე გამოიჩინა. ახლა „აპრავებენ“ თურმე, პრიორიტეტები სწორად განსაზღვრული არ ყოფილა.“ - ამბობს შაშკინი.

თუმცა, ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი კითხვა პასუხგაუცემელია - დასკვნა დასკვნისთვის თუ ვინმეს პასუხისმგებლობის საკითხი დადგება?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

5 მინისტრის შეთქმულება

თამაში დასწრებაზე – თეორია თუ რეალობა

ქეთი ხატიაშვილი

საქართველოში შეთქმულების თეორიები ძალიან უყვართ, ისევე როგორც დღემდე არ ჩამოდის ცხოვრების პოდიუმიდან მითოლოგიური აზროვნება. აქტუალური ყველაფერი ის, რაც დაუჯერებლად ჟღერს ან, უბრალოდ, დიდი ტყუილია.

შეთქმულების ახალი თეორიაც უკვე დაიბადა. ახლა ის დროა, კარგად შეთანხმდნენ, რომელმა მინისტრებმა შეიძლება „გადატრიალება“ მოაწყონ. თუმცა, მთელი ინტრიგა და აზარტიც ეს არის. შეთქმულებების თეორიებში სწორედ ასეთ დეტალებზე „ვერთობით“.

მთავარ ინტრიგად კი მაინც რჩება ერთადერთი შეკითხვა: მართალი რომ იყოს?

ახალი შეთქმულების დეტალები კი ასეთია: 5 მინისტრი გადადგება და მთავრობას გადააყენებს. ასეთი თეორია საკონსტიტუციო „გადატრიალებების“ მოყვარულებმა გააჟღერეს.

პოლიტიკური კარიერის გასაგრძელებლად ისინი არჩევნებამდე თავად გადადგნენ? შეთქმულების თეორიის ნანილი სწორედ ისინი არიან. თუმცა, ჯერ მხოლოდ ორნი. კულტურის მინისტრსაც თუ მივათვლით, გასამდება, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის ხუთი. ანუ, მინისტრების ის რაოდენობა, ვინც თავისი გადადგომით მთელ მინისტრთა კაბინეტს გადააყენებს.

თუმცა, როცა ჩამონათვალს აკეთებენ, ხუთი მინისტრის პოვნა არ უჭირთ: ირაკლი ალასანია, თეა წულუკიანი, მაია ფანჯიკიძე, გურამ ოდიშარია და თამარ სანიკიძე. ანუ ძირითადად, მარგველაშვილისა და ალასანიას „კამანდა“.

ახლა გადადგომა შეიძლება პოლიტიკური მოტივითაც გაფორმდეს. მაგალითად, ობამამ თქვა: საქართველო არ დგას ნატოსკენ მიმავალ გზაზეო. ჰოდა, იმ გზას, რომელზეც გადავუხვიეთ ახლა ისინი გააპროტესტებენ. შთამბეჭდავი სურათი შეიძლება იყოს. ხუთი მინისტრი, რომლებიც ერთწუთიან განცხადებას გააკეთებენ გადადგომაზე და მთელი პოლიტიკური თამაში აირევა.

იურისტი ლევან ალაფიშვილი ამ პროცესის იურიდიულ მხარეზე ლაპარაკობს:

– ხელისუფლების შიგნით მნიშვნელოვანი პროცესები მიდის, რომელიც ყურადღების მიღმა რჩება. ანუ გუნდის შიგნით დაპირისპირებებია. ბოლო დროს გამოჩნდა, რომ, სავარაუდოდ, არჩევნების შემდგომ პრემიერი რამდენიმე მინისტრს უშვებს თანამდებობიდან. კონსტიტუციის მიხედვით, თუ პრემიერი ხუთ მინისტრს მაინც შეცვლის, მას პარლამენტის თანხმობა დასჭირდება. ეს ერთ რამეს ნიშნავს – მოთამაშედ შემოდის პრეზიდენტი.

მინისტრის გაშვება, კოალიციური მთავრობის პირობებში, პოლიტიკურ გაგრძელებას ჰპოვებს. თანაც „გაშვებულის“ სტატუსს პოლიტიკოსი ძნელად თუ შეეგუება. ამიტომაც, თუკი თამაში დასწრებაზე წავა, კონსტიტუციით გარანტირებული გადადგომის უფლება, შესაძლოა, გადამწყვეტიც აღმოჩნდეს.

დასწრებაზე თამაშის შემთხვევაში, ხუთმა მინისტრმა (ამდენი უკვე სახელდება მედიაში) რომ გადადგომაზე განცხადება დაწეროს და არათუ თვითონ წავლენ სახლში, პრემიერსაც გაიყოლებენ. ამ შემთხვევაში, საპარლამენტო უმრავლესობა ამ ფორმით უკვე ვეღარ იარსებებს და ეგრეთწოდებული დირიჟორის ჯოხი უკვე პრეზიდენტ მარგველაშვილის ხელში გადადის. ის ერთადერთი იქნება, ვინც გადაწყვეტს, ვინ დაასახელოს პრემიერად.

გადადგომა, როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტი, საქართველოში ერთხელ უკვე გამოიყენეს. ზურაბ ჟვანიამ საკუთარი გადადგომით პოლიტიკური დივიდენდები მიიღო. მეორე შემთხვევა, თეორიულად, ახლა არსებობს.

მარგველაშვილის ვიზიტი ავღანეთში, საგადასახადო საიდუმლოება გამოუქვეყნეს პრეზიდენტის მრჩეველს. ანუ, ფონი გამწვავებულია. ყველაფერი ეს, რაზეც ზემოთაც ვსაუბრობდი, მაფიქრებინებს, რომ რაღაც მოძრაობები შესაძლოა იყოს ახალი პოლიტიკური რეალობის შესაქმნელად. კონფიგურაციაზე ვარაუდები სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს“.

როგორი იქნება ახალი რეალობა, ამის ამოცნობა ჯერ ძალიან რთულია. ისევე როგორც შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ მთავრობაში 5 გულადი და პრინციპული მინისტრია. ექსპერტების დიდი ნაწილი ვარაუდობს, რომ ვერც ირაკლი და ვერც ვინმე სხვა, ასეთ „შეთქმულებას“ ვერ გაბედავს.

თუმცა, არ დაგავიწყდეთ მთავარი ინტრიგა ერთი შეკითხვით: რომ გაბედოს?

და თუ გაბედავენ, მაშინ საქმეში უკვე გიორგი მარგველაშვილი ერთვება. სწორედ მას ექნება შემდეგ უფლებამოსილება, ახალი პრემიერი წარადგინოს პარლამენტში.

ვინ იქნება ახალი პრემიერი – ისევ ირაკლი ღარიბაშვილი თუ ირაკლი ალასანია?

საქმე ის გახლავთ, რომ კონსტიტუციის მიხედვით, მთავრობაში 5 მინისტრის შეცვლა ავტომატურად იწვევს მთელი მთავრობის გადადგომას. ანუ, სანამ პრემიერი 3 ან 4 მინისტრს შეცვლის, 5-ს შეუძლია დაასწროს და თავად გადააყენოს მთავრობის მთელი შემადგენლობა.

პრემიერი რომ მთავრობის გადახალისებას აპირებს, ამის შესახებ მან არაერთი განცხადება გააკეთა. ბოლოს მთავრობის სხდომაზე საკმაოდ პრინციპული ტონით თქვა: პირველ რიგში, იმათ გავათავისუფლებ, ვისაც ჰგონია, რომ ძალიან წარმატებულიაო.

ვინ იგულისხმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ძნელი სათქმელია. თუმცა უმრავლესობამ ამ ჩამონათვალში ირაკლი ალასანია და თეა წულუკიანი შეიყვანა. რა აქვთ მათ საერთო? NDI-ს კვლევებში ისინი პოპულარული მინისტრების სამეულში შედიან. თუმცა, ორივე მათგანი საკმაოდ სკანდალურია, რეფორმატორული იმიჯით მოვიდნენ ხელისუფლებაში და ჯერ მნიშვნელოვანი არაფერი გაუკეთებიათ. თეა წულუკიანმა იუსტიციის სახლი დახურა და სულ რაღაც ხუთი ფილა ვერ დააკრა სახურავს, ალასანია ძირითადად უცხოეთშია, ჯარისკაცები კი, გავრცელებული ინფორმაციით, მუდმივად იწამლებიან.

ელოდებიან თუ არა ისინი არჩევნების შემდეგ პოსტების დატოვებას, ეს ძნელი სათქმელია. მედიას ერთიც ემალება და მეორეც. ამ თემებზე დუმილს არჩევენ. მაგრამ რამდენად მოსალოდნელია, რომ

პრეზიდენტსა და პრემიერს შორის დაპირისპირებამ უკვე ისეთი ხასიათი მიიღო, და ეს ბიძინა ივანიშვილის განცხადებებშიც გამოჩნდა, რომ მარგველაშვილი მოქმედი პრემიერისადმი სიმპათიებით სულაც არ უნდა იყოს გამსჭვალული.

მხოლოდ ასეთ „შეთქმულებას“ შეუძლია მარგველაშვილი პოლიტიკურად გააცოცხლოს.

სხვა პოლიტიკური სურათი იქნება პარლამენტშიც. ახალ უმრავლესობაზე უკვე დიდი ხანია საუბრობენ. ნაციონალები, რესპუბლიკელები, ალასანიას პარტია – ეს, რაზეც თავისუფლად ლაპარაკობენ. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ, როცა პოლიტიკური ძალთა ბალანსი იცვლება, მაშინ უმრავლესობა მოგების შანსის მქონე პროცესისკენ იხრება, ამიტომაც ახალ კონფიგურაციაში შესაძლოა მოხვდნენ კონსერვატორებიც, „ფორუმიც“, პარტია „ქართული ოცნების“ ის ნაწილიც, ვისაც შიგნით პოზიციები შესუსტებული აქვს...

მაგრამ ეს მხოლოდ „შეთქმულების თეორიაა“, ეს არის ისიც, რის საშუალებასაც კონსტიტუცია იძლევა, მაგრამ შეელევა იგივე ალასანია კომფორტს? პოლიტიკური ბრძოლები უფრო იზიდავს მას, თუ პირადი კომფორტი?

ამ მიმართულებით კითხვა ბევრია და არც ის გულადი ადამიანები ჩანან, ვინც ახალი პროცესის დაწყებას შეძლებს. თუმცა, ერთი მთავარი კითხვა მაინც რჩება: რომ შეძლონ?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ჰკითხეთ აფხაზებსა და ოსებს, მით

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

„უკრაინასთან ომი მოგინდათ? ისევე როგორც ეს აფხაზეთში ჩაიდინეთ? არ გამოგივათ. ბიჭები მაიდანზე უკვე გამოინვრთნენ და იციან, რისთვისაც იბრძვიან – თავისი სამშობლოსთვის, თავისი თავისუფლებისთვის. ჩვენ კი რისთვის ვიბრძვით? რუსები უბედური ხალხია. მათ ყოველდღე ამცირებენ და ატყუებენ, მაგრამ მაინც ჩუმად არიან“, – ამ სიტყვების ავტორი ეროვნებით რუსია.

„თქვენ ამბობთ, რომ რუსეთი ოკუპანტია და ასე ფიქრობს მთელი მსოფლიო? როგორ გეკადრებათ? ეს არის პროპაგანდა და თქვენ ხართ პროპაგანდის მსხვერპლი. მსოფლიოს თქვენ რას ეძახით? ლატვიას, ლიტვას, ესტონეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს? ჩვენი ტერიტორია რუსეთს კი არა, ამერიკას აქვს ოკუპირებული უკვე 20 წელიწადია. თანაც ოკუპირებული აქვს 80%“, – ამ სიტყვების ავტორი კი, საუბედუროდ, ქართველია.

პუტინის წინააღმდეგ გამომსვლელი „მაშინა ვრემენის“ ლიდერი, ცნობილი რუსი მომღერალი ანდრეი მაკარევიჩია. მან გაბედა და პირდაპირ კონცერტზე გააკეთა საკმაოდ სკანდალური განცხადება, რის გამოც დღემდე იდევნება. მეორე, ძალიან მძიმე შემთხვევა კი საქართველოში ხდება. ელგუჯა ხოდელი გაურკვეველი ორგანიზაციის ლიდერია. ხოდელი ირწმუნება, რომ უკვე 14 წელია არსებობს „დედამიწა ჩვენი სახლიას“ სტატუსით და გულწრფელად აღიარებს, რომ მისი მიზანია, რაც შეიძლება ბევრი ახალგაზრდა შეიტყუოს საკუთარ ორგანიზაციაში. მიზნის მისაღწევად არც ფული ენანება და სრულიად საქართველოს მასშტაბით, ყველა რეგიონში მოგზაურობს, ხვდება ახალგაზრდებს და მათ გადაბირებას ცდილობს. თუმცა, საბედნიეროდ, უნდა ითქვას, რომ ასეთი ადამიანების რიცხვი, მაგალითად, თბილისში ასს ვერ ასცდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ 14 წლის განმავლობაში არსებული ორგანიზაცია ას კაცზე მეტს ვერ შეაგროვებს, ნამდვილად შეგვიძლია შვებით ამოსუთქვის საშუალება მივცეთ საკუთარ თავს. თანაც ხოდელი ასევე გულწრფელად აცხადებს, სანთლით ვეძებ ისეთ ახალგაზრდებს, რომლებიც ფულის გულისთვის არ გაწევრიანდებიან ჩვენთანო. თუმცა თუ გავითვალისწინებთ პოლიტიკური უმცირესობების მისწრაფებებს, მაშინ ადვილი მისახვედრი ხდება, რომ ასე მოაზროვნე ადამიანების რაოდენობის გაზრდის საფრთხე რეალურად არსებობს. მართალია, არავინ იცის, ვინ არის ელგუჯა ხოდელი, სამაგიეროდ ყველამ ვიცით, ვინც არის დიმა ჯაიანი. მიუხედავად იმისა, რომ არაერთმა ევროპელმა დიპლომატმა განაცხადა, არ ვითხოვთ ქართველებისგან ერთსქესიანთა ქორწინების ნებართვასო ჯაიანი მაინც ჯიუტად ირწმუნება...

დიმა ჯაიანი:

– პროვოკაცია იყო კინოსახლში, რადგან იქ შეკრებილებს გარეთ ელოდებოდნენ ადამიანები, ვისაც მაიდანი 2-ის მოწყობა სურდათ. მე მაქვს ასეთი გამოთქმა: შენი დამაწყევარი დაბრუნდეს ისე, როგორც ნაციონალები დაბრუნდებიან, როგორც ეგენი მოაწყობენ მაიდანს, ისე მოაწყოს თქვენმა დამაწყევარმა მაიდანი. ნაციონალებმა ჯერ კიდევ არ იციან, ვისთან აქვთ საქმე. მე, ალბათ, ღმერთი დამეხმარა, ბურისძიების გზას რომ არ დავადექი. რა თქმა უნდა, მხარს არ დავუჭერ ნაციონალების დასჯას, მე უბრალოდ ვითხოვ, რომ დაისაჯოს ყველა დამნაშავე. მაგრამ საქმეც ეს არის, რომ დამნაშავის კვალი მიდის ნაციონალების ლიდერამდე. მე უნდა ვიცოდე, როგორ დაიღუპა ჟვანია. რომ მეუბნებიან, ჟვანია „პედერასტიაო“, დამიმტკიცონ ეს. გარეულია ამაში ყოფილი პრეზიდენტი? უნდა აგოს პასუხი. რომ გვეუბნებიან, თუ ყოფილ პრეზიდენტს დაჰკითხავთ, ნატოსა და ევროკავშირში აღარ მიგიღებენო, ეს რომელმა ჭკვიანმა თქვა? აი, ნახავთ, რომ ჟვანიას საქმე გაიხსნება და კვალი სააკაშვილამდე მივა. მე ერთხელ ვთქვი და ახლაც გეტყვით, თუ პედერასტობაა საჭირო საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გასაწევრიანებლად მაშინ მე, დიმა ჯაიანს, ჩემს ცხოვრებაში არ მომინდება ნატოში შესვლა. მე ვარ ვაჟა-ფშაველას ქვეყნის შვილი. თუ გადაგვარების გზაზე დაყენებაა საჭირო, მაშინ არც ნატო მინდა და არც ევროკავშირი. ჩემთვის მიუღებელია, რომ ქართველმა კაცმა ილაპარაკოს სხვა ენაზე და არ იცოდეს ქართული.

დიმა ჯაიანი: „თუ პედერასტობაა საჭირო საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გასაწევრიანებლად, მაშინ მე, დიმა ჯაიანს, ჩემს ცხოვრებაში არ მომინდება ნატოში შესვლა“





„ჩვენ, სხვათა შორის, დასავლეთ საქართველოში გვყავს ბევრი მომხრე. თბილისში გვყავს 100 ადამიანი. ჩვენ ძირითადად ვმუშაობთ ახალგაზრდებზე“

ელგუჯა ხოდელი: „ჩვენი ტერიტორია რუსეთს კი არა, ამერიკას აქვს ოკუპირებული უკვე 20 წელიწადია. თანაც ოკუპირებული აქვს 80%“

ჯაიანის ასეთი განცხადების შემდეგ ხოდელის საუბარი თითქოს ლოგიკური გაგრძელებაა...

ელგუჯა ხოდელი, „დედამიწა ჩვენი სახლიას“ ხელმძღვანელი:

– ჩვენგან რატომ იყო პროვოკაცია? პროვოკაცია იქნებოდა, სხვებს რომ ჩაეტარებინათ აქცია და ჩვენ მივვარდნოდით. ჩვენ არავის მივვარდნილვართ.

– რუსეთის მხარდასაჭერი აქცია უკვე პროვოკაციაა...

– რატომ არის რუსეთის მხარდამჭერი აქცია პროვოკაცია? თქვენ დემოკრატია როგორ გესმით? რომ გკითხოთ ადამიანმა, დემოკრატია გინდათ, თავისუფალი სიტყვა გინდათ, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ვერ ვატყობ, 37-იან ნლებში ვარ თუ 21-ე საუკუნეში.

– ზუსტად 21-ე საუკუნის მსოფლიო აღიარებს რუსეთს ოკუპანტად და...

– როგორ გეკადრებათ? ეს არის პროპაგანდა და თქვენ ხართ პროპაგანდის მსხვერპლი. მსოფლიოს თქვენ რას ეძახით? ლატვიას, ლიტვას, ესტონეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს? ჩვენი ტერიტორია რუსეთს კი არა, ამერიკას აქვს ოკუპირებული უკვე 20 წელიწადია. თანაც ოკუპირებული აქვს 80%. საქართველოში ამერიკის ელჩის გარეშე არავინ ნაბიჯს არ დგამს.

– თქვენ ამბობთ, რომ ამერიკას საქართველოს ტერიტორიის 80% აქვს დაპყრობილი, ანუ დანარჩენი 20% რუსეთის მიერ რომ არის ოკუპირებული ამას აღიარებთ?

– მე არ ვგულისხმობ, ჰკითხეთ აფხაზებსა და ოსებს, მიიჩნევენ ისინი თავს ოკუპირებულად? საქართველოს ტერიტორიის 20%, სამწუხაროდ, არის დაკარგული და ის დაკარგა მიხეილ სააკაშვილმა.

– რატომ გაგიჩნდათ სურვილი, რუსეთს მხარი დაუჭიროთ, ან რაში უჭერთ მხარს?

– ჩვენი აქცია ეძღვნებოდა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს, თუმცა იქ მოცვივდნენ ამერიკისა და ევროკავშირის მხარდამჭერი ნეოფაშისტები. ჩვენ ვაპროტესტებდით უკრაინის ხელისუფლებაში მოსულ ხელისუფლებას. მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი უკრაინის ხელისუფლებაში მოსული ფაშისტების ფაქტით ძალიან გახარებული არიან, რადგან მათ თეორიული შანსი გაუჩნდათ, რომ ანალოგიური ხერხებით, ამერიკის მხარდაჭერით მოაწყობენ მაიდანი 2-ს და ხელისუფლებაში მობრუნდებიან.

– ანუ თქვენ პრევენციას აკეთებთ და წინასწარ აპროტესტებს ნაციონალების ხელისუფლებაში მობრუნებას?

– არავითარ შემთხვევაში ისინი აღარ უნდა მობრუნდნენ ხელისუფლებაში. ამერიკის შეერთებული შტატები კი ამის შანსს სააკაშვილს აძლევს.

– თქვენი მხარდამჭერები ვინ არიან და რა რაოდენობა ხართ ორგანიზაციაში?

– გულწრფელად გეტყვით, არ მოვიტყუები. დღეს თხუთმეტმა ადამიანმა გამოთქვა სურვილი ჩვენს ორგანიზაციაში განევრიანების. ჩვენ, სხვათა შორის, დასავლეთ საქართველოში გვყავს ბევრი მომხრე. თბილისში გვყავს 100 ადამიანი. ჩვენ ძირითადად ვმუშაობთ ახალგაზრდებზე, გვინდა, რომ ბევრი ახალგაზრდა იყოს ჩვენს ორგანიზაციაში. დავდივართ რეგიონებში, ვხვდებით ახალგაზრდობას, ვესაუბრებით მათ და ვმუშაობთ.

– რეგიონებში დავდივართო, განაცხადეთ, რა ფინანსებით ახორციელებთ ასეთ შეხვედრებს?

– დასავლური ღირებულება ასეთია: იმას, რასაც ვერ იყიდი ფულით, იყიდი დიდი ფულით. ჩვენ კი ვამბობთ, რომ მეგობრები და სამშობლო ფულზე არ უნდა გაყიდო. ახლა თქვენ შეიძლება დაიჯერ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნეკენ ისინი თავს ოკუპირებულად?“

მეუფე იოანე: „ჩვენ იქ სერბებს გამოვუცხადეთ სოლიდარობა... ფილმი ეხებოდა ნატოს ჯარების მიერ სერბეთის ქალაქების დაბომბვას, მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვას ბელგრადში და სხვაგან...“

გია ნოდია: „როგორც მინიმუმ, საქართველოს ეკლესიის შიგნით რუსეთს ეყოლება დასაყრდენი ჯგუფები“



ოთ, შეიძლება არ დაიჯეროთ, შეიძლება გაგეცინოთ, მაგრამ გეტყვით, რომ ჩვენ ჩვენი სახსრებით ვაკეთებთ ყველაფერს. მე ვეძებ მთელი საქართველოს მასშტაბით ისეთ ადამიანებს, რომლებიც ფულის გულისთვის არ მოვლენ ამ ორგანიზაციაში.

პრინციპში, ყველაფერი გასაგებია, მაგრამ პროდასავლურად მოაზროვნე პოლიტიკოსები, ექსპერტები და ზოგადად განათლებული ადამიანების 100%-ვე მიიჩნევს, რომ მსგავს დაჯგუფებებს

მკაცრი კონტროლი სჭირდება. ამის აუცილებლობაში საქართველო არაერთხელ დარწმუნდა. ალბათ, სულ რამდენიმე მაგალითის გახსენებაც საკმარისი გახდება: „ერისიონი“, ანსამბლი „რუსთავი“ და ბევრად ახალგაზრდა ქეთა თოფურია. „ერისიონის“ ხელმძღვანელმა 2008 წლიდან მოყოლებული ცდუნებას მხოლოდ 2013 წლამდე გაუძლო. თავი კი იმით იმართლა, რუსეთი 2008 წლიდან მოყოლებული ყოველდღე გვეხვეწება კონცერტის გამართვას და სულაც არ ვნანობ, რომ ეს ნაბიჯი გადავდგითო. მაშინ „ერისიონს“ ძალიან მალე ანსამბლი „რუსთავიც“ მიჰყვა. საკუთარი ნაბიჯით ისინიც აღფრთოვანებულები იყვნენ. თუმცა რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ რეკორდი, სამწუხაროდ, ნინო ქათამაძემ მოხსნა, რომელმაც კონცერტი 2009 წელს მოსკოვის სამხატვრო თეატრის სცენაზე გამართა. ყველაზე გამოგნებელი კი რუსეთში მოღვაწე ახალგაზრდა ქართველი მომღერლის, ქეთა თოფურიას აღიარება გახდა, რომელიც მან „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში განაცხადა. თოფურიას გაზეთი მაშინ დაუკავშირდა, როდესაც ის 23 თებერვალს, პუტინის მხარდამჭერ აქციაზე წარდგა, საკუთარ ჯგუფთან ერთად. მაშინ თოფურიამ განაცხადა, რომ ოკუპანტობა საერთოდ არ აინტერესებს, რადგან ეს ოკუპანტი ქვეყანა მას აჭმევს და ასმევს.

ქეთა თოფურია:

– ვცდილობ, არ ჩავერიო ამ ყველაფერში. მე ამ ქვეყანაში ვცხოვრობ, აქ ვმუშაობ და ეს ქვეყანა მაჭმევს. მაჭამეთ თქვენ, ბატონო, გადამიხადეთ იმდენი ფული, რომ მანდ ვიყო და დიდი სიამოვნებით არ გამოვალ ასეთ კონცერტზე. დიდად სხვა გამოსავალი არც მქონდა, „ჩესნად“ რომ გითხრათ. არანაირ დისკომფორტს არ მიქმნის. არ ვეძიები ამ ყველაფერს. არ მაქვს პრობლემა – ვაიმე, ახლა მე პუტინის მხარდამჭერ კონცერტზე როგორ გამოვალ, მან ხომ საქართველო დაბომბა და რაღაც ასეთი. რაში მაინტერესებს? რას ჰქვია ოკუპანტი? ეს ოკუპანტი ქვეყანაა, რომელიც მე მაჭმევს და მასმევს. მე მიწვევენ, როგორც მომღერალს, რომელმაც უნდა გავართო ხალხი.

თოფურიამ არც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ისტორია იცის და თავადვე აცხადებს, რომ არც აინტერესებს, ვიცი, რომ ადრე ჩვენი ტერიტორია იყო, ახლა აღარ არის, მაგრამ რატომ, ამაში ნამდვილად ვერ ვერკვევიო... მისგან განსხვავებით, რუსეთში კარიერაზე უარი განაცხადა ირმა სოხაძემ. ყოველ შემთხვევაში, თავად ასე ირწმუნება და თანაც ამბობს, რომ ბევრ მომღერალზე უკეთ ააწყობდა საკუთარ ცხოვრებას. თუმცა სიმართლე უნდა ითქვა, რუსეთს სოხაძეც ხშირად უმღეროდა, მაგრამ თანამედროვე, ანუ პუტინის რუსეთი უკვე აღარ მოსწონს და ამბობს, რომ ახლა რუსული რომანსების შესრულების სურვილი ნაკლებად უჩნდება.

ირმა სოხაძე, მომღერალი:

– საერთოდ, ქართულ-რუსული ურთიერთობები ყოველთვის ფრთხილი თემა იყო. მაგრამ დღეს ორივე მხარე ძალიან რადიკალურ ძალებად გადაიქცნენ. რომ არ მოგატყუოთ, მე თავად ვარ ძალიან გაორებულ მდგომარეობაში, რადგან სულ მიმაჩნდა, რომ დიალოგი სჯობდა დუმილს, დიპლომატია სჯობდა ურთიერთობების გამწვავებას, ნებისმიერი მშვიდობა სჯობდა ომს. თუმცა ბოლო პერიოდის რუსეთი მართლა არაადეკვატურია. სავსებით გასაგები გახდა, რომ არაფერს არ უნევს ანგარიშს, დღეს რუსეთი მარტივი გამოთქმის მიხედვით მოქმედებს: ღონე მაქვს, ჭკუა არ მინდა. სნორედ ამიტომ მეც აღარ ვემხრობი იმ აზრს, რომ რუსეთთან ურთიერთობა უნდა დავალაგოთ. ზოგჯერ ხელოვნურადაც კი ვამწვავებდით ამ ურთიერთობებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დალაგება შეიძლებოდა. ახლა, რუსეთის ხელისუფლების პირობებში შეუძლებელია მათთან ლაპარაკი, ბუნებრივია, სასაცილოა მუსიკაზე საუბარი, მაშინ როდესაც პოლიტიკოსები ქვემეხებს ისვრიან, მაგრამ მე თვითონ აღარ მინდა არც რუსული სიმღერა, არც რუსული რომანსი, საერთოდ აღარ მინდა რუსულად სიმღერა. დღეს რუსული სიმღერის შესრულება მართლაც უადგილოა.

– თქვენთვის არსებობს კითხვა, როგორი საგარეო კურსი უნდა ჰქონდეს საქართველოს?

– საქართველომ, რა თქმა უნდა, დასავლური გზით უნდა იაროს, თუმცა ამ ბოლო დროს დასავლელი პოლიტიკოსების მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა, იგივე ობამას ვგულისხმობ, ცოტა ცუდ ხასიათზე დამაყენა. ისინი ამბობენ, რომ არც ნატო არ აპირებს გაფართოებას, ვერც ევროკავშირი ვერ მიიღებს ვერავის, თუმცა ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართ. ანუ ისინი გვეუბნებიან, მოდიხართ, მოდიხართ, მაგრამ ვერ მოდიხართ... თუ კიდევ ათი წელი არ მიგვიღებენ თავის ოჯახში, რა გამოდის, ვიაროთ, ვიაროთ და ასე უსასრულობამდე ვიაროთ?

ექსპერტების განცხადებით, პრობლემა, ამ მხრივ, მხოლოდ შოუბიზნესში ან პოლიტიკურ უმცირესობებში არ არის, რადგან რუსეთი ეკონომიკური და პოლიტიკური ბერკეტების სიმცირის გამო საქართველოს წინააღმდეგ აუცილებლად აამოქმედებს და გააქტიურებს შიდა დასაყრდენ ძალებს, დაახლოებით ისეთებს, როგორიც ელგუჯა ხოდელია. მაგალითად, ექსპერტი, გია ნოდია არ გამორიცხავს, რომ მსგავსი დასაყრდენი ძალები რუსეთს ეკლესიაშიც შეიძლება ჰყავდეს...

გია ნოდია, ექსპერტი:

– დამამტკიცებელი საბუთი არ მაქვს არაფერი, შესაბამისად, კატეგორიულად ვერაფერს ვიტყვი, თუმცა ფაქტია, რომ რუსეთი ცდილობს, საქართველოში თავისი საქმიანობა გააქტიუროს. რადგან რუსეთის ეკონომიკური, პოლიტიკური ბერკეტები შედარებით სუსტია, ის, ბუნებრივია, შეეცდება, სწორედ ქვეყნის შიგნით არსებული ბერკეტები გამოიყენოს. მე რომ ვიყო რუსი სტრატეგიული მოაზროვნე და ვფიქრობდე, როგორ გავუტეხო საქართველოს სახელი, ალბათ, მომივიდოდა აზრად შიგნით პრორუსული ძალების გააქტიურება. ასე რომ, სავსებით სამართლიანი იქნება, ვივარაუდოთ, რომ ეს არის გარედან ნახალისებული აქტიურობა. ბუნებრივია, ჯერჯერობით მსგავსი პატარა ჯგუფები ვერანაირი მიზნის მიღწევას ვერ შეძლებენ, თუმცა ნეგატიური აქ არის ის, რომ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქვეყანაში არის პროდასავლური, პრორუსული ძალები და ცენტრში არის მთავრობა. მთავრობაში რომ იყოს ცალსახა დამოკიდებულება საგარეო კურსის მიმართ, მაშინ ასეთ პატარა ჯგუფების მოღვაწეობა არანაირი საფრთხის შემცველი არ იქნებოდა. თუმცა ბევრი ადამიანი არ არის დარწმუნებული, რომ მთავრობას ცალსახა პოზიცია უჭირავს. შესაბამისად, რუსეთმა შეიძლება გამოიყენოს ასეთი გაურკვეველი ადამიანები, რომ საკუთარი პოზიციები გაიძლიეროს ქვეყნის შიგნით.

– ფიქრობთ, რომ ეკლესიაშიც შეიძლება ჰყავდეთ დასაყრდენი ძალა?

– სავსებით შესაძლებელია, რომ ეკლესიაში შემავალ ადამიანებს მადა გაეღვიძათ, რადგან პოლიტიკოსები თავად უბიძგებდნენ მათ პოლიტიკური აქტიურობისკენ. შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკოსებმა სასულიერო პირები პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენეს 2012 წლის არჩევნებში. ახლა კი ამ ადამიანებს გაუჩნდათ ამბიცია, რომ დამოუკიდებლად მოიპოვონ გარკვეული გავლენები. მეორე მხრივ, ჩვენ ისიც ვიცით, რომ რუსეთის ეკლესია არ არის იდეალურად გამოყოფილი სახელმწიფოსგან. ის არის რუსეთის პოლიტიკის, განსაკუთრებით კი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტი. ასევე, ლოგიკურია, რომ რუსეთი ცდილობდეს ამ ინსტრუმენტის გამოყენებას საქართველოს წინააღმდეგ. როგორც მინიმუმ, საქართველოს ეკლესიის შიგნით რუსეთს ეყოლება დასაყრდენი ჯგუფები. მოტივები, სიტყვები, გზავნილები, რითიც ზოგიერთი სასულიერო პირი გამოდის, ძალიან ჰგავს რუსული ეკლესიის იდეებს, რომლებიც ირწმუნებიან, რომ ევროპა არის გარყვნილება.

– ამ შემთხვევაში ქართველი პოლიტიკოსები უნდა ჩაერიონ სასულიერო პირების მოღვაწეობაში?

– პოლიტიკოსებმა ასეთ შემთხვევებში მეტი სითამამე და დამოუკიდებლობა უნდა გამოიჩინონ ეკლესიის მიმართ. გასაგებია, რომ ეკლესიას აქვს ძალიან მნიშვნელოვანი და ძლიერი ფუნქცია, მაგრამ ეკლესია ან არ უნდა ერეოდეს პოლიტიკაში და თუ ერევა და პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს, მაშინ ის უნდა განვიხილოთ, როგორც ნებისმიერი სხვა პოლიტიკური ორგანიზაცია. ანუ მისი განცხადებები უნდა აღვიქვათ, როგორც ნებისმიერი პოლიტიკური ორგანიზაცია.

საშიშროება რომ რუსეთი საკუთარ დასაყრდენს ქართულ ეკლესიაშიც იპოვის, ნამდვილად არსებობს. მით უფრო მაშინ, როდესაც არაერთხელ დაფიქსირდა ფაქტი ნატოს სანინააღმდეგოდ გამართულ აქციაზე მამაოების გამორენის. რამდენიმე დღის წინ კინოსახლში გამართულ შეხვედრაზე მისული ადამიანები ავტომატურად რუსეთის ხმარდამჭერებად გამოცხადდნენ. ადგილზე რამდენიმე მამაოც იმყოფებოდა. ერთ-ერთი მათგანი რუსთავის მიტროპოლიტი მეუფე იოანე იყო. თავად მეუფემ კატეგორიულად უარყო რუსეთის მხარდასაჭერი აქციის ჩატარება და განაცხადა, რომ დაძაბულობა ადგილზე მისულმა პროვოკატორებმა შექმნეს.

მეუფე იოანე, ქალაქ რუსთავის მიტროპოლიტი:

– კინოსახლში გამართული შეკრება რუსეთს საერთოდ არ ეხებოდა. იქ საუბარი იყო სოლიდარობაზე ჩვენსავით დაჩაგრული ერების მიმართ. როგორც ჩვენ დავიჩაგრეთ გლობალიზაციის შედეგად ასევე დაიჩაგრნენ სერბები. ჩვენ იქ სერბებს გამოვუცხადეთ სოლიდარობა და რუსები არაფერ შუაში არ იყვნენ. ფილმი ეხებოდა ნატოს ჯარების მიერ სერბეთის ქალაქების დაბომბვას, მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვას, ბელგრადში და სხვაგან. იქ ითქვა, რომ ჩვენ რუსების მომხრეები ვიყავით, მაგრამ არავინ არ იყო რუსეთის მომხრე. მიმაჩნია, რომ პროვოკაცია იყო.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ჯეოქორდი“ მომავლის მედიცინა თქვენი შვილების ჯანმრთელობისთვის

ნანუკა ბრეგაძე

ალბათ, ყველას სმენია ისეთი მძიმე დაავადებების შესახებ, როგორიც არის ლეიკემია, ლიმფომა, თანდაყოლილი ანემია. ყველა ამ დაავადების საწინააღმდეგო კი XXI საუკუნის მსოფლიო მედიცინის აღმოჩენა, ჭიპლარის ღეროვანი უჯრედია.

მშობიარობის მომენტში თქვენი პატარას ჭიპლარიდან აღებული უჯრედები ეფექტურად გამოიყენება ისეთი დაავადებების სამკურნალოდ, როგორიცაა, ინფარქტი, ქრონიკული ჰეპატიტი, ღვიძლის ციროზი, ცერებრალური დამბლა, აუტიზმი, ძვალსახსროვანი დაავადებები, თავის და ზურგის ტვინის ტრავმული დაზიანებები, შაქრიანი დიაბეტი და სხვა.

საქართველოში კი მედიცინის ამ უახლეს მიღწევას კონსტანტინე მარდალეიშვილის სისხლის კლინიკაში არსებული ბანკი „ჯეოქორდი“ უკვე რამდენიმე წელია წარმატებით ახორციელებს. უშუალოდ მშობიარობის მომენტში უჯრედების აღების პროცესი უმტკივნეულოდ და უსაფრთხოდ ხდება. კლინიკაში არსებობს, ძვირადღირებული, თანამედროვე აპარატურა, რომლის მეშვეობითაც არსებული უჯრედების შენახვა წლების მანძილზე 160 გრადუსიან ყინვაში ხდება.

ეს არის უჯრედები, რომელიც თქვენი შვილის ჯანმრთელი მომავლის გარანტირებული დაზღვევაა. შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარი საიმედო ბანკია მთელი ოჯახისთვის, რადგანაც ის 25%-იანი თავსებადობით გამოიყენება დედმამიშვილების ჯანმრთელობისთვის.

კლინიკის ხელმძღვანელის კონსტანტინე მარდალეიშვილის განცხადებით აუცილებელია ღეროვანი უჯრედების და ძვლის ტვინის სახელმწიფო ბანკი შეიქმნას, რაც ხელს შეუწყობს ონკოლოგიისა და ონკოჰემატოლოგიის განვითარებას საქართველოში.



კონსტანტინე მარდალეიშვილი (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი): „როდესაც გვაქვს სისტემური დაავადება, რომელიც არ ემორჩილება ქიმიოთერაპიის არც ერთ სქემას, ღეროვანი უჯრედები შესაძლებლობას გვაძლევს, რომ დროზე აღვადგინოთ ძვლის ტვინის დაკარგული ფუნქცია. ამიტომაც ყველაზე დიდი, რაც შეიძლება საქართველოში გაკეთდეს, უნდა შეიქმნას სახელმწიფო ღეროვანი უჯრედების ბანკი. რისთვის გვჭირდება

ეს ყველაფერი? ყველა პაციენტს, რომელსაც სჭირდება ღეროვანი უჯრედები, უნდა მიეცეს საშუალება, რომ ადგილზე მოვახდინოთ მათი მკურნალობა. სახელმწიფო ჭიპლარის ღეროვანი უჯრედების დარგის გარეშე საქართველოში ეს სფერო ვერ განვითარდება“.

როგორც სისხლის ბანკ „ჯეოქორდის“ სამედიცინო დირექტორი გოჩა შათირიშვილი ამბობს, ჭიპლარის სისხლით მკურნალობის რამდენიმე შემთხვევა იყო. უჯრედები იყინება ეტაპობრივად, სპეციალურ დამცავ ნივთიერებებთან ერთად, რომელიც ღეროვანი უჯრედების სიცოცხლის უნარიანობას მაქსიმალურად ინარჩუნებს. გაყინვის შემდგომ კი თავსდება სინჯარებში და გადადის საცავებში. ინახება ზედა ორთქლის ფაზაში, სადაც ტემპერატურა - 160 გრადუსია.

გოჩა შათირიშვილი (სისხლის ბანკ „ჯეოქორდის“ სამედიცინო დირექტორი): „სისხლის ბანკში ხდება ჭიპლარის სისხლის დამუშავება, მისი გამოცალკევება, შემდგომ მათი გაყინვა და ხანგრძლივი დროით შენახვა. ჭიპლარის სისხლის შენახვა უსასრულოდ შეიძლება. მისი შენახვა შესაძლებელია 1 000-დან 2 000 წლამდე და მას იყენებენ ლეიკემიის, სისხლის არაონკოლოგიური დაავადებების, იშვიათი გენეტიკური დაავადებების დროს. ასევე გამოიყენება ცერებრალური დამბლის, შაქრიანი დიაბეტის, სმენის დაქვეითებისა და სხვა ტრავმების დროს. ჭიპლარის სისხლი ყველაფრისგან დაცულია. ეს ნიშნავს, რომ ახალი აღებული და ხანგრძლივი დროით გაყინული ჭიპლარის სისხლი წარმოადგენს საუკეთესო სათადარიგო ნაწილს მომავალი ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. ჩვენი სლოგანია - „თქვენი შვილების ჯანმრთელი მომავლისათვის“. სწორად და კარგად შენახული ჭიპლარის სისხლი წლების განმავლობაში ვარგისია გამოყენებისთვის, ეს დადასტურებულია მსოფლიო მეცნიერების მიერაც და ჩვენც, ჩვენს ბანკში, პერიოდულად ვაწარმოებთ გამოკვლევებს, რის შედეგადაც დადგენილია, რომ მათი სიცოცლისუნარიანობა და გამრავლების უნარი ძალიან მაღალია, თუნდაც 6-7- წლის შემდგომ. ჩვენი ბანკი, როგორც მოგეხსენებათ, 2006 წლიდან არსებობს, მაგრამ კომერციული შენახვა 2007 წლიდან მიმდინარეობს. უკვე ათასობით ქართველი და არაქართველი მომხმარებელი გვყავს. მათ გააცნობიერეს ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედების დიდი მნიშვნელობა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ შარშან, ჩვენ პირველი მცდელობა გვქონდა შეგვენახა ჭიპლარის ქსოვილი, რომელიც ახალი პრაქტიკაა მსოფლიოში და კიდევ შეიცავს დამატებითი ტიპის ღეროვან უჯრედებს და პირველი ჩემი ახალშობილი შვილი იყო, რომელსაც შევუნახეთ ჭიპლარის ქსოვილი. წელს კიდევ ვაპირებთ ამის გაფართოებას და წარმატების შემთვევაში, იმედი გვაქვს, რომ კომერციულად დაინერგება. ეს ძალიან მნიშვნელოვანია სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ, როგორიცაა ლიმფომა, ლეიკემია და სისხლის არაონკოლოგიური დაავადებები, როგორიც არის მაგალითად თარასემია. ეს მეთოდი უკვე 80 სხვადასხვა დაავადებაზეა აპრობირებული. მაგრამ აღდგენით მედიცინაში, მათ შორის შაქრიანი დიაბეტის სამკურნალოდ, ცერებრალური დამბლის სამკურნალოდ, სმენის დაქვეითების, თავისა და ზურგის ტრავმების სამკურნალოდ, საკუთარი ჭიპლარის სისხლი სულ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჭიპლარის სისხლი არის აღუდგენელი მასალა. ეს ნიშნავს იმას, რომ თუ მომენტი გაუშვი ხელიდან და იმ წუთში, მშობიარობის დროს 5-15 წუთის მანძილზე არ აიღე, შემდგომ ეს მომენტი დაკარგულია. ზოგი მეცნიერი ამბობს, რომ ჭიპლარის სისხლის რაოდენობა არ არის საკმარისი, რომ ყველა დაავადების სამკურნალოდ იქნას გამოყენებული, მაგრამ ბოლო წლებში აქტიურად ვითარდება ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედების გამრავლების მეთოდები. ბოლო 2012-13 წლებში გამოქვეყნდა სტატიები, სადაც ეწერა, რომ მეცნიერებმა მოახერხეს ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედების რაოდენობა ერთი კვირის განმავლობაში 10 მილიონჯერ გაეზარდათ. ეს არის წარმოუდგენლად დიდი რაოდენობა, ეს ნიშნავს, რომ უკვე არანაირი პრობლემა აღარ იქნება ამ მხრივ. ამიტომ, ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედების შენახვა უმნიშვნელოვანესია. სადღეისოდ ეს არ არის პანაცეა, მაგრამ მომავალში ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი, ამა თუ იმ ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებაში. ამიტომ, სასურველია, რომ ყველა ოჯახმა გააცნობიეროს ამის მნიშვნელობა და თუ საშუალება აქვს, გააკეთოს ეს. პირველი წელი, რომელშიც შედის აღება, დამუშავება, შენახვა, გაყინვა, გამოკვლევა ღირს, 870 ევროს ექვივალენტი ლარში; პირველი წლის განმავლობაში გადახდა შესაძლებელია 4 სხვადასხვა ტიპის განვადებით, რომელთაგან 3 უპროცენტოა. ყოველი მომდევნო წელი კი 100 ევრო. ერთი შეხედვით, თითქოს ბევრია ეს თანხა, მაგრამ ჩვენი გათვლებით, თუ ადამიანი დღეს 2-3-ღერით ნაკლებ სიგარეტს მოწევს, შეძლებს, რომ შვილს ღეროვანი უჯრედები შეუნახოს“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მსოფლიოში აუტიზმის სტატისტიკა საგანგაშოდ გაიზარდა

სალომე გოგოხია

2 აპრილს მსოფლიო აუტიზმის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. აუტიზმი ნეიროფუნქციის განვითარების დარღვევაა. საქართველოში ზუსტი სტატისტიკა აუტიზმით დაავადებულების შესახებ არ მოიპოვება. ჯანდაცვის სამინისტროს შშმპ-ს (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი) ჩამონათვალში აუტიზმით დაავადებულებიც იგულისხმებიან. სამწუხაროდ, სახელმწიფოს მხრიდან აუტიზმით დაავადებულებისთვის ხელშეწყობა, პრაქტიკულად ნულის ტოლია. თბილისში ერთი-ორი ცენტრი არსებობს, თუმცა, მწირი დაფინანსების გამო, მხოლოდ მცირე კონტინგენტით შემოიფარგლება.

ექიმების თქმით, დაავადების ადრეულ ასაკში გამოვლენის შემთხვევაში, სპეციალისტების დახმარებით, შესაძლებელია აუტიზმით დაავადებული ბავშვების მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება.

ბაია დავითაიას 10 წლის ლუკა აუტიზმითაა დაავადებული. ქართველი ფსიქოლოგების შეცდომა საბედისწერო აღმოჩნდა, მათ სწორი დიაგნოზი ვერ დასვეს. ბავშვს დაავადება ბერლინში, 3 წლის და 6 თვის ასაკში, დაუდგინეს.

დღეს ლუკა ამერიკაში სპეციალურ ცენტრში სწავლობს. დედა შვილის მიღწევებით კმაყოფილია. ამბობს, რომ არა ქართველი ექიმების შეცდომა, დღეს ბავშვს გაცილებით უკეთესი შედეგები ექნებოდა.

სხვა მშობლებისგან განსხვავებით, ბაია შვილის ავადმყოფობაზე საუბარს არ გაურბის. ამბობს, რომ დაავადების დამალვით პრობლემა ვერ მოგვარდება.

- დედამ, ცნობილმა პედიატრმა ია დავითაიამ პირველმა შენიშნა, რომ რაღაც ისე არ იყო და ბავშვის ფსიქოლოგთან მიყვანა მირჩია. შეცდნენ, მითხრეს არაფერი საგანგაშო არ სჭირსო. ლუკას დიაგნოზის დასმა რთული იყო, რადგან 2 წლამდე ჩვეულებრივად თამაშობდა, კონტაქტში შედიოდა, საკმაოდ განვითარებული იყო. ეს დაავადება გვიან გამოვლინდა. ახლა ლუკა ამერიკაშია, სპეციალურ ცენტრში დადის. მანამდე ერთი წელი ლონდონში იყო.

- როდის გაიგეთ დაავადების შესახებ?

- სწორი დიაგნოზის დასმამდე ბევრი დრო დავკარგეთ. თითქმის ერთ წელზე მეტი. მანამდე ვაკვირდებოდით როდის განაახლებდა ლაპარაკს. ამასობაში მდგომარეობა გაუარესდა. რაც იცოდა, ისიც დაივიწყდა, მაგრამ ეს ერთ დღეში არ მომხდარა. საგანგაშო სიტუაცია იყო, 3 წლის და 6 თვის ბერლინში წავიყვანეთ, სადაც სწორი დიაგნოზი დაუსვეს. იქ გვითხრეს, ძალიან დააგვიანეთ, ამდენი ხანი სად იყავითო. დიაგნოზი დროულად რომ დაესვათ, დღეს ბევრად კარგი შედეგი გვექნებოდა. თუ აუტიზმი მძიმე ფორმებში არ არის და დროულად გამოვლენა მოხდება, მაშინ ასეთი ბავშვების დიდი ნაწილი ჩვეულებრივ სკოლაში მიდის. თუ მიუშვი, მაშინ დაგვიანებულია, ეფექტი ნაკლებია. თუმცა, ფსიქოლოგის ჩარევა 15 წლის ასაკშიც გვიანი არაა, ანუ მდგომარეობა უიმედო არ არის.

- წარმომიდგენია მშობლის რეაქცია, როცა შვილის ავადმყოფობის შესახებ იგებს...

- ძალიან დავისტრესე და შემეშინდა. დღესაც, როცა იმ პერიოდს ვიხსენებ, რაც გამოვიარეთ, ვითრგუნები. იმ პერიოდში გვერდში ამომიდგა ჩემი ქმარი, ლუკას მამა. ძალიან ოპტიმისტია და ის რომ არა, გამიჭირდებოდა. პირველი ერთი წელი შოკში ვიყავი. არაფერი მინდოდა. ნებისმიერ მშობელს ასეთი რეაქცია ექნება, რომელსაც ეტყვიან, რომ თუ გინდა წყნარად იცხოვრო, შენი შვილი სპეციალურ ცენტრში ჩააბარე, სადაც მოუვლიან. არადა, შეეგუე ისეთ შვილთან ცხოვრებას, რომელიც შეიძლება ფანჯრიდან გადაგიხტეს, ან საკუთარი და სხვების მიმართ აგრესია გამოხატოს. შვილს როგორ ჩავაბარებდი და დავიწყე ბრძოლა. ძნელია, როცა შვილი ვერ გაგებინებს რაიმე სტკივა თუ არა, გამუდმებით ყვიროდა, შენ ხარ სტრესში, რადგან ვერ იგებ რამე აწუხებს თუ არა. ძალიან რთულია. რაც არ გკლავს, გაძლიერებს. მე არ მომკლა და გავძლიერდი. ვქაჩავ და მაქვს შედეგი. ლუკას წლევანდელი მიღწევებით კმაყოფილი ვარ. ტელევიზორს უყურებს, არა-ს თქმა ისწავლა. რაღაც აინტერესებს, ათვალიერებს, დამშვიდდა. ახლახან ამერიკაში გაემგზავრა, ისწავლა, რომ 11 საათი წყნარად უნდა იჯდეს.

- დედასთან განშორება არ უჭირს?

- არ ვიცი ლუკას მონატრების გრძნობა აქვს თუ არა, ვერ გამოხატავს მონატრებას.

ლუკას ჰყავს ძიძა, რომელიც მისთვის „მეორე დედაა“, რომელიც მისი დაბადების პირველივე დღიდან მასთან არის. ნანა ძალიან მეხმარება. როცა ლუკას ეს დიაგნოზი დაუსვეს ზუსტად ისევე განიცადა, როგორც მე. მან ისე გაითავისა ლუკას ამბავი, რომ თბილისში თავისი ოჯახი დატოვა და ამერიკაში გამოგვყვა. სულ ლუკასთან არის. ცენტრში მიჰყავს, მერე მოჰყავს, ათამაშებს, აძინებს. ამ ბოლო დროს ლუკა ჩემს ფოტოს ხელს ადებს, რაც იმას ნიშნავს, რომ დედა უნდა. ადამიანმა იმედი არ უნდა დაკარგო. რწმენა და სიყვარული ძალიან გეხმარება.

- როგორია მისი ერთი დღე ამ ცენტრში?

- ლუკა ამ ცენტრში 5 წლის ასაკში მივიყვანე. დღეში 8 საათს ატარებს, ინტენსიურად ავარჯიშებენ. ცალკე ლოგოპედი, ცალკე ფსიქოლოგი. ერთი მასწავლებელი მუდმივად თან ახლავს, რადგან შეიძლება სადმე წავიდეს და დაიკარგოს. საფრთხის შეგრძნება არ აქვს. მხოლოდ სიმაღლის ეშინია. მანქანის არ ეშინია, რადგან არ იცის, რომ საშიშია და შეიძლება დაარტყას.

- თქვენგან განსხვავებით, აუტიზმით დაავადებული ბავშვების მშობლების უმრავლესობა ამ თემაზე საუბარს გაურბის. არათუ საჯაროდ, ზოგჯერ ახლობლებსაც კი უმალავენ. როგორ ფიქრობთ, რატომ?

- აბსოლუტურად ყველა ჟურნალისტი ამ თემაზე სასაუბროდ მე მიკავშირდება. მივხდი, რომ ამ თემაზე სხვა არ ლაპარაკობს. ჩემი აზრით, ყველა ისე იქცევა, როგორც ამის უფლებას ვაძლევთ. რა თქმა უნდა, სასიამოვნო არ არის, როცა შენი შვილი ქუჩაში მიგყავს და გიყურებენ. თუმცა, მარტო შენს აუტიზმიან შვილს ხომ არ უყურებენ? კაფეში ვინც შედის იმასაც უყურებენ. ზოგადად, ეს უკულტურობაა. თუ ბავშვი ეტლში ზის, ხომ საერთოდ. ამის იქით პრობლემას შენ ქმნი. ვინ რას იტყვის და ა.შ. ვინც რა უნდა თქვას, თუ ჩემს შვილს დიაბეტი

აქვს და არ ვმალავ, აუტიზმი რატომ უნდა დავმალო? არ მესმის, დამალვის ფსიქოლოგია. ვისგან მალავენ ან რისგან? უფრო რელიგიური ამბავი მგონია.

- რელიგიური რატომ?

- იციან თქმა, ცოდვები დაუგროვდა და ასეთი უაზრო ლაპარაკი. ჩემს შვილს ეკლესიაში შესვლა არ უნდა, მაგრამ ზუსტად ასევე არ უნდა ზოოპარკში და ცირკში შესვლა. ზოგადად, ბავშვები უცხო გარემოს მტკივნეულად აღიქვამენ, აუტიზმით დაავადებულები განსაკუთრებით. ლუკას ეკლესიაში შეყვანა გვინდოდა, მაგრამ არ მოინდომა, მანქანისკენ გაიქცა. ეს ერთმა მამაომ დაინახა და შეპყრობილიაო, თქვა. ხომ ხვდები, ბევრისთვის ეს მომენტია. ჩემთვის ასე არ არის. თუ მშობლები ამ პრობლემაზე არ ილაპარაკებენ, საქმე წინ ვერ წაიწევა.

- თქვენი საუბრით ბევრ იმედდაკარგულ მშობელს სტიმულს მისცემთ.

- მინდა სტიმული მივცე, დავაწყნარო და დავამშვიდო. ასევე ვუთხრა, რაც უფრო დროულად მიხედავენ, ეფექტი გაცილებით მაღალი იქნება. მერე გვიანი იქნება.

- ინკლუზიურ განათლებას როგორ შეაფასებთ? სახელმწიფოს გადაწყვეტილებით ასეთი ბავშვები დადიან საჯარო სკოლებში, ბაღებში და ჩვეულებრივი ბავშვებთან ურთიერთობენ.

- ეს კარგია, როგორც დაავადებული ბავშვისთვის, ასევე ჩვეულებრივი ბავშვებისთვის. ამით ისინი მათზე ზრუნვას სწავლობენ, რაც მომავალში მათ ჰუმანურ პიროვნებებად ჩამოაყალიბებს. ზოგადად, ფსიქოლოგები წყვეტენ ბავშვი ცენტრში უნდა იყოს თუ სკოლაში. ცენტრში გეუბნებიან შენი შვილი სკოლისთვის მზად არის თუ არა. ლუკას შემთხვევაში სკოლაში წასვლა ჯერ ადრეა. ახლა ისწავლა ჩაცმა, ხელების დაბანა, საპირფარეშოში შესვლა. მე რომ ეს პრობლემა დავმალო და სკოლაში გავუშვა, შეიძლება მისთვის უარესი აღმოჩნდეს. ინკლუზია კარგია, ვისაც შესაბამისი მონაცემები აქვს. ჩემი ლუკა უფრო ჯანმრთელი რომ ყოფილიყო, დიდი სურვილი მექნებოდა, რომ ჩვეულებრივ სკოლაში ევლო. ჩემი შვილი კარგი ადამიანი გაიზრდებოდა.

- ვიცი, რომ საქართველოს აუტიზმის ფონდი დაარსეთ, რის გაკეთებას აპირებთ?

- ამერიკაში ასეთ ცენტრში მკურნალობა ძალიან ძვირია. ჩვენთან არის წმინდა გიორგის სახელობის ცენტრი, ილიაუნში, სოფო კერესელიძე ხელმძღვანელობს. მან ბევრი რამ გააკეთა, ჩემს თვალში ის ნამდვილი გმირია. ახლა ამ ცენტრს დაფინანსება და გაზრდა სჭირდება. საზღვარგარეთ ასეთ ცენტრებს მშობლები ქმნიან. უბრალოდ, იქ მეტი მხარდაჭერა აქვთ სახელმწიფოს, არასამთავრობების მხრიდან. აქ ასეთი მხარდაჭერა არ არის. ჩემი მიზანია კვალიფიციური კადრების დაფინანსება. ამერიკაში გავგზავნო ან აქ ჩამოვიყვანო სპეციალისტები და კადრები გადავამზადო. არის ასეთი პროგრამა ABA, რომელიც ფსიქიკურად დაავადებულების განვითარებისთვის არის შემუშავებული. რაც მთავარია, ამ პროგრამის სწავლა ხელმისაწვდომია მშობლისთვის. შეუძლიათ ინტერნეტში მოიძიონ. ამერიკაში ეს პროგრამა ყველა მშობელმა იცის. შვილი, რომელიც ასეთ ცენტრში დადის, როცა შინ მოჰყავთ ამ პროგრამის სწავლას სახლშიც აგრძელებენ. მაგალითად, სკოლაში ასწავლიან, რომ სანამ წყალს დალევს, უნდა თქვას, თუ სახლში იგივეს არ გაამეორებინებ და მიართმევ, მუშაობა აზრს კარგავს. ამაში მამებიც და ოჯახის სხვა დანარჩენი წევრებიც ჩართულები არიან. პასუხისმგებლობას ოჯახის ყველა წევრი თანაბრად ინაწილებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თანამედროვე ხელოვნება

ელენე კაპანაძე




თამარ კვესიტაძე - „ქალი და კაცი“ 2007

„სოთბის“ აუქციონის სახლმა 27 მარტს გამოფენა, „გზაჯვარედინზე: თანამედროვე ხელოვნება სტამბულიდან ქაბულამდე“-ს უმასპინძლა. გამოფენა-გაყიდვების ციკლი (პირველი გამოფენა 2013 წელს მოეწყო) ერთგვარი სატესტო პროექტია, რათა გამოაშკარავდეს აუქციონის სახლის კლიენტურა რამდენად დაინტერესებულია მათთვის ახალი და უცნობი ხელოვნების შეძენით. თუმცა, მონაწილე ხელოვანები თავის რეგიონში საკმაოდ ცნობილი და წარმატებულები არიან; „სოთბის“ მთავარი მიზანიც ეს არის - ერთი და იგივე სახელებით დაღლილ ევროპას განსხვავებული და დამაინტრიგებელი პროდუქტი მიაწოდოს.

მიუხედავად იმისა, რომ გამოფენა ასეთ ფართო გეოგრაფიულ რეგიონს მოიცავს (ავღანეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი, ირანი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, თურქეთი და უზბეკეთი) მაინც იკვეთება საერთო თემები: ნონკონფორმიზმი საბჭოთა კავშირში, ფოლკ კულტურა და ტრადიცია, ისტორიული იდენტობა, ომი და კონფლიქტი, პოლიტიკური არასტაბილურობა - ეს ის საკითხებია, რომლებიც ექსპოზიციაში მონაწილეებისათვის აქტუალურია. გამოფენა, ფაქტობრივად, ისტორიას აცოცხლებს, როდესაც მაკავშირებელი აბრეშუმის გზა ვაჭრობასთან ერთად ხელს უწყობდა კულტურულ და ინტელექტუალურ ურთიერთცვლას. ობიექტურად თუ შევხედავთ ამ ქვეყნებს, მართლაც ძალიან ბევრი რამ აქვთ მსგავსი; ისტორია - ხშირად საერთო მმართველები: მეფეები თუ დამპყრობლები, საბჭოთა წარსული, მისი დანგრევით გამოწვეული იდენტობის კრიზისი და სხვა მრავალი. ექსპოზიცია პირველ რიგში ხაზს უსვამს ამ რეგიონის ნათესაურ კავშირს, საერთო გამოცდილებებს, შეხედულებებს, ტენდენციებსა და სტერეოტიპებსაც კი. უცნაურია, რეალურად რამდენი გვქონია ერთმანეთთან საერთო, მიუხედავად იმისა, რომ, ფაქტობრივად, 20 წელზე მეტია არანაირი კულტურული დიალოგი რეგიონში არ მიმდინარეობს. იმედია, რომ ეს პროექტი უფრო ფართო და ღრმა მიმოცვლას გამოიწვევს და არტ ბაზარიც ლოკალურ, ჩაკეტილ სივრცეებს გასცდება.



ვახო ბუღაძე - „დერბი 91“, 2013

წელს საქართველო წარმოდგენილია ოთხი თაობის საკმაოდ განსხვავებული ხელოვანებით, რაც ხაზს უსვამს ქართული თანამედროვე ხელოვნების მრავალფეროვნებასა და ხარისხს. „სოთბის“ რუსული დეპარტამენტის გუნდმა თავის უკვე საყვარელ ავთო ვარაზს, ირაკლი ფარჯიანს, მერაბ აბრამიშვილსა და თამარ კვესიტაძეს ვახო ბუღაძე და მამია მალაზონია დაუმატეს. შარშანდელი გამოფენის შემდეგ აბრამიშვილის ნახატი აუქციონზეც („თანამედროვე აღმოსავლეთი“ 25.11.13, „სოთბის“ ლონდონი) იქნა გაყიდული, რაც მისი ხელოვნების საკმაოდ საინტერესო მომავალზე მიანიშნებს.

ქართულ რეალობაში, სადაც ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია არტ ბაზარი, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გამოჩნდა და თავისი დაინტერესება გამოხატა ისეთმა რესპექტაბელურმა და გავლენიანმა კომპანიამ, როგორიც „სოთბია“. ბაზარი, სადაც ფასს ფაქტობრივად არასოდეს გალერისტები არ ადგენენ, იმაზე ბევრად პრობლემურია ვიდრე ეს წარმოგვიდგენია. აქედან გამომდინარე, ხელოვანი, ნიჭიერი შემოქმედი, ამავდროულად უნდა იყოს კარგი ბიზნესმენი, ჰქონდეს ინტუიცია და მარკეტინგული ცოდნები, რათა შეძლოს თავისი კარიერის სტრატეგიულად დაგეგმვა. იგი სწორი ფასით უნდა შემოვიდეს ბაზარზე, ლოგიკურად გაზარდოს იგი და ა.შ. ის, რაც იდეაში, მხატვარს არ უნდა ეხებოდეს. კიდევ უფრო პრობლემურია ნამუშევრის მეორე ხელიდან ყიდვა; პატრონები თითქმის ყოველთვის არარეალურ თანხას ითხოვენ, მათი ალტრუიზმი ერთი შეხედვით ლოგიკურია -აფასებს რამდენსაც უნდა და თუ გამოჩნდა მყიდველი - რატომაც არა. პარადოქსი იმაშია, რომ შეუძლებელია ამა თუ იმ ხელოვანის კარიერაში ზოგადი მონახაზი და ლოგიკური პროგრესი დაიხატოს, როდესაც ფასს ამ საკითხში ნაკლებად ჩახედული პატრონები ადგენენ; რასაკვირველია ასეთი რაღაცები სხვაგანაც ხდება, მაგრამ გამონაკლისის სახით, საქართველოში ფაქტობრივად ნორმაა. ძნელია დეფინიცირება რა პერიოდი, თემატიკა და ა.შ. არის შემოქმედისთვის ცენტრალური, მნიშვნელოვანი და შესაბამისად ყველაზე ღირებული. ამ შემთხვევაში კომერციული გა-

მამია მალაზონია - „ვეფხისტყაოსანი“ 2007

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სტამბულიდან ქაბულამდე

მერაბ აბრამიშვილი - „სამოთხე“ 1993

ლერეები საკომისიოებს უფრო ემსგავსებიან, რაც არავისთვისაა მომგებიანი. შესაბამისად, ყურადსაღებია, რომ კომპანია, რომელსაც საუკუნოვანი გამოცდილება აქვს, იწყებს ამ ქაოტური სიტუაციის დარეგულირებას. მაგალითად, მეტ-ნაკლებად გასაგები გახდა რა ღირს აბრამიშვილი (თუ არ ჩავთვლით კერძო კოლექციებიდან შეუსაბამო და არაადეკვატურ ფასად გამოტანილ გასაყიდ ნამუშევრებს). უფრო მეტიც, „სოთბის“ დაინტერესებამ ქართულ თანამედროვე ხელოვნებას ის აკრედიტაცია მისცა, რაც ძალიან სჭირდებოდა და აკლდა, თუნდაც ლოკალურ ბაზარზე.

არჩეული ქართველი ხელოვანები სხვადასხვა თაობას მიეკუთვნებიან, აქვთ ერთმანეთისაგან განსხვავებული და მკაფიოდ ჩამოყალიბებული ხელწერა, რომელიც ჩვენი თანამედროვე ხელოვნების აზროვნების ფართო არეალს კარგად წარმოაჩენს. მათი ვიზუალური ენა იმდენად არ ჰგავს ერთმანეთს, ძნელი დასაჯერებელია, რა პატარა, ახლო და მჭიდრო რეალობაში ჩამოყალიბდნენ ისინი.

ავთო ვარაზის ნონკონფორმისტული კოლაჟები ნამდვილად ქმნის ამ მიკრო ექსპოზიციის სულს. მისთვის გაუსაძლისი საბჭოთა სინამდვილის და ცენზურის მიუხედავად, მხატვარმა მაინც მოახერხა თავისი ნიჭის რეალიზება. „კოლაჟი ბოთლებით“, ვარაზის შემოქმედების ინოვატორულ მხარესაც წარმოაჩენს, მან დააფუძნა კოლაჟის ტექნიკა ქართულ თანამედროვე ხელოვნებაში.

იგივე უკმაყოფილება და გარემოსთან შეუსაბამობა მერაბ აბრამიშვილის ხელოვნებას რეალობისაგან გაქცევის სენტიმენტით ავსებს; წარმოდგენილი ნამუშევარი, „სამოთხე“, აბრამიშვილის ერთ-ერთი საყვარელი თემაა; იგი ხშირად იმეორებს მოტივებს, ბევრს მუშაობს რელიგიურსა და მისტიკურ ნარატივზე. მთავარი მიზანი იმ ნეტარებისა და იდეალების პოვნაა, რისგანაც ასეთი დაცლილი იყო პოსტ-საბჭოთა საქართველო. მისი ადვილად ცნობადი ხელწერა ქართული ფრესკისა და სპარსული მინიატურის კარგი ცოდნისა და სიყვარულის შედეგია. აბრამიშვილი თავის ნახატებს ხშირად ქართული ფრესკის გადამღერებას უწოდებდა.

მამია მალაზონიას შემოქმედება ინსპირაციას ძირითადად ლიტერატურიდან იღებს, ამ ბოლო დროს იგი ხშირად მუშაობს საყვარელი წიგნების ფაბულაზე. გარდა ამისა, იგი ახერხებს ერთ ნამუშევარში სხვადასხვა მედიის (პასტელი, აკვარელი, გუაში, ფანქარი) ჰარმონიულად შერწყმას.

ავთო ვარაზი - „კოლაჟი ბოთლით“ 1975

ირაკლი ფარჯიანი - მეტაფიზიკური ლანდშაფტი 1989

ის შესაფერისი ინტერპრეტაციის შექმნა. ვიზუალურად მალაზონიას ნახატები სცენოგრაფიულ ჩანახატებს ეხმიანება, რაც მისი თეატრალური კარიერის გამოძახილია; მალაზონიას მრავალი ცნობილი სპექტაკლი (ძველი ვოდევილები, ხანუმა, აბესალომ და ეთერი) გაუფორმებია.

ვახო ბუღაძე, პროფესიით მოქანდაკე, ბევრს მუშაობს საქართველოს სოციალურსა და პოლიტიკურ რეალობაზე. ბუღაძის ნახატები გაჟღენთილია მისი თაობისათვის დამახასიათებელი მელანქოლიით. აბრეშუმზე დახატული „დერბი 91“, „თბილისი იპოდრომის“ სერიიდანაა, რომელიც 1990 წელს ჩატარებულ ბოლო საერთაშორისო დოღს ეძღვნება. ვახო ბუღაძე (გამოფენის კატალოგიდან): „23 წელი გავიდა ბოლო სეზონიდან და გადავწყვიტე ამ ღონისძიებისთვის გამოფენა მიმეძღვნა, მაგრამ 1990-ის გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები ვეფხისტყაოსნის თემაზეა შექმნილი, რომელიც მხატვრის თქმით განსაკუთრებით რთული სამუშაო იყო; მართლაც, ფაქტობრივად შეუძლებელია რუსთაველის გენიალური პოემა ერთ ყოფაში დღესაც რელევანტური რჩება.

თამარ კვესიტაძემ გამოფენაზე ბათუმში არსებული „ქალი და კაცის“ ქანდაკების მცირე ზომის ანალოგი წარმოადგინა. მისი კინეტიკური ქანდაკება გენიალურად ახერხებს, ტექნოლოგიების ერაში მოყვეს ისეთ უნივერსალურად ადამიანურ სენტიმენტებზე, როგორიცაა სიყვარული, კომუნიკაციის სირთულეები, წრეზე მოტრიალე ურთიერთობების დრამა-სიახლოვის აუცილებლობა და განშორების გარდაუვალობა. ცივი და ინდიფერენტული ფოლადის მასალით შემოქმედი წარმატებით გადმოსცეს მგზნებარე და ინტენსიურ ემოციებს. თამარ კვესიტაძე არღვევს ქანდაკების მთავარ სტერეოტიპს მის სტატიურობასთან დაკავშირებით და შესაბამისად ცხოვრებასთან (სადაც არაფერი ერთ ადგილას არ დგას და მუდმივ მოძრაობაშია) უფრო მიახლოებულ სცენარებს ქმნის.

სუად გარაევა, იდეის ავტორი და ორგანიზატორი: „ჩვენ ვიმოგზაურეთ რეგიონში; მიზანი იყო, აგვერჩია ნამუშევრები, რომლებიც განსაკუთრებულ ადგილს იკავებს არჩეული ხელოვანების შემოქმედებაში და ამავდროულად დასავლური აუდიტორიის გემოვნებასაც აკმაყოფილებს. რეგიონი ზღვა ტალანტს იტევს და გვინდოდა ეს მრავალფეროვნება წარმოგვეჩინა; შესაბამისად, ექსპოზიცია შედგენილია როგორც აღიარებული საბჭოთა მხატვრების, ასევე ახალგაზრდა პროგრესული ხელოვანებისაგან. ჩემი წარმომავლობიდან გამომდინარე, ეს რეგიონი ყოველთვის ძალიან მაინტერესებდა. „სოთბის“ გუნდმა, შევამჩნიეთ ლოკალური თანამედროვე ხელოვნებისადმი მზარდი ინტერესი, როგორც კოლექტორების, ასევე სხვადასხვა ინსტიტუციების მხრიდან. ამას დაემატა არსებული არტის ხარისხი, რის გამოც დროულად ჩავთვალეთ, რომ ლონდონის აუდიტორიისათვის გაგვეცნო საინტერესო და ამაღელვებელი ხელოვნება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა ბედი ელით მათ, ვინც ექსტერნატის გამოცდაზე ჩაიჭრა ან ერთი ქულა დააკლდა?

განათლების სამინისტროში ჯერ არ იციან ხელმეორედ ჩატარდება თუ არა

EXCLUSIVE

სალომე გოგოხია

წლევანდელი ექსტერნის გამოცდები დასრულდა. ზოგიერთმა ყველა საგანი წარმატებით ჩააბარა, ზოგს საგანში ერთი ქულა დააკლდა, ზოგი ერთ საგანში ჩაიჭრა.

აბიტურიენტებისთვის ნაცნობი, მაგრამ მტკივნეული სიტუაციაა. თუმცა, მთავარი მაინც ის გაურკვევლობაა, რომელშიც ეს კატეგორია აღმოჩნდა. მათთვის უცნობია, განათლების მინისტრი ექსტერნის გამოცდას მეორედ დანიშნავს თუ არა.

ამასობაში, მათ, ვინც რესურს-ცენტრებს გამოცდების შედეგების გასაჩივრებისთვის მიმართეს, უარი მიიღეს.

მარიამმა ყველა საგანი ჩააბარა. მხოლოდ მათემატიკაში დააკლდა ერთი ქულა. დღემდე ვერ გაარკვია როგორ უნდა მოიქცეს.

„სამინისტროს ცხელ ხაზზე მითხრეს, რაიონულ რესურს-ცენტრს მიაკითხე და გაასაჩივრეო. შინაურულად გავიკითხეთ და გვითხრეს, ექსტერნის გამოცდა მეორედ ჩატარდებაო. ამდენ გაურკვევლობას აჯობებდა ზუსტი პასუხი გაეცათ, იქნება, ან არა. გაუგებარია, რესურს-ცენტრების პოზიციაც. სამინისტრო გვეუბნება შედეგები გაასაჩივრეთო, ხოლო ისინი უარით გვისტუმრებენ. რამდენადაც ვიცი, რესურს-ცენტრები სამინისტროს ექვემდებარებიან. ამიტომ, გაუგებარია მათი უარის საფუძველი“, - გვითხრა მარიამმა.

მეორე რესპონდენტი გიორგი მხოლოდ ერთ საგანში ჩაიჭრა. ექსტერნის გამოცდის ჩასაბარებლად საზღვარგარეთიდან სპეციალურად ჩამოვიდა. თუმცა, საქართველო ისე დატოვა, რომ სამინისტროსგან კონკრეტული პასუხი ვერ მიიღო.

„ასეთი არაფერი მინახავს და არც მსმენია. რა თამაშს თამაშობს სამინისტრო ვერ მივხვდი. სამინისტროს ცხელ ხაზზე მითხრეს, მინისტრის გადასაწყვეტია ექსტერნის გამოცდებს დანიშნავს თუ არაო. თუ აპირებენ მეორედ ჩატარებას, ამის თქმას წინ რა უდგას? ჩვენც ხომ ადამიანები ვართ, უფრო მშვიდად ვიქნებით. საქართველოს გაურკვეველი პასუხით ვტოვებ. კარგი იქნებოდა ან უარი ეთქვათ, ან თანხმობა, ვიდრე ასეთი“. - შემოგვჩივლა გიორგიმ.

ჩვენი რესპონდენტების მსგავსად, მათ ბევრ თანატოლს აინტერესებს რას გადაწყვეტს მინისტრი.

სამწუხაროდ, უშუალოდ განათლების მინისტრის პასუხი ამ საკითხზე ვერ მივიღეთ, რადგან ის საქართველოში არ იმყოფებოდა.

თამარ სანიკიძის მოადგილე ზოგად საგანმანათლებლო მიმართულებით, ლია გიგაური, „პრაიმტაიმთან“ საუბარში ამბობს, რომ მისთვის უცნობია ექსტერნის გამოცდები მეორედ ჩატარდება თუ არა.

„ექსტერნატის გამოცდებს მინისტრი ნიშნავს“, - გვითხრა გიგაურმა.

წელს ექსტერნატის გამოცდებზე 2 033 პირი დარეგისტრირდა. სამინისტროს ინფორმაციით, მათგან 210-მა ანუ დარეგისტრირებულთა 10%-მა ხუთივე საგანი წარმატებით ჩააბარა.

„თითოეული სკოლა დამოუკიდებლად განსაზღვრავს გამოცდების ჩატარების განრიგს. გარდა მე-12 კლასის 5 გამოცდისა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, სამოქალაქო თავდაცვა, უსაფრთხოება და ინგლისური ენა), ამ გამოცდების ჩატარების განრიგს ამტკიცებს მინისტრი და ტარდება ელექტრონული ფორმით. ხოლო დანარჩენ სამ საგანს აბარებს სკოლაში. იმისთვის, რომ ექსტერნმა დაძლიოს მე-12 კლასი მას ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული 8 საგანი. ვინაიდან, ამ ეტაპზე არ არის გასული შედეგების დამტკიცებისათვის დებულებით განსაზღვრული ვადები. სამინისტრო არ ფლობს ზუსტ სტატისტიკას წლევანდელი ექსტერნატის გამოცდების შედეგებთან დაკავშირებით. დღეისათვის შეგვიძლია მოგაწოდოთ ინფორმაცია მხოლოდ მე-12 კლასის ცენტრალიზებული გამოცდების ჩაბარების სტატისტიკის შესახებ.

მომავალ კვირას მოხდება ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი ექსტერნატის გამოცდების შედეგებთან დაკავშირებით. რაც საშუალებას მოგვცემს თქვენს კითხვას სრულყოფილად ვუპასუხოთ“, - განუცადა „პრაიმტაიმს“ ლია გიგაურმა.

ცნობისთვის, შარშან აქტიურად საუბრობნენ ექსტერნატის გამოცდის გაუქმებაზე. თუმცა, ამის ნაცვლად, შარშან, მინისტრის გადაწყვეტილებით, ეს გამოცდა ორჯერ გაიმართა. ამიტომ, წლევანდელი კონტინგენტი იმედოვნებს, რომ თამარ სანიკიძე წელსაც ანალოგიურ გადაწყვეტილებას მიიღებს.

საჭიროა თუ არა ექსტერნატის გამოცდები და რა შემთხვევაში უნდა ჩატარდეს? განათლების ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი „პრაიმტაიმთან“ საუბარში აცხადებს, რომ მისი მინისტრობის დროს ექსტერნატის გამოცდები მხოლოდ ორჯერ დაუშვა.

„ექსტერნატის გამოცდების ჩატარებას მხოლოდ განათლების მინისტრი წყვეტს. მე ვთვლი, რომ ამ გამოცდის ჩაბარების უფლება მხოლოდ განსაკუთრებით ნიჭიერ ბავშვებს უნდა ჰქონდეთ. სხვა შემთხვევაში საჭირო არ არის. ეს გამოცდა კორუფციის ერთ-ერთი წყაროა, ამიტომ, ჩემი მინისტრობის დროს ეს გამოცდა პირად კონტროლზე მყავდა აყვანილი. სულ ორმა ბავშვმა ჩააბარა. ერთი იყო ძალიან ჭკვიანი და ასეთ შემთხვევაში, როცა ბავშვი განვითარებით ბევრად უსწრებს თანატოლებს, არ უნდა დავჩაგროთ და მეორე, ავადმყოფი ბავშვის შემთხვევა იყო, იქ წლებსაც კი სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. რა გააკეთა სამინისტრომ შარშან? 3 000-ზე მეტმა ჩააბარა ექსტერნატის გამოცდა. სიამაყით რომ აცხადებდნენ, წელს უპრეცედენტოდ ბევრი აბიტურიენტი გამოვიდა ეროვნულ გამოცდებზეო, იმიტომ, რომ მხოლოდ ექსტერნატის გამოცდა 3 000-ზე მეტმა ჩააბარა“, - ამბობს შაშკინი.

დანიშნავს თუ არა თამარ სანიკიძე ექსტერნატის გამოცდებს და გაუცრუვდებათ თუ არა მოლოდინი აბიტურიენტებს, ამის შესახებ „პრაიმტაიმი“ მომავალ ნომერში შეგატყობინებთ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ობამა ნატოს გაფართოებას აჩერებს

„არ არის მართებული, საქართველოს ნატოსკენ მისწრაფება უკრაინას დავუკავშიროთ“

ქეთი ხატიაშვილი

ამერიკამ პოზიციები დათმო და ნატოს გაფართოებაზე უარი ოფიციალურად თქვა, თურქეთმა გლობალიზაცია დათმო და „ტვიტერი“ და „იუთუბი“ აკრძალა, ევროპას კი რუსეთი ხან ეთმობა და ხან – არა.

საქართველოში ამ დროს ნატოს საკითხს განიხილავენ. ეს ერთადერთი ყველაზე აქტუალური თემაა დღეს. უკვე რამდენი წელია, თბილისი ცდილობს, ნატოს ღია კარში შეაბიჯოს, თუმცა, ახლა ისევ მაყურებლის როლში დავრჩით. რუსეთისთვის ეს „წმინდა ომის“ ტოლფასია.

დღეს რუსეთში მიიჩნევენ, რომ ამერიკელებმა მოატყუეს და თანაც მწარედ, რომ თავის დროზე გორბაჩოვი საბჭოთა კავშირის დაშლას, საბჭოთა კავშირის ჯარების აღმოსავლეთ ევროპიდან გაყვანასა და ბერლინის კედლის დანგრევას მხოლოდ ერთი პირობით დასთანხმდა – ნატო აღმოსავლეთით არ უნდა გაფართოებულიყო. და თითქოს არსებობდა გარანტიებიც. სსრკ-ს მაშინდელი გენერალური მდივანი გორბაჩოვი ირწმუნება, რომ ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ბეიკერმა თქვა: ნატო ერთი ნაბიჯითაც არ გადაიწევს აღმოსავლეთისკენ. ამ სიტყვებსა და დაპირებას ვერ იხსენებს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მაშინდელი მინისტრი ედუარდ შევარდნაძე. ის ამბობს, რომ დასავლეთში არავის ასეთი პირობა გორბაჩოვისთვის არ მიუცია.

კრემლში ახლა თვლიან, რომ აშშ-მ თავდასხმა 1994 წელს წამოიწყო, როცა იანვარში, ბრიუსელის მაღალი დონის შეხვედრაზე ვაშინგტონმა ყველას შეახსენა ჩრდილოატლანტიკური შეთანხმების მეათე თავი, სადაც წერია, რომ ნებისმიერმა ქვეყანამ შეიძლება რეგიონის უსაფრთხოებაში თავისი წვლილი შეიტანოს. ეს მოსკოვმა ომის გამოცხადებად აღიქვა. გასაგები გახდა, რომ ნატოს გაფართოება შეუქცევადი პროცესი გახდებოდა.

1997 წელს ნატოში აღმოსავლეთ ევროპის სამი ქვეყანა შევიდა: უნგრეთი პოლონეთი და ჩეხეთი.

ამის შემდეგ ნატოს გაფართოება სულ უფრო დიდი პრობლემა ხდება რუსეთისთვის. პუტინი ნატოს შესაჩერებლად 2008 წელს საქართველოში შემოიჭრა, 2014 წელს – უკრაინაში.

პუტინმა აფხაზეთისა და ცხინვალის აღიარებითა და ყირიმში შეჭრით ამ ქვეყნების ნატოში შესვლა შეაფერხა. სწორედ ამ მოვლენების შემდეგ ჯერ საქართველოში შეფერხდა ეს პროცესი და შემდეგ უკვე უკრაინაში.

ასე რომ, პუტინი თავს იმ მთავარსარდლად აღიქვამს, რომლის მისიაა, დასავლეთის მის საზღვრებთან მიახლოებას ხელი შეუშალოს.

ობამას განცხადებამ, – „არც უკრაინა და არც საქართველო ნატოს წევრობის გზაზე არ არიან, ნატო-ს გაფართოება არ არის უახლოეს გეგმებში“, – ამ ქვეყნებში დიდი ხმაური გამოიწვია.

დასავლურ მედიაში არაერთი სტატია გამოჩნდა, სადაც ამერიკის პრეზიდენტს შეახსენეს ის დაპირებები, რომელიც სხვადასხვა დროს საქართველოს მისცეს. ერთ-ერთი ასეთი გამოცემაა Breitbart London.

გამოცემა Breitbart London-ისთვის ცნობილი გახდა, რომ ბარაკ ობამამ ძირი გამოუთხარა საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივას, როცა თავისი ევროპული ტურნეს დროს განაცხადა, რომ საქართველო ამჟამად ნატოში გაწევრიანების გზაზე არ დგას. – წერს ამის შესახებ გამოცემა.

სტატიის ავტორის შეფასებით, ეს იყო ობამას შეცდომა, რადგანაც საქართველო ნატოს გზას ჯერ კიდევ 2008 წლის შემდეგ დადგა.

ანდრე ვალკერი ბუქარესტის შეხვედრას იხსენებს, სადაც მკაფიოდ ითქვა, რომ ნატო მიესალმება საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებას ნატოში, რომ ჩვენ ვთანხმდებით, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი.

ეს გადაწყვეტილება, აგრძელებს ავტორი, გამყარებული იყო ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მხრიდანაც, როცა ჯონ კერიმ განაცხადა, რომ ისინი მყარად დგანან ბუქარესტის შეთანხმებაზე და რომ საქართველო ნატოს წევრი გახდება.

ამავე განცხადებაში, ჯონ ქერიმ განმარტა, რომ შეერთებული შტატები იმუშავებს, რათა საქართველოში მიღწეული პროგრესი ნატოს სხვა ქვეყნებმაც აღიარონ.

ყოფილმა ელჩმა ლონდონში გიორგი ბადრიძემ Breitbart London-თან საუბარში განმარტა, რომ ობამას განცხადება შესაძლოა, ცუდად იყო ფორმულირებული.

„არ არის მართებული საქართველოს ნატოსთან მისწრაფება უკრაინას დაუკავშიროთ. საქართველო ყველაფერს აკეთებს, რათა ამ მიმართულებით პროგრესს მიაღწიოს, მაშინ როცა უკრაინა

ამ პროცესიდან გასულ წელს გავიდა“. – აცხადებს ყოფილი ელჩი.

მისივე განმარტებით, მნიშვნელოვანია ისიც, რომ პრეზიდენტ ობამას განცხადება იგნორირებას უკეთებს ბუქარესტის სამიტს. ბადრიძემ სახიფათო პრეცედენტი უწოდა რუსეთის მხრიდან ნატოს გაფართოებისთვის ვეტოს დადებას.

სოციალურ ქსელებში კი მაშინვე გაჩნდა პარალელები, მაგალითად, იგივე ალბანეთთან: „ჯერ ეს ერთი და ვითომ ალბანეთია ნატოს სტანდარტების ქვეყანა და ჩვენ – არა? რა მაჩვენებლებით გვჯობს? მეორეც და მთავარი, ობამა ამ განცხადებით აღიარებს რუსეთის ინტერესების სფეროს და უკან იხევს. ეს იყო პოლიტიკური განცხადება და არა ტექნიკური საკითხის აღნიშვნა. ამ სიტყვების შემდეგ ამერიკამ ფართო, გეოგრაფიული, წითელი ხაზი გაავლო საკუთარი და რუსეთის ინტერესების არეალს შორის. ჩვენ კი, სავარაუდოდ, ნატოს კიდევ უფრო დავცილდით. დასავლეთი კვლავ და კვლავ იმეორებს თავის შეცდომას. გულით მინდა, რომ ვცდებოდე“.

ალბანეთს ნატოში გაწევრიანებისთვის 17 წელი დასჭირდა. თუმცა, ჩვენც და ისიც რიგში ერთად 1992 წელს ჩავდექით. და მართლაც, რით გვაჯობა ალბანეთმა, მხოლოდ გეოგრაფიული ადგილმდებარეობით?



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მეეზოვეები - სისუფთავის ნარინჯისფერი მცველები

სალი კიპაროიძე

ისინი ყოველ დილით ცდილობენ ქალაქის ქუჩებს სუფთა იერი შეუნარჩუნონ. ჯერ კიდევ ღამით დაწყებული, მათი მძიმე შრომა, მზიდან გამოტყორცნილ სხივებს ასწრებს. ყოველ დილით მადლიანი მზერით შეჰყურებენ სკოლისაკენ მიმავალ ბავშვებსა და უნივერსიტეტებში მიმავალ სტუდენტებს, აჩქარებული ნაბიჯებით სამსახურებში მიმავალ ადამიანებს, ისინი თითქოს ყოველთვის აკვირდებიან მოსწავლეების გამცილებელ მზრუნველ მშობლებს და შემდეგ ისევ თავის ფიქრებს უბრუნდებიან. სწორედ მაშინ, როცა ჩვეულებრივი ადამიანების სამუშაო დღე იწყება, მათი 5 საათიანი სამუშაო მონაკვეთი იწურება. როდესაც ჩვენ ჯერ კიდევ ღრმა ძილით გვძინავს და მზეს არც კი დაუწყია ფიქრი ამოსვლაზე, ისინი ქუჩაში უხმაუროდ გამოდიან, თითქოს იმიტომ, რომ ღამის მყუდროება არ დაარღვიონ. ამ დროს მათი ცოცხების გარდა ირგვლივ ყველაფერი დუმს. მთელი ღამის განმავლობაში, უკანასკნელი წერტილის დასუფთავებამდე თავი დაბლა აქვთ დახრილი. მხოლოდ მაშინ სწევენ თავს, როცა ქალაქი იღვიძებს და მზე ნელ-ნელა ამოსვლას იწყებს. სწორედ ამ დროისთვის მათ უკვე ყველაფერი მზად აქვთ, მათი შრომის შედეგად კი მზით განათებული ადგილები სისუფთავით იწყებს ბრწყინვას, შემდეგ კი მეორე დილამდე უჩინარდებიან და დილით კვლავ ებრძვიან ბუნებისა თუ ადამიანების მიერ დაყრილ ნაგავს. მათი დასუფთავებული ქუჩა ხადახან, მართლაც, რომ ხელოვნების ნიმუშია, თუმცა ცოცხით შექმნილი სუფთა შედევრი მხოლოდ ერთი დღე ცხოვრობს, ამიტომაც სისუფთავის ნარინჯისფერი

მცველები, ყოველდღიურად „ხატავენ“ ქუჩებს. ეს „ხელოვანები“ მეეზოვეები არიან, რომლებიც დღეს ჩვენს საზოგადოებაში სამწუხაროდ თითქოს დაბალი კატეგორიის ადამიანებად მიიჩნევიან. მათ ხშირად „მენააგვეებსაც“ კი უწოდებენ ხოლმე. ბევრი ვერ ხვდება, რომ თბილისი სისუფთავის ქალაქი მხოლოდ „ჩვენი ქალაქის მეეზოვეების“ თავდაუზოგავი შრომით გახდა, რადგან ჩვენს „სუფთა“ საზოგადოებაში, გაურკვეველი ბედი ეწია ახლად დამონტაჟებულ ნაგვის ურნებს, ხოლო შემორჩენილი ურნების უმეტესობა დამტვრეულია, ან გაურკვეველი „ქიმიური ცდების შედეგად“ ამომწვარი, საკუთარი ადგილიდან მოგლეჯილი და გვერდზე მიგდებული. ჩვენს ქალაქში მხოლოდ მეეზოვეები აქრობენ სიგარეტის ნამწვებს, აგროვებენ გადაგდებულ საღეჭ რეზინებს, ავტობუსის ბილეთებს, მზესუმზირისა და ბანანის ქერქებს, შოკოლადების და კანფეტების ქაღალდებს, ჰაერში მოფარფატე პოლიეთილენის პარკებსა და სხვა მილიონ საყოფაცხოვრებო ნაგავს. რეალურად, ჩვენს ქვეყანაში, სამოქალაქო კულტურის დეფიციტი შეინიშნება. გასაოცარი ფაქტია, მაგრამ, ალბათ, მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში თვლიან, რომ ნაგვის დაყრის კულტურა სპორტის ერთ-ერთი სახეობაა. ყველას გვეყოლება ნანახი, ნაგვის „გადარჩენილ“ ურნებთან შემართული ადამიანი, რომელსაც დაკავებული აქვს საწყისი პოზიცია და მთელი არსებით, ფსიქოლოგიურად ემზადება, ამ საოცნებო ტყორცნისთვის, ცალ თვალს ხუჭავს, მიზანში იღებს ურნას და ნაგავს ისვრის, თუ „სამქულიან კალათაში“ ჩავარდა, ხომ კარგი, თუ არადა „სპორტსმენს“ საერთოდ აღარ აინტერესებს სად დაეცა მისი ნარჩენი, უარეს შემთხვევაში კი გაწბილებული „ოლიმპიელი“ კარგა ხანს არ ნებდება. ურნის ირგვლივ მიმოფანტულ ნარჩენებს კი, გამთენიისას, სხვადასხვა სიმღერების ღიღინით მეეზოვეები აგროვებენ.

ყიფშიძის ქუჩაზე მოფუსფუსე ერთი რიგითი მეეზოვისთვის, როგორც ჩანს, ქალაქის დასუფთავებას ღრმა მნიშვნელობა აქვს, მისი საოცრად მეტყველი თვალები და დაკოჟრილი ხელები მძიმე ისტორიის მატარებელია, რიგითი სისუფთავის ნარინჯისფერი მცველის ისტორია კი ასეთია:

მარინა, 47 წლის (მეეზოვე):

„არასდროს მიწუწუნია ჩემს ბედზე, შვილო, ყოველთვის, როცა დილით აქ მოვდივარ, გული უსაზღვრო სიყვარულით მაქვს სავსე. უკვე თითქოს ამ ქუჩის მცხოვრებ ხალხსაც მივეჩვიე. უკვე მე-6 წელია ასე მიწევს ჩემი შვილის რჩენა, მას დაბადებისთანავე დაუნის სინდრომი დაუდგინეს და დღიდან დღემდე ვცდილობ ელემენტარულით მაინც გავუმარტივო მას ყოფა. ვინ იცის რამდენი ღამე გამითევია მტირალი შვილისთვის, განთიადზე კი მაინც გულიანად მიკეთებია ჩემი საქმე. ხშირად წამლის ფულიც არ მქონია და სწორედ ამ ქუჩის ბინადრები დამხმარებიან. ბევრჯერ ლუკმაპურის გარეშეც დავრჩენილვარ, რომ ჩემს შვილს შიმშილი არ ეგრძნო. მიუხედავად ამისა, მაინც მადლობელი ვარ, რომ მაქვს სამსახური, თვიდან თვემდე ასე გაგვაქვს მე და ჩემს შვილს თავი. ბევრს დავუმცირებივარ კიდეც, მენაგვე, გაიწიეო, ხშირად მესმის ეს სიტყვები, თუმცა რას ვიზამ, შვილო, ამასაც ვუძლებ, ისევ და ისევ კეთილი ადამიანების ხარჯზე. საზოგადოების სისუფთავეზე კი რა მოგახსენოთ, ეს ახალგაზრდა გოგოებიც ამ სიგარეტის „ბიჩოკებს“ პირდაპირ ურნასთან აგდებენ, თითქოს გადაწყვეტილი აქვთ, რომ შიგნით ურნაში პრინციპულად არ ჩააგდებენ. შემოდგომაზე კიდევ უფრო მიმძიმდება საქმე, თუმცა ამ დროს ირგვლივ ყველაფერი ისეთი ლამაზია, სულ მავიწყდება ხოლმე ის ტვირთი, რომელსაც ყოველდღე, სისხამ დილიდან შუაღამემდე, თან ვატარებ“.

მეეზოვეების სიკეთე ნიკო ფიროსმანმა საუკუნეების გასაძლებად ტილოზე ასახა. წლების წინ, ზაქარია ჩიქოვანის სახლის სარდაფში მოთავსებულ სასადილოში, რომელსაც ერქვა „ბოლო კეთილი“ და ეკუთვნოდა ორ ძმას, აბუაშვილს, ნიკალამ დახატა ყველასავის ცნობილი წვერებაბურძგნილი, თეფშის ტოლა მედალჩამოკიდული ე.წ. „დვორნიკი“ (მეეზოვე), ის მირზოევის ქარვასლის მეეზოვე, იეზიდი რაშიდ ადამოვი იყო. გადმოცემით, მარგარიტას სიყვარულის დაკარგვის შემდეგ ფიროსმანისთვის ცხოვრებამ ფასი დაკარგა. ნიკო, კიბის ქვეშ, ერთიბეწო ოთახში სწორედ მეეზოვემ შეიკედლა. მეეზოვის ნაწყალობებ, კიბის ქვეშ მდებარე სათავსოში შეყუჟული, დროს ებრძოდა, ხატავდა და ხატავდა. გულდათუთქული სიყვარულდაკარგული ნიკოს ამბავი, მხოლოდ კეთილმა, ყურადღებიანმა მეეზოვემ მოისმინა, შეეცოდა უსახლკარო, უსახსრო, იმედგაცრუებული ადამიანი და თავშესაფარი შესთავაზა. საჭმელიც თვითონ მიჰქონდა. შვილივით უვლიდა. რამდენიმე ხანი ნიკო ამ ქვეყანას არ იყო, მაგრამ მერე ცოტა მოიხედა. ერთ დღეს, როცა მეეზოვემ საჭმელი მოუკითხა, ნიკალამ მას თავისი სურათი დაახვედრა. მეეზოვის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, გულში იხუტებდა ნახატს და გაიძახოდა: არა, არა ნამდვილად მე ვარ, ნახეთ, როგორ მგავსო.

ერთი სიტყვით, მეეზოვეები არიან ადამიანები, რომლებიც მზის ამოსვლამდე იღვიძებენ, მხოლოდ იმიტომ, რომ იმ თინეიჯერებს დაახვედრონ სუფთა ქუჩები, ისინი კი, თან სკოლაში აგვიანებენ და თან მზესუმზირის ქერქებს ყრიან იმ დასუფთავებულზე; მეეზოვე ნარინჯისფერი ფორმით გვიდა ამ დილას, იმ მოზარდებს კი, რომლებიც დილით უნივერსიტეტში მიიჩქარიან, არ ეზარებათ, თან გზაში სიგარეტი მოწიონ და „ბიჩოკები“ პირდაპირ ქუჩაში დაყარონ.

ეჰ, სამწუხაროა, მაგრამ ჩვენი ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ, ტუტუცი ადამიანებისგან შედგება, ისეთებისგან, დიდიან-პატარიანად რომ დადიან ქუჩებში და სისუფთავეს ემტერებიან. ეს მეეზოვეები კი დიდი აკურატული ადამიანები არიან, სისხამ დილიდან, საღამომდე დაჰქრიან ქალაქის ქუჩებში და ჩვენს გაფუჭებულ საქმეს, პატიოსნად აკეთებენ. ასე რომ, ყველას უნდა გვახსოვდეს, მეეზოვეობა - ესაა უძველესი და უკვდავი პროფესია, რომელიც იმაზე ბევრად უფრო პატივცემული და პატივსაცემია, ვიდრე რომელიმე ჩვენგანს წარმოუდგენია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ინოვაციური ხელოვნება - კომპიუტერული გრაფიკა და ორიგამი

მარადიულობის ახალი, მხატვრული ენა

სალი კიპაროიძე

კომპიუტერული ხელოვნება შემოქმედებითი პროცესია, რომელიც ხელოვნების ნიმუშების ციფრულ ფორმატში შესაქმნელად კომპიუტერულ პროგრამებს იყენებს. მოცემულ მომენტში „კომპიუტერული ხელოვნება“ საკუთარ თავში ტრადიციული ხელოვნების ისეთ ფორმებს მოიცავს, როგორებიცაა ფერწერა, ქანდაკება და გრაფიკა. კომპიუტერულ გრაფიკას კი დღეს სხვადასხვა რეკლამების, ვიდეო თამაშებისა თუ ფილმების გადასაღებად მთელი მსოფლიოს მასშტაბით იყენებენ. მისი საშუალებით ჩვენ იმ მოვლენას ან გარემოს ვხედავთ, რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამება. თანამედროვე პროცესორების საშუალებით შესაძლებელია, რომ რამდენიმე წუთში, რამდენიმე წამშიც კი გამოანგარიშდეს მარტივი ჰოლოგრამები, რომლითაც ფილმის ეფექტს შევქმნით. ეს პროცედურა თურმე სამოცდაათიანი წლების დასაწყისიდან უკვე ცნობილი ყოფილა, მაგრამ იგი, სიძვირის გამო დღემდე არ გამოიყენებოდა. კომპიუტერული გრაფიკა შეისწავლის კომპიუტერული ტექნიკის მეშვეობით გრაფიკული გამოსახულებების შექმნის ან რედაქტირების მეთოდებსა და საშუალებებს. სწორედ ესაა საქმიანობის ის სფერო, სადაც კომპიუტერი გამოიყენება, როგორც რეალური სამყაროდან მიღებული ვიზუალური გამოსახულების დამუშავების, ასევე ახალი გამოსახულების (ნახატების, ნახაზების, ანიმაციის, მოდელების) შექმნის იარაღი. დღეისთვის კომპიუტერი და მისი დახმარებით შექმნილი გამოსახულებები ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტს ეხება. ზემოთ აღნიშნული ჩამონათვალის გარდა კომპიუტერული გამოსახულება უკვე გვხვდება პოლიგრაფიაში, ტელევიზიაში, სამედიცინო გამოკვლევებსა თუ ქირურგიულ პროცედურებშიც. ეს გასაკვირიც არაა. რადგან კარგად კონსტრუირებულ კომპიუტერულ გრაფიკას შეუძლია უფრო იოლად და გასაგებად წარადგინოს რთული სტატისტიკური მონაცემები.

თუმცა ზოგიერთი ადამიანი ნაცვლად იმისა, რომ რაიმე ნივთის მოდელირება კომპიუტერული პროგრამით მოახდინოს, ყველაფერ ამას ქაღალდით აკეთებს. მიუხედავად იმისა, რომ ქაღალდი ჩინეთიდან წარმოიშვა, იაპონელებმა მას ხელოვნების დატვირთვა მისცეს და ქაღალდისგან სხვადასხვა ფიგურების გაკეთება დაიწყეს. ამ გასაოცარ, უნიკალურ და სპეციფიკურ ქაღალდის ხელოვნებას მალე ორიგამი ეწოდა. ორიგამის ისტორია 794 – 1185 წლებიდან იაპონიაში იწყება, თუმცა XX – საუკუნეში ორიგამით დაინტერესება ქვეყნის გარეთაც დაიწყო. რადგანაც ორიგამის ხელოვნება იმდენად რთული და შრომატევადი ხელოვნებაა, რომ მის სასწავლებლად არსებობს სპეციალური კურსები, დიდ ბრიტანეთში, ჰოლანდიასა და საფრანგეთში მალე გაჩნდა ორიგამის ხელოვნების კერები, სკოლები და სხვადასხვა დაწესებულებები. ორიგამთან ერთად, კომპიუტერულ გრაფიკას და ვიზუალურ ეფექტებს მთელი მსოფლიო თანდათან უფრო აქტიურად იყენებს, ხელოვნების ამ დარგების პოპულარიზაცია საქართველოშიც საჭირო ხდება. მათი გამოყენება ნებისმიერი პროდუქციის წარმოებაში აუცილებელი გახდა, ეს იქნება მედიცინა, კინემატოგრაფია, არქიტექტურა თუ ბიზნესის მრავალი სხვა სფერო. სამწუხაროდ, ამ მხრივ საქართველოში სავალალო მდგომარეობაა და ჩვენი ქვეყანა ამ კუთხითაც ჩამორჩება სხვა დანარჩენებს. დღემდე კომპიუტერული გრაფიკის განვითარებაზე არც ერთ მარეგულირებელ ორგანოს არ უფიქრია და არ უზრუნია. თუმცა არსებობს რამდენიმე კერძო სტუდია, რომელიც ფერწერის გარდა ხელოვნების სხვა დარგების განვითარებაზეც ზრუნავს. მათ შორის ერთ-ერთია ხელოვნების სტუდია „Magic Brush“. ფერწერასთან ერთად, რა უნდა ისწავლონ ბავშვებმა და მოზარდება 21-ე საუკუნეში, (სადაც კინო წარმოუდგენელია სპეცეფექტებისა და გრაფიკის გარეშე) სტუდიის დამფუძნებელი, მხატვარი და გრაფიკოსი „Great Ere“ გვესაუბრა.

„Great Ere“ – (მხატვარი, გრაფიკოსი და ხელოვნების სტუდია „Magic Brush“-ის დამფუძნებელი)

„დღეს ბევრი კარგი სამხატვრო სტუდიაა სადაც პატარა ასაკიდანვე ასწავლიან ხატვას, ძერწვას, ასევე ხელოვნების ისტორიას და მსგავს საგნებს. თუმცა, გარდა ამისა, თუ კარგად დავაკვირდებით

აში უკვე ათასობით სხვადასხვა საინტერესო ტექნიკაა დანერგილი...

- თქვენი ხელოვნების სტუდიის დაარსების დროს, თავად თუ გაითვალისწინეთ ეს ყველაფერი?

- დიახ, რა თქმა უნდა. ყველაფერი იმის გამო, რაზეც ვისაუბრე, დამებადა სტუდიის იდეა, რომლისთვისაც სპეციალურად დაიწერა პროგრამა. გადავწყვიტე, რომ ბავშვებისთვის და არამარტო ბავშვებისთვის, ხატვასა და ფერწერასთან ერთად შემეთავაზებინა ესთეტიკა, ძერწვა, კომპიუტერული გრაფიკა, დეკორატიული არტი, ორიგამი ხელოვნების ისტორია, და სხვა. რადგან სურვილი მქონდა, რომ მომავალი თაობისთვის, ხელოვნების ამ სტუდიაში ყველაფერი კომბინირებული ყოფილიყო. როდესაც ბავშვი (მოზარდი) მოდის ჩვენთან და იწყებს ამ ყველაფრის ზოგადად შესწავლას, ის ნელ-ნელა ერკვევა ზოგადად სახვით ხელოვნებაში, შემდეგ მას უჩნდება ინტერესი, რომელიმე დარგის მიმართ და თავად ირჩევს თუ რა აინტერესებს... ადამიანი, რომელმაც არაფერი იცის იმის შესახებ თუ რას წარმოადგენს ხელოვნების ესა თუ ის დარგი, ხელოვნება და ხატვა მის წარმოდგენაში მხოლოდ ფანქარი, ფუნჯი, აკვარელი და ზეთია. ამის შემხედვარეს კი, რა თქმა უნდა, ნაკლები ინტერესი გაუჩნდება ხელოვნების მიმართ. ხოლო როდესაც ბავშვი ან მოზარდი ეცნობა სხვადასხვა დარგებსა და კომპიუტერულ ტექნიკის ინოვაციურ, მხატვრულ ენას, რომელიც მსოფლიოს ბევრ სხვადასხვა ქვეყანაშია დანერგილი და საკმაოდ აქტუალური, თავისთავად, რა თქმა უნდა, მეტი ინტერესი უჩნდება და მეტი მონდომებით სწავლობს ახალ დარგს. ასე რომ, მაქსიმალურად ვეცადე, როცა ეს სტუდია დავაარსე, რომ დროის გარკვეული ნაწილი აკადემიური ხატვის, სწორი აგების პრინციპების შესწავლასა და სხვა აქამდე ჩვენთვის კარგად ცნობილ პრაქტიკასთან ერთად, შეგვეთავსებინა, დიდი დრო დაგვეთმო და პოპულარიზაცია მოგვეხდინა კომპიუტერული გრაფიკისა და ორიგამის, ასევე ხელი შეგვეწყო ბავშვის შემოქმედებით განვითარებისთვის, გაგვეკეთებინა იმ ამბებისა და ისტორიების ილუსტრაციები, რომლებსაც თეორიულ საგნებში გავივლით, შეგვექმნა პატარ-პატარა ჩანახატები და დეკორაციები. მგონი, ასე თუ ისე, ეს ნამდვილად გამოგვივიდა და კარგი იქნება, თუ ხელოვნების ყველა დარგის განვითარებას ხელს შევუწყობთ. მაგალითად, კარგი იქნება თუ მომავალ თაობას გავაგებინებთ, რომ ქაღალდი ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილია და ის წერის, კითხვისა და „დახევის“ გარდა სხვა უფრო სასარგებლო საქმიანობისთვისაც გამოიყენება“.

(იცინის) მსოფლიოში, იმის შემდეგ რაც მხატვრობა ხელოვნების დარგად ჩამოყალიბდა, ასე თუ ისე რაღაცები შეიცვალა. ხელოვნების დარგებს, ძალიან ბევრი ტექნიკა და მიმდინარეობა დაემატა. ამას თუ გავითვალისწინებთ, მივხვდებით, რომ ხელოვნებაში გარდა ტექნიკისა და იდეალურად შესრულებული ნამუშევრებისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ნოვაციური იდეები, სიახლეები, ახალი მიმართულებები და კომპიუტერული ტექნიკა, რომლის წარმოშობაც თავისთავად ამ ექსპერიმენტატორი ხელოვანების დამსახურებაა. ჩვენ გვჭირდება ვიცოდეთ რა არის უკვე გაკეთებული, რათა შევქმნათ რამე ახალი. სამწუხაროდ, ჩვენთან, კერძო მოსამზადებელ კურსებზე და მეტ შემთხვევაში უფრო სერიოზულ სასწავლებლებშიც ძალიან ცოტა ტექნიკა ისწავლება, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში სახვით ხელოვნებ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

75 წლის გურამ დოჩანაშვილი ახალ წიგნზე მუშაობს

my View

თამარ გონგაძე

კლასიკოსის თანამედროვეობა ბედნიერებაა და კიდევ უფრო ამაყი ხარ, როდესაც მას პირადად ესაუბრები და ჭკვიანური გამომეტყველებით კითხვებს უსვამ. გურამ დოჩანაშვილის ხილვის ბედნიერება მოზარდმაყურებელთა თეატრის მცირე დარბაზის მაყურებელთა შორის მეც მომეცა. „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეორედ გათამაშდა. ზურაბ კანდელაკმა სპექტაკლი პირველად, წლების წინ, მეტეხის თეატრში დადგა, მაშინაც ზურაბ ცინცქილაძე თამაშობდა ვასილ კეჟერაძეს. ბოლოს კი პრემიერა ოქტომბერში შედგა. დოჩანაშვილის მოთხრობის რადიო დადგმის ვერსიაც არსებობდა, ეროსი მანჯგალაძის მონაწილეობით. თავად მწერალი პრემიერასაც დასწრებია. 26 მარტს კი, თავის დაბადების დღეზე, მეორედ ნახა სპექტაკლი. კლასიკოსი 75 წლის გახდა.

„კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“

„კულტურის სამინისტროს შევთავაზეთ, იუბილე მისი სპექტაკლით ჩვენ აღგვენიშნა. დიდ დარბაზში რომ ყოფილიყო, ბატონი გურამი არ მოვიდოდა. მოსაწვევიც პრინციპულად ცოტა დავარიგეთ. ეს საიუბილეო საღამო მოკრძალებულ გარემოში უნდა შემდგარიყო. გურამ დოჩანაშვილი ასე მოვიტყუეთ“, - კარტებს გვიხსნის დიმიტრი ხვთისიაშვილი, თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.

სპექტაკლი მოგეწონებათ. ნაწარმოების მთავარი სათქმელი - იყო პიროვნება, საამისოდ იცნობდე მსოფლიო ლიტერატურას - შესანიშნავად არის გადმოტანილი. სპექტაკლში ზურაბ ციცქილაძე, ვახტანგ ნოზაძე, გიორგი კაჭახიძე, გიორგი ჯიქურიძე, ლიკა შუკაკიძე თამაშობენ. მსუბუქი, სადა დადგმაა, ლიტერატურისადმი პატივისცემით გამოხატული. გახსენდება, ამ მოთხრობის წაკითხვისას როგორ გაგიმძაფრდა კითხვის სურვილი და კეჟერაძესავით ავტობუსში წაკითხულზე ფიქრი და ისევ იგივე ენერგეტიკით იმუხტები. კიდევ უფრო სხვა განცდაა, როდესაც იქვე, პირველ რიგში გეგულება ავტორი და მის წინ მისივე გამოძერწილი გმირები ახალი ფერებით გააცოცხლო. მსახიობები ბუნებრივები იყვნენ, თუმცა გამოტყდნენ, რომ კლასიკოსის დარბაზში ყოფნა მათზე მოქმედებდა. ზურა ცინცქილაძე ცხრანლიანი პაუზის შემდეგ სცენას დაუბრუნდა.

ზურა ცინცქილაძე: - როცა კლასიკოსი ავტორი სპექტაკლს ესწრება, თავისუფლება თავიდან ბოლომდე შეზღუდული გაქვს. მთლიანად პოფესიონალიზმზე ხარ დამოკიდებული. სახუმარო საქმე არ არის. ახალგაზრდობაში მეტეხის თეატრში ნათამაშევი მაქვს ეს სპექტაკლი. მაშინაც ზურამ დადგა. ანკეტის შევსებისას დაბადების წელს რომ მეკითხებიან, მაშინ ვიმატებდი ასაკს, 23 წლის ვიყავი და მეტს ვამბობდი, ახლა ვიკლებ. საქართველოს რადიოში რადიო დადგმებში წაკითხული მაქვს დოჩანაშვილი. ასე რომ, ჩვენ რამდენიმე ათეული წელია ახლობლები ვართ.

გიორგი კაჭახიძე: - მეტად გინდა ნაწარმოების წარმოჩენა, როდესაც იცი, რომ ავტორი ესწრება სპექტაკლს. ვიცი, რომ ბატონი გურამი კარგად არის განწყობილი. ყველა ახალგაზრდაში კლიმი არსებობს. მინდა ბევრი კლიმი იყოს...

მანანა ბერიკაშვილმა სპექტაკლის შემდეგ მწერალს კულტურის სამინისტროს სახელით ხელოვნების ქურუმის ჯილდო გადასცა.

ახალი წიგნი

ვიცოდი, რომ მარხვის პერიოდს მწერალი მონასტერში ატარებს. თეატრშიც მოძღვართან ერთად მოვიდა.

არქიმანდრიტი ელისე წერეთელი: - ბატონი გურამი დიდმარხვის დღეებში წმინდა სამების სამონასტრო კომპლექსის ლავრაში მოღვაწეობს, როგორც ჩვეულებრივი ბერი, კელიაში ცხოვრობს. ბოლო დროს რელიგიურ თემაზე, ზნეობრივ საკითხებზე, ადამიანის ამოცანაზე წერს ხოლმე. ბატონი გურამის ასაკში აღარ და ველარ წერენ. ის კი წერს. ეს ნიჭი და გამორჩეულობაა. კიდევ ახალი ნაწარმოების დაწერა უნდა.

კლასიკოსი გამოგვიტყდა, რომ ახალ წიგნზე მუშაობს. არ უყვარს ინტერვიუები, თუმცა საკუთარ დაბადების დღეზე გამონაკლისი დაუშვა... გაეცანით წიგნს მიღმა მყოფ გულწრფელ გურამ დოჩანაშვილს...

გურამ დოჩანაშვილი: - მადლობა კეთილგანწყობისთვის, როგორი ნამუშევარი იგრძნობა ამ სპექტაკლში. როგორი გულით და შესაძლებლობით მიუდგნენ, მადლობა ყველას, ვინც დაინტერესდა და მოვიდა. გამიმართლა, რომ კარგი მსახიობები თამაშობენ.

- რა ემოცია აღგიძრათ?

- ეს მოთხრობა დიდი ხნის წინ დავწერე, 1971 წელს. ხშირად ვყვები ამ ისტორიას, მაგრამ მოვყვები მაინც. ჩემი მოთხრობების კრებული დაიბეჭდა. ბებიამ მითხრა, კატუტას როგორ არ აჩუქე შენი წიგნი, ნათესავებს არ ცნობო. ბნელ კუთხეში პანაშვიდებზე მაცნობდა ნათესავებს. კატუტა მისი დეიდაშვილი იყო, ერთ ეზოში ვცხოვრობდით და ერთად ვსადილობდით. მოკლედ, ავლაბარში მიმასწავლეს, იქ იქნება ერთ წიგნის მაღაზიაში დარჩენილიო. არიქა, იქნებ ბებიაჩემს გადავურჩე-მეთქი, წავედი ავლაბარში. ტაქსი ათი კაპიკი ღირდა. ძლივს მივაგენი მაღაზიას. 20 წლის გოგონა დამხვდა გამყიდველი. წიგნი დავუსახელე, ხომ არ გაქვთ მეთქი, თან მომერიდა საკუთარი სახელის და გვარის დასახელება. იყო და გათავდაო, მითხრა. გული დამწყდა. შემატყო, რომ გული დამწყდა და ამ გოგომ „მანუგეშა“, რატომ მოიწყინეთ, თავიდან ბოლომდე წავიკითხე და სისულელეაო. ასეთი „დანუგეშებული“ წამოვედი.

- გიყვართ საკუთარი დაბადების დღე?

- რა ვიცი, ადრე უფრო მიყვარდა და მიხაროდა, მეამაყებოდა საკუთარი დაბადების დღე, ახლა ჩვეულებრივად. 75 წელი უკვე ნამეტანია.

- ბევრია?

- ბევრია, აბა, არ არის? ამდენ ხანს თუ მივაღწევდი ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი.

- სიბრძნის ასაკია?

- რა გითხრათ. როგორც ყველას, მეც მგონია, რომ ცოტა ძნელი ცხოვრება მქონდა. გადამეტებულად არ ვამბობ. მაგრამ გულწრფელად გეუბნებით, ამდენ ხანს თუ მივაღწევდი ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი.

- საინტერესოა ცხოვრება?

- რა თქმა უნდა, საინტერესოა.

- ახლა რაზე ფიქრობთ ყველაზე ხშირად?

- მეოთხე წელია წიგნზე ვმუშაობ, ვამთავრებ, მოზრდილი ნაწარმოებია. სახარების მიხედვით წიგნის დაწერის ჩემი მეორე ცდაა. იოანეს სახარების მეცხრე თავზეა. თავიდან ბოლომდე ამ ამბავზეა - უსინათლო ადამიანს ქრისტე რომ სინათლეს დაუბრუნებს... გულის სინათლე, გულის ხედვა აქვს, სახის თვალით არის უსინათლო. თავიდან მეგონა 150 გვერდი იქნებოდა, მაგრამ უკვე 700 გვერდს გადავცდი. ცოტა დამრჩა. ჩვენს ბედნიერებას, ჩვენს უწმინდესს, რომელიც ამ არეულობაში ღმერთმა მოგვიძღვნა, ამ წიგნს წასაკითხად პირდაპირ ვერ მივართმევ, ვერ გავბედავ. ჯერ სხვას წავაკითხებ. ძალიან ვღელავ, ამ ასაკში წიგნი ველარ იწერება.

- ვის აკითხებს პირველად დოჩანაშვილი წიგნს?

- მეუფე დანიელს, ჩემს სულიერ მამას. საღვთისმეტყველო დოგმატიკის თვალსაზრისით კონსულტაციას მასთან გავდივარ. ჯერ მას წავაკითხებ. თუ არ გამოვიდა, ვერ ვაჩვენებ უწმინდესს. მან გამაცნო დავით ფაილოძე, ადამიანი, რომელმაც ცხრა აპრილს მხედველობა დაკარგა. ღრმა ადამიანია. ვერ იგრძნობთ, რომ უსინათლოა, საოცრად ნაკითხია. ორი ვაჟი ჰყავს და ისინი უკითხავენ, შემართული და მტკიცე ადამიანია, მონაფეები ჰყავს ფსიქოლოგიაში. ბევრი რამ მომცა მასთან ურთიერთობამ. ამ წიგნისთვის დამეხმარა. ჩემი მოძღვარი მოძრავი ადამიანია, ზოგჯერ არ არის საქართველოში და მან კურთხევა მომცა, მყავდეს მეორე სულიერი მამა, მამა ელისე. მათგან საოცრად გამხნევებული ვარ.

სამყარო სიყვარულზე

- ბატონო გურამ, რაზე დგას სამყარო - სიყვარულზე?

- ჰო, ეს ცნობილია, სამყარო ღმერთი და სიყვარულია. თავი და თავი სიყვარულია. ადამიანებს დიდი ჯილდო აქვთ, მონანიებით შეიძლება ეპატიოთ ყველაფერი.

- როდის მოდის ეს მონანიება, ასაკში?

- გააჩნია, ვისთვის როგორ. მაგრამ მართლა გულწრფელი უნდა იყოს მონანიება და ყოველივე ეპატიება. მართლმადიდებლობის გარდა არც ერთ სხვა რელიგიაში არ არის - გიყვარდეს მტერი შენი, ვითარცა თავი თვისი. ეს უმაღლესია. რომ არ გძულდეს, ესეც ბევრ რამეს მოითხოვს. ხშირად ვერ ვახერხებთ. უწმინდესს ხშირად უთქვამს ქადაგებებში, რომ უნდა გვძულდეს ის ბოროტი ძალა, რომელიც თავის ნებაზე ათამაშებს და ბოროტებას ჩაადენინებს ადამიანსო. ეს სრული სიმართლეა. ცოტა მეტი დამჯერეები უნდა ჰყავდეს უწმიდესს. საქართველოს უდიადესი ნანილი მის მხარესაა.

გურამ დოჩანაშვილი

ქეთი დუმბაძე: - ძია გურამთან მხოლოდ კეთილი მოგონებები მაკავშირებს. დედამიწის ზურგზე ერთ-ერთი ყველაზე ჰუმანური, საოცრად მორიდებული ადამიანია. კლასიკოსი უწოდეს და პატარა ბავშვივით განითლდა. ამისთვის მიყვარს გურამი. როდესაც მეგობრის შვილი ხარ და მასთან კონტაქტი გაქვს, გვიან მოდის მწერლის სიდიადის აღქმა. ოთარ ჭილაძეზეც იგივე განცდა მქონდა. ორივე პიროვნულად მიყვარს და გვიან შემოვიდნენ, როგორც საყვარელი მწერლები. მერე უკვე, როდესაც აღმოაჩენ, ეს ადამიანები საოცრად მართლები არიან საკუთარ შემოქმედებაში, მაშინ ეს სიყვარული ასმაგდება. სულ მუშაობს, ხელთათმანები ეცვა უშუქობასა და უგაზობაში და სულ მუშაობდა. მინდა ძალიან დიდხანს იცოცხლოს.

დოდო ხურცილავა: -ბედნიერები ვართ, რომ იმ უზარმაზარი პლეადიდან, ვინც 60-აინ წლებში შემოქმედებით ასპარეზზე გამოვიდნენ, ერთ-ერთი ბოლო მოჰიკანი ჩვენს გვერდითაა. მათ ჩვენი პიროვნების იდენტიფიკაცია მოახდინეს. 75 წელი არც ისეთი ბევრია და არც ისეთი ცოტა, იმედი მაქვს, კიდევ დიდხანს იცოცხლებს და გაგვახარებს თავისი შემოქმედებით.

ზურა ჯავახაძე: - ამ საყვარელმა მწერალმა ჩვენ ლიტერატურა შეგვაყვარა. და არა მხოლოდ ლიტერატურა, არამედ თავისი თავიც. განსაკუთრებული არაორდინარული სტილის მწერალია, ამდიდრებს ლიტერატურას. ერთი სტრიქონის წაკითხვისას მიხვდებით, რომ ეს დოჩანაშვილია. მისი შემოქმედება მთლიანად ქართული ლიტერატურის კუთვნილებაა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მომღერლისა და ბალერინას სიყვარულის ისტორია



exclusive

my View
თამარ გონგაძე

ნინი სამადაშვილი პირველად „მაკნატუნაში“ ვნახე, ფერია დრაჟეს პარტიას ცეკვავს. დასში გამოარჩევთ. ამიტომაც არის სოლისტი. მეორედ ნინო ანანიაშვილის საიუბილეო სპექტაკლებში ვიხილე. მე და ჩემი მეგობარი ერთმანეთს შთაბეჭდილებას ვუზიარებდით, რა დასამახსოვრებელი ბალერინაა-მეთქი. 21 წლისაა და „გედების ტბაში“ შავი გედის პარტია აქვს ნაცეკვი, „მაკნატუნაში“ ფერია დრაჟე, „ჟიზელში“ მირტა, „შოპენიანა“ და „Petite Mort“... ეგ თემო საჯაიას შეყვარებულიაო, ინფორმაცია მომაწოდა მეგობარმა. თემოს „ვარსკვლავების აკადემიიდან“ ვიცნობთ. „ახალი ხმის“ ბოლო სეზონშიც მონაწილეობდა, ოღონდ მხოლოდ ბრმა კასტინგამდე, შემდეგ პროექტი ჯანმრთელობის პრობლემის გამო დატოვა. ასე გამოცხადდა, თუმცა თვითონ გამოტყდა, რომ შეცდა, კონკურსში მონაწილეობა არ უნდა მიეღო. მომღერალმა სულ ახლახან ჯგუფი ჩამოაყალიბა. უკვე სამ წელზე მეტია, რაც ნინი და თემო შეყვარებულები არიან. ერთმანეთს უხდებიან. სიყვარულის ისტორიასაც გატაცებით იხსენებენ.

ნინი სამადაშვილი: „თემო, არ გეწყინოს, მაგრამ ხაჭაპურის ცხობა მარტო იმიტომ არ მისწავლია, რომ შენ გიყვარს. ბებიაჩემი ისეთ ხაჭაპურს აცხობდა, ლეგენდები დადიოდა“

თემო საჯაია: „საბალეტო სკოლის რეჟიმიდან გამომდინარე ზღვის მერე დღის შუქზე ნანახი არ მყავდა. ქიმია, ფიზიკა არ ვიცი, მაგრამ თავიდანვე ვგრძნობდი იმ ძალას, რაც გვიბიძგებდა იქითკენ, რომ ერთად ვყოფილიყავით. მივხვდი, რომ არსად არ გავუშვებდი... და არც გამიშვია“

გონიოში, ზღვაზე

ეს იყო გონიოში, 2010 წელს... ზღვაზე ოჯახებით ისვენებდნენ. რომანტიკულ ადგილას შორიდან შეამჩნიეს ერთმანეთი. მაშინ თემო საჯაია უკვე სატელევიზიო შოუდან იყო ცნობილი. ნინიც ცნობდა...

თემო: - შორს მხედველი არ ვარ, მაგრამ ეს ის შემთხვევა იყო, როდესაც ნინას ვხედავდი მკვეთრად, აშკარად და პირდაპირ. იმ ზაფხულს ზღვაზე რომ არ წავსულიყავი, მგონია, რომ ნინას მაინც გავიცნობდი, მაგრამ შედარებით გვიან. ზღვაზე არ გაგვიცვნია ერთმანეთი. ერთხელ, ყვინთვით ცურვისას დამეჯახა, მომიბოდიშა და სულ ეგ იყო. ორი თვის შემდეგ კაფეში დავინახე და დავეკონტაქტე, „ფეისბუქზე“ მივწერე.

ნინი: - ვიცოდი გარშემო სულ გოგოების გარემოცვაში რომ იყო და გამიკვირდა რომ გავახსენდი. „ვარსკვლავების აკადემიის“ დროს გოგონებში პოპულარული იყო. მე 17 წლის ვიყავი. ერთი ჯგუფელი გოგო მოვიდა, აუ, თემო როგორ მომწონსო, თქვა. ეგ თავის თავში დაჯერებული როგორ მოგწონს-მეთქი, შევეწინააღმდეგე.

თემო: - ნინას ძალიან არ მოვწონდი.

ნინი: - ვთვლიდი, რომ ძალიან თვითდაჯერებული, თავისთავზე შეყვარებული ადამიანი იყო. ჰქონდა სლოგანი - „მე ვარ თემო საჯაია, მე ვარ ყველაზე მუსიკალური, ყველაზე სპორტული და ყველაზე სიმპათიური, დამიმესიჯეთ“. ამან გამაგიჟა.

თემო: - ეს იყო მომღერლების დაცინვა, რომლებიც გამოდიან და თავის თავზე ასე ლაპარაკობენ. პირველად 7 ნოემბერს შევხვდით. მას შემდეგ სულ მინდოდა, რომ შევხვედროდი. ხომ არის მომენტი, არ შეგიძლია, რომ რაღაც არ გააკეთო. მე ნინის უნახაობა აღარ შემეძლო. რამდენიმე თვეში გავარკვიეთ, რომ „მე მე ვარ და ის ის არის“. საბალეტო სკოლის რეჟიმიდან გამომდინარე, ზღვის მერე, დღის შუქზე ნანახი არ მყავდა. ქიმია, ფიზიკა არ ვიცი, მაგრამ თავიდანვე ვგრძნობდი იმ ძალას, რაც გვიბიძგებდა იქითკენ, რომ ერთად ვყოფილიყავით. მივხვდი, რომ არსად არ გავუშვებდი... და არც გამიშვია.

- წარმოდგენა შეგეცვალა იმ „ლოვეულას“ თავდაჯერებულ ბიჭზე?

ნინი: - თავიდან იმიტომ შევხვდი, რომ გამეგო ცხოვრებაში როგორი იყო, იყო თუ არა ისეთი, როგორიც იმ რეალითიდან ჩანდა. სრულიად სხვა წარმოდგენა შემექმნა. იმ გოგონას ვუთხარი, სულ სხვა ბიჭი აღმოჩნდა-მეთქი და ბოდიში მოვუხადე.

ვალდებულების გარეშე

შეყვარებულ თემოს სიყვარულზე საუბარი არ ბეზრდება. მზრუნველია, მოსწონს, რომ შეყვარებულს გულით ემსახურება, ჩაიში შაქარს უყრის, თვალებში უყურებს...

თემო: - სიყვარული ის გრძნობაა, რაზეც ყველაფერი დგას ამ დედამიწაზე. მას დრო და სივრცე არ გააჩნია. სიყვარული არ ძველდება. ეს გრძნობა იზრდება, ყველაფერია. ცოლ-ქმარი რა წრესაც კრავს, ამაზე დიდი წრე არ არის დედამიწაზე.

ეს სიყვარული იმით არის მაგარი, რომ ვალდებულების გარეშე გიყვარს. ჩვენ არ ვირჩევთ ოჯახს და სამშობლოს, მაგრამ ირჩევ ადამიანს, რომ გიყვარდეს მთელი ცხოვრება. ნინა სამადაშვილი არც ჩემი გვარისაა, არც სისხლის, არც მოდგმის, სამაგიეროდ ის ჩემი არჩევანია. ეს ვალდებულების გარეშე სიყვარულია.

ნინა ჩემგან განსხვავებულია, ამიტომაც, ბუნებრივია, ვკამათობთ. აბა, ჩემნაირი რომ იყო, ჩემი თავი ხომ ისედაც მიყვარს და კიდევ ჩემნაირს რატომ მოვძებნიდი?! ნოდარ დუმბაძე მახსენდება, ცხოვრება კექსი არ არის, საიდანაც ქიშმიშს ამოჭამ და დატოვებ. ყველაფერი ერთიანობაში უნდა მიიღოო. ამიტომაც არის ცხოვრება მაგარიო. ცხოვრების შემადგენელ ნაწილს ჰქვია სიყვარული და ეს ქმნის ჰარმონიას.

ნინი: - თავიდან ჩვენი პრობლემა ეს იყო - როცა რაღაცაზე წავიკამათებდით, მე ხმას აღარ ვიღებდი. თემო ლაპარაკობდა. მე კონფლიქტში არ შევდიოდი და ამით ვაპროტესტებდი იმას, რაც არ მომწონდა.

თემო: - ნინი როგორც ამბობს, ჩემთან რომ ადამიანმა იკამათოს, მას რამდენიმე თავი უნდა ჰქონდეს.

- სიყვარულს ეჭვიანობა ახლავს...

ნინი: - თემო არ მაძლევს საბაბს, თუმცა ცანცარა გოგოების საქციელი არ მომწონებია და მითქვამს, რატომ ცანცარებს ეს გოგო-მეთქი? არ შემიძლია არ ვთქვა, რაც არ მომწონს, უნდა ვთქვა, მაგრამ კარგა ხნის მერე.

თემო: - თბილისი პატარაა და იციან, რომ ნინი ჩემი შეყვარებულია. იარაღით არ დავდივარ, უბრალოდ, იციან და არც ვეჭვიანობ, მე გაბრაზება ვიცი.

გურმანი და ბალერინა

- ბალერინა ფაიფურივით მოსავლელი მგონია, განსაკუთრებულად უვლი?

- რომელი ქალი არ არის კაცისგან მოსავლელი?! მე არასდროს მდომებია, რომ ჩემი ცოლი მონა ყოფილიყო და „კუხნაში“ ეტრიალა. მაშინ უპროფესიო ქალს ავირჩევდი. მინდოდა გვერდით მოაზროვნე ადამიანი მყოლოდა და ასეთიც ავარჩიე.

- თქვი, რომ თავიდან გეგონა, ბალერინა ნინი არ ჭამდა, თუმცა მერე აღმოაჩინე, რომ ჩვეულებრივად სადილობს.

- ვერ ვიტყვი, რომ სერიოზული ცოდვილი ვარ, არც ადამიანი მომიკლავს, არც ნარკომანი ვარ, არც ქურდი და არც ყაჩაღი. ჩემი ცოდვა გემოთმოყვარეობაა. გურმანიც ვარ და კულინარიც. ნაყროვანების სიყვარულის გამო სასჯელად ნინა სამადაშვილი მომევლინა. ჭამა არ უყვარს. ცოდვაა იყო ჩემს გვერდით და არ ჭამდე იმას, რასაც მთელი არსებით გემრიელად ვამზადებ. მაგალითად, გემრიელ ჩაქაფულს ვაკეთებ და ნინი არ ჭამს. აი, ჩვენ შორის ყველაზე დიდი განსხვავება. თუმცა არაჩვეულებრივი ხელი აქვს, არაჩვეულებრივ ხაჭაპურს აცხობს. იცის, რომ დიდხანს ვერ ვისუნთქავ ხაჭაპურის გარეშე და მიმზადებს. თევზი რომ წყლიდან ამოაგდო, იგივეა ჩემთვის გემრიელი საჭმელების გარეშე ყოფნა. რაც მიყვარს, იმის მომზადებას სწავლობს, ეგ კარგი თვისება აქვს. კატლეტს ამზადებს გემრიელს.

ნინი: - თემო, არ გეწყინოს, მაგრამ ხაჭაპურის ცხობა მარტო იმიტომ არ მისწავლია, რომ შენ გიყვარს. ბებიაჩემი ისეთ ხაჭაპურს აცხობდა, ლეგენდები დადიოდა და რომ არ მესწავლა, მართლა არ შეიძლებოდა.

„საოცრად ცეკვავს“

„მაკნატუნას“ შემდეგ კულისებში შევესწარი, რომ ნინო ანანიაშვილმა შეაქო. მაკიაჟზე შენიშვნაც მისცა, უთხრა, როგორ უნდა შეეღება ჩრდილით თვალი.

ნინი: - ეს შენიშვნა სასიამოვნოა, ამით ხვდები, რომ აინტერესებ.

თემო: - სოლო როლები რომ ანდეს, ეს უკვე ნიშნავს, რომ ის მოსწონთ და ენდობიან. სცენა უმადურია. მაყურებელი არაფერს გპატიობს, მას უნდა, რომ მიიღოს სიამოვნება და სხვა არ აინტერესებს. დიდი პასუხისმგებლობაა. ნინოს ნახვა მსიამოვნებს ბალეტის ცეკვისას. საოცრად ცეკვავს და ამის ყურება ერთი სიამოვნებაა. ერთი და იგივე სპექტაკლი ნინოს გამო ბევრჯერ მინახავს. „გედების ტბას“ აპრილის დასაწყისში სრულად იცეკვებს, თეთრი და შავი გედების პარტიებით. ამ ასაკში ეს მისგან დიდი მიღწევაა. ამას 21 წლის ასაკში ძალიან ცოტა ბალერინა ახერხებს. ქალბატონი ნინო ანანიაშვილი ენდო. ნინიც ამ ნდობას გაამართლებს.

ერთი მიმართულებით

თემომ ახალი ჯგუფი ჩამოაყალიბა. „ფორსმაჟორს“ ხუთი სიმღერა მზად აქვს. ბენდში თემოსთან ერთად ლელო ხოტივარიც სოლისტია. სიმღერაზე „თუ გიყვარს“ კლიპიც გადაიღეს. გამოჩენას ძირითადად სოციალური პროექტებით აპირებენ.

თემო: - ელექტრონული და ცოცხალი მუსიკის სინთეზია, რასაც ქართულ ენაზე პირველები ვიმღერებთ. გვინდა სტუდია გავაკეთოთ, საპროდიუსერო ჯგუფი შევქმნათ. მაისში საპრეზენტაციო კონცერტს გვეგმავთ.

ნინი: - მომწონს ეს ბენდი. თუ დრო მაქვს, ვესწრები მათ შემოქმედებით პროცესს. რამდენიმე სიმღერა ჩემთვისაც

„საოცრად ცეკვავს და ამის ყურება ერთი სიამოვნებაა. ერთი და იგივე სპექტაკლი ნინოს გამო ბევრჯერ მინახავს. „გედების ტბას“ აპრილის დასაწყისში სრულად იცეკვებს, თეთრი და შავი გედების პარტიით. ამ ასაკში ეს მისგან დიდი მიღწევაა. ამას 21 წლის ასაკში ძალიან ცოტა ბალერინა ახერხებს“

დაუწერია. სცენიდანაც მოუძღვნია. სასიამოვნოა.

- დაქორწინებას როდის გეგმავთ?

თემო: - მომზადების პროცესში ვართ. მამაკაცს შეუძლია რამდენიმე ოცნება აუსრულოს ქალს. მათ შორის ერთ-ერთი ოცნება - თეთრი კაბაა და რატომ არ უნდა ავუსრულო ეს ოცნება?

- რა არის თქვენთვის სიყვარული?

თემო: - სიყვარული ერთი მიმართულებით ერთი გზისკენ ყურებაა.

ნინი: - მე მისით ვცხოვრობ ყოველ წუთს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თამარ გონგაძე

ნინო გაჩეჩილაძე VS „ორი ვარსკვლავი“

გასულ კვირას „ორ ვარსკვლავში“ ნინო გაჩეჩილაძისა და ნიკო ბერიძის პროექტს გამოთიშვა მოულოდნელი იყო. წყვილი მაყურებელს მოსწონდა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, არ დაუმესიჯა. პოსტფაქტუმ კი ატყდა ვაივიში - ნინო არ უნდა გავარდნილიყო, მასზე ბევრად უსმენო და უხმო კონკურსანტია პროექტში დარჩენილი. თავად ნინო კი მიიჩნევს, რომ პროექტი პირდაპირობის გამო დაატოვებინეს. „პირდაპირ ეთერში ხმის რეჟისორს მივმართე, რომ ხმის ჟღერადობა არ ვარგოდა. ამაზე ყველა კონკურსანტი ლაპარაკობდა, თუმცა ხმა არავის ამოუღია. ყველამ ჩათვალა, რომ პირდაპირ ეთერში ამის თქმა კორექტული არ იქნებოდა. შეიძლება არც ჩემგან გამოვიდა კორექტულად, მაგრამ მე სიმართლის თქმა მიყვარს და ასეთ არაპროფესიონალიზმსა და დილეტანტიზმს ვერსად ვერაფერში ვერ შევეგუები. ჩემი ნათქვამი პროდიუსერებმა თავიანთ თავზე მიიღეს. მე ვფიქრობ, რომ მათ გადაწყვიტეს, რომ ჩემნაირი პირდაპირი მონაწილე უბრალოდ თავიდან მოეშორებინათ. როგორც ვიცი, ჩემი ნათქვამი ძალიან ეწყინათ. ავუხსენი, რომ პირადად მათი მისამართით მიმართული არ იყო და ჩემი შენიშვნა ეხებოდა უშუალოდ ხმის რეჟისორს, რომელმაც უბრალოდ არ იცის თავისი საქმე. მე შევთავაზე მოეწვიათ სხვა ხმის რეჟისორი, მაგრამ „ეს საქართველოა, საქართველოში კი ყველაფერი



მოსულა“. ყველაზე მეტად მაღიზიანებს ის, რომ როდესაც ხელს რაღაცას ჰკიდებ და ამბობ, ეს მეგაშოუაო, ეს უკვე იმდენად ხმამაღალი განაცხადია, რომ თავზე ძალიან დიდ პასუხისმგებლობას იღებ. შებამისად, ყველაფერი უმაღლეს დონეზე უნდა იყოს. ხმის და ჟღერადობის გაუმართაობა, უბრალოდ, არ გეპატიება“, - ამბობს ნინო.

ნოე სულაბერიძე: „იმ ტურში ხმა არ ესმოდა სალომე ღვინიაშვილს, ნინი ბადურაშვილს და სოფო ბედიას, რომელიც გავარდა და ღირსეულად წავიდა, მაგრამ ეს არავის უთქვამს. ეტყობა, ხასიათში აქვს, რომ მისი ბრალი არ არის. რა ვქნა, არც ჩემი ბრალია, რომ ხალხმა არ დაუმესიჯა“

პროექტს გამოთიშული გაჩეჩილაძის საპასუხოდ თავისი არგუმენტი აქვს „ორი ვარსკვლავის“ პროდიუსერს ნოე სულაბერიძეს.

„წინა კვირას რაღაც შეეშალა და ხმას აბრალებდა. ახლაც უნდა, რომ რაღაცას დააბრალოს, ალბათ. არა მგონია, სწორი მიდგომა იყო ის, რომ რაღაც ხარვეზი სხვას გადააბრალო. ეს ეტყობა მისი ხასიათია, რომ სხვას გადააბრალოს. დარწმუნებული ვარ, კონკურსანტებს შორის, ნინო არის პირველი და ბოლო შემთხვევა, რომელიც პროექტს ასე დატოვებს. ასე გადაბრალებით არავინ წავა. საკმარისად კარგად იმღერა და რა ვქნათ, არ მოუვიდა მესიჯები“.

ნინო თვლის, რომ მათ ცოტა მესიჯი არ მიუღიათ. ამის თქმის საფუძვლად ბევრი გულშემატკივარი მოჰყავს.

ნინო გაჩეჩილაძე: „შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ჩვენ ესემესებით ბოლო ადგილას ნამდვილად არ ვყოფილვართ. ეს ჩემი ვარაუდია. ჩვენ ამაში არავინ გვახედებს და არავინ იცის, ვინ რომელ ადგილას არის. არ ვიცოდი ის, თუ მსგავს კონკურსში მონაწილეობასთან ერთად სპონსორის შოვნაზეც უნდა დამეწყო ფიქრი. როგორც ჩანს, კონკურსანტების უმეტესობას აქვს იმის საშუალება, რომ თავიანთი თავი დაასპონსორონ. არიან კონკურსანტები, კარგად მღერიან, აქვთ სმენაც და ხმაც. მათზე კარგის გარდა ვერაფერს ვიტყვი. უმეტესობას არამცთუ ხმა, სმენაც არ აქვთ. ჩემთვის მიუღებელია ის ფაქტი, რომ ჩემს გამარჯვებაში თვითონ ჩავდო ფული. სასაცილო ფაქტია. საკუთარი თავისთვის ერთი მესიჯიც კი არ გამიგზავნია. ასეთ რამეს არასდროს გავაკეთებ, ეს საკუთარი თავის დაცინვაა. ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ ჩვენ ძალიან ბევრი გულშემატკივარი გვყავდა“.

ნოე სულაბერიძე: - ღიად გვაქვს მესიჯები, მოვიდეს და ნახოს. პატარა ხარვეზები ხმაზე შეიძლება უემბლის სტადიონზე გამართულ კონცერტზეც იყოს. შეიძლება იმ ტურში ხმა არ ესმოდა სალომე ღვინიაშვილს, ნინი ბადურაშვილს და სოფო ბედიას, რომელიც გავარდა და ღირსეულად წავიდა, მაგრამ ეს არავის უთქვამს. ეტყობა, ხასიათში აქვს, რომ მისი ბრალი არ არის. რა ვქნა, არც ჩემი ბრალია, რომ ხალხმა არ დაუმესიჯა.

ნიკო ბერიძე: - ასეთ პროექტებში ესემესები წყვეტს ყველაფერს. მე და ნინოს არ გვინდოდა, რომ ჩვენი ჯიბიდან, ჩვენით გაგვეტანა თავი. ვთვლი, რომ სჯობს „დასტოინად“ გამოვარდე კარგი ნომრით, ვიდრე იყო პრ....ად და ბოლომდე. ძალიან დიდ მადლობას ვუხდი ნინოს პარტნიორობისთვის, მასთან თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობდი, უნიჭიერესი გოგოა და წარმატებებს ვუსურვებ.

თეონა კონტრიძე ჟიურის წევრებს შორის ექსცენტრიკულობითა და დასამახსოვრებელი კომენტარებითა და რეპლიკებით გამოირჩევა. ზედიზედ სამი ტური ის კრიტიკული იყო ნინო გაჩეჩილაძისა და ნიკო ბერიძის წყვილის მიმართ. სტილისტური კონფლიქტი გაქვთ - იყო მისი შეფასება.

ნინო გაჩეჩილაძე: - ზურა ყიფშიძესაც, ია ნინიძესაც და თეონა კონტიძესაც დიდ პატივს ვცემ, მაგრამ არა მგონია, რომ ამ შოუს ჟიურიში ეს ადამიანები უნდა მსხდარიყვნენ. მე მგონია, რომ მუსიკალური შოუ მუსიკოსმა უნდა შეაფასოს და არა მსახიობმა. სამწუხაროა, რომ ჟიურის სამი წევრიდან არც ერთი არ აღმოჩნდა ისეთი სამართლიანი, კომპეტენტური და ობიექტური, როგორიც სპეციალური სტუმარი - ჟურნალისტი ინგა გრიგოლია იყო. თეონა კონტრიძეს ბავშვობიდან ვიცნობ, 13 წლიდან. ის ჩემზე რამდენიმე წლით უფროსია. დედაჩემი და დედამისი მეგობრები იყვნენ. სანამ მოსკოვში წავიდოდა, ჩვენ ვმეგობრობდით. არ ვიცი მისი კრიტიკა რამ გამოიწვია და არც მაინტერესებს. თეონა კონტრიძეს ჯობია იმ დანარჩენ უსმენო კონკურსანტებს მიხედოს, რომელთაც ჩვენზე მაღალი ქულები დაუწერა და შერცხვეს. თეონა იყო არამც თუ არაკომპეტენტური, არამედ არაადეკვატური.

- მაინც ვერ პოულობ მისი ასეთი კრიტიკის მიზეზს?

- ძლიერი კონკურენტი მოიშორეს, რომელიც თავის აზრს პირდაპირ გამოხატავს და რევერანსებს არ უკეთებს, ეს იყო და ეს. ალბათ, ვინმე კონკრეტული ფავორიტები ჰყავთ, რომლებიც უნდათ რომ ფინალში გაიყვანონ. მე ვთვლი, რომ ლევან ჯავახიშვილი კარგად მღერის, ირინა ონაშვილი და მიშკა ხუჯაძეც კარგად მღერიან. სამწუხაროდ, დანარჩენი ვერავინ ვერ მღერის. გული მწყდება, რომ შემდეგი ტურების მაგარი სიმღერების შესრულების საშუალება არ მოგვცეს. მე და ნიკოს გვაქვს გეგმაში ამ სიმღერების ცოცხლად შესრულება, ასევე ჩანაწერების გაკეთება.

- ხომ არ ნანობ შოუში მონაწილეობას?

- პირიქით, მე ძალიან ამაყი ვარ, რომ ამ პროექტში მივიღე მონაწილეობა, მყავდა ყველაზე მაგარი მეწყვილე და ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მონაწილეები ჩვენ ვიყავით. ყველას დავუმტკიცე, რომ გარდა იმისა, რომ პროფესიით მსახიობი ვარ, შემიძლია ვიმღერო კიდეც და ვიცეკვო კიდეც. ჩემი მთავარი მიზანი ეს იყო. გამარჯვებაზე უარს არავინ იტყოდა, მაგრამ ჩემი სათქმელი მე უკვე ვთქვი. დანარჩენი უკვე მაყურებლის განსასჯელია.

პრემიერა - „შევხვდებით სამოთხეში“

„შევხვდებით სამოთხეში“ - ასე ჰქვია სპექტაკლს, რომლის პრემიერაც გასულ კვირას მარჯანიშვილის თეატრის ახალ სცენაზე შედგა. პიესის ავტორი ისრაელში მცხოვრები ალექსანდრე პელეგი-ელიგულაშვილი გახლავთ, რეჟისორი - ალექსანდრე ელოშვილი. ეს ახალგაზრდა რეჟისორის რიგით მეხუთე სპექტაკლია. სპექტაკლზე იანვარში დაიწყო მუშაობა. რეჟისორი თვლის, რომ მსახიობებთან მუშაობა პროცესის ყველაზე სასიამოვნო ნაწილი იყო. „რეპეტიციის მიღმა მე და მსახიობებს ბევრი საერთო რამ აღმოგვაჩნდა, მხიარულებაში გადავატარეთ მთელი ეს პერიოდი. როცა ერთსა და იმავე რამეს აკეთებ, მოსაწყენი ხდება. ჩვენს შემთხვევაში კი მრავალფეროვნება იყო, მოვიარეთ რესტორნები“ - ამბობს ელოშვილი. სიუჟეტი ასეთია - ჩინური კეტების მაღაზიის მქონე მცირე ბიზნესმენი წარუმატებელი საქმიანობის გამო ლოთდება, ერთ დღესაც იღვიძებს მორგში. ცოლს კი ჰგონია დაქვრივდა და დაკრძალვის ორგანიზებას იწყებს. სამი დღის „გარდაცვლილი“ იღვიძებს და ხვდება, რომ ყოფითი პრობლემები - ბანკისა და ნათესავების ვალები მისმა „გარდაცვალებამ“ მოაგვარა. ცხოვრების თავიდან დაწყებას გეგმავს. მაგრამ ისევ შეცდომას უშვებს...

ალექსანდრე ელოშვილი: - პიესის საბოლოო ვარიანტზე მუშაობა რომ დავიწყე, აღმოჩნდა, რომ ბევრი რამის თქმა აუცილებელი იყო ჩვენს ქვეყანაში. მაგალითად, ადვილად შეიძლება ადამიანს უთხრა თბილი სიტყვები, რომელიც თითქოს უცხო და ძვირი გახდა ჩვენს რეალობაში. მეტად თბილად უნდა მოვექცეთ სხვას და ჩვენც თბილად მოგვექცევიან.

- ბანკის ვალებზე დარბაზს რეაქცია ჰქონდა, ყველას თავისი თავი გაახსენდა.

- ბანკის ვალები ხუმრობა იყო, რომელზეც ქართველებს მწარედ გაეცინათ. ბანკებს ბოდიშს ვუხდი, თუ რამე დამჭირდა, ამის გამო უარს ნუ მეტყვიან.

- თავად შეგხვედრიათ ასეთი სახელწოდების დამკრძალავი ბიუროები - „სამოთხე“, „სამოთხის ჩიტი“.

- არ შემხვედრია მორგი, სადაც მიშენებებით საბანკეტო დარბაზი აქვთ გახსნილი, მაგრამ ბევრი რამ ვისწავლეთ. ეტყობა, იმ რთულმა პერიოდმა, რომელიც 90-იან წლებში გადავიარეთ, ქართველებს ფანტაზია იმდენად გაგვიხსნა ყველაფერში, რომ არაორდინარულის გაკეთება ვისწავლეთ...

- ახალი სცენა მოგწონთ?

- როდესაც ლევან წულაძემ ახალი სცენის გახსნა გადაწყვიტა, ჩვენთვის თეატრალური სარდაფის დაბრუნება იყო. რუსთაველის სარდაფი იმ დროს გამონათება იყო, არც კარგი ტექნიკა იყო, არც განათება, მაგრამ ბევრი ხალხი დადიოდა. მერე კი ვაკის სარდაფიც გაიხსნა, მაგრამ ჩვენი სიყვარული რუსთაველის სარდაფში დარჩა. ასე რომ მოგვეცა შანსი, კიდევ გვემუშავა ისეთ სივრცეში და გახარებული ვართ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„კვინტესენციურ ხუთეულს“ ნიუ-იორკელებმა საკუთარი სახელით გამოსვლა ანდეს

თამარ გონგაძე

22 მარტს „კვინტესენციურმა ხუთეულმა“ ნიუ-იორკში ფესტივალ „Harmony sweepstakes a capella festival“-ზე პირველი ადგილი დაიკავა. ვირტუოზებმა 12 წუთში სამი კომპოზიციით მონუსხეს ჟიური და დარბაზი. გამარჯვებულ ქართველებს ნიუ-იორკელებმა ფესტივალის ფინალში საკუთარი სახელით გამოსვლა ანდეს.

საოცარმა მომღერალმა ქართველმა ბავშვებმა ფესტივალში ორი გამონაკლისის დაშვებით მიიღეს მონაწილეობა. ფესტივალი მხოლოდ ამერიკული ჯგუფებისთვის ტარდება და მასში 17 წლიდან მონაწილეობენ. ამ ხუთეულის ყველაზე უფროსი წევრი 17 წლის არის, პატარა 13 წლის. ხუთეული შარშან ლაიფციგის აკაპელას ფესტივალის გამარჯვებულია. ნიუ-იორკის ნახევარფინალში სწორედ ამ გამარჯვების შედეგად მოხვდნენ. ხუთეული „ანა ბანას“ სხვადასხვა წლის გამარჯვებულებისგან ბუკა კარტოზიამ და მარინა ბერიძემ შეადგინეს. ანა დოიაშვილმა, პაპუნა შარიქაძემ, ელენე და სალომე დოლიძეებმა და გიორგი თორაძემ ფესტივალზე „ხორუმი“ და ორი ჯაზ სტანდარტი შეასრულა. პირველი ადგილის გარდა პრიზი ორ ნომინაციაში აიღეს - „საუკეთესო სიმღერა“ და „საუკეთესო არანჟირება“. „გამოსვლა გვქონდა საუკეთესო, რაც კი ოდესმე გვქონია. ძალიან მონდომებულები ვიყავით. ჩვენი „ხორუმი“ უკრაინას მივუძღვენით და მხარდაჭერა ასე გამოვხატეთ“, - ამბობს ანა დოიაშვილი.

შედეგად კი, 18 მაისს სან ფრანცისკოში, ფესტივალის ფინალში, ხუთეულს ნიუ-იორკის სახელით უწევს სხვა შტატების ამერიკელებს შორის გამოსვლა. მაისში ასევე ლაიფციგში სოლო კონცერტის ჩასატარებლად არიან მინვეულნი. ხუთეულს თან ახლდა პროდიუსერი ბუკა კარტოზია, მენეჯერი ანკა უგულავა, ხმის რეჟისორი კახა ხოშტარია, დიზაინერი დათუნა სულიკაშვილი.

„ბედნიერება წამიერი შეგრძნებაა ჩემთვის. ბედნიერი ვარ, როდესაც რაღაც კარგად გამომდის, როდესაც შეყვარებულ წყვილს, შემდგარ, წარმატებულ, მომღიმარ ადამიანს ვუყურებ“

პირველი ადგილი და ორი ნომინაცია - „საუკეთესო სიმღერა“ და „საუკეთესო არანჟირება“

HARMONY Sweepstakes
A CAPPELLA FESTIVAL
NEW YORK REGIONAL

2014 New York Champions

Quintessential Five

- კონკურენცია როგორი იყო?

- პატარა ასაკის კონკურსანტებს შორის არასდროს გავსულვართ და მიჩვეულები ვართ დიდ, პროფესიონალ კონკურენტებს შორის გასვლას. ეს ორმაგად რთულია. ძლიერი ჯგუფები იყვნენ. მთლიანად კარგი გარემო იყო, ფესტივალი აკადემიურ თეატრში ტარდებოდა.

- ემოციების გადმოცემა შეგიძლია?

- ეს ემოციები არასდროს დამავიწყდება. დარბაზში ქართველები იყვნენ. „ხორუმს“ ამერიკელებიც ემოციურად შეხვდნენ. დადებითად განეწყვნენ და არასდროს დამავიწყდება. გარეთ ბევრი ხალხი დაგვხვდა. ავტოგრაფები, ინფორმაციების გაცვლა, კონტაქტების დატოვება, „ფეისბუქის“ გვერდის მოწონება.

ჯერ არ ვსაუბრობთ იმ სერიოზულ შემოთავაზებებზე, რომელიც მივიღეთ. ბევრი ქართველი მოვიდა და ემოციური იყო მათი ნათქვამი - „35 წელი საქართველოში არ ვყოფილვარ და თქვენმა „ხორუმმა“ მთელი ჩემი ცხოვრების ის პერიოდი გამახსენა, როდესაც საქართველოში ვცხოვრობდიო“. ეს დიდი კომპლიმენტი იყო, გულზე მოსახვედრი. ავთერფართიზე არ გვიშვებდნენ, იმიტომ რომ პატარები ვართ. 23 წლამდე კლუბში არ უშვებენ, 13 წლის ბავშვებმა ნამეტანი მოვინდომეთ. საბოლოოდ შეგვიშვეს და კარგი იყო... ნიუ-იორკში ერთი კვირა დავყავით. დაუვიწყარი ქალაქია. საგიჟეთია, არასდროს სძინავს. მუშაობის დროს ძალიან დიდი გამოცდილება მივიღეთ.

- ეს არის შენი სამომავლო პროფესია?

- არა, ეს არის ეტაპი, რომელიც ძალიან მომწონს. ჟურნალისტობა მინდა. ეს ის საქმეა, რომელიც მიყვარს და მსიამოვნებს.

- თეატრში გაზრდილი ხარ და გამიკვირდა, რომ მსახიობობა არ გინდა.

- ყველა ამას მეუბნება. სცენის მტვერი ბლომად მაქვს ჩაყლაპული, მაგრამ მსახიობობა არ მინდა, რადგანაც ძალიან რთული პროფესიაა. დამოკიდებული პროფესიაა. კარგ მსახიობს ბევრი რამ სჭირდება. მიყვარს თეატრი, მაგრამ მხოლოდ კარგი მაყურებელი ვარ.

- მშობლები რას გეუბნებიან გადაწყვეტილებაზე?

- მირჩევენ, მაგრამ არ მეწინააღმდეგებიან. ეს არის პროფესია, რომელიც მთელი ცხოვრება უნდა ვაკეთო. ძალიან მინდა მიკროფონით სირბილი. მამამ იცის, რომ იმ კრიტერიუმებს ვაკმაყოფილებ, რაც კარგ ჟურნალისტს სჭირდება - გიჟი, გადარეული ვარ, მიყვარს ახალი ინფორმაციების გაგება, მიყვარს ადამიანებთან ურთიერთობა. მამა ამბობს, რომ კარგი ენა მაქვს.

- პოპულარული მამის შვილობის კომპლექსი გაქვს?

- ვერ ვხვდები, რატომ აქვთ ეს კომპლექსი. ჩემს მეგობრებსაც აქვთ.

მამისგან მიცნობენ და ეს მსიამოვნებს. არ მბოჭავს, პირიქით - საამაყოა, როდესაც ამბობენ, დოის ქალიშვილიაო. ძალიან პატარა ვიყავი ანა დოი რომ დავირქვი. ხალხი ამ სახელით მიცნობს.

- რითი ჰგავხარ მამას?

- თითქმის ყველაფრით ვგავარ. მასავით განწყობის ცვალებადობა მაქვს, ვარ მიზანდასახული. მამა უზომოდ კეთილია და მინდა ამაში ვგავდე. ვარ ძალიან მეგობრული.

- „ვერის უბნის მელოდიებში“ და „ლურჯ ფრინველში“ თამაშობ.

- „ლურჯ ფრინველში“ ჩემი შესვლა აბსოლუტურად სპონტანურად მოხდა. სამაგიდო რეპეტიცია ჰქონდათ. მიდი წაიმღერეო, მითხრა მამამ, წავიმღერე და სპექტაკლს შევრჩი. ძალიან გამიხარდა.

- თვითონ არ სთხოვ მამას, რომ გათამაშოს?

- არა, რა სისულელეა, არ არსებობს. თითოეული სპექტაკლი ჩვენი ოჯახისთვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მე ჩემ თამაშს არასდროს მოვთხოვ. ამ ორ როლს სერიოზულად მოვეკიდე, რომ შეცდომა არ დამეშვა. ძალიან არ მიყვარს შეცდომებს რომ ვუშვებ. თან რეჟისორის შვილი ვარ და არის კატეგორია, რომელიც ამბობს, დოის გოგოა და რატომ არ იქნება სცენაზე?! არ მინდა ამის თქმის მიზეზი მივცე ხალხს და იმედია, ეს ცდა გამომდის.

- ბევრი მეგობარი მსახიობი გვყავს, რას გაძლევს მათთან ურთიერთობა?

- 3 წლის ვიყავი მამა რომ ამ მუსკომედიის თეატრში მივიდა. მას შემდეგ ამ თეატრში ვიზრდები. მსახიობებთან ურთიერთობა თითქმის ყველაფერს მაძლევს. რამდენიმე მსახიობთან ისე ახლოს ვარ, რომ ჩემზე ბევრი რამ იციან, ეს კი ზოგჯერ მაშინებს კიდეც. უფროსებთან უფრო ვიხსნები, ვიდრე თანატოლებთან.

- შენთვის რა არის ბედნიერება?

- ბედნიერება წამიერი შეგრძნებაა ჩემთვის. ბედნიერი ვარ, როდესაც რაღაც კარგად გამომდის, როდესაც შეყვარებულ წყვილს ვხედავ. ბედნიერი ვარ, როდესაც ბედნიერ ადამიანს ვხედავ, შემდგარ, წარმატებულ, მომღიმარ ადამიანს ვუყურებ. ჩემს ოჯახთან ერთად ყოფნა და მეგობრების წარმატება მაბედნიერებს.

ანა დოი დოიაშვილი: „მამა უზომოდ კეთილია და მინდა ამაში ვგავდე“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„X Factor“-ის ექსკლ

my View

თამარ გონგაძე

„ასეთი მზადება არც ერთი პროექტისთვის არ გვქონია“, - მითხრა გიორგი ხაბურზანიამ ანთებული თვალებით. ფილარმონიის კულისებში 26 მარტს დიდი „რევოლუცია“ ტრიალებდა. ყველა კუთხე-კუნჭულში „X Factor“-ისთვის მზადება იყო. გიორგი ხაბურზანიასა და დემნა ჯაფარიძის გაკეთებულ „რუსთავი 2“-ის რომელიმე შოუს თუ დასწრებიხართ, მაშინ თქვენთვის ნაცნობი იქნება ის ხარისხი, რასაც ისინი მაყურებელს სთავაზობენ. წამებში აწყობენ სცენას, შლიან, შემდეგი ნომრისთვის ამზადებენ, საოცარი წესრიგი და დისციპლინა აქვთ, არაქართულად პუნქტუალური. ეს დასავლეთში სკოლაგავლილი ხაბურზანიას დიდი დამსახურებაა. მის გარშემო ბრუნავს მთელი სტაფიც და მეგაშოუს ყველა დეტალი.

პირველ საკასტინგო ტურზე 35 კონკურსანტს მოუყარეს თავი. სულ ხუთი ასეთი ჩაწერა ექნებათ. მეორე ეტაპი დრამატულია - სცენაზე განათებით აწყობილ იქსზე ოთხივე კატეგორიიდან ხუთ-ხუთი კონკურსანტი დარჩება. შოუში რეალითის ჩანართიც იქნება, ჟიურისთან ერთად კონკურსანტები ან კახეთში ან ახალციხეში წავლენ, რასაც ისევ დრამატული მომენტი და კონკურსანტების გაფილტვრა მოჰყვება. მერე უკვე ცოცხალი კონცერტებია.

გიორგი ხაბურზანია: - მაყურებელი რომ იტყვის, ეს ხომ ვნახეო, აი, მერე იწყება ახალ-ახალი რამ. ასე მივდივართ ლაივამდე. ცოცხალი კონცერტებიც სიუპრიზებით სავსეა.

მეგაშოუ ეთერში 14 აპრილს გავა, ცოცხალი კონცერტები კი 26 მაისიდან დაიწყება.

გიორგი ხაბურზანია: - მასშტაბი დიდია, ახალია და სრულიად გასხვავებული საკასტინგო პერიოდი აქვს. მაყურებლისთვის ძალიან საინტერესო იქნება. ეს რომ კარგად დაგეგმილიყო, დიდი ხანი დაგვჭირდა. 2 000-კაციან აუდიტორიაში პირდაპირ ეგრევე უწევს კონკურსანტს შესვლა და სიმღერა. აუდიტორია აქტიურია თავისი ემოციებით. ასე რომ, ეს გაფილტრავს კონკურსანტებს. ვიღაცას შეუძლია იმღეროს, მაგრამ უკვე ამხელა აუდიტორიის წინაშე აღარ შეეძლოს. ბრაზილიური მეთოდია.

„X Factor“-ს ოთხი კატეგორია აქვს, რომელსაც ჟიურის ოთხივე წევრი დაინაწილებს. ერთთან მხოლოდ ბიჭები მოხვდებიან, მეორესთან გოგონები, მესამესთან ჯგუფები და მეოთხესთან - 25 წლის ზევით კონკურსანტები.

ამოცანა კარგი ბოიბენდის ან გოგონების ჯგუფის შექმნაა, რომელიც მერე გააგრძელებს მოღვაწეობას.

მისი უდიდებულესობა - ჟიური

ჟიურის წევრების ვინაობის გამხელამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ბევრს სტეფანეს კანდიდატურა არ მოეწონა, ეგ ხომ უკვე დიდი ხანია „ახალი ხმის“ ჟიურიში იჯდაო, ზოგმა თქვა, ეს თამთა როგორ გაახსენდათო... ჩანაწერს სანამ არ ნახავთ, შეიძლება ისევ იმავე აზრზე დარჩეთ, მაგრამ მერწმუნეთ, ოთხივემ ერთად ისეთი კარგი ანსამბლი შექმნეს, საყურებლად რომ არ მოგაწყენთ. გიორგი გაბუნიაზე ვაკეთებ აქცენტს - აქტიური, ენაკვიმატი, ხუმარა და ოდნავ ცინიკურია. თავიდან წამყვანივით დაიწყო ჟიურის მართვა, მერე სხვებიც მიუშვა. ისეთ შეფასებებს აკეთებს, ყოველი კონკურსანტის გამოსვლისას, რომ მის შეფასებას ჩაუსაფრდები.

გიორგი გაბუნია: - ძალიან კარგი სტარტი იყო, როგორც სცენაზე, ასევე ჟიურის მხარეს. მე ჩემი კოლეგები ძალიან მომწონს, მათ გვერდით თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობ.

- ენაკვიმატი ჟიური ხარ.

- გვერდიდან არ ვიცი როგორ ჩანს, თუმცა ეს ჩემი ენაკვიმატობა, ვინც მიცნობს, მისთვის უცხო და ახალი არ არის. საინფორმაციო გამოშვებაში და „არჩევანში“ ამის საშუალება არ მაქვს, თუმცა შიგადაშიგ ნაცდება ხოლმე. აქ უკვე თავისუფლემა მაქვს და შემიძლია გავხსნა და გავშალო ჩემი ენამოსწრებულობა.

- მოგწონს ჟიურის სკამი?

- მომეწონა. მართალია, ბევრი ადამიანისთვის გულისტკენა მიწევს, მაგრამ პროექტი - პროექტია.

- აქტიური ხარ.

- კი ვაქტიურობ, მაგრამ რახან უნდა დამონტაჟდეს, შევამოკლე კომენტარები.

- თვითონ მიიღებდი მონაწილეობას ამ შოუში?

- ეგრევე გამომაგდებდნენ და რა აზრი აქვს. მე არ მაქვს ასეთი იქსფაქტორი.

გიორგი ხაბურზანია: - კარგია, რომ ჟიურის წევრებმა გამოიწვია აზრთა სხავადასხვაობა. სტეფანე მისი გამოცდილების, სიღრმის მიხედვით ავირჩიეთ. ქართული შოუბიზნესის მუსიკალურ ინდუსტრიაში წარმატებულია. ბუზი არ აფრენილა მას რომ არ ჰქონდეს მონაწილეობა მიღებული. სტეფანემ გვითხრა, საზღვარგარეთ მყოფ თამთა გოდუაძეზე, მოიწვიეთო. ძალიან კარგი ისტორია აქვს თამთას, როგორ შეიძლება მიაღწიო წარმატებას ბევრად რთულ და მაღალ კონკურენტულ გარემოში. ეს არის ქართველი მომღერლის წარმატების მიღწევის ისტორია საბერძნეთში.

გიორგი გაბუნიას მუსიკალურ პროექტებში გადმობირება ძალიან დიდი ხანია გვინდა მე და დემნას. პოპკულტურის მიმართულებით გიორგის დიდი ბექგრაუნდი აქვს. შემთხვევით არ მიჰყავს ხოლმე „ოსკარების“ დაჯილდოების საღამოები, სულ საქმის კურსშია. სატელევიზიო პროდიუსინგშიც აქვს გამოცდილება. მოკლედ, გადმოვიბირეთ. ნიკა გვარამიაც დავიყოლიეთ, რომ ჟიურიში გიორგი დაგვესვა. მაყურებელს მოეწონება. ძალიან ცოცხალი ადამიანია. რაც შეეხება სოფო ტოროშელიძეს, „საქართველოს ვარსკვლავის“ წარმატება მისი დამსახურებაა.

- წონიანი ჟიური არ ჰყავთ, სულ ახალგაზრდები უზითო, ითქვა.

- რას ნიშნავს წონიანი? ესენი ჩვენთვის წონიანი წევრები არიან. ახალგაზრდა პროექტია და ახალგაზრდა ჟიური ჰყავს. ახალი სისხლი და სიახლეა საჭირო. იგივე სახეების გამოყენება აღარ გვინდოდა.

- კმაყოფილი ხართ ჟიურის შეფასებებით?

- აქამდე თუ ვნერვიულობდი, უკვე კმაყოფილი ვარ. მკვეთრი ტიპაჟები არიან. თამთა ღამით ჩამოფრინდა და უცებ დაჯდა ჟიურის სკამზე. დივას ფაქტორი შემოიტანა, ევროპული გამოცდილებით. გიორგი სკეპტიკური და „ლაითად“ და დადებითად ცინიკურია. მაყურებელი მის შეფასებას დაელოდება. სტეფანე და სოფო სატელევიზიო კუთხით კარგად მუშაობენ.

თამთა გოდუაძე: „ერთ დილით გავიღვიძე და სტეფანესგან ბევრი მესიჯი დამხვდა. მერე დამირეკა კიდეც და მითხრა, გვინდა „X Factor“-ის ჟიურიში იყოო. ჩემი პრობლემა ძირითადად დროის უქონლობაა ხოლმე. დილით ჩამოვფრინდი, ორი საათი მეძინა და ხვალ ისევ უკან მივფრინავ“

თამთა გოდუაძე საბერძნეთიდან მენეჯერთან ერთად ჩამოფრინდა. კულისებში ყავით დადიოდა, ჟურნალისტებს ცოტა ალოდინა სანამ კომენტარის მისაცემად გამოვიდა, მაინც იგრძნობა ევროპული კლასი...

თამთა გოდუაძე: - ერთ დილით გავიღვიძე და სტეფანესგან ბევრი მესიჯი დამხვდა. მერე დამირეკა კიდეც და მითხრა, გვინდა „X Factor“-ის ჟიურიში იყოო. მერე გიორგი ხაბურზანიამ დამირეკა. ჩემი პრობლემა ძირითადად დროის უქონლობაშია ხოლმე. დილით ჩამოვფრინდი, ორი საათი მეძინა და ხვალ ისევ უკან მივფრინავ. ყოველ კვირას ჩამოვფრინდები, ჩავწერ შოუს და წავალ. მე მგონი გავუძლებ. პარასკევსა და შაბათს სალონიკში ვმღერი. მალე ჩემი ახალი სინგლი გამოდის. ვიდეოკლიპის გადაღება გვინდა. მაინც მიხა-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

უზიერი კულუარები

სტეფანე: „კმაყოფილი ვარ. გავხურდით. პროდიუსერები კმაყოფილები არიან და ჩვენთვის ეს არის მთავარი. მათ იციან, რა წერს რეიტინგს“

გიორგი გაბუნია: „ვინც მიცნობს, მისთვის ჩემი ენაკვიმატობა უცხო და ახალი არ არის. საინფორმაციო გამოშვებაში და „არჩევანში“ ამის საშუალება არ მაქვს, თუმცა შიგადაშიგ წამცდება ხოლმე“

EXCLUSIVE

რია, რომ გამოვძებნე დრო და აქ ვარ, ამ პროექტში.

- სტარტი მოგწონთ?

- უფრო მეტს ველოდები ამ შოუსგან. ამდენი წელია აქ ნამყოფი არ ვარ და არც ვიცი როგორ არის წინ წასული ხალხი. იმედია, ბევრი იქნება ვისაც, „იქსფაქტორის“ ტიტულის მოპოვება შეეძლება.

- კოლეგებზე რა აზრის ხართ?

- თავს აბსოლუტურად კარგად ვგრძნობ. გიორგი და სოფო ახლა გავიცანი და მგონია, რომ დიდი ხანია ვიცნობ. დიდი იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება.

სოფო ტოროშელიძე: - კარგი შოუ რომ გამოსულიყო, ჩვენ თვითონაც ვღელავდით პირველ დღეს. მე მგონი წარმატებულად ჩაიარა. საინტერესო ადამიანები აღმოვაჩინეთ. წამახალისებელი ნომრებიც ვიხილეთ, რომლებმაც გამოგვაცოცხლა და გაგვამხიარულა.

ნამდვილად მრავალფეროვანი კონკურსანტები არიან. იყვნენ სუსტებიც, ძლიერებიც, არაორდინარულებიც, ისეთებიც, ვისაც სტეფანე სცენაზე აუვარდა... ეს 14 აპრილიდან იხილეთ.

სტეფანე: - კმაყოფილი ვარ. გავხურდით. პროდიუსერები კმაყოფილები არიან და ჩვენთვის ეს არის მთავარი. მათ იციან, რა წერს რეიტინგს.

- როგორ ფიქრობ, შენგან რა უნდოდათ, რატომ აგირჩიეს?

- ჩემი თავი და ვფიქრობ მიიღეს კიდეც.

- კოლეგები?

- ძალიან მომწონს ჩემი კოლეგები. მათთვის ეს ახალი ამპლუაა. უკიდურესად მიხარია, რომ თამთა ჩამოვიდა. ჩვენ ვმეგობრობთ.

წამყვანები

გეგა წამყვანის ამპლუაზე ტყუილად ნერვიულობდა. მშვენივრად გაართვა თავი. გეგა „რუსთავი 2“-ის კაშკაშა ვარსკვლავიაო, გიორგი ხაბურზანიამ მითხრა. ია სუხიტაშვილი ქუსლებზე იდგა და ოთხსაათიანი ჩაწერის მერე დაღლილი შევიდა კულისებში.

ია სუხიტაშვილი: - ძალიან დამღლელი და რთული აღმოჩნდა. ვფიქრობდი დავთანხმებოდი თუ არა, სანამ კონტრაქტს ხელს მოვაწერდი. მაგრამ ახლობლებმა და ოჯახის წევრებმა დამიყოლიეს. სხვა თემაა წამყვანი, დატვირთული რეჟიმის გარდა არც მოწოდებით ვარ წამყვანი. არიან მსახიობები კარგად გამოსდით ეს საქმე. ფანტასტიკური პარტნიორი მყავს. აქამდე არ ვიცნობდი, მოკლე ხანში მის მიმართ დადებითი შთაბეჭდილებებით განვეწყვე. უკრაინული და ბრიტანული „იქსფატორი“ მაქვს ნანახი და ძალიან მომწონს. ხარისხი რომ ექნება ვიცი, რა კატეგორიის კონკურსანტები მოვლენ, იმის მიხედვით განისაზღვრება საინტერესო ორთაბრძოლები შედგება თუ არა.

გეგა ფალავანდიშვილი: „ვანიკო ახლა დავაფასე, როგორი საშინელი ყოფილა წამყვანობა. როცა ჟიურიში ვიჯექი და სისულელეებს ვბოდავდი, თურმე როგორ ვუშლიდი ნერვებს. შესაბამისად ამ ჟიურის „მოხვდება“, თუ მოკლედ არ იტყვიან სათქმელს“

გეგა და ია ჩაწერებზე კულისებში დგანან და ყველაფერზე კომენტარებს აკეთებენ. კონკურსანტების მხარეს არიან.

გეგა ფალავანდიშვილი: - ეს პროექტი რომ ძალიან რეიტინგული იქნება, ამის მოლოდინი ბუნებრივია, მაქვს. დარწმუნებულიც ვარ, რომ ძალიან რეიტინგული იქნება. იმედი მაქვს, რამდენიმე გასაოცარი მომღერალი ეყოლება პროექტს. ვანიკო ახლა დავაფასე, როგორი საშინელი ყოფილა წამყვანობა. როცა ჟიურიში ვიჯექი და სისულელეებს ვბოდავდი, თურმე როგორ ვუშლიდი ნერვებს. შესაბამისად, ამ ჟიურის „მოხვდება“, თუ მოკლედ არ იტყვიან სათქმელს. რთული და საინტერესოა, იმედია, გამოვა. ჟიურის წევრები სხვადასხვანაირები არიან.

- არ მოგინდა ჟიურიში დაჯდომა?

- არა, არანაირად არ მინდა. გადასარევად ვგრძნობ თავს იქ, სადაც ვარ. ფეხზე დგომა საშინელებაა. მე ქუსლებზე მაინც არ ვდგავარ. ია ქუსლებზე დაიღალა და მიხვდა, რომ ქუსლიანი ფეხსაცმელი აღარ ჩაიცვას. ვანიჩკა, მაპატიე მაშინ რომ დიდხანს ვლაპარაკობდი.

ვანიკო თარხნიშვილი: - კარგი, გეგა. გეგა არაჩვეულებრივად ართმევს თავს ამ აპლუას. რაც შემეხება მე, ამჟამად ნებისმიერ რამეს გავაკეთებ ამ პროექტისთვის. მუშა მაისურით ენერგიულად სხვა ამპლუაში ვარ. არ ვარ წამყვანი, მაგრამ არც ვისვენებ. ყოფილა შემთხვევა, რომ კამერის უკან ვყოფილვარ. არ არის მნიშვნელოვანი სულ წამყვანი ვიყო. გუნდს რომ სჭირდება, ვარ გუნდის გვერდით. მთავარია, მეგაპროექტი შედგეს და ასეც იქნება. ამისთვის ყველა პირობა არსებობს.

გიორგი ხაბურზანია: „აქამდე თუ ვნერვიულობდი, ჟიურის წევრებით უკვე კმაყოფილი ვარ. მკვეთრი ტიპაჟები არიან. თამთა ღამით ჩამოფრინდა და უცებ დაჯდა ჟიურის სკამზე. დივას ფაქტორი შემოიტანა, ევროპული გამოცდილებით. გიორგი სკეპტიკური და „ლაითად“ და დადებითად ცინიკურია. მაყურებელი მის შეფასებას დაელოდება. სტეფანე და სოფო სატელევიზიო კუთხით კარგად მუშაობენ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N12 (262) ორშაბათი, 31 მარტი, 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

exclusive

ქართველები „ოთხის“ აუქციონზე

მომღერლისა და ბალერინას სიყვარულის ისტორია

EXCLUSIVE

ნინო გაჩეჩილაძე

VS

„ორი ვარსკვლავი“

EXCLUSIVE

„კვინტესენციურ ხუთეულს“ ნიუ-იორკელებმა საკუთარი სახელით გამოსვლა ანდეს

პირველი ადგილი და ორი ნომინაცია - „საუკეთესო სიმღერა“ და „საუკეთესო არანჟირება“

ISSN 1987-7404

9 771987 740005

ექსკლუზივი ვრაიმტაისთვის

გურამ დოჩანაშვილი ახალ წიგნზე მუშაობს

exclusive

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება